

В а х у ш т и



О п и с а н и е

Царства Грузинского

(география грузии)

*

Под редакцией

Т. Ломоури и Н. Бердзенишвили

Издательство. Тбилисского государственного университета
имени сталина
тбилиси * 1941

ვ ა ხ უ შ ტ ი



ა ლ წ ე რ ა სამეფოსა საქართველოსა

(საქართველოს გეოგრაფია)



თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის

რ ე დ ა ქ ც ი ი თ

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი * 1941

დაიბეჭდა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების.
პრეზიდიუმის დადგენილებით

პრეზიდიუმის თავმჯდომარე ალ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი.

ყდა, ფორზაცი და ტიტული შესრულებულია
მხატვარ ლ. გ რ ი გ ო ლ ი ა ს მიერ



წინასიტყვაობა

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის შრომა „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დღესაც დიდ ინტერესს იწვევს არა მარტო გეოგრაფთა შორის, არამედ სხვა სპეციალობის მუშაკთა შორისაც.

აღნიშნულ შრომაში ვახუშტის განსაკუთრებული ოსტატობით აქვს მოცემული მდიდარი მასალა საქართველოს გეოგრაფიის შესახებ: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნება, მისი ბუნებრივი საწარმოო ძალები, მოსახლეობა, დასახლებული პუნქტები, სამეურნეო საქმიანობა და სხვა. ძველ საქართველოს არ დაუტოვებია მეორე ისეთი წიგნი, სადაც მსგავსი სისრულითა და სიღრმით იყოს აღწერილი ჩვენი ქვეყანა. ამიტომ ეს შრომა, როგორც საქართველოს სრული აღწერის პირველი ცდა, უდიდეს ისტორიულ განძს წარმოადგენს. ასევე ძვირფასია იგი, როგორც ქართული მეცნიერული გეოგრაფიის ერთერთი უძველესი და ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლი. ცნობილია, რომ ვახუშტის შრომა, კერძოდ, მისი რუკები, დიდი ხნის განმავლობაში ძირითად წყაროს და მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა საქართველოს და საერთოდ კავკასიის გეოგრაფიული აღწერისა და რუკების შედგენისათვის როგორც რუსეთში, ასევე დასავლეთ ევროპაშიაც.

საბჭოთა მკითხველს, რომელსაც აინტერესებს ყოველივე დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა, არ ჰქონდა შესაძლებლობა რათა გაცნობოდა ამ დიდ გეოგრაფიულ შრომას, რადგან მისი ძველი გამოცემანი უკვე დიდიხანია ბიბლიოგრაფიულ იმპიათობას წარმოადგენენ; ამასთანავე, რადგან ეს შრომა მისი დაწერიდან ორასი წლისთავზეც მეცნიერულ ინტერესს მოკლებული არაა, საქართველოს გეოგრაფიულმა საზოგადოებამ განიზრახა მისი ახალი გამოცემა.

ვახუშტის შრომის გამოცემისათვის სამზადისი საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ დაწყებულ იქნა რამდენიმე წლის წინათ. შრომის ავტოგრაფის ტექსტის მეცნიერული დადგენა, კომენტარიების, ლექსიკონისა და საძიებლების დართვით, აგრეთვე ვახუშტის ბიოგრაფიის შედგენა და, ამგვარად, აღნიშნული გეოგრაფიული შრომის განახლებული გამოცემა, ცხადია, დიდ დროსა და შრომას მოითხოვდა. ამ საქმის შესრულება საზოგადოების პრეზიდიუმმა ისტორიკოსებს – ნიკოლოზ ბერძენიშვილსა და თამარ ლომოურს მიანდო, რომელთა რედაქციით ქვეყნდება ვახუშტის წინამდებარე შრომა. ვახუშტის, როგორც გეოგრაფის, დახასიათების შედგენა და ვახუშტის

V

რუკების გამოცემა ტექსტთან ერთად ვერ მოესწრო, საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოებისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო აღნიშნული რუკები ცალკე გამოიცემა სათანადო აღწერილობითა და განმარტებებით.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება დარწმუნებულია, რომ ვახუშტის გეოგრაფიის ამ გამოცემით აწოდებს საბჭოთა მკითხველს არა იმდენად ისტორიული ხასიათის გეოგრაფიულ შრომას, რამდენადაც ჩვენი ქვეყნის მდი-

დარი და მრავალფეროვანი ბუნების შესწავლისათვის აუცილებელ დასაყრდენ გეოგრაფიულ წყაროს.

წინამდებარე შრომის გამოცემაში სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა.

ვახუშტის შრომის გამოცემა ეძღვნება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლის საიუბილეოთა-რიდს.

საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდიუმი

თებერვალი, 1941 წელი

შესავალი

I. ვახუშტის ბიოგრაფიისათვის

საკმაო ცნობები ვახუშტის ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, არც დღეს მოგვეპოება. ამ მხრით ჩვენ თითქმის ისეთივე მდგომარეობაში ვართ, როგორშიაც ვახუშტის პირველი გამომცემელი (1842 წელს) იყო¹. ეს გარემოება, რა თქმა უნდა, იმის მოწმობა არაა, რომ ასეთი ცნობების მოპოება მომავალშიაც უიმედოა. პირიქით, ჩვენ დარწმუნებული ვართ, ცნობაც კი გვაქვს (თუმცა უმისამართო). რომ ვახუშტანგ მეფისა და მისი ოჯახის წევრთა შესახებ მდიდარი მასალა მოიპოება² მოსკოვსა თუ ლენინგრადის იმ არქივებში, რომელთა სამეცნიერო აღწერა და სათანადო წესრიგში მოყვანა მხოლოდ ახლა მიმდინარეობს. ასეთ გარემოებაში ჩვენ იძულებული ვართ ვახუშტის მეცნიერული ბიოგრაფიის დაწერა მომავლისთვის გადავდოთ და აქ, უმთავრესად, იმ მცირე მასალის მოყვანით დავკმაყოფილდეთ, რაც კარგა ხანია ცნობილია ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში³.

ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგ მეფის „უკანონო“ შვილი⁴, 1676 წლის ახლო ხანში უნდა დაბადებულიყოს⁵.

¹ დეოღრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან S.-Petersbourg, a la typographie de l'academie, 1842

² რა თქმა უნდა, აქ არ იგულისხმება ყოფ. საგ.საქ. სამინისტროს ის ცნობილი მასალა „ვახტანგის ემიგრაციის“ შესახებ, დღეს რომ მოსკოვის ГАРКЭ-ს „Дела Г рузинские“-შია დაცული.

³ 1) ბროსე, დახას. შრომა, introduction; 2) ბროსე, Histoire de la Géorgie... II partie, Addition VII 585; 3) ვახუშტი. საქართველოს ისტორია განმარტებული და შევსებული ახლად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნაწილი პირველი, ტფილისი, 1885; 4) ბროსე, Mélange Asiatique, 1857 – 1859, t. III, p. 533 – 557; 5) ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნიდამ. რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა, ტფილისი, 1904 წ; 6) საქართველოს ცხოვრება 1469 – 1800-მდე ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან; 7) დ. ბაქრაძე, საქართველოს მეფე ვახტანგ VI, 1880, გვ. 31; А л е к с а н д р С. Х а х а н о в. Очерки по истории грузинской словесности, Выпуск III, Москва, 1901 г., 287 – 292.

⁴ რომ ვახუშტი ვახტანგ მეფის ბუმი იყო, ამას მოწმობენ ქართულიც და უცხოური ცნობებიც, თანამედროვე თუ ნაგვიანვე. იხ. ბროსე, Переписка грузинских царей с российскими государями, XXVI; პეისონელი, „თხოვრა სპარსეთისა და საქართველოს არეულობის თაობაზედ“, გვ. 47; „მცირე, უწყება ქართელთა მწითილთათვის“, გვ.47 და სხვა.

⁵ ბროსეს ამ მოსაზრებას მ. ჯანაშვილი და ზ. ჭიჭინაძე საჭირო საბუთის მოუყვანელად აზუსტებენ: პირველი 1694 წელს ირჩევს, ხოლო მორე 1696-ს.

ვალმა მეცნიერმა ყრმობისა და ჭაბუკობის ხანა, არც ამის შესახებ ვიცით გარკვეული რამ. ცნობათა სრულ სიგარიელეს, რამოდენადმე ანელებს ჩვენ მიერ მოპოებული ერთი საბუთი: საიდანაც ჩანს, რომ ვახუშტის „სიჩქოთავე“ გამზრდელი და „სამლოთ საერომდე მასწავლელი“ კარისა და ოქონის ხატის დეკანოზი გარსვანაშვილი იესე და განსაკუთრებით მისი ძმა გიორგი ყოფილან¹. გიორგი გარსევანიშვილის შესახებ ჩვენ სხვა ცნობაც გავვაჩნია. მოსკოვს, ვსენსვიატსკოეში ანუ, როგორც ქართველები უწოდებდნენ, სესეწკაში ქართული ეკლესიის ეზოში დღემდის დაცულია საფლავის ქვა მხედრული წარწერით: „პროთოპოპი გარსევანისძე გიორგი, მეფის ვახტანგის აღზრდილი და მეფის ბაქარის აღმზრდელი“. ამ წარწერის თარიღია 1745 წელი. ცხადია, ეს იგივე გიორგია, რომელსაც ვახუშტი თავის აღმზრდელს და „მასწავლებელ“ უწოდებს. ამრიგად, ჩვენ ახლა ვიცით, რომ პირველი სწავლა-აღზრდა ვახუშტის თავის ძმა ბაქართან ერთად მეფის კარის დეკანოზისაგან მიუღია. მაგრამ, უეჭველია, ვახუშტი ამ სწავლის ამარა არ დარჩენილა. გიორგი ავალ-შვილის ცნობით 15 – 16 წლის ვახუშტი ტფილისში მყოფ კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა. ავალიშვილს ეს ცნობა ზეპირად უნდა ჰქონდეს გა-

¹ ქ. ნებითა და შეწევნითა მლთისათა ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენ, ბატონიშვილმა ვახუშტომ, ძემან ჩვენმა იოვანემ თქვენ, ჩვენთა ერთგულთა, წესისაებრ თავდადებით მრავალგვარად ნამსახურსა კარისა და ოქონის ხატის დეკანოზს გარსევანიშვილს იესეს და ძმასა შენსა სიჩქოთავე ჩვენთა გამზრდელთა და, რაც ძალი ედვა, სამლოთ საერომდე მასწავლელს გიორგის, შვილთა თქვენთა ნიკოლოზს, გრიგოლს, გარსევანს და ანდრიას, შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისათა“ ოდეს მრავალგვარათ თავდადებით ჩვენს და ჭირების დღებში გვემსახურენით და ჩვენს გაზრდაში დიდი ჭირი და გაზრდილობა მიგიძღოდან ჩვენს ზე, ამისდა სანუქჟოდ წყალობას დაგვეაჯე [ნით, ჩვენც] შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენის სიმართლის გზითა და ალალის საქონლით ნასყიდი მცირეს ოფელი ჯავახის-შვილებისაგან მოსყიდული ნადარბაზევი მისი სამართლიანის სამზღვრითა, წყლითა, წისქვილითა, მითითა, ბართა მის გარშემო საყდრით [დან] ასაყდრალითა და სახნავითა*, სათიბითა და უთიბითა, როგორათაც იმათგან მეყიდნოს, იმ გზითა და იმ საზღვრითა, გქონდეს და გიბედნიეროს ღონ ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. ოცს ნათლისღებას, რაც სამდღელო კაცი თქვენს სახლში იქნებოდეთ, ჩვენად სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად და სასულიეროთ ჟამს გვიწერედეთ. არ მოგეშალოს არცა ჩვენგან არცა ჩამამავალთა ჩვენთაგან. აწე, გვედრებით შემდგომნო ჩვენნო მეპატრონენო, ვინც ვინ ბრძანდებოდეთ, მცირესა ამას ჩვენგან ნაწყალობევს ალალის თეთრით ჯავახის-შვილებისაგან მოსყიდულ ნადარბაზევს ნუ მოვშლით ჩვენზე მრავალგზით და მრავალის მოუგონებელის ჭირით თავგანწირვით ნამსახურს გარსევანას-შვილებს, თქვენის მლთის გულთისათვის, რათა ცათა და ქვეყანათა შემოქმედმა დამტკიცოს განგებული თქვენი. აწე, ვინცა და რამანცა კუმს ამისად შლად ხელყოს, რისხვასმცა ღმერთი დაუსრულებელი და ჩვენისა ცოდვისათვის იგიმცა განიკითხვის მეუფის წინაშე, ხოლო დამამტკიცებელი ამისი.

* ეს სიტყვა სხვა ხელითა და მეღნიით წერია.

VIII

გონილი. ამისდა მიუხედავად ეს ცნობა ყოვლად სარწმუნო ჩანს. რაც შეეხება

ავალიშვილის ცნობის იმ ნაწილს თითქო „გაფრანგების“ შიშით ვახტანგმა თავის შვილს კათოლიკე მისიონერებთან ურთიერთობა აუკრძალა, ეს რამოდენადმე საეჭვოა: ის არ ეგუება კათოლიკობისადმი ვახტანგის დამოკიდებულებას. რომლის შესახებაც ჩვენ სრულიად გარკვეული და უეჭველი ცნობები გაგვაჩნია ¹. 1717 წლის ახლო ხანებში ვახუშტიმ ცოლად შეირთო გიორგი აბაშიძის ქალი მარიამი ². 1725 წელს ვახუშტის უკვე ოთხი შვილი ჰყავდა. ორი ვაჟი და ორი ქალი ³. თავის უფროს შვილს იოანეს ვახუშტი უკვე 1723 წლის ზემორე მოყვანილ სიგელში იხსენიებს. მეორე ვაჟი, საფიქრებელია, იმ დროს ჯერ კიდევ არა ჰყოლია. ბროსეს ცნობები ვახუშტის მემკვიდრეების შესახებ ნიშანდობლივი და სარწმუნო ჩანს ⁴.

1717 წლიდან ვიდრე 1724 წლამდის ვახუშტი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პოლიტიკურ საქმეში. 1717 წელს ბაქარ ქართლის მეფემ თავის ძმას ვახუშტის აჯანყებული დათუნაქსნის ერისთავის დამორჩილება მიანდო. ვახუშტი ლაშქრით შევიდა საერისთოში. ამ დროს დათუნა ერისთავი გარდაიცვალა, ხოლო ერისთავის-შვილები კახეთს გაიქცნენ. ვახუშტიმ საერისთო დაიჭირა ⁵. 1719 წელს ვახტანგ მეფის ბრძანებით ვახუშტი და ბაქარისევ ქსნის საერისთოში ლაშქრობენ უკუდგარი შანშე ერისთავის წინააღმდეგ. ბაქარმა ქსნის ხეობა დაიჭირა, ვახუშტიმ – ლიახვის ხეობა ⁶. შემდეგს წელში ვახტანგ მეფემ ვახუშტი იმერეთს წარავლინა ლაშქრით. მას უნდა ხელი შეეწყოს ვახტანგის დის-შვილის ალექსანდრე გიორგისძის, გამეფებისათვის. 1721 წელს ვახუშტი უკვე საბარათიანოს სარდალი იყო და თრიალეთის ახალქალაქში იჯდა (აწინდელი ტაშბაში). მეფის ბრძანებით და ვახუშტის უშუალო მონაწილეობა-ხელმძღვანელობით მოხდა ამ დროს

დონ აკურთხოს. დაიწერა ბრძანება ესე კათათვის, ი, ქკს: უია, ხელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის შანშიან მარტიროზის-შვილის მდივნის ბეგთაბეგისითა (ბეჭედი მხედრული წარწერით „ვახუშტი“).

¹ იხ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 304 – 342.

² ГАФКЭ, Дела Грузинские № 8, К. 32.

³ ГАФКЭ, Дела Грузинские, № 8, К. 32. და აგრეთვე № 7, გვ. 588, 594, 601.

⁴ ამის მიხედვით ვახუშტის შემდეგი შვილები ჰყავდა: იოანე, გარდაიცვალა 1783 ან უკეთ 6 დეკემბერს 1784 წელს; ალექსანდრა, იშვა 1721 წლის 12 აგვისტოს, გარდაიცვალა 8 აპრილს 1789 წელს; დავითი, იშვა 1723 წელს, მისი გარდაცვალების თარიღი უცნობია; დარია, იშვა 1724 წელს; ის 1804 წელს კიდევ ცოცხალი იყო; ნიკოლოზი, იშვა 1724 წლის შემდეგ, გარდაიცვალა 1772 წლის უწინ; დომენტო, იშვა 1728 წელს, ყრმობაშივე, 9 წლის გარდაიცვალა, 1737 წელს; ანა, იშვა 1745 წელს, გარდაიცვალა 1779 წელს. Мёл. as, III, p. 544; აქედან ეს ცნობები ამოკრებილი აქვს დ. ბაქრაძეს. იხ. მის მიერ გამოცემული – „ვახუშტი, საქართველოს ისტორია“, XI.

⁵ საქართველოს ცხოვრება, 123; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ურთიერთობიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 177.

მეწინავე სადროშოს აღწერა ¹. მეწინავე დროშის სარდლად იყო ვახუშტი 1722 წელსაც. ამავე წლის აგვისტო-ნოემბერში კის სამეფოს განაგებდა, რო-

ცა ვახტანგი და ბაქარი კ ე ტ რ ე ხ ე ლ მ წ ი ფ ი ს შირვანს გამოსვლის მოლოდინში ქართველთა ჯარით განჯის მიდამოებში იდგნენ ². ასევე აქტიურად მონაწილეობდა ვახუშტი იმ ბრძოლაში, რომელსაც ქართლი სპარსელებისა და მათი ერთგული კოსტანტინე კახთა მეფის წინააღმდეგ აწარმოებდა 1722 – 1723 წლებში. ვახუშტი წარმატებით ებრძოდა მოსეულ მტრებს ბორჩალოში, მცხეთაში, მარტყოფს ³.

1723 წელს ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს. დამარცხებული ვახტანგ მეფე პოლიტიკური ტაროსის მოლოდინში პეტრე ხელმწიფის სამფლობელოს შეეფარა (1724 წ.). ვახტანგს ემიგრაციაში 1208 კაცი გაჰყვა. მათ რიცხვში იყო ვახუშტიც თავისი სახლობით და ამალით. ემიგრაციაში ვახუშტის თან ახლდა: მეუღლე, ორი ვაჟი, ორი ქალი, ერთი გამდელი, 13 მოახლე, 25 მსახური, 4 თავადი 6 ყმით და 19 აზნაური 17 ყმით; სულ 90 სული.

ემიგრაციაში ვახუშტი არა მარტო სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. როგორც ირკვევა, მას მეფის სახლზე მზრუნველობა ჰქონია ვახტანგის მიერ მიწოდებული ⁴.

რუსეთში ვახუშტი თავისი მატერიალური მდგომარეობის კმაყოფილი თავიდანვე არ ყოფილა. ვახტანგ მეფეს (და მთელს ემიგრაციას) რუსეთის მთავრობისაგან გაჩენილი ჰქონდა ყოველწლიურად 24.000 მან ფულად, 4.000 ჩეტვერტი ხორბალი; 200 საჟენი შეშა და 200 ცხენის თივა-ქერი აქედან ვახუშტის და მის ამაღლს მეფე აძლევდა: 2.090 მან ფულად, 289 ჩეტვერტი ხორბალს, 38 საჟენი შეშას და 16 ცხენის თივა-ქერს ⁵. მაგრამ ვახუშტის მატერიალური მდგომარეობა 1737 წლიდან კიდევ უფრო გაუარესდა. ამ წელს ვახტანგ მეფე გარდაიცვალა. ამ დროისათვის ქართულმა ემიგრაციამ რუსეთის პოლიტიკის მესვეურთა თვალში თანდათან ფასი დაკარგა ⁶. ემიგრაციასაც ჩქარა აგრძნობინეს არასასიამოვნო ამბავი. 1737 წლიდან ორი წლის განმავლობაში რუსეთის მთავრობის ხაზინიდან ემიგრაციას არაფერი მისცემია. მხოლოდ 1739 წელს გასცა განკარგულება ა ნ ა ი მ კ ე რ ა ტ ო რ მ ა, რათა ემიგრაციას აღუდგინონ შეწყვეტილი დახმარება, მაგრამ განახევრებული რაოდენობით. ამ განკარგულების მიხედვით ნაცვლად ზემოდასახელებული რაოდენობისა ვახუშტის დაენიშნა წლიურად მხოლოდ 1.500 მანეთი ⁷. 1738 წლის 25 მარტის „უქა-

¹ მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, 2'

² იხ. საქართველოს ცხოვრება 126 და ბ რ ო ს ე Переписка..., LXXVII.

³ საქართველოს ცხოვრება, 128 – 129.

⁴ Дела Грузинские № 1, 1734 г. 13 – 11; იქვე, № 4, 1737 г.; იქვე, № 2, 1735 г.

იქვე № 5, 1737 г.

⁵ Дела Грузинские № 19, 1749 г. და № 5, 1734 г.

⁶ რუსეთმა პეტრე ხელმწიფის დროს მინატაციები კასპიის ზღვისპირა ქვეყნები ძალაუნებურად ისევ ერანს დაუბრუნა – 1732 და 1735 წლების ხელშეკრულებებით – და ამით ამიერკავკასიაში აქტიური პოლიტიკა უარყო.

⁷ Дела Грузинские, № 19, 1749 г. და № 5, 1753 г.

X

ზით“ ანა ხელმწიფემ ქართული ემიგრაციის თავად-აზნაურობის თხოვნა შეიწ-

ყნარა და ემიგრანტების რუსეთის ქვეშევრდომებად ჩარიცხვა და მათი სამსახურში მიღება ბრძანა ¹. ემიგრაციის პოლიტიკური არსებობა არსებითად ამით დამთავრდა. ვახტანგ მეფის სახლის წევრებიც ამიერიდან რუსთხელმწიფის ქვეშევრდომები იყვნენ და მის სამსახურზედ „იქნევდნენ ხმალს“. ვახუშტიც ამიერიდან თავის თავს იმპერატორის „უერთგულეს ქვეშევრდომად“ სთვლიდა. 1749 წელს უფროსი შვილი იოანე მას უკვე რუსეთის სამხედრო სამსახურში ჰყავდა, ხოლო სხვები ჯერ კიდევ, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სასწავლოში“ ჰყავდა და ხელმწიფის სამსახურისათვის ამზადებდა ².

ანა ხელმწიფის მიერ გაჩენილი ყოველწლიური დახმარება – 1.500 მანეთი – ვახუშტის არ ჰყოფნიდა და ის დიდ ვალებში ჩავარდნილა. ილაჯგაწყვეტილი ბატონიშვილი სთხოვს 1749 და 1753 წლებში ე ლ ი ს ა ბ ე დ ხ ე ლ მ წ ი ფ ე ს, წყალობის თვალთ მოხედოს მას და შევიწროვებაში მყოფს სარჩო მამული გაუჩინოს ³.

ამის შემდეგ ვახუშტის შესახებ ის ვიცით, რომ ის 1755 წელს ცოცხალი იყო და მეცნიერულ მუშაობას ეწეოდა ⁴. ბროსეს მიერ მოპოებული ცნობით ვახუშტი 1770 წელსაც ცოცხალი ყოფილა და კვლავ სამწერლობო მოღვაწეობას განაგრძობდა ⁵. ასე რომ ვახუშტი გარდაიცვალა 1770 წლის შემდეგ. როგორც ფიქრობენ, ახლო ხანში. ბროსე დაურწმუნებიათ, რომ ვახუშტი დასაფლავებულია მოსკოვში დონის მონასტრის ქართველთა „სამვალეში“. აქვე ყოფილან დამარხული მისი სახლის წევრებიც ⁶.

ემიგრაციის ხანა ვახუშტის უმთავრესად მოსკოვში გაუტარებია. როგორც თვითონ 1745 წელს აღნიშნავს, ჩვენი მეცნიერი მ ო ს კ ო ვ ი ს კ რ ე ს ნ ა ს ცხოვრობდა და მუშაობდა.

¹ Бутков, Материалы для новой истории Кавказа, I. 66, დავითიანი, 1931 წ. გამოცემა, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიულ-კრიტიკული ეტიუდი აღ. ბ ა რ ა მ ი ძ ი ს ა, გვ. XXXV.

² Дела Грузинские, № 19. 1749 და № 5, 1753.

³ Дела Грузинские. იქვე.

⁴ იხ. ქვემოთ ხელნაწერის აღწერილობა.

⁵ იხ. ბ რ ო ს ე ს „დეოდრაფიული აღწერა საქართველოდა ბატონიშვილი ვახუშტის მიერ, Introduction, გვ. IX.

⁶ სამწუხაროდ, ვახუშტის საფლავი აღნიშნულ სასაფლაოზედ დღეს არ ჩანს. ვერც ბროსეს უპოვია იქ საფლავის ქვა საამისო ეპიტაფიით. უშედეგოდ ჩაიარა ამ მხრით ჩვენმა შრომამაც. მით უფრო, რომ ჩვენი იქ ყოფნისას ქართველ მოღვაწეთა ეს პანთეონი საწყობად და სადურგლო სახელოსნოდ იყო გადაქცეული და, მიუხედავად დონის მონასტერში აწ გამართული მუზეუმის დირექციის მხრით ხელის შეწყობისა, ჩვენთვის ყოვლად შეუძლებელი აღმოჩნდა ძვირფასი სასაფლაოს ზედმიწევნითი შესწავლა.

საყურადღებოა პროფ. ალ. ჯავახიშვილის ცნობა, რომ მას სტუდენტობისას ხსენებულ პანთეონში უნახავს იატაკში დატანებული საფლავის ქვა გადასული წარწერით, სადღაც ჯერ კიდევ ირჩეოდა რაღაც სიტყვის მარცვალი „შტი“, ეს გადასული წარწერა მიღებული ყოფილა იმ დროს ვახუშტის საფლავის ეპიტაფიად.

ერან-ოსმალეო დამპყრობელებთან ბრძოლაში ოსმალეთმა საბოლოოდ მოკვლი-
ჯა საქართველოს სამცხე-საათაბაგო და აქ „ქართველობის“ ამოგდებას ენერ-
გიულად შეუდგა. შაჰბასმა ნანგრევ-ნასადგომევადა აქცია აყვავებული კახეთი და
ტყვე ქართველებით აავსო ერანი. ქართლი და კახეთი შ ა ჰ ი ს ს ა ხ ა ნ ო ე ბ ი
შეიქმნენ. მაგრამ ბრძოლა ამაზედ არ დამთავრებულა და ქართველ ხალხს
მომალადეთა წინაშე ქედი ერთის წუთითაც არ მოუხრია. მარაბდის დიდ ომს
(1624 წ.) და კახეთის მრისხანე აჯანყებას (1659 წელს) აგრესორი უნდა და-
ერწმუნებია, რომ „გურჯისტანში“ „ქართველობის“ ლიკვიდაცია მისთვის მი-
უწვდომელი ამოცანა იყო. მაგრამ მტერი დასახულ მიზანს ამის შემდეგაც არ
ემშებოდა და იმის განხორციელებას სხვადასხვა საშუალებით დაჟინებით ცდი-
ლობდა. არა ნაკლების დაჟინებით ცდილობდა ქართველი ხალხი მტრის ამ ლო-
ნისძიებათა გაქარწყლებას.

XVII საუკუნის მე-2 ნახევარში საქართველო „აღდგომისა და გამოხსნი-
სათვის“ ემზადებოდა. საამისოდ ძალებს რაზმავდა. წამყვანი როლი ამ საქმე-
ში ქართლს ეკუთვნოდა. ერანის პოლიტიკური ბატონობის მიუხედავად ქართ-
ლი აღნიშნულ დროს ეკონომიურად და კულტურულად წინ მიდიოდა. ამავე
დროს მისი გავლენა საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებზე სულ უფრო და
უფრო იზრდებოდა.

დიდბრძოლაგადახდილი ქართველი ხალხი ახლა, „მშვიდობიანობის“ ხანა-
ში, გამოვლილ ომებს იგონებდა, მეზობლთა შეფასებას ახდენდა და დამა-
რცხება-გამარჯვების მიზეზებს არკვევდა. ამისდა შესაბამისად ქართველი ხალ-
ხი შემდგომი ბრძოლის საშუალებებს სახავდა.

ფიზიკურ საშუალებათა გვერდით თანდათან შემუშავდა აგრესიის წინააღ-
მდეგ იდეური ბრძოლის საშუალებანი თანდათან ჩამოყალიბდა იდეურ-პოლი-
ტიკურ მოღვაწეთა ძლიერი დასი: პოეტ-ლიტერატორები, მეცნიერ-ისტო-
რიკოსები, სახელმწიფო და საეკლესიო მოღვაწენი. სათანადო მეზობლი მო-
ტივები გაჩნდა პოეზიაში (არჩილი, იოსებ თბილელი), საამისოდ „გაიმართა“
ისტორიაც („ახალი ქართლის ცხოვრება“), გაჩაღდა მაჰმადიანობის წინააღმდეგ
პროპაგანდა (გიორგი XI, იაკობ შემოქმედელი), დაიწყო ქრისტიანობის აღ-
დგენისაკენ, მიმართული ენერგიული მოქმედება (არჩილი, ვახტანგ VI).

თავადების პოლიტიკური უფლებების შეზღუდვა, სახელმწიფო, სამოქა-
ლაქო და ადმინისტრაციული სამართლის მოწესრიგება, ქვეყნის ეკონომიური
და კულტურული წინსვლისათვის ხელის შეწყობა ამ დასის საშინაო სამოქმე-
დო პროგრამას შეადგენდა. მეორე მხრით, ქართლ-კახეთის ერთ სამეფოდ გა-
დაქცევა, ხოლო „იმერეთის მპყრობელთან“ და სხვა მთავრებთან კავშირი ქარ-
თლის ჰეგემონიით მისივე პოლიტიკის მიზანი იყო. საქართველოს პატრიო-
ტებს ერანიც და ოსმალეთიც ორივე თანაბრად შეურიგებელ მტრებად მიაჩნ-
დათ – ერთი „ფოცხვერი“ იყო, მეორე „ბაბრი“ – და მათ საწინააღმდეგოდ
მოკავშირეებს ეძებდნენ. ასეთ მოკავშირეებად, ბუნებრივია, ქრისტიანული
ქვეყნები იგულისხმებოდნენ. მაგრამ ისეთი, რომელსაც რეალური დახმარების
აღმოჩენა შესძლებოდა, არავინ იყო, დიდ ქრისტიანულ ქვეყნებს შორის ყვე-

ლაზედ ახლოს და დასამხარი მოსკოვის სამეფო იყო. ამიტომაც მოხდა, რომ ეს ქვეყანა თანდათან ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხებულ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეთა თავშესაფარად იქცა იმისდა მიუხედავად, რომ „დიდმა ხელმწიფემ“ ქართველ მებრძოლებს არაერთხელ გაუცრუა პოლიტიკური იმედები.

განსაკუთრებული პოლიტიკური მარცხი მოსკოვის სამეფომ საქართველოში 1658 წელს განიცადა. „ქართველობისათვის“ მებრძოლთა დასის აქტიური მოქმედებით (თ ე ი მ უ რ ა ზ კახთა მეფისა და ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე იმერთა მეფის მეთაურობით) მოსკოვის სამეფოსადმი სასარგებლო განწყობილება ამ დროს განსაკუთრებით ძლიერი იყო: მოსკოვის ხელმწიფეს ყმობდნენ კახეთის მეფე, იმერეთის მეფე, ყმობასვე ეფიცებოდნენ მას იმერთა მეფის მორჩილი სამეგრელოს და გურიის მთავრები. ქართლშიაც თეიმურაზისა და მოსკოვის მომხრეთა ძლიერი დასი სამოქმედოდ მზად იყო. ქართველობისათვის მებრძოლთა პოლიტიკური იდეალი თითქო ხორცს ისხამდა, მოსკოვის დიპლომატიის 70 წლის ნამოღვაწევი წარმატებით სრულდებოდა. საკმაო იყო „პატრონის“ მხრით ენერგიული მოქმედება. მაგრამ დიპლომატიური წარმატება მოსკოვის ხელმწიფემ სრულიად ვერ გამოიყენა. საქართველოს გამაერთიანებელისა და მისი ერან-ოსმალეთის წინააღმდეგ დამრავლებელის როლში ვერ გამოვიდა. ამის შემდეგ ვიდრე XVIII საუკუნის ოციან წლებამდის მოსკოვის ხელი ამიერკავკასიის საქმეებში აღარ ჩანს. ამ პოლიტიკური მარცხის ეპილოგი იყო, რომ თეიმურაზის შვილისშვილი ე რ ე კ ლ ე, ხელმწიფის კარზედ მძევალი, XVII საუკუნის 70-იან წლებში წამოუვიდა „პატრონს“ და ერანის შაჰს ეყმო და მისგან მიიღო თავისი „სამკვიდრო“.

ამავე დროს ერან-ოსმალეთის ქვეყნებში სულ უფრო და უფრო მეტის ენერგიით გამოდიან დასავლეთ-ევროპელები. აღმოსავლეთის ვაჭრობაში ერთი მეორეს პირველობას ეცილებიან პორტუგალელები, ინგლისელები, ჰოლანდიელები, ფრანგები.

სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობა საქართველოსა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, ერთობ მისუსტებული XVI საუკუნეში, XVII საუკუნის მე-2 ნახევრიდან კვლავ გაცხოველდა. ვაჭრებს ჩქარა მოჰყვნენ პოლიტიკური აგენტები: მეცნიერ-მოგზაურები, კათოლიკე მისიონერები. განსაკუთრებით საინტერესო იყო უკანასკნელთა მოღვაწეობა. რომის პაპის ამ აგენტების საქმიანობა მხოლოდ კათოლიკური სარწმუნოების ქადაგებით როდი ამოიწურებოდა. მისიონერებს შორის არა ერთი იყო ექიმი, მხატვარი, მწერალი, ინჟინერი, გეოგრაფ-ასტრონომი და სხვა „საერო“ ცოდნით აღჭურვილი.

კათოლიკე მისიონერების საქმიანობას საქართველოში განსაკუთრებული წარმატება ხვდა. ქართველები კათოლიკობას თავისი ქვეყნის პოლიტიკურ მომავალს უკავშირებდნენ. ყველა, ვინც ქვეყნის დაცვისა, მისი აღდგენისა და განთავისუფლებისათვის იბრძოდა, ქრისტიანობდა და ასე თუ ისე „ფრანგობდა“. მეფე, უფლისწული, კათოლიკოს-ეპისკოპოსები, თავადები მზად იყვნენ პაპის უზენაესობა აღეარებინათ და ქართული ეკლესია რომის ტახტისათვის დაემორჩილებიათ და მთელ საქართველოში კათოლიკობა გაეცვლებიათ, ო ლ ო ნ დ კ ი ს ა ფ რ ა ნ გ ე თ-ე ვ რ ო პ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი და ხ-

მ ა რ ე ბ ა მ ი ე ლ ო თ ე რ ა ნ - ო ს მ ა ლ ე თ ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ ბ რ ძ ო -
ლ ა შ ი .

ქრისტიანულ ევროპასთან კავშირის მონატრული ქართველები კიდევ უფრო შორს მიდიოდნენ. მისიონერების მეშვეობით ისინი მიმზიდველ ეკონომიურსა და პოლიტიკურ პერსპექტივებს უხატავდნენ ევროპის ქვეყნებს: საქართველო საუკეთესო გზა იქნებოდა საფრანგეთის ვაჭრებისათვის ერანისაკენ, ხოლო ტფილისი მეტად მარჯვე ადგილი ფრანგ ვაჭრების საქონლის საწყობად. ქართველების გეგმით კათოლიკობას წარმატება მხოლოდ საქართველოში როდი ელოდა. ქართველების აქტიური მონაწილეობით ეს საქმე ფრიად ნაყოფიერი იქნებოდა აგრეთვე აფხაზეთსა და ჩერქეზეთში. ქართველ პოლიტიკოსთა გეგმა ცხადი იყო: რ ო მ ი ს პ ა პ ი ს ა ვ ტ ო რ ი ტ ე ტ ი თ და ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი ს ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ ი თ კ ა ვ კ ა ს ი ი ს დ ი დ ი ნ ა წ ი ლ ი ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი შ ე კ ა ვ შ ი რ ე ბ ა ე რ ა ნ - ო ს მ ა ლ ე თ ი ს ა გ რ ე ს ი ი ს წ ი ნ ა ა ლ მ დ ე გ .

საქართველოში მისიონერები ჩქარა ჩაებნენ პოლიტიკურსა და კულტურულ მოღვაწეობაში. ესენი იყვნენ განთქმული ექიმები, მეფე-მთავართა პოლიტიკური მრჩეველები, ელჩები და საიდუმლო აგენტები. მისიონერები მხარს უჭერდნენ საქართველოს ფეოდალური ძალების გაერთიანებას, მეფე-მთავართა შეთანხმებას. მათ მოღვაწეობას, უეჭველად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელი ქართველობის განმტკიცებისათვის, მაჰმადიანობის გავრცელების შეფერხებისათვის. კათოლიკე მისიონერების საშუალებით ქართლის მეფეებს ცხოველი მიმოწერა ჰქონდათ რომის პაპთან, საფრანგეთის კოროლთან, ავსტრიის იმპერატორთან თუ სხვა მეფე-მთავრებთან.

ასეთი ურთიერთობა თანდათან ძლიერდებოდა XVIII საუკუნის ოციან წლებამდე. ამ დროს ახლობელ აღმოსავლეთში საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება გართულდა. სეფიანთა ერანს დღე ელეოდა და საქართველოს „გამოხსნისა და აღდგომის“ მარჯვე დრო დგებოდა. კათოლიკურ ევროპა-საქართველოს კავშირის გამოცდის დღე დადგა. ქართველებმა სრულიად გარკვეული პოლიტიკური დახმარება სთხოვეს მფარველ-მოკავშირეებს, – „უქრისტიანეს“ ლუი XIV-სა (1714 წელს) და ავსტრიის იმპერატორს (1722 წელს) ¹. ქართველ პოლიტიკოსებს აქაც იმედის გაცრუება ელოდათ. ამ დროს საფრანგეთი შორეულ ამიერკავკასიაში უშუალო პოლიტიკურ მიზნებს არ ისახავდა: მას აქ პოლიტიკური გაბატონების შესაძლებლობა არ გააჩნდა. უამისოდ კი ქართველთა (თუნდაც კათოლიკების) ინტერესებისათვის ოსმალეთის ხონთქრისა და ერანის შაჰის საწინააღმდეგოს ის არაფერს მოიმოქმედებდა: ინგლის-ჰოლანდიასთან აღმოსავლეთში სავაჭრო-კოლონიური მეტოქეობისას პოლიტიკური მეგობრობა ერან-ოსმალეთთან საფრანგეთისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო. არც ავსტრიის იმპერატორს აღმოაჩნდა ქართლის მეფისათვის რეალური დახმარების ხალისი თუ შესაძლებლობა.

¹ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფილისი, 1902 წ. გვ. 315, 340.

ამავე დროს ახლობელ-აღმოსავლეთის პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად გამოვიდა პეტრე დიდის რუსეთი. და კათოლიკური ევროპის მხრით დახმარების¹ იმედგაცრეუბული ქართველებიც თავისი ქვეყნის „გამოხსნისა და აღდგომის“ იმედებით ადვილიდ შეუკავშირდნენ პეტრე ხელმწიფეს, რომელმაც სრულიად გარკვეული პოლიტიკური დაპირებანი მისცა თავის ახალ მოკავშირეს¹. მაგრამ მოვლენები ახლობელ აღმოსავლეთში ისე განვითარდნენ, რომ იმავე პეტრეს თანხმობით საქართველო გამოხსნის მაგივრად „ბაბრის კლანჭებში“ მოექცა. ის ოსმალეთმა დაიპყრო (1723 წ.).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურ კავშირს საქართველოსა და კათოლიკურ ევროპას შორის რეალური საფუძვლები არ აღმოაჩნდა, ევროპასთან ურთიერთობას საქართველოსათვის მეტად დიდი კულტურულ მნიშვნელობა ჰქონდა. 60 წლის მანძილზე ურთიერთობა განუხრელად იზრდებოდა. ამ ურთიერთობის შედეგად ქართველმა მეფე-ფეოდალებმა გაიცნეს დასავლეთი ევროპა, მისი მიღწევები.

კათოლიკური პროპაგანდის წარმატების მიზნით მისიონერები ზეპირი ქადაგებით არ კმაყოფილდებოდნენ. ქართლში შემოსვლის უმაღლეს (XVII საუკუნის 60-იანი წლები) მისიონერებმა ტფილისში გახსნეს სკოლა², რომელშიაც იმთავითვე ბლომად მისვლიათ სწავლის მზომელები³. ამ სასწავლებელში კათალიკური-ქრისტიანული მოძღვრების გვერდით ენებსაც ასწავლიდნენ: ქართულს, იტალიურს, ლათინურს. ამავე დროს, უკვე 1670 წლიდანვე ქართველებს ორი ადგილი აქვთ დათმობილი რომის უმაღლეს თეოლოგიურ სასწავლებელში, სადაც იგზავნებიან ტფილისში სკოლადამთავრებული უნიჭიერესი

¹ პეტრეს მოკავშირეობა მით უფრო და საიმისო ჩანდა. რომ რუსეთის იმპერატორი ერთსადამავე ერანის მოქიშპედაც გამოდიოდა, თუმცა ოფიციალურად ამას უარყოფდა, და ოსმალეთისაც.

² სწავლა-აღზრდის საქმე ამ დროის საქარველოში სრულიად დაუმუშავებელი საკითხია. საამისო მეტად საყურადღებო მასალები კი არამცირე მოიპოვება. კერძოდ „საღმრთო“ თუ „საერო“ „წიგნის“ სწავლა ჩვენში, თუმცა მინელებული, ამ დროსაც არსებობდა სათანადო ადგილებში: მონასტერში „(მოძღვრებთან“), თუ კერძო პირებთან („აღმზრდელ“-მასწავლებლებთან“). ასე რომ კათოლიკე მისიონერთა ეს სკოლა უფრო დაწინაურებული ქვეყნის სწავლის შემოტანას ნიშნავდა მხოლოდ.

³ თუ მოსწავლეთა რიცხვს საშუალოდ 40 ვივარაუდებთ, რაც ჩვენ ხელთ არსებული ცნობების მიხედვით გადაჭარბებული სრულიად არაა, და ამასთანავე გავითვალისწინებთ, რომ სწავლის ხანგრძლივობა ამ სასწავლებელში ოთხი წელი უნდა ყოფილიყო, – ზოგი უფრო ადრეც სტოვებდა მას, – გამოდის, რომ აღნიშნული 50 წლის მანძილზე მისიონერთა სკოლაში 500 კაცს უსწავლია. მაგრამ მისიონერებთან ნასწავლთა რიცხვი გაცილებით მეტია სავარაუდებელი. 500 კაცი მხოლოდ ტფილისის სკოლაზე მოდის. მისიონერებს კი ამ სკოლის გარედაც თავიანთ სახლებში მეფისა თუ ფეოდალების სასახლეებშიც ჰყავდათ მოწაფე-მსმენელები. ამის გარდა, მისიონი მხოლოდ ტფილისში როდი იყო. მისიონერთა სამოქმედო ცენტრები იყო აგრეთვე გორი, ახალციხე. ამ ადგილებშიაც კათოლიკე მისიონერები ზეპირი ქადაგების გვერდით პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწეოდნენ.

მოწაფეები ¹. თუ როგორ წარმატებით მიდიოდა სწავლის საქმე ტფილისში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ აღნიშნულ სკოლაში მოწაფეთა რიცხვი სულ იზრდებოდა. 1676 წელს ტფილისის სკოლაში უკვე 50 ყმაწვილი სწავლობდა ², ხოლო 1679 წელს ტფილისიდან რომში პროპაგანდის სკოლაში უკვე სამ ყმაწვილს ჰგზავნიან უმაღლესი თეოლოგიური სწავლის მისაღებად. ამავე ხანებში ტფილისში მოღვაწე კ ა ტ რ ი ბ ე რ ა რ დ ე ს შესაძლებლად მიაჩნია უნიჭიერეს ყმაწვილებს რომში მივლინების ნაცვლად აქვე, „მისიონერების სახლებშივე“ მიაღებინონ „საუკეთესო მასწავლებლების ხელმძღვანელობით“ „სამოქალაქო თუ საეკლესიო მეცნიერებანი“.

თეოლოგიურ-სქოლასტიკურ სწავლაზედ უფრო საქართველოში „საერო“ ცოდნის სურვილი გამოუჩენიათ. მეფე-ფეოდალებს უპირველეს ყოვლისა პოლიტიკა აინტერესებდათ და შემდეგ კი „სამოქალაქო მეცნიერებანი“ (პოეზია, უცხო ენები – ფილოლოგია, ისტორია, გეოგრაფია, ასტრონომია, მედიცინა...), ღვთისმეტყველებას თურმე ვერ ეწყობოდნენ. დამახასიათებელია, რომ საქართველოდან ევროპაში ახალგაზრდები მხოლოდ საღვთისმეტყველო სწავლისათვის როდი უგზავნიან. 1681 წელს ნეაპოლის საშუალო სკოლაში ერთი ახალგაზრდა ქართველი თავადიშვილი სწავლობდა თურმე „სამოქალაქო მეცნიერებას“.

კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობას საქართველოში, რათქმაუნდა, ყველა ერთნაირად არ უყურებდა. მოკეთებების გვერდით „ფრანგებს“ მოწინააღმდეგენიც ძლიერი ჰყავდათ. მიუხედავად ამისა, მისიონერთა მოღვაწეობა სულ უფროდაუფრო თვალსაჩინო ხდებოდა. თანდათან „ფრანგებმა“ დიდი სახელი მოიხვეჭეს. მათი მეცნიერებისა სჯეროდათ. კათოლიკე პატრებთან სწავლობდნენ მოქალაქენი, თავად-აზნაურნი, მეფის ძენი და თვით მეფენი. მისიონერებთან სწავლობდა ლათინურ ენას გიორგი მეფის შვილი ბ ა გ რ ა ტ, მათვე უსმენდა არა ერთი თავადიშვილი ორბელიანთა სახლიდან; თვით ს ა ბ ა მ, ცნობილია, დაუტევა „მართლმადიდებლობა“ და რომის ეკლესიას შეუერთდა. ცნობილი ამბავია აგრეთვე, რომ ვ ა ხ ტ ა ნ გ VI მისიონერთა საშუალებით გაეცნო ევროპას, ხოლო 1709 წელს უფროსი პატრი ამავე მეფეს ასტრონომიის გაკვეთილებს აძლევდა და თავისი მოწაფის გულისხმიერებას დიდად აქებდა ³. ასევე ცნობილი ამბავი, იყო იმ დროს: რომ ლექსიკონზედ მუშაობისას ჩვენს დიდ მეცნიერს, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს, ეს „ფრანგები“ აქტიურად ეხმარებოდნენ ⁴.

¹ თამარაშვილი, op. cit. 237 – 238.

² თამარაშვილი, op. Cit. 251..

³ თამარაშვილი. op. Cit. 339.

⁴ „სამდივნო წიგნში“ ვკითხულობთ: საბამაო „დიდად იღვაწა და დიდი შრომა თავს იდვა, სომეხთა და ფრანგთა ლექსიკონთა შემოწმებით განასრულა და იხარებს ყოველი საქირთა წერილთა გამოუკვლეველი. ხოლო მე ყოვლად უღირსმან და უგულისხმომან ტფილისის ქალაქის სიონის დეკანოზის ძემან ხენემმან მღვდელმან კნინმან ხუცესმან ოსემ ვიწყე აღწერად და გარდმოღებად თვით მის ხელითა მისითა აღწერილსა ზედა გადმოვწერე. თუცა სადმე ჩვენსა და ფრანგთა შორის საცილობელს მათ კერძო მოწმობა აღწეროს, მე ნუ მაბრალებთ, რამათუ მას მათ კერძო აქვნდა თვისება“. საქ. სახ. მუხ. № 1334 H

კათოლიკე მისიონერებთან ვახუშტის ურთიერთობის შესახებ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზეპირი ცნობა ბროსეს აქვს მოყვანილი. დაუჯერებელი აქ არა არის რა. პირიქით, ამ ცნობის შემაგრებაც შეიძლება. 1727 წელს დაწერილ „ვახტანგიანში“ ფ ა ვ ლ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ამბობს ვახუშტის შესახებ:

„ვახუშტი ქრისტეს მოსავი მის მცნებაზედა დარგული.

ს უ ლ ა ღ ა ს რ უ ლ ა ყ ო ვ ე ლ ი ს წ ა ვ ლ ა ლ ა თ ი ნ თ ა
ფ რ ა ნ გ უ ლ ი“...

ამ მოწმობით დასტურდება არა მარტო ის ფაქტი, რომ ვახუშტი კათოლიკე მისიონერებთან სწავლობდა, არამედ ისიც, რომ მან სავსებით შეითვისა მისიონერთა მიერ ქართლში მოტანილი ევროპული ცოდნა („სწავლა ლათინთა ფრანგული»). კერძოდ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ვახუშტის თავისი კარტოგრაფიული მუშაობა კათოლიკე მისიონერების თანამშრომლობით უნდა შესრულებიოს¹.

ყოველი აქ მოთხრობილის გათვალისწინებით² უცნაურად აღარ გამოიყურება ქართლის ეს კულტურული აღორძინება აღნიშნულ ხანაში. ხანგრძლივი უამინდობით მინელებული დიდი კულტურული მემკვიდრეობის კერა უმაღლავივებს იწყებდა, როგორც კი საამისოდ პირობები ჩნდებოდა. 90 წლის მანძილზე (1632 – 1722) ქართლი უცხოელთა მსხვილ შემოსევას არ შეუწუხებია. ქვეყანა მოშენდა, ეკონომიურად მოღონიერდა. შორეულსა თუ ახლო ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობა გაცხოველდა. თანდათან გაიშალა კულტურული მუშაობა. ამავე დროს დაწინაურებულმა და უცხო ბაზრების მაძიებელმა ევროპამ შემოიხედა დიდი ხნის წინ დავიწყებულს ქვეყანაში და ქართველი საზოგადოება ხარბად დაეწაფა „ფრანგულ სწავლის“ (რათქმუნდა, ჩვენი ამ დროინდელი მეცნიერნი „ფრანგულის“ გარდა უხვად სარგებლობდნენ აგრეთვე სპარსულ-თურქული თუ სომხურ-ბერძნული „სწავლითაც“).

თავისი შრომის წინასიტყვაობაში ვახუშტი წერს: შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსაზედა ვიშრომეთ კნინდა წელნი სამნი მარადის წერით“...და ბოლოს: „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩდმე, ქართულსა ულგ, ოკდონბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას“³. ამ ცნობის შესახებ აკად. ი. ვ. ჯ ა ვ ა - ხ ი შ ვ ი ლ ი შენიშნავს „მამასადამე, ვახუშტის მუშაობა 1742 წელს დაუწყია და 1745 წელს დაუსრულებია. მაგრამ მისი შრომა იმდენად დიდია და მრავალმხრივი, რომ შეუძლებელია მას მარტო ამ სამი წლის განმავლობაში მოესწრო მისი შემუშავება და დაწერა. ამიტომ, უეჭველია, მას თავისი თხზულებ-

¹ Avertissement sur la carte générale de la Géorgie, Armenie etc. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების არქივიდან.

² ამაგის შესახებ ჩვენ, იმედია, ახლო მომავალში საშუალება გვექნება გულდასმით მოვესაუბროთ საბჭოთა მკითხველ საზოგადოებას. ამიტომაც ამ ხელად ჩვენ მოვლენათა-მხოლოდ დასახელებით ვკმაყოფილდებით.

³ იხ. იქვე, გვ. 9 – 10.

ბისათვის მასალები და საბუთები დიდის ხნიდგან მოყოლებული უნდა ეგრო-
ვებინა, იქნებ როდესაც ჯერ კიდევ საქართველოში იყო. თვით წყაროებს
ღირსება-ნაკლულევანება წინდაწინვე გათვალისწინებული ექმნებოდა და ის
სამი წელიწადი, რომელიც ჩვენ ისტორიკოსსა აქვს დასახელებული, მის სამეც-
ნიერო კვლევა-ძიების მხოლოდ უკანასკნელ ხანას ეკუთვნის, როდესაც იგი
უკვე თავის ნამუშავევის აღწერას შეუდგა“¹. რათქმაუნდა, განსვენებული
აკადემიკოსის შენიშვნა სრულიად სამართლიანია და თავის ისტორიაზედ სა-
მეცნიერო მუშაობა ვახუშტის მხოლოდ 1742 წელს არ დაუწყია. ჯერ კიდევ
1737 წელს ვახუშტისეული რუკები ბაქარს ჰქონდა პეტერბურგში. ამ რუკების
ასლები ბაქარის ნებართვით და ერთი ქართველის დახმარებით გადაიღო და
ფრანგულად სთარგმნა ასტრონომმა და გეოგრაფმა დელილმა². საქართველოს
სახელმწიფო მუზეუმში დაცულ ვახუშტის ხელით შესრულებული რუკების
წარწერებიდანაც ცხადი ხდება. რომ მეცნიერ ბატონიშვილს საქართველოს ის-
ტორიაზე სამეცნიერო მუშაობა 1735 წელზედ დიდი ხნის წინ უნდა ჰქონოდა
დაწყებული. ავტორის მოწმობით ეს რუკები „აწ ახალი დახაზულა“ 1735 წლის
დასაწყისში, იანვრის 7-ს (ქართლი), 20-ს (სამცხე-საათაბაგო), 22-ს (მთლიანი
საქართველო), 24-ს (კახეთი), 29-ს (შირვანი). განსვენებული აკადემიკოსის
სამართლიანი შენიშვნის მსგავსად აქ ჩვენც საბუთი გვაქვს შევნიშნოთ რომ
ამ რუკების დამზადება ყოვლად წარმოდგენილია ავტორის მიერ აქ დასახე-
ლებულ ვადაში და საამისო მოსამზადებელი მუშაობა მას მთელი რიგი წლე-
ბის მანძილზე უნდა ეწარმოებია. (თუმცა უნდა ითქვას, რომ ვახუშტი თავის
მინაწერში რუკების მხოლოდ დახაზვაზედ გვამცნობს და არა საამისო მასალის
დამზადებასა და შესწავლაზე). მაგრამ ამ ზოგადი ხასიათის მოსაზრების გვერ-
დით ჩვენ სხვა საბუთიც გავაჩნია. გამოთქმაში „აწ ახალი დახაზული“ ვა-
ხუშტი ორ რამეს შეიძლება ჰგულისხმობდეს: ან მის მიერ შესრულებულ სა-
მუშაოს ის ადარებს აქამდის არსებულ, სხვების მიერ შესრულებულს ასეთივე
რუკებს³, ან ჰგულისხმობს მის მიერვე ამის უწინარეს დახაზულს ასეთივე რუ-
კებს. უკანასკნელი ვარაუდი ჩვენ დაუშვებლად არ მიგვაჩნია. ვახუშტი რომ
თავის რუკებს სულ უფროდაუფრო აუმჯობესებდა, ეს უცილობლად მტკიც-
დება. მას არაერთხელ გადაუმუშავებია და კვლავ დაუხაზავს თავისი რუკები
მთლიანად თუ ნაწილობრივ. დასაშვებია ამიტომ, რომ ვახუშტიმ თავისი რუკე-
ბი 1735 წელს ხელახლად დახაზა⁴, მაგრამ ჯერ ისევ „სპარსული მათემატი-
კის“⁵ გამოყენებით⁶. შემდეგ, როგორც ცნობილია, ვახუშტიმ თავისი რუკები
„ახალს პოვნის მენაკთა ზედა უფლის ფელეს მიერსა“ „მოხაზა“. მეორე
მხრით ბუნებრივია შემდეგი მოსაზრებაც როგორც ცნობილია, ვახუშტი თავის
გეოგრაფიულ კარტოგრაფიულ მუშაობას მისივე ისტორიის ნაწილად სთვლი-

¹ ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 284.

² Avertissement sur la carte générale de Géorgie, Armenie etc.

³ იხ იქვე, გვ. 4.

⁴ შეიძლება სწორედ ამით აიხსნებოდეს შესრულების ის სისწრაფე, სამართლიან შენიშვნას რომ იწვევს.

⁵ „ex mathematico persico“, № 6. Avetissement... 2.

⁶ იქვე.

და¹. ამიტომ ქვეყნის აღწერისა და საამისო რუკების დამზადების გეგმა მას უნდა აზრად მოსვლოდა ისტორიაზე სამეცნიერო მუშაობის პროცესში. ასე რომ, ვიდრე ვახუშტი თავის ისტორიულ გეოგრაფიაზე და საამისო რუკებზე, მუშაობას დაიწყებდა. მას უნდა საკუთრივ ისტორიაზე მუშაობა დიდ ბნით წინ გაჩაღებულ იქონოდა².

მუშაობა საქართველოს ისტორიაზე ვახუშტის არც 1745 წელს დაუმთავრებია. როგორც ხელნაწერის გარეგანი შესწავლიდან ირკვევა, ვახუშტის გაცხადება თავისი შრომის დამთავრების შესახებ მის მხოლოდ ძირითად ნაწილს შეეხება. შრომის დანარჩენი ნაწილები კი ჩვენს მეცნიერს სხვა დროს დაუმზადებია. მაგრამ შრომის ძირითადი ნაწილის დამთავრების შემდეგაც ვახუშტის მასზედ მუშაობა არ შეუწყვეტია და შემდეგ ხანებში შიგ მრავალი შესწორებები შეუტანია³.

თავისი „აღწერისათვის“ მასალები ვახუშტის მრავალი სხვადასხვა წყაროდან უნდა მიეღო. ხალხის აღწერის დავთრები და სამეფო დავთარხანის სხვა დოკუმენტები ამისათვის, რათქმაუნდა, საკმაო არ იყო. ვახუშტისეული „აღწერა“ ქვეყნის მხოლოდ ისტორიული შესწავლის შედეგად შეიძლებოდა. ვმ ხუშტის „გეოგრაფიის“ მასალაც მაშასადამე უმთავრესად იგივე ისტორიის მასალაა. ასეთი კი იყო ყველაფერი ის, რაც ჩვენს მეცნიერს პირადად ეხილვა, რაც მას მნახველთაგან სმენოდა. რაც კი წერილობითი წყაროები მოეპოვებია ქართული თუ უცხოური.

ვახუშტის სამეცნიერო მუშაობა მხოლოდ საქართველოს ისტორიის შედგენით არ განისაზღვრება. 1752 წელს მას რუსულიდან უთარგმნია მსოფლიოს გეოგრაფიის სახელმძღვანელო⁴. წიგნს წინ უძღვის მთარგმნელისაგან: „მოკლედ ქვეულების დეოლრაფია გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზედა (აწ ქართულსა ენასა ზედა) არა დადის ატლასისა მიმართ (? „მრთ“) განწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიისა იმპერატორულის აკადემიისათვის.

სანკტ პეტერბურღსა შინა 1745 წელსა. ხოლო ქართულს ენასა ზედა 1752 აგვისტოს 25. შესრულდა მოსკოვის პრესნას“.

აქ მიჰყვება აკროსტიხი „ვახუშტიმ გარდმოვიღე რუსულიდამ“:

ვსწერე ახალი ხელქმნანი უცხოთ შორთა ტომთ, იმცენი,
გექენვი ამით რად დამგმო, მე ოდენ ვიტყვი: იწვრთენი;
დეოლრაფიას ეწევი რა უყო სრულად უწყენი,
ლერწმად იხმივე და აწიო მოიგო ესთენ ესენი.

წიგნის შესავლის წინ ვახუშტის თავის თარგმანში ხმარებულ უცხო ცნებათა განმარტებანი დაურთავს: „რაოდენნი სხვათა ენათა სახელნი წერილათა

¹ იხ. იქვე, შესავალი, გვ. 3; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 284.

² შდრ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, 286,

³ იხ. აქვე, ხელნაწერის აღწერილობა.

⁴ საქ. სახ. მუზ. ხელნაწერთა განყოფილება № 717 A

XIX

რიან ამას წიგნსა შინა. მათნი თარგმანნი ამბანსა ზედა ქმნულნი“. გეოგრაფიის ტექსტი შემკულია ფერებში შესრულებული 21 რუკით. მთარგმნელს საქართველოს შესახებ. ცნობები ფრიად საინტერესო დეტალებით შეუვსია.

გარდა ამისა, ვახუშტის სამეცნიერო-სალიტერატურო მოღვაწეობიდან ცნობილია აგრეთვე მისი დიდპირნახულობა „ბაქარის ბიბლიის“ გამართვა-დაბეჭდვაზე 1743 წელს ¹. 1749 წელს ვახუშტის რუსულიდან უთარგმნია „მოსვლა ანტიქრისტესი“ ²; ა ლ. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს ცნობით მასვე მიეწერება ვისრამიანის გალექსვა; მონაწილეობა მიუღია ვახუშტის ერთ ქართულ-რუსული ლექსიკონის შედგენაშიაც ³.

„გეოგრაფია“ ცალკე წიგნად ვახუშტის არასოდეს დაუწერია. წინამდებარე გამოცემის საგანი არის ის „ა დ გ ი ლ ი ს ა ლ წ ე რ ა“, რომელიც ვახუშტის აზრით ისტორიის ისეთივე ორგანული ნაწილია, როგორც ქრონოლოგია-გენეალოგია ⁴. ამ გარემოებით განისაზღვრება ჩვენი „გეოგრაფიის“ თავისებურებაც. ვახუშტი ამ შრომის წერისას, როგორც ადვილად შესამჩნევია, ერთის წუთითაც არ ივიწყებს, რომ მისი ეს „ალწერა“ ისტორიის („მატიანეს“) ნაწილია და უკანასკნელის სრულყოფას ემსახურება. ამიტომაც არის, რომ ვახუშტის „თავისი შრომაში მარტო გეოგრაფიული ცნობები კი არა აქვს მოყვანილი, არამედ ყველა ისტორიულ ნაშთებსაც იხსენიებს: ციხე-ქალაქებს, ეკლესიებს, მონასტრებს, სასახლეებს, ხიდებს, რუებს და არხებს, ან ვისი აგებულია, ან როდის, ვინ გადააკეთა ან დაანგრია, საიდგან იწყობა და სად მიდის რუ-არხები. ან ვისი გამოღებულია და როდის“ ⁵. ამითვე აიხსნება „ის გარემოება, რომ ვახუშტიმ თავისი გეოგრაფია საქართველოს საისტორიო წყაროების შესწავლაზე დაამყარა“ ⁶. მოკლედ, ვახუშტის, „ალწერა“ დიდად სცილდება ჩვეულებრივი გეოგრაფიის ფარგლებს. ის ისტორიული გეოგრაფიაა. სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ რედაქციამ საჭიროდ დაინახა დაერღვია ვახუშტის შრომის ამ ნაწილის სახელწოდებისათვის მიღებული ტრადიცია – „საქართველოს გეოგრაფია“ და აღედგინა ავტორისეული „ა ლ წ ე რ ა ს ა მ ე ფ ო ს ა ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ა“.

ვახუშტის გეოგრაფიულ-კარტოგრაფიული მუშაობის შეფასებას რედაქცია ერიდება. ასეთ საქმეს, იმედია, სათანადო სპეციალისტები შეასრულებენ. რაც შეეხება „ალწერაში“ შემოტანილ საისტორიო ცნობებს, მათ შესახებ საუბარი უპრიანი იქ იქნება, სადაც ვახუშტის ისტორიული ნაშრომი იქნება განხილული.

ვახუშტის წინამდებარე ნაშრომის ზოგადი შეფასებისათვის საკმაოა აღინიშნოს, რომ ვახუშტისეული რუკები ჯერ კიდევ XVIII საუკუნის 40-ან წლებში გადაღებულ იქნა რუსულად და ფრანგულად და საფრანგეთის თუ რუსეთის გეო-

¹ ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია. რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა შესავალი, გვ. ე – ვ; А. С. Хаханов, Очерки по истории грузинской словесности вып. 3-й, 290.

² საქ. სახ. მუზ. ხელ. გან. № 58 A

³ А. С. Хаханов. op. cit. იქვე.

⁴ იხ. იქვე, გვ. 37.

⁵ ივ. ჯავახიშვილი, დასახელებული ნაშრომი, 285 – 286

⁶ ივ. ჯავახიშვილი, იქვე.

XX

გრაფ-კარტოგრაფები დიდად სარგებლობდნენ ამ შრომით მთელს XVIII საუკუნეში. რაც შეეხება ვახუშტის გეოგრაფიას, ის დღესაც, თითქმის 200 წლის-თავზე, ისევე ცოცხალი წიგნია და საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება მისი გამოცემით არა იმდენად საქართველოს გეოგრაფიის ისტორიულ ლიტერატურას ბეჭდავს, რამდენადაც საბჭოთა მკითხველს სანიადაგო სახმარ წიგნს აწვდის.

II. ხელნაწერის აღწერილობა

ხელნაწერი № 103 საქ. ც.-არქივის ძველ საბუთთა განყოფილებისა წარმოადგენს მტკიცე ყდაში მოთავსებულ წიგნს (იხ. სურ № 0). წიგნის ზომაა 41X17 სმ, ტექსტის ზომა კი 38X13 სმ. ხელნაწერის ქაღალდი თავიდან ბოლომდე ერთნაირია, სქელი თეთრი ჭვირნიშნის ზოლებით. გარდა ამისა, ჭვირნიშნად აგრეთვე გამოყენებულია რიცხვიც (სამწუხაროდ, ის სანახევროდ წაჭრილია და აღარ ირკვევა), ბავშვი სამეურა ყვავილისაკენ (თუ ჯვრისკენ?) ხელგაწვდილი და სხვა.

ტექსტი იწყება სომხით-საბართიანოს სოფლების სიით (იხ. სურ. № 1). რომელსაც უჭირავს 16 სვეტი (თითო გვერდზე ხუთი სვეტია). მეოთხე გვერდზე დაწერილია მხოლოდ ერთი სვეტი, დანარჩენი ოთხი სვეტის ადგილი ცარიელია. ამ გვერდის ბოლოზე განსხვავებული ხელით და მელნით მიწერილია: „კნიაზ დ ი მ ი ტ რ ი ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ ი ს ა არის ეს ქართლის ცხოვრება 1789 წლიდამ“.

მეხუთე (დედნისეულ პაგინაციით პირველ) გვერდზე იწყება იმავე ხელით, რომლითაც ეს სოფლების სიაა დაწერილი: „ქ. მკითხველთათვის სიტყვა, რაისათვის არს შრომა ესე“.

მერვე (დედნისეული პაგინაციით მეოთხე) გვერდის ბოლოს სრულდება ვახუშტის ეს „მკითხველთათვის სიტყვა“ და მისდევს მინაწერი „სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩდმე, ქართულსა ულგ, ოკდონბერს კ მეფის შვილის ვახუშტის მიერ სამეუფოს ქალაქის მოსკოვის პრესნას“ (იხ. სურ. № 2).

მეცხრე გვერდზე იწყება: „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“ და სრულდება მე-16 (დედნისეული პაგინაციით მეთორმეტე) გვერდის შუაზე. ამ გვერდის დანარჩენი ნაწილი ცარიელია.

მეჩვიდმეტე (დედნისეული პაგინაციით მეცამეტე) გვერდზე იწყება: „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რომელიც სრულდება მე-90 გვერდზე. ამ უკანასკნელი გვერდის მხოლოდ 8 სტრიქონია დაწერილი, დანარჩენი ცარიელია.

მე-91 (დედნისეული პაგინაციით მე-97) გვერდზე იწყება: „უწყებულემა მკითხველთათვის“. მას სრული ოთხი გვერდი უჭირავს.

მე-95 (დედნისეული პაგინაციით მე-101) გვერდზე იწყება: „აღწერა აწინდელისა ქართლისა საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა მას შინა შენებულეზთა“ (იხ. სურ № 3). მას უჭირავს 20 გვერდი. უკანასკნელ, მეოცე გვერდზე 9 სტრიქონის ადგილი ცარიელია.

XXI

მე-115 (დედნისეული პაგინაციით მე-121) გვერდზე იწყება „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხორება იდა ქმნულეზა მეფეთა ქართლისათა“. ამ თავს უჭირავს 40 გვერდი. უკანასკნელ მე-40 გვერდზე 19 სტრიქონის ადგილი ცარიელია.

მე-155 (დედნისეული პაგინაციით მე-175) გვერდზე იწყება: „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“. მას უჭირავს შვიდი გვერდი და 24 სტრიქონი.

მე – 8 გვერდის ოცდამეხუთე სტრიქონიდან იწყება „ქმნულეზა და ცხორება კახეთისა და ჰერეთისა“. ეს სათაური მოთავსებულია ტექსტის მარცხენა აშიაზე ტექსტისავე ხელით და მელნით. მე-165 გვერდის მე-16 სტრიქონზე ეს ტექსტი სრულდება და შემდგომი სტრიქონიდან სათაურის სახით მიჰყვება „ცხორება აწინდელთა მეპატრონეთა“. ეს ტექსტი სრულდება მე-184 გვერდის 42 სტრიქონზე ამ გვერდის დანარჩენი ნაწილი ცარიელია. ასევე ცარიელია შემდგომი ორი გვერდიც.

მე-187 (დედნისეული პაგინაციით მე-209) გვერდიდან იწყება აღწერა აწინდელის ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“. მას უჭირავს 6 გვერდი. მე-192 გვერდის უკანასკნელი სტრიქონ ნახევარი ცარიელია. ასევე ცარიელია შემდგომი ორი გვერდიც.

მე-195(დედნისეული პაგინაციით მე-221) გვერდიდან იწყება „აღწერა საჩინოთა ადგილეზთა სამცხე-საათაბაგოსი“. ის სრულდება მე-203 გვერდის 39 სტრიქონზე (უჭირავს 8 გვერდი და 39 სტრიქონი).

მას უშუალოდ მიჰყვება „ცხორება სამცხე-კლარჯეთისა“ და სრულდება მე-217 გვერდზე, რომლის ორი უკანასკნელი სტრიქონი ცარიელია ასევე ცარიელია მომდევნო გვერდიც.

მე-219 (დედნისეული პაგინაციით მე-253) გვერდზე იწყება „აღწერა ეგრისისა ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“ სის სრულდება მე-23 გვერდის მე-51 სტრიქონზე და უშუალოდ (შემდგომი სტრიქონიდან) მას მისდევს „ცხორება ეგრისისა აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“. ეს „ცხორება“ სრულდება მე-259 გვერდის მე-51 სტრიქონზე (უჭირავს 28 გვერდი). როგორც ამ უკანასკნელი გვერდის ორი ბოლო სტრიქონი, ისე მომდევნო სამი გვერდიც ცარიელია .

მე-263 გვერდზე იწყება „ქრონიკონები ჩვენ მიერ პოვნილნი წიგნებთა შინა და სახელნი წიგნებთა მათ არიან ესენი“. ამ ქრონიკონებს უჭირავს 9 გვერდი და 44 სტრიქონი. მე-272 გვერდის უკანასკნელი 9 სტრიქონი ცარიელია.

ამის შემდეგ მიჰყვება სინქრონული ტაბულები. ამ ტაბულებს 10 ფურცელი უჭირავს. აქედან დაწერილია გვერდები: II – III, VI – VII, X – XI, XIV –

XV, XVIII – XIX, ხოლო გვერდები: I – IV, V – VIII, IX – XII, XIII – XVI, XVII – XX ცარიელია.

მე-293 გვერდზე იწყება „ანბანთა ზედა ქმნული ამ წიგნსა შინა წერილნი სახელნი ადგილთა და ქვეყანათა და მეფეთა“, ე. ი. საძიებელი მას 12 გვერდი უჭირავს. უკანასკნელ გვერდზე მოთავსებულია მინაწერი (იხ. სურ. № 4): „აღსრულდა ჩვენ მიერ დიდებად ღვთისა მამისა და ძისა და სულისა წმინდისა“.

სა უკუნისამდე ამინ. თუმცა აღმსრულებელ არს დასასრულამდე, არამედ თვითვეულად და მიზეზნი ბოროტებისა და კეთილობისად წარმოჩინებისად ესევე ვაკმარენით, ვინადგან ამითიც იცნობებიან სრულიადი ქმნულებანი მეფეთა, მთავართა და მცირეთამდე. ხოლო ქრონიკონნი ქრისტესნი და ქართულნი, რომელი არს ხუთასიანი ამისთვის დავსხენით, რამეთუ, ვინადგან საქართველოსა შინა უმეტესად ხმარობენ ხუთასიანსა ქრონიკონსა, რათა ურწმუნებელმან ამას წიგნსა შინა წერილნი თუცა იხილონ სხვათა შინა რაიმენი ქრონიკონნი და მოიძიონ, აქა არღარა საჭიროდ ექმნათ და არცაუჭმდესით გამორიცხვანი და სცნან ჭეშმარიტი და სიცილინი ტყუილისა“.

მე-305 გვერდიდან იწყება ქრონიკონები „დასაბამითნი რომაული, დასაამითნი ქრონიკონი, ქრისტეს აქათი ქრონიკონი, ქართული ხუთასიანი. ინდიკტიონი“.

დასაბამ. რომაული	დასაბამითნი ქ-ნი	ქრისტეს აქათნი ქ-ნი	ქართულნი ხუთასიანი	ინდიკტიონი
3947	5506		282	1
	5507		283	2
	5508		284	3
	5509	1	285	4

ეს ქრონიკონები მოყვანილია 1754 წლამდე, როცა იყო:

5703	7262	1754	442	2
------	------	------	-----	---

ქრონიკული ცნობები კი, ამ ქრონიკონებს რომ ახლავთ, მოყვანილია 1752 წლამდე, როცა „ქართველთ კახთ განჯას დაუმარცხდათ. მოკუდა ალექანდრე, დაჯდა სოლომონ იმერეთს“. 1753 და 1754 წლის გასწვრივ ცნობა რაიმე მოყვანილი არაა. ამ ქრონიკონებს უჭირავთ 11 გვერდი (თითოეულ გვერდზე სამი სვეტია) და 8 სტრიქონი მე-12 გვერდზე. ამ გვერდის დანარჩენი ადგილი ცარიელია.

მე-317 გვერდზე იწყება „კინკლოსი საუკუნოი ხუთას ოცდა თორმეტის წლის მოქცევაზედ და კუალად იგივე იქმნების. და ეს არს ქმნული 1755 წლი“.

დამ მოყოლილი, რომელსა თანავე უწერია დასაბამიდგან ქრონიკონი, ქრისტეს აქათი და ხუთასიანი ინდიქტიონი, მზის მოქცევი(ს) ჯელთა წლისა, რომელი მოიქცევის 28 წელს; მთვარის მოქცევი(ს) ზედნადები და ათცამეტური, რომელ არს აღდგომის დადები. ესენი ათცხამეტ წელს მოიქცევიან და კლიტით, რომლისაგან იპოების ქვეით ლე აღდგომა რომ სწერია, რამდენს მარტს თუ აპრილს გათენდება და სადაც ამ კინკლოსს წითლული აქუს, იმ წელს ნაკი აქუს.

XXIII

ხოლო უკეთუ გენებოს აღდგომის გათენება და ხსნილისა და მარხვის შეტყო--ბა, რომლისაგა წლისა გინდოდეს, იმ წლის პირის-პირ ჯელთა აილე და გვერდ-ზედ რომ თავის-ქონა აწერია და ამითი თვე დააყენე და იხმით იმ წლის ათცამეტურით აღდგომა, ხსნილი თუ მარხვა. თუ ეს არ იცოდე, იმ წლის ქრონიკონი იპოვნე ამაში რომელიც გენებოს და იმის გასწვრივ კლიტე რომ აწერია, რომელიც ასო ზის, ის ასო, ქვეით რომ ლე აღდგომა სწერია, ის ასო მუნ იპოვნე. იქ სწერია იმ წლის მარხვა, ხსნილი და საჩინო დღესასწაულები თავისის იმ წლის ია სახარებით დსა ხვით. ისე იქნება ყოველნი“.

მე-337 გვერდზე სრულდება ეს კინკლოსი. უკანასკნელი (მე-338) გვერდი ცარიელია. მე-334 გვერდის ბოლოს მოთავსებულია ლექსად:

„ვქმენ საუკუნო კინკლოსი
ხუთასის უნ მან და განი
შიგ ჯელთა მზისა საქცევით
და ინდიქტით ათცამეტურით
აწ ჯდება ჯარ სან დეგ – ენით
უფლისა ჩინ ღან ნარ – ენით
ტო მთვარის ცხრამეტს მიმდენით
მეზედნად კლიტის მაჩვენით“ (იხ. სურ. № 5).

ამის გარდა, ხელნაწერს დასაწყისში ახლავს ერთი ფურცელი სქელი ლურჯი ქაღალდი 1819 წლის ჭვირნიშნით. საფიქრებელია, ამ დროს აუკინძავთ ხელნაწერი. ამ ფურცლის პირველ გვერდზე მოიპოება თავში მარჯვენა კუთხეში: MSS. Géorg. № 2, a. შემდეგ იმავე ხელით და მელნით: ex Museo asiatico academiae imp. scient. Petropol. შემდეგ აკრავს სააზიო მუზეუმის ბეჭედი. ამავე გვერდზე სხვა ხელით მოთავსებული ყოფილა წარწერა რუსულად და ქართულად ამ წიგნის კუთვნილების შესახებ. კუთვნილების სუბიექტის სახელი განზრახ არის ამოფხეკილი; ასე რომ ახლა მხოლოდ-ღა იკითხვის: ეკუთვნის პატრონს... ბრწყინვალეზას მოწყა.... Сией истпни принадлежить царицу. გარდა ამისა, აწინდელს წიგნს ახლავს შემდგომ აკინძვა-შემოსვისას შემოტანილი ოთხი ფურცელი ხელნაწერის თავში, ხოლო ცალი ფურცელი მის ბოლოს.

1901 წელს ამ ხელნაწერის ფურცლები დაუთვლიათ და უკანასკნელი ცარიელი ფურცლის მეორე გვერდზე მიუწერიათ: В сей рукописи 4 листа и 373 страницы. СПб. 15/28 XI 01 (ხელრთვა).

დასაწყისის მეორე ფურცლის პირველ გვერდზე მოთავსებულია აკ. მ.

ბროსეს მინაწერი 1839 წლის 22 იანვრის თარიღით ჩვენი ხელნაწერის მეცნიერებათა აკადემიაში დაცვის შესახებ 1838 წლიდან. ბროსეს ეს მინაწერი, ისე როგორც ამას ქვემოთ აქვე მოთავსებული ქართული ბეჭდური ანბანი, რომელიც 41 ასოსგან შედგება, მოთავსებულია თითოეული ცალკე ქალაქზე და შემდეგ არის დაწებებული ცარიელ გვერდზე.

ხელნაწერს არაერთი პაგინაცია აქვს. არც ერთი მათგანი გვერდების აწინდელ რიცხვს სწორედ არ აღნიშნავს. დღეს ხელნაწერშია $4+2+338+2=346$ გვერდი.

XXIV

უძველესი პაგინაცია ასოებითაა აღნიშნული. ის მოთავსებულია გვერდების ქვემო აშიებზე. თვლა შესრულებულია არა გვერდობლივ, არამედ თითოეულ ოთხ გვერდს (ორ ფურცლად გაკეცილ ერთ ქალაქს) დასაწყისს აზის ა, ბ, გ და ა. შ. ეს პაგინაცია იწყება $(4+2+4)=მე-11$ გვერდიდან, ე. ი. სოფლების სია ამ სათვალავს გარეთაა დატოვებული. ხელი და მელანი ამ სათვალავისა იგივეა, რაც დედნის. ეს სათვალავი წიგნს ბოლომდე არ მიჰყვება. ის წყდება „დე“ ორფურცელზე, ე. ი. ჩვენი პაგინაციით $(4+2+262)=მე-268$ გვერდზე. ასე რომ ამ პაგინაციის გარეთაა: 1. ქრონიკონები, 2. სინქრონული ტაბულა, 3. სამიბელი, 4. ქრონიკონები, „დასაბამითნი რომაული, დასაბამითნი ქრონიკონი, ქრისტეს აქათი ქრონიკონი, ქართული ხუთასიანი, ინდიკტიონი“, 5. „კინკლოსი“ საუკუნოდ, ე. ი. მთელი 70 გვერდი. ამრიგად, უძველესი სათვალავით აღრიცხულია ვახუშტის შრომის ძირითადი ნაწილი მთლიანად: 1 „მკითხველთათვის სიტევა“... (წინასიტყვაობა), 2. „ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი“, 3. „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, 4. „უწყებულება მკითხველთათვის“, 5. „აღწერა აწინდელისა ქართლისა“... 6. შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“, 7. „აღწერა ჰერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა“, 8. „ქმნულება და ცხორება კახეთისა და ჰერეთისა“, 9. „აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“, 10. „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“, 11. „ცხორება სამცხე-კლარჯეთისა“, 12. „აღწერა ეგრისის ქვეყნისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“, 13. „ცხორება ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა“.

ეს უძველესი პაგინაცია, როგორც ჩანს, შესრულებულია 1745 წელს, როცა ამ შრომის ეს ძირითადი ნაწილი დამთავრდა. „სამეცნიერო აპარატი“, ჩანს, შრომას დაერთო შემდეგ, ავტორის მიერვე, სხვადასხვა დროს, მაგრამ არა უგვიანეს 1755 წლისა.

რიცხვითი პაგინაცია გვერდების ზემო აშიაზეა მოთავსებული. ის იმ გვერდიდანვე იწყება, რაც პაგინაცია ასოებით (ე. ი. $4 - 2 - 4$) მე-11 გვერდიდან. მე-17 გვერდამდე ორივე პაგინაცია წესიერად მისდევს ერთი მეორეს. რიცხვებით ყველა გვერდია აღნიშნული, ასოებით ყოველი ოთხი გვერდი. მე-17 გვერდს მოსალოდნელი იყო ჰხლებოდა ქვემო აშიაზე პაგინაცია „ე“, ზემო აშიაზე კი „17“. ნამდვილად, ქვემო აშია ცარიელია, ზემო აშიაზე კი ისეთივე ხელით და მელნით, როგორითაც წინა 16 გვერდის აღმნიშვნელი ციფრებს.

დასმული წერია – „21“, ამ რიცხვის გვერდით განსხვავებული მელნით და აშკარა ნაგვიანევი ხელით დასმულია – „17“. სამაგიეროდ მომდევნო გვერდებზე რიცხვები „22“, „23“, „24“ იმავე ხელით და მელნით არის შესრულებული, როგორც „21“. „17“-ის გამგრძელებელი პაგინაცია მომდევნო გვერდებზე არ მოიპოება. არც „ე“-ის შემდგომ ორფურცელას დასაწყისში მოიპოება მოსალოდნელი „ვ“. აქ ზემო აშიაზე მოსალოდნელი იყო „21“. ის არ მოიპოება. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ რომ წინა ოთხი გვერდის დასაწყისში „21“ ციფრი ზის ძველი ხელით და მელნით, აქ მოსალოდნელი იყო „25“. ამ რიცხვის მაგივრად ძველი ხელით და მელნით წერია „29“, ხოლო ციფრი „25“ ნაგვიანევადაა დასმული. ამას მოწმობს როგორც ხელი და მე-

XXV

ლანი, აგრეთვე ამ რიცხვის მოთავსების ადგილიც: ის „29“-ს ქვეშა წერია, მაგრამ არა ზემო აშიაზე, არამედ მარჯვენაზედ. არც შემდგომი ორფურცელას დასაწყისში მოიპოება ასო-პაგინაცია „8“. რიცხვითი პაგინაციაც არეულია: „29“-ს მისდევს „30“, მაგრამ მომდევნო 6 გვერდი ყველა ერთიდაიგივე რიცხვით „30“-ით არის აღრიცხული. ამავე დროს ამ შვიდ გვერდს მოეპოება თავისი საკუთარი პაგინაციაც 1, 2, 3, 4, 5, 6, 7. როგორც „30“-ბი, ისე ეს ციფრები 1—7 ყველა ერთი ხელით და მელნით დაწერილი ჩანს.

იქ, სადაც „ც“ პაგინაცია იყო მოსალოდნელი, ასეთი არ მოიპოება. ზემო აშიაზე კი „31“ ზის. შემდგომი ფურცლის ქვემო აშიაზე მოიპოება მომდევნო ორფურცელას ასო-რიცხვი „ზ“, ზემო აშიაზე კი მისდევს 33, 34, 35, 36. შემდგომ ორფურცელას დასაწყისში ქვემო აშიაზე მოიპოება „ც“, ზემო აშიაზე კი მიჰყვება 37, 38, 39, 40. მეტის თვალსაჩინოებისათვის ჩვენი ხელნაწერის პაგინაცია შეიძლება შემდეგი ცხრილით წარმოვადგინოთ:

ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრებით	ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრებით	
1			32		30	} Sic 4
2			33		30	
3			34		30	
4			35		30	
5			36		30	
6			37		30	
7			38		30	
8			39		31	
9			40		32	
10			41		33	
11			42	ზ	34	
12	ა	1	43		35	
13		2	44		36	
14		3	45		37	
15		4	46	ც	38	
16	ბ	5	47		39	
17		6	48		40	
18		7	49		45 sic	

19		8	50	თ	46
20	ბ	9	51		47
21		10	52		48
22		11	53		49
23		12	54	ო	50
24	დ	13	55		51
25		14	56		52
26		15	57		53
27		16	58	ია	54
28	- ¹	21 sic 17	59		55
29		22	60		56
30		23	61		57
31		24	62	-	58
	-	29 sic 25			

¹ ხაზით აღნიშნავ ადგილს, სადაც დღეს პაგინაცია არ მოიპოვება.

XXVI

ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრე- ბით	ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრე- ბით
63		59	110		110
64		60	111		111
65	ოგ	61	112		112
66		62	113	ჰე	113
67		63	114		114
68		64	115		115
69	იდ	65	116		116
70		66	117	ჰვ	117
71		67	118		118
72		68	119		119
73	იე	69	120		120
74		70	121	-	121
75		71	122		122
76		72	123		123
77	-	73	124		124
78		74	125	-	-
79		75	126		-
80		76	127		127
81	იზ	77	128		128
82		78	129	კთ	-
83		79	130		130
84		80	131		131
85	ივ	81	132		132
86		82	133	ლ	133
87		83	134		134
88		84	135		135
89	ით	85	136	ლა	136
90		86	137		137
91		87	138		138

92		88	139		139
93	-	89	140	ლზ	140
94		90	141		-
95		91	142		142
96		92	143		143
97	-	97 sic	144	ლზ	144
98		98	145		145
99		99	146		146
100		100	147		147
101	კბ	101	148	ლდ	-
102		102	149		-
103		103	150		150
104		104	151		151
105	კბ	105	152	ლე	152
106		106	153		153
107		107	154		154
108		108	155		155
109	კლ	109	156		156

XXVII

ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრებით	ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრებით
157	ლვ	-	204		224
158		158	205	მთ	225
159		-	206		226
160		160	207		227
161	ლზ	-	208		228
162		-	209	ნ	229
163		-	210		230
164		-	211		231
165	ლწ	-	212		232
166		-	213	ნა	- წაჭრილია
167		-	214		238 sic
168		180	215		- წაჭრილია
169	ლთ	-	216		240
170		-	217	ნბ	241
171		-	218		242
172		-	219		243
173	მ	-	220		244
174		186	221	ნგ	245
175		-	222		246
176		-	223		247
177	მბ sic	189	224		248
178		190	225	ნდ	253 sic
179		191	226		254
180		192	227		255
181	მგ	193	228		256
182		194	229	ნე	257
183		195	230		258

(175) ეს ციფრები წაჭრილია ამისათვის ერთად

(180) ეს სანახევროდ წაჭრილი ძველი ციფრების აღდგენის ნაგვიანები ცდაა.

184		196	231		259
185	მდ	197	232		260
186		198	233	ნვ	261
187		199	234		262
188		200	235		263
189	მე	201 სანახ წაჭრი-	236		264
190		202 ღია	237	ნზ	265
191		203	238		266
192		204	239		267
193	მვ	209 sic	240		268
194		210	241	ნწ	269
195		211	242		270
196		212	243		271
197	მზ	213	244		272
198		214	245	ნთ	273
199		215 სანახევროდ	246		274
200		216 წაჭრილია	247		275
201	-	221 sic	248		276
202		222	249	ნ	277
203		223	250		278

XXVIII

ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრე- ზით	ჩვენი პაგინაცია	ძველი პ. ასოებით	ძველი პ. ციფრე- ზით
251		279	298		328
252		280	299		329
253	და	281	300		330
254		282	301		331
255		283	302		332
256		284	303		333
257	აბ	285	304		334
258		286	305		335
259		287	306		336
260		- წაჭრილია	307		337
261	აღ	289	308		337
262		290	309		338
263		291	310		339
264		292	311		340
265	აე	293	312		341 მე-341 გვერ-

266		294	313	-	დიდან პაგი-	
267		295	314	343	ნაცია ფანქ-	
268		296	315	-	რითაა გაკე-	
269	„აე“-ს შემდეგ ასოებით პაგინაცია წიგნს არ ახლავს. არც ოდესმე ჰქონია ის.	-	316	345	თებულო გვე-	
270		-	317	-	რდის ჩაგდე-	
271		-	318	347	ბით. აქა-იქ	
272		-	319	-	მოჩანს ძველი	
273		-	320	*	349	პაგინაციის სა-
274		-	321	*	-	ნახევროდ წა-
275		-	322	*	351	ჭრილი ციფ-
276		-	323	*	-	რები
277		-	324		353	
278		-	325		-	
279		309 sic	326	355		
280		310	327	-		
281		311	328	357		
282		312	329	-		
283		313	330	359		
284		314	331	-		
285		-	332	361		
286		316	333	-		
287		- (317)	334	363		
288		- წაჭრილია	335	-		
290		319	336	365		
291		320	337	-		
292		321	338	367		
293		322	339	-		
294		323	340	369		
295		324	341	-		
296		325	342	371		
297		326	343	-		
		327	344	-		
			345	-		
				-		

XXIX

გარდა ამ პაგინაციებისა, ხელნაწერში მოიპოება აგრეთვე ნაგვიანევი ხელით შესრულებული პაგინაცია. ის მოთავსებულია ხელნაწერის მარჯვენა აშიაზე. უკანასკნელი პაგინაციით აღნუსხულია არა მთელი ხელნაწერი, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი. იწყება ის მე-27 გვერდზე (ძველი ციფრებით) და სრულდება მე-293 გვერდზე. ხელნაწერის არც ეს ნაწილია სრულად ამ ნაგვიანევი პაგინაციით აღრიცხული: ხელნაწერის ოთხი გვერდი „უწყებულება მკითხველთათვის“ აქ ათვლილია ათ გვერდად; აღურიცხველადაა დატოვებული „აღწერა აწინდელისა ქართლისა“ (ე. ი. გეოგრაფია) და გვერდების აღნუსხვა გრძელდება „შემდგომად განყოფისა სამეფოსა სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ ცხორება და ქმნულება მეფეთა ქართლისათა“ – ტექსტიდან. შემდეგ, აგრეთვე აღურიცხველადაა დატოვებული „აღწერა ჰერეთისა, კახე-

თისა და კუხეთისა კულად თუშეთისა და დიდოეთისა“ (ე. ი. გეოგრაფია) და ეს პაგინაცია კვლავ გრძელდება „ისტორიის“ შემცველ ტექსტზე. უამპაგინაციოდ აგრეთვე „აღწერა აწინდელის ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა“, ისე როგორც ამის მომდევნო „აღწერა საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი“. გრძელდება ეს პაგინაცია „ცხოვრება სამცხე-კლარჯეთისა“-ს დასაწყისიდანვე. უამპაგინაციოდ „აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ ეგრისისა, აფხაზეთისა ანუ იმერეთისა-ს“ ტექსტის დასაწყისიდანვე. ამ „ცხოვრების დასრულების შემდეგ ეს პაგინაცია აღარ გვხვდება.

ამრიგად: მთელს ხელნაწერს სამი სხვადასხვა პაგინაცია აქვს. უძველესი მათგანი ესაა ასოებით შესრულებული პაგინაცია. ის ტექსტის დაწერის თანადროულია იმავე ხელით და მელნითაა შესრულებული, როგორც თვით ტექსტის ეს ნაწილი. ასოებით აღნუსხულია ვახუშტის შრომის ძირითადი ნაწილი (დაწყებული შესავალი სიტყვით და დასრულებული ეგრისის ისტორიით). მთელი სამეცნიერო აპარატი ამ პაგინაციის გარედაა (დასაწყისი და დასასრული). აქედან უფლება გვაქვს დავასკვნათ: თავდაპირველად ავტორს წიგნის ეს ძირითადი ტექსტი შეუსრულებია და აღუნუსხავს კიდეც. მხოლოდ შემდეგ მას აპარატი დაურთავს და ეს არაერთდროულად: ძირითად ტექსტს და მის დასასრულს მოთავსებულ აპარატს „ძველი, რიცხვებით“ საერთო პაგინაცია გააჩნია, მაშინ, როცა სოფლების სია, ძირითადი ტექსტის წინ მოთავსებული, სრულიად უპაგინაციოა. ჩანს, ყველაზედ ბოლოს ხელნაწერს ეს უკანასკნელი ნაწილი დართვია.

მესამე რიგის პაგინაციით (ნაგვიანვე) აღრიცხულია მხოლოდ ვახუშტის ისტორია (გეოგრაფიის გამოკლებით) და ისიც არა მთლიანად: არამედ მისი მეორე ნაწილში, „შემდგომად განყოფისა“-დან დაწყებული. საფიქრებელია იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი პაგინაცია შესრულებულია ვახუშტის ნაშრომის ერთ-ერთი გამომცემლის მიერ. დედნის აშიებზე ის აღნიშნავს, როგორც ჩანს, მის მიერ გამოცემული წიგნის გვერდების შესატყვის ტექსტს. ამიტომ, რომ ჩვეულებრივ ეს რიცხვები დასმულია თითოეულ 20 – 24 ვახუშტისეული სტრიქონის შემდეგ.

ნაგვიანვე, როცა ხელნაწერი ყდაში ჩაუსვამთ, აშიები ჩამოუჭრიაო ამას მოჰყვლია საპაგინაციო რიცხვების მრავლად გაქრობა (ზოგჯერ მთლად, ზოგჯერ ნაწილობრივ). ასეთი რიცხვების აღდგენას ცდილან (მელნით, ფანქრით)...

XXX

ხელნაწერს ცვლილება შეკვრის შემდეგაც განუცდია. შიგა და შიგ ჩაურთავთ, გამოუკლიათ. ამით აიხსნება პაგინაციათა (ასოებით თუ ძველი რიცხვებით) თანმიუყოლლობა: რიცხვების ნაკლებობა, მეტობა...

ხელნაწერი ყოველ ეჭვს გარეშეა, ე რ თ ე რ თ ი დედანია, მაგრამ არა პირველადი დედანი, თუმცა არც საბოლოოდ გამოსული ავტორის ხელიდან ავტოგრაფი. მას, უეჭველია წინ უსწრებდა დედანი, რომელსაც „აპარატი“ არ გააჩნდა არც, საფიქრებელია, ის შესწორებები ჰქონდა მას, რომლებიც ავტორისავე ხელით ჩვენი დედნის ტექსტის აშიებზეა მოთავსებული, ან კიდეც ცალკე ქაღალდის ნაჭრებზე დაწერილი წინათ დაწერილ ტექსტზეა გადაწეპებული. აღსანიშნავია. რომ

ეს უმთავრესად ძირითად ტექსტს ახასიათებს: ქრონიკონებში, სვინქრონულ ტაბულაებში, სამიებელში და კინკლოსში ასეთი რამ არც ერთხელ არ გვხვდება.

ასეთი გასწორებები (ჩანართები საკერებელი ქაღალდზე) მოიპოება გვერდებზე: 0 – 3, 15, 22, 30 (6), 38, 40, 46, 51, 53, 58, 60, 63, 67, 70, 72, 73

(ეს გვერდი მთლიანად შემდეგაა დაწერილი და პირველ დედანზე გადაწებებული), 78 (ორ ადგილას), 79 (ორ ადგილას). 81, 87, 132, 133. 134 (ორ ადგილას), 135 (ორ ადგილას): 136, 137, 140, 142, 156, 169, 175, 181, 188, 189, 190 (ორ ადგილას) 209, 214, 221 (ეს გვერდი მთლიანად შემდეგაა დაწერილი და პირველ დედანზე გადაწებებული, 230, 231, 243, 260, 266 (სამ ადგილას), 369, 270, 272, 273, 277, 278 (ოთხ ადგილას. იხ.სურ № 6), 290, 291. ამ გასწორებათა ხელი ერთიმეორეს უფრო ჰგავს, ვიდრე პირველი დედნის ხელს, მაგრამ, უეჭველია, ისიც ავტორისეულია: მხოლოდ უფრო გვიან ნაწერი.

ასეთ გასწორებებს გარდა უხვად მოიპოება ანაფხევი ადგილები. რომლებზედაც მოთავსებულია გასწობებული ტექსტი, ან კიდევ ცარიელადაა დატოვებული (იხ. სურ. № 7). ხელი ამ გასწორებათა ავტორისეულია (დედნისეულია). ასეთები მოიპოება გვერდებზე: 3, 4, 6, 8, 9, 15, 30 (3), 30 (7) (ორ ადგილას), 31, 37, 46, 47, 52, 63 (ოთხ ადგილას), 68, 71, 74, 80, 83, 86, 88, 89, 90 (სამ ადგილას) 99 (სამ ადგილას), 103, 104, 106, 107, 112, 114, 133, 137, 153, 157, 180, 229, 230, 257, 269, 270. 280, 281, 358, 359, 360, 361, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 372 და სხვ.

რომ დედანი ავტოგრაფია, ამას მოწმობს აურაცხელი შესწორებანი ტექსტისავე ხელით სტრიქონებს ზემოდან ან კიდევ აშიებზე. რომ არიან მოთავსებული.

დედნის დაუსრულებლობას მოწმობს აგრეთვე ამათუიმ ადგილას დატოვებული ცარიელი ადგილები შემდეგ შესავსებად (იხ. გვ. 214).

ზოგიერთი შეცდომის ხასიათი გვაფიქრებინებს რომ ავტორი ამ თავის ტექსტს სხვა დედნიდან იწერს (იხ., მაგ., 258 და სხვ.)...

ავტორის რედაქტორულ მუშაობას მოწმობენ ის გასწორებანი, რომელთა წაკითხვაც კი ხერხდება (სამწუხაროდ, საკერებლების ქვეშ მოთავსებული ტექსტის წაკითხვა შეუძლებელია. ამისთვის საჭირო იქნებოდა ამ საკერებელთა აძრობა, რაც სპეციალურ პირობებს მოითხოვდა). მაგ., 30 (7) გვერდზე პირველად დაუწერია (ტექსტი ეხება ქართლის მოქცევის ამბავს): „ამისა შემდგომად მოვიდა წარმოვლენილი პატრიარქისა რომისა დიაკონი ბრანჯი მეფისა და ყოვლისა საქართველოსა ქებისად და კურთხევის მოცემად და ნეტარის ნი-

XXXI

ნოს ლოცვისა წარლებად და მადლისა ზიარებად“. მოყვანილი ადგილი ავტორს შემდეგ წაუშლია და ამის მომდევნოდ დაუწერია: „ამისა შემდგომად მოვიდა წარმოვლენილი დიაკონი ბრანჯი, რომელსაც აქუნდა წიგნი წმიდისა პატრიარქისა რომისა მეფისა და ყოვლისა საქართველოსა ქებისად და კურთხევისა მოცემად და ნეტარის ნინოს ლოცვისა წარლებად და მადლისა ზიარებად“. ან კიდევ მე-257 გვერდზე პირველად დაუწერია: „ხოლო ხარაგეულს ზეით ჩხერიმელეს ერთვის ორნი ხევნი ჩხერის ციხემდე და მოსდიან ფერსატს“, ეს

წაუშლია და შემდეგნაირად გაუსწორებია: „ხოლო ხარაგელს ზევით არს ჩხერიმელაზედ მლაშე ჩდილოთ. მლაშეს ზევით ჩხერიმელაზედვე არს სამხრით ჩხერის ციხე მაგარი და მტრისაგან აუღებელი“.

რომ დედანი საბოლოოდ დასრულებულ არაა, ამას, სხვათა შორის, მოწმობს აშიებზე არაერთხელ ავტორის მიერვე მოთავსებული განმარტებანი თუ შესწორებანი ხელის მოწერით: „ვახუშტი“. საბოლოო დედანში, რა თქმა უნდა, ყველა ეს თვით ტექსტში მოთავსდებოდა (იხ., სურ. № 8).

პაგინაციაზე დაკვირვებით ჩვენ ზემორე უჩვენეთ, რომ ასოებით პაგინაცია შესრულებულია 1745 წელს, როცა ვახუშტიმ შრომის ძირითადი ნაწილი შეასრულა. შემდეგ მან შეასრულა დანარჩენი სამუშაო (სამიებლები, კინკლოსები, ქრონიკონები). ყველაფერი ეს მან დაასრულა 1755 წლისათვის. ამ დროს, უნდა ვიფიქროთ, თავის ნაშრომს ავტორმა მეორე რიგის პაგინაცია (ციფრებით) გაუკეთა. მართლაც, რომ ეს პაგინაციაც ვახუშტისეულია, ეს ჩანს მისივე სამიებლებიდან, სადაც ის ტექსტის გვერდსა და სტრიქონს ამ პაგინაციით უჩვენებს. სამიებელი ვახუშტის მხოლოდ გეოგრაფიისათვის შეუდგენია. მხოლოდ გეოგრაფიის ტექსტის სტრიქონებია აღნუსხული (თითო გვერდზე 52 – 53 სტრიქონია, – „შარია“).

ეს წიგნი რომ ასეთივე დედნიდან გადმოწერილი არაა, ეს ზემოქმულიდან, ვფიქრობთ, ცხადია. ის, როგორც დავინახეთ, 1755 წელსაც კი შესწორებებს განიცდის და დამატებებს. 1755 წლის შემდეგ არის დამატებული წიგნის დასაწყისში მოთავსებული სოფლების სია: ის არც ასო-პაგინაციით, არც რიცხვითი პაგინაციით გათვალისწინებული არაა. რომ ეს წიგნი სხვადასხვა დროს შესრულებულ ნაწილისაგან შედგენილი დედანია, ამას ზემოაღნიშნულის გარდა, ის გარემოებაც მოწმობს, რომ თითოეული ნაწილის ბოლოს საკმაოდ მოზრდილი ცარიელი ადგილებია (ზოგჯერ მთელი გვერდები) დატოვებული. მთლიანი გადაწერის, დროს, საფიქრებელია, ამოდენა ცარიელი ადგილების დატოვება არ მოხდებოდა.

ამიაზე მინაწერთა ხელი უფრო ჰგავს სინქრონული ტაბულების ხელს. სამიებლის ხელი ამათგან უფრო განსხვავებულია, მაგრამ ამ სამიებლის ბოლოს მიწერილი „აღსრულდა ჩვენ მიერ“ და სხვ. ხელნაწერის საერთო ხელს უფრო უახლოვდება. გადანაწევებ ქალაქებზე ნაწერის ხელიც ოდნავ განსხვავდება საერთო ტექსტის ხელისაგან, მაგრამ სხვის დანაწერად მისი მიღება ძნელია.

ყველა ამისა გამო შეიძლება დავასკვნათ, რომ წიგნი დაწერილია ვახუშტის მიერ, მაგრამ სხვადასხვა დროს.

უფრო ძნელად ასახსნელია რიცხვითი პაგინაციის (ძველი ციფრებით) ზოგიერთი გვერდის ჩაგდებთ 16 – 21 და მისთანანი... 13 – 16 ეს ერთი ორფურ-

XXXII

ცელაა – „დ“. ეს მეოცდაერთე გვერდი რომ ძველადვე ყოფილიყო აქ, მაშინ 21 – 24 გვერდებს უნდა ასო-პაგინაცია „ე“-ნი ჰქონოდა. მას კი ასეთი არა აქვს. ჩანს, მის ადგილას აქ იყო „17 – 20“ „ე“-ნით. ის ორფურცელა სულ ამოიღეს და ეს ახალი ჩაურთეს შესწორებული ტექსტით, მაგრამ მაინც აუხსნელი რჩება, რატომ არის ეს „21 – 24“ გვერდები. შეიძლება ძველი ხელ-

ნაწერიდან გადმოიტანეს ეს გვერდები. ამას უნდა მოწმობდეს „30“ გვერდის 7-ჯერ გამეორება. უნდა ვიფიქროთ: ორფურცელაები იწერებოდა ცალცალკე და მაშინვე ინომრებოდა (ასოებით). შეცდომა ასეთ პირობებში ადვილი იყო: „აბ, ედ“.

ნ. ბერძენიშვილი.

XXXIII



№ 0


1	1	1	1	1	1
2	2	2	2	2	2
3	3	3	3	3	3
4	4	4	4	4	4
5	5	5	5	5	5
6	6	6	6	6	6
7	7	7	7	7	7
8	8	8	8	8	8
9	9	9	9	9	9
10	10	10	10	10	10
11	11	11	11	11	11
12	12	12	12	12	12
13	13	13	13	13	13
14	14	14	14	14	14
15	15	15	15	15	15
16	16	16	16	16	16
17	17	17	17	17	17
18	18	18	18	18	18
19	19	19	19	19	19
20	20	20	20	20	20
21	21	21	21	21	21
22	22	22	22	22	22
23	23	23	23	23	23
24	24	24	24	24	24
25	25	25	25	25	25
26	26	26	26	26	26
27	27	27	27	27	27
28	28	28	28	28	28
29	29	29	29	29	29
30	30	30	30	30	30
31	31	31	31	31	31
32	32	32	32	32	32
33	33	33	33	33	33
34	34	34	34	34	34
35	35	35	35	35	35
36	36	36	36	36	36
37	37	37	37	37	37
38	38	38	38	38	38
39	39	39	39	39	39
40	40	40	40	40	40
41	41	41	41	41	41
42	42	42	42	42	42
43	43	43	43	43	43
44	44	44	44	44	44
45	45	45	45	45	45
46	46	46	46	46	46
47	47	47	47	47	47
48	48	48	48	48	48
49	49	49	49	49	49
50	50	50	50	50	50
51	51	51	51	51	51
52	52	52	52	52	52
53	53	53	53	53	53
54	54	54	54	54	54
55	55	55	55	55	55
56	56	56	56	56	56
57	57	57	57	57	57
58	58	58	58	58	58
59	59	59	59	59	59
60	60	60	60	60	60
61	61	61	61	61	61
62	62	62	62	62	62
63	63	63	63	63	63
64	64	64	64	64	64
65	65	65	65	65	65
66	66	66	66	66	66
67	67	67	67	67	67
68	68	68	68	68	68
69	69	69	69	69	69
70	70	70	70	70	70
71	71	71	71	71	71
72	72	72	72	72	72
73	73	73	73	73	73
74	74	74	74	74	74
75	75	75	75	75	75
76	76	76	76	76	76
77	77	77	77	77	77
78	78	78	78	78	78
79	79	79	79	79	79
80	80	80	80	80	80
81	81	81	81	81	81
82	82	82	82	82	82
83	83	83	83	83	83
84	84	84	84	84	84
85	85	85	85	85	85
86	86	86	86	86	86
87	87	87	87	87	87
88	88	88	88	88	88
89	89	89	89	89	89
90	90	90	90	90	90
91	91	91	91	91	91
92	92	92	92	92	92
93	93	93	93	93	93
94	94	94	94	94	94
95	95	95	95	95	95
96	96	96	96	96	96
97	97	97	97	97	97
98	98	98	98	98	98
99	99	99	99	99	99
100	100	100	100	100	100

[The page contains a dense block of handwritten text in a cursive script, likely a historical document or manuscript. The text is mostly illegible due to fading and the quality of the scan. It appears to be organized into several paragraphs, with some lines starting with capital letters. The script is characteristic of 17th or 18th-century handwriting.]

Handwritten text in a dense, cursive script, likely a manuscript page. The text is written in a dark ink on aged, slightly textured paper. The script is highly stylized and difficult to decipher without specialized knowledge of the language and dialect. The page is numbered 'Nº 2' at the top center. The text appears to be a continuous block of writing, possibly a letter or a section of a larger work. There are some faint markings and bleed-through from the reverse side of the page.


The image shows a page from a handwritten manuscript, likely a calendar or a list of events. The page is organized into a table with four columns. The first column contains numbers, the second column contains small numbers, the third column contains text in an old script, and the fourth column contains larger numbers. The text is written in a cursive hand, and the page shows signs of age and wear.

Column 1	Column 2	Column 3	Column 4
178	41
119	42	...	350
110	22	...	250
250	360
223	34
265
265	19
177	21
110	4
108	13
255
255	21
174	1
176	28
163	11
162	10
172	12
179	3
222	35
258
262	15
229




Handwritten text in a single column, likely a manuscript page. The text is extremely faint and illegible due to the quality of the scan. It appears to be a dense block of text, possibly a letter or a page from a book, written in a cursive or Gothic script. The page is oriented vertically and shows signs of age and wear.

№ 6



№ 7



ტექსტის გამოცემისათვის

წინამდებარე გამოცემისას რედაქციის განკარგულებაში იყო ვახუშტისეული დედანი¹, ე. ი. ის ხელნაწერი, რომელიც ხელთა ჰქონდათ ვახუშტის გეოგრაფიის პირველ გამომცემელთ: ბროსეს, „ჯანაშვილ“³. გამოცემისას რედაქცია შემდეგი წესებით ხელმძღვანელობდა: დედნისეული ორთოგრაფია უცვლელადაა დაცული, სასვენი ნიშნები რედაქციისაა; გასწორებულია მხოლოდ რამდენიმე აშკარა შეცდომა, რაც იქვეა აღნიშნული; სწორკუთხოვან ფრჩხილებში მოთავსებული ნაწერი ავტორისეულია, მასვე ეკუთვნის ამ ნაწერის ფრჩხილებში მოქცევა.

სწორკუთხოვან ნახევარფრჩხილებში კი რედაქციის ჩანართია. მარცხენა აშიაზედ შავით აწყობილი ციფრი დედნის გვერდს აღნიშნავს. ვახუშტის მიერ დართულ საძიებელში მოცემული ციფრები გვერდისა და სტრიქონის („შარის“) დედნისეულ სათვალავს ჰგულისხმობენ, ხოლო რედაქციის მიერ დართულს ლექსიკონსა თუ საძიებელში მოცემული ციფრით ჩვენი გამოცემის გვერდია აღნიშნული. ტექსტში წვრილი ციფრით აღნიშნული სიტყვა განმარტებულია „შენიშვნებსა და ლიტერატურაში“. ასე, მაგ., 1 აღნიშნავს პირველ გვერდს (დ ე დ ნ ი ს ე უ ლ ი ს ა თ ვ ა ლ ა ვ ი თ) და ამ პირველ გვერდზე მოთავსებული ტექსტის პირველ განსამარტავ სიტყვას; ასევე 32 აღნიშნავს მე-32 გვერდს (დედნისეული სათვალავით) და ამ გვერდზე მოთავსებული ტექსტის მეხუთე განსამარტავ სიტყვას და ასე შემდგომ. დედნისეული სათვალავის აქ გამოყენება უეჭველია, უხერხულობაა. გამოწვეულია ეს ნაკლი იმ გარემოებით, რომ „შენიშვნები და ლიტერატურა“ წიგნის დაბეჭდვამდე დამზადდა. ხოლო ბეჭდვის დროს მისი გადაყვანა რედაქციისეულ სათვალავზე, სამწუხაროდ, ვეღარ მოხერხდა.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ვახუშტი თავის „აღწერას“ ისტორიისად უყურებდა. ჩვენც ამიტომ ზედმეტად არ დავინახეთ საკუთრივ „აღწერის“ წინ მოგვეთავსებია ვახუშტის „მკითხველთათვის სიტყვა“, სადაც, სხვათა შორის, ავტორი გვამცნობს მიზეზებს როგორც „აღწერის“, ისე რუკების შედგე-

¹ ამის შესახებ ხელნაწერის აღწერილობა.

² აღნიშნული ხელნაწერი რუკებით 1925 წლამდე დაცული იყო ლენინგრადში, მეცნიერებათა აკადემიაში. ამ წელს სხვა ქართულ ხელნაწერებთან ერთად ეს ხელნაწერიც დაუბრუნდა საქართველოს. ჩამოიტანა და საქართ. ცენტრი არქივში მოათავსა ჩვენი ხელნაწერი ამხ. შ. ჩ ხ ე ტ ი ა მ.

ნისას. რაც შეეხება „ზნენი და ჩვეულებანის“ აქ მოთავსება, რედაქცია ამ შემთხვევაში მხოლოდ ტრადიციას გაჰყვა. ამ თავის გამოშვება გამოცემის დაუზიანებლად შეიძლებოდა.

რედაქციის მიერ დართული შენიშვნები და საძიებლები, ბუნებრივია, უნაკლო არ იქნება: ლიტერატურა ნაჩვენებია ხელმისაწვდომობის ფარგლებში; ის, უეჭველია, სრული არაა. ზოგისათვის ნაკლებოვანი იქნება საგნობრივი საძიებელიც: ასეთი საძიებელს სისრულე ერთობ შედარებითი გარემოებაა.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი ხელნაწერი ავტოგრაფია. ამდენადვე რედაქციას შეეძლო სხვა ხელნაწერებისათვის ნაკლებ მოეხედნა. მიუხედავად ამისა რედაქციამ სხვა ხელნაწერთა საკმაო რაოდენობა გაითვალისწინა. უცილობლად დაადგინა ამ ხელნაწერთა ჩვენი დედნიდან წარმომავლობა. ამ მუშაობისას მეტად საინტერესო გარემოება აღმოჩნდა: დაისახა კულტურულ-ისტორიული ხასიათის თემა: „ვახუშტის გეოგრაფიის ისტორია“¹.

ჩვენი გამოცემა ურუკოდ გამოდის მაგრამ ეს ტექნიკური გარემოებით გამოწვეული შებრკოლებაა. რუკები მზადდება და ახლო მომავალში ცალკე დაიბეჭდება, როგორც ჩვენი გამოცემის ნაწილი.

ვახუშტის ამ თხზულების სახელწოდების აღდგენის გარდა რედაქციამ მეორე ტრადიციაც დაარღვია: მან უარყო მ. ჯანაშვილისა და ზ. ჭიჭინაძის გამოცემებში მიღებული „ვახუშტის სურათი“. სამწუხაროდ, არაფრიდან ჩანს, რომ ის ნამდვილად ჩვენი ავტორის სურათია.

დასასრულ რედაქციას სასიამოვნო მოვალეობად მიაჩნია მადლობით აღნიშნოს ამხ. ამხ. მ. ბ უ რ ჯ ა ნ ა ძ ი ს ა და ალ. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი ს თავაზიანი. დახმარება-ზოოლოგიური და ბოტანიკური ტერმინების განმარტება.

რედაქცია

ქ. მკითხველთათვის სიტყვა რამსათვის არს შრომა ესე.

იტყვის ბრძენი პლინი სთოიკი¹, რამეთუ: „ყოველი ჟამი იგი წარწყმდეს, რომელიცა სწავლასა ზედა არა საცმარ ეყოთ“. 5
ჭეშმარიტ არს სიტყვა ესე, ვინათგან ჟამი მლტოლვარე არს, არავის ძალუცს მოქცევად. და წარწყმდეს ჩვენგანა. უკვთუმცა არა მოვილოთ ნაყოფი მისი ჟამსა მისსა; და არა თუ ჟამისა, წამისა და წუთისა, არამედ თთვისა და წელიწადისაცა არ- 10
ღარა შემძლებელ ვართ ველყოფად. ხოლო არს ჟამი ჟამიცა, კვალად დაისახების დღეცა ჟამად, თთვე, წელიწადი და საუ- კუნოცა. განა თუმცა მოიქცევის ესენი, არამედ არა იგინივე არიან, რომელნი წარხდნენ ჩვენგან, და არა ძალგვიცს მის წი- 15
ნანდელთაებრ ყოფად მათ შინა, რაოდენცა წადიერ ვიყუნეთ. და ესე ვინათგან ჭეშმარიტ არს, ამისთვის არა ჯერ არს, რათა უქმ გვყოთ ჟამი და განუტეოთ ჩვენგან, და დავრჩეთ ურგებნი მის მიერ.

არამედ რაჲ მოგუცემს ნაყოფსა მისსა, თუ შევიკრიბოთ საუნჯე დიდძალი, წარვალს და არა დაადგრების ერთისაცა საუკუნისად. ხოლო უკვთუ ვვყოთ სახელნი და დავიპყრათ ქვე- 20
ყანანი [ვითარცა მაკედონელმან და სხვათა], არცა ესე დაადგრეს და წარწყმდეს მასვე წინათქმულსავე დროსა. უკვთუ აღმაშენოთ სახლნი, და ვვყოთ ქვეყნის მოქმედებანი, და განვაშვენოთ სავარდითა და წალკოტითა, და წყლითა აღმა აღმცენარითა

და წყაროებითა, წარწყმდეს იგინიცა მასვე ხანებთა შინა. უკჭთუ განვისვენოთ და განვსცხრეთ შვებითა და ნადირობითა, 25 ნადიმობითა, მგონსითა. და მწყობრითა, და სახიობითა მამანი დედათა თანა და დედანი მამათა თანა, წარვიდეს ესეცა უადრევეს თვსა დღისა და ჟამისა.

ხოლო უკჭთუ მივივლტოთ ცოდნისა მიმართ, და ესე არს 30 ნაყოფი კეთილი, არამედ წარვალს ესეცა და არა ვითარცა წინათქმულნი იგინი, რამეთუ სწავლა განაბრძნობს, თავისუფალ ჰყოფს, აცნობებს ღმერთსა და შიშსა მისსა დანერგავს, მოცურვებს ზღვასა ზედა და ახილვებს მას შინა სრულიადსა, აღა-

1

ფრენს და წინადაუდებს ყოველსა ქმნულებასა ცისა და ქვეყნისასა, შეკრებულად თვალთა შინა, აჩვენებს ბუნებასა და ნიშატსა ვარსკულავთა, ცხოველთა და ნერგთა, განსდევნის ბოროტსა, შეაყვარებს მოყვასსა, შემოიყვანს კეთილსა, მატებს 5 ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვიდებს, სურგრძელ ჰყოფს მეფეთა და დიდებულთა პატივსცემს, და ერთა მოურნე ექმნების, მტერთა დაამდაბლებს და მშიშრულ ჰყოფს, თვსთა აღამალლებს და აკადნიერებს.

არამედ რაისგანმე არს ესე ოდენი კეთილნი, გარნა არს 10 არა თუ ხსოვნისაგან, არამედ ხსოვნაცა ესე წარწყმდეს სამისა ანუ ოთხისა და უფროს ხუთისამდე ნათესავისა, და ამისთვის ვიხილავთ უმჯობესად წერილთა, რომელი გვასწავებს სიბრძნეთა წინათქმულთა და მოგვახსენებს დასაბამითგანთა წამთა, ჟამთა, თვეთა და წელიწადთა და საუკუნოთა, კვალად უმეტესთაცა, და არა წარწყმდების, არამედ ჰგიეს უკუნისამდე, 15 ვითარცა ვიხილავთ [რამეთუ აღწერა მოსემ² ღვთისმხილველმან შესაქმე შემდგომად ხუთისა ხსოვნისა სულითა წმიდითა, ვინათგან არღარა შესაძლებელ იყო შემდგომად ხსოვნად, და გვეუწყების დასაბამითგანი სრულიად], და უკჭთუმცა არა მით, 20 წარწყმდა ყოველი ქმნულებანი, ვითარცა წარწყმდენ მრავალნი დიდშემძლენი. ხოლო წერილნი ესე მოგვცემენ ნაყოფსა ჟამისასა და არა თუ ჟამისასა არამედ სრულიადსა მოხსენებასა, რომელი აღაფრენს გონებასა ღვთისა მიმართ და მოგვანიჭებს ყოველთა წინათქმულთა ცნობასა, ჰელოვნებასა და გამოცდი- 25 ლებასა, ვითარცა იტყვის იგივე პლინი სთოიკი: „არა არს არცა ერთი ეგრეთი წიგნი, რომელიცა რაიმე მისგან ნაწილი სარგებლისა არა მოვილოთ“, და უკჭთუ ესრეთ, და რაოდენმე საღვთო წერილნი და წმიდათა წერილნი, რომელნი მოგუფენენ მადლსა ზეცისასა და მოგუმაძლებენ სოფლისა კეთილობასა, და 30 შემდგომად აღვიტაცებს წინაშე ქრისტეს ღვთისა ჩვენისა.

ხოლო კვალად წიგნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი აღგვავესებენ სიბრძნითა, ჰელოვნებითა და სიტყვიერებითა, გვაცნობებენ თავსა და გვასწავებენ, ვითარ ჯერ არს ცხორებად,

35 და მილტოლოვილ გვყოფს ღვთისა მიმართ. კვალად მატთანე მოგვაქსენებს ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, და ვითარებასა მათთა, გან- გვაშორებს ბოროტსა და შეგვრთავს კეთილსა. ხოლო წიგნი დედაბერებული ზღაპართა, განა თუ არა არს მოსახსენებელი, არამედ იგიცა აღხინებს ოდესმე, და გონიერი მოისთლობს მის- 40 განცა ნაყოფსა [ვითარცა იტყვის დამასკელი იოანე³ წიგნსა დ, თავსა იწ ამისთვის: „ჯერ არს, რათა ვაკითხვიდეთ წიგნთა, რამეთუ მის მიერ მოვისთლობთ სულთა ნაყოფსა და, უკჭთუმ-

2

ცა ვერ შევიგნოთ, კვალადცა ჯერ არს კითხვად და არა უგულ- ლებელს ყოფად, რამეთუ ვსცნობთ მის მიერვე და არა თუ საღვთოთა, არამედ გარეშენიცა არა არიან განსაგდებელნი, რათა უმჯობესი მისნიცა შევიკრიბოთ, ხოლო უჯერონი ძაღლთა მიეპყრათ“]. 5

განა თუცა არს ესე ოდენი კეთილობანი მის მიერ, არამედ უგულვებელს იქმნებიან და საგმობელ ვიეთთაგანმე. განა ესრეთ- თა არა ჯერ არს რიცხვად, არამედ მეცნიერთაგანცა დატევე- ბულ იქმნებიან მიზეზითა უცალოებისათა, და არა თუ უცალო- 10 ებითა, არამედ უტრფიალობითა წერილისათა, და კნინდა სა- პოვნელ ძნიად არს ტრფიალი ათასთა შინანი ერთ [რომლი- სათვს მკითხველთა მიუგებდა სოკრატ ბრძენი⁴, ოდეს ჰკი- თხვიდნენ: „რისათვ არა რაიმე სიბრძნისა წარწერე?“ მიუგო სოკრატ: „ამისთვის, ვინათგან ვხედავ, რამეთუ ქაღალდი უძვი- 15 რეს არს ვიდრედა წერილი“]. ხოლო უკჭთუ ქაღალდი უძვი- რეს არს აწცა, რადღა სახმარ არს შრომა და წერა, ვინათ- გან ჩანს მის გამო, რამეთუ არს წიგნი უპატიო; არამედ ჩვენ ვისმინოთ დამასკელის თქმული და პლინი სტოიკის სიტყვა, ვინათგან არა განსაგდებელ არს გარეშენიცა წიგნნი, და ვითა- 20 რისა უჯეროსაგანცა მოვიგებთ სარგებელსა. რამდენით უმჯო- ბეს არს რომელნიცა წარმოვსთქვით მათნი კითხვანი, და რაო- დენ სასარგებლო და შესაწყნარებელ არს წიგნნი მატთანეთა [რომლისათვს იტყვის ბრძენი ციცერონ:¹ „უკჭთუმცა ყოველი ღვთისმეტყველება, ფილასოფია, ფიზიკა და რიტორებანი შევი- 25 კრძალოთ და არა მატთანენი ბუნებისანი ნერგთა და ცხო- ველთა, ვერა რაიმე შევიგრძნათ“]. რამეთუ მატთანე მოგვახსე- ნებს დასაბამითაგანსა ჟამსა, წელსა და საუკუნოსა; მატთანე გა- ნარჩევს კეთილსა და ბოროტსა; მატთანე ადამაღლებს კეთილის ქმნულებასა და გმობს უკეთურთ ქმნულებასა. მატთანე მეტყვე- 30 ლებს ჭემმარტსა და არა სცბის და მოწმობს სხვათა და სხვა- თა; მატთანე განამწნობს კაცსა და ერთგულ ჰყოფს ქვეყნისად: მატთანე აცნობებს ნათესავთ-ჩამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათვს, და მოყვარულ ჰყოფს მოყვასსა მოყუსისა

მიმართ.

არამედ ესე მატიაწე განიყოფების ოთხწილად: ადგილის აღწერად, ნათესავმეტყველებად, წლისმრიცხველობად და მოქმედების აღწერად, და ესეცა განიყოფების ორად – საეკლესიოდ და სამოქალაქოდ. საეკლესიო არს წმიდათა ცხორება და ქმნულება მათნი, ხოლო სამოქალაქო – ქმნულება სოფელსა შინანი დიდთა და მცირეთა. არამედ ვინათგან ესოდენი კეთილობანი მას შინა მოიპოებინ, არა არს განსაგდებელი არა თუ უმეცართა მიერ, გარნა სურვილით შეტკობა.

35

40

3

5 ხოლო უკვთუ ჩვენ ქართველთა მატიაწე შემოიპყრობს სამსა მას წილსა მატიაწისასა, არამედ წლისმრიცხველობასა და ნათესავმეტყველებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერასა განავრცელებს, განა ამასაც ეკლესიის მატიაწეს შეამოკლებს და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლათ ადგილით ადგილად და ოდესმე შემოკლებით ნოედა² ვიდრე ბრწყინვალეს მეფის გიორგისამდე³. ხოლო შრომა ჩვენი ამის-
10 თვს არს: ვინათგან ორნი წილნი იგინი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და მესამისა განვრცელებული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და ადრე საცნობელი იყოს.

15 ხოლო მოქმედი ვევედრებით, უკვთუ ვისმე სთნდეს კითხვად, რათა არა შემოვიდეს მრისხანებით და შურითა, რამეთუ მრისხანება განსდევნის სასჯელსა, და შური დაუტევებს კეთილობასა, არამედ აღიმაღლოს გონებისა თვალი სიწრფოებით ვითარცა ორბმან, რომელი ტრფიალებით აღვალს, რათა განიხილოს სრულიადი ქვეყნის შუწნიერება, და ესე ოდენს სიმაღლესა ზედა, რომელ ყოველსა სოფელსა გუგათა შინა შემოიკრებს, არამედ ამისი მოქმედი და უგონებელი განახლებების
20 და კვალად გაჭაბუკდებისცა. ეგრეთვე უზაკველად მკითხველი სცნობს შრომასა ჩვენსა და არა საგმობელ ჰყოფს. და მიიღებს მიზდსა წადიერებისასა.

25 არამედ ესე ვითართა ვამცნებთ მოქმედნი, რათა გონიერად ისმინოს თქმული ჩვენო რამეთუ ვინათგან დავსხენით ქართა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირეთ და არა ჯეროვნად, და ჩვენ სრულიადი წინა დავდევიტ. განა ამისდა ჯერ იყო სამჭირნოთ, რათა აქუნდეს ღეოღრაფიისა აღწერისაცა დადება [რომელი არს ქვეყნის მხაზველობა], რომელი იგიცა ვქმენით, და კვალად მისდაცა ჯერ
30 იყო მოკლე მატიაწე, რათა მკითხველთა სცნან, ვისგან ქმნულარიან ქმნულებანი, და მეფენი და მთავარნი, და მას შინანი კეთილნი და ბოროტნი, არა თუ დატევებულ იქმნას მატიაწე

იგი, არამედ იგივე უმჯობეს სივრცელე, და ამის განმართლებსათვის, ხოლო ესე სიმოკლისა და რომლისად აღვსწერეთ სახ-
35 მარად მისდა.

გარნა, უწყება ჯერ არს, უკჭთუ ცხორებისა ჩვენისა ქო-
რონიკონნი არიან იმჭთ. არამედ ნოედამ მირიანისამდე ⁴ რაო-
დენნი მოიპოვებინ, უმეტეს მოწმობენ რომაულსა; ხოლო მირია-
ნიდამ ბაგრატოვანამდე ⁵ ბერძულსა და მას ქვეითნი თამარ მე-
40 ფისამდე ⁶ არიან ხუთასიანი, რომელსა ჩვენ უწოდებთ ქარ-
თულსა, და ჩვენცა ეგრეთვე შემოწმებულ ჩვენთა ცხორებათა
ზედა ვქმენით. ხოლო თამართგან ბრწყინვალეს გიორგისამდე.

4

კვალად უჩინოა. არამედ ვინათგან მცირედად და უჩინო არს
ზეითი და ქვეითი ქორონიკონნი, ჩვენ ვითარ ვპოვეთ, წარმო-
ვაწყინოლო ამათთა ურწმუნოთათვის.

რამეთუ ნოედამ ნებროთის ⁷ გამეფებამდე საჩინო არს და-
ბადიდებისგან, ხოლო ნებროთ რაოდენი წელი მეფა და მოკუდა, ⁵
იხილვების სხვათა მატანიეთაგან, რომელნი მოწმობენ ჩვენთა
მატიანეთა. ხოლო მას ქვეითნი კერპთთაყვანისცემა და მოსეს
ზღვის გამოსლვა დაბადებითგანვე, და სხვანი სპარსთა მეფეთა,
და ნაბუქოდორნოსესა ⁸, და ალექსანდრე მაკიდონელისათიყ
ვპოვეთ. ხოლო ვინათგან ალექსანდრეს მოსლვა ქართლსა შინა ¹⁰
მოვიპოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება ფარნაოზ პირველისა
მეფისა, ¹⁰ ვინათგან მოსლვასა ალექსანდრესასა რაოდენის წლისა
იყო. და რაოდენისა გამეფდა, და რაოდენ წელ მეფა, მენავე
წერილ არს. და მის შემდგომად მეფენი ასურელთა მეფეთა
მოწმობითა, ვითარცა მოიკსენებს მუნამე სახელებთა, ვიდრე ¹⁵
ადერკის¹¹ მეფობადმდე.

ხოლო ადერკის მეფობა იქმნა პირველსა წელსა შობისა
ქრისტესსა, და მეფობაცა მისი ცხად არს. არამედ მას ქვეითნი
მფენი მირიანისამდე კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთა-
ხან მოწმობითა დავსხენით. ხოლო მირიანის მეფობისა პირვე- ²⁰
ლი ქრისტეს მიერ მოქცევისა და შემდგომად მოქცევისა წელ-
ნი. ვინათგან წერილ არს მისთვის დღე იგი მოქცევისა კ ივნისის
დღე შაფათი, ეს ვპოვეთ, რომელი არს ერთი ქრისტესი **ტვ**,
ქარ. **ნჭ**, მეორე ქრისტესი **ტიზ**, ქარ. **დთ** და მესამე **ტკდ**,
ქარ. **ოვ**, რომელნი შეეტყვებიან მას. არამედ პირველი იგი ²⁵
არა არს დღე იგი მოქცევისა, რამეთუ კოსტანტინე დიდი ¹²
ჯერეთ არ იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ და არცა დაეპყრა
რომი და სრულიადი მეფობა, რამეთუ წერილ არს: „მირიან ეზ-
რახა ოთხთა წარჩინებულთა თვსთა კერპმსახურებისათვის,
უკჭთუ არა დაუტეოს | ნანა დედოფალმანცა¹ რჯული რომთა, ³⁰
ვსტანჯო იგიცა“. რამეთუ უკჭთუ მოუქცეველმა იყო კოსტან-
ტილე, არა ახსენებდა რჯულსა რომთასა, ვინათგან რჯული

რომთა კერპივე იყო, და ნანა ქრისტეს ჰქადაგებდა. კვალად მე-
სამეცა არა არს, რამეთუ ერთის წლის შემდგომად იყო კრება 35
ნიკიური ² პირველი, არამედ ნიკიის კრებისაგან უწინარეს იყო
მოქცევა მირიანისა, ვითარცა ვიხილავთ ცხორებასა შინა საჩი-
ნოთ. ხოლოს მეორე იგი ჭეშმარიტებას ამისთვის, რამეთუ კოსტან-
ტინეს ხუთის წლის წინარე დაეპყრა რომი და სრულიადი მე-
ფობა, და ქრისტეანეცა ქმნულ იყო, ვინადგან მირიან რომისავე
მეფობასა შინა მიუვლინა მთხოელი ეპისკოპოზისა და მღვდლი- 40
სა, რამეთუ არა დაწყებულ იყო ბიზანტია ³ აღსაშენებულად,
ვითარცა ვიხილავთ წერილებთა შინა ჩვენთა, და მას ჟამსა

5

სილიბისტროცა ⁴ სცოცხლებდა, რომელმან მოავლინა დიაკონი
თვსი.

ხოლო ნინოს ⁵ სიკუდილის ქორონიკონი არა არს ურთი-
ერთის მოწყობილი [ვითარცა თამარ მეფისა, რომელი წარმო-
ვაჩინოთ თვსს ადგილს], რამეთუ უკვთუმცა ქრისტეს აქათი
ქორონიკონი ჯვარცმიდამ იყო **ტლწ**, ჯერ იყო დასაბამითგანი
ყოფილიყო **ჰყდ**, და უკვთუ დასაბამითგანი იყო **ჰყლწ**, ჯერ
იყო ქრისტეს აქათი ჯვარცმიდამ ყოფილიყო ტლ, არამედ არ-
ცაღა ჟამსა ამას კოსტანტინე სცოცხლებდა* არამედ შეცთო-
10 მილ არს მწერალთაგან. ხოლო ჩვენ, ვინათგან ვპოვეთ მირია-
ნის მოქცევისა იგი დღე აღმოჩენითა მით, ამას ზედა აღვრიც-
ხუჭთ მოსლვა ნინოსი მცხეთას, რომელმან დაყო წელი **იდ**.
ამისგან სამი წელი უწინარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა
შინა, რომლისაგან დაშთების ია წელი. ეს მირიანის მოქცევის
15 წელს დავადევით, რომელი იქნების ქორონიკონი ჩვენ მიერ
აღწერილი. არამედ ნაკლულევანებს მუნ წერილისაგან ესე და-
საბამითგანსა **ზ** წლითა, ხოლო ქრისტეს აქათსა **ი** წლითა, და
სხვანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხვეულ ვყუჭნით
და აღვსწერენით.

20 ხოლო ბაქარადამ ⁶ ვარზაბაქარისამდე ⁷ ეგრეთვე კეისართა
და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ვყუჭნით. არამედ ვარზაბაქარ
მცირე თეოდოსის ⁸ ჟამსა არა არს, რამეთუ ვარზაბაქარ დი-
დის თეოდოსის ⁹ ჟამს იყო, და მე მისი მირვანოს ¹⁰ მცირე თეო-
დოსის ჟამსა. ესე იცნობის ესრეთ: ვინათგან ყრმა წარიყვანეს
25 მურვანოს, და მუნ აღიზარდა მოღვაწეობით, და შემდგომად გა-
ნივლტო და მონაზონ იქმნა. კვალად უკვთუმცა ესრეთ არა
იყოს წელნი მირიანიდამ მეორეს ფარსმანისამდე, ¹¹ წერილი
არა მისწუდების, და არცა ვახტანგ ¹² ლეონ კეისრი ¹³ ჟამსა
იქმნების. ესრეთ უსწორო არს, ხოლო ესე განასწორებს და
30 რიგოვან ჰყოფს რიცხვსა წელთასა მოწმობულებითა. კვალად
ვახტანგისამდე მეფენი, რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ
ვახტანგისამდე მირიანიდამ გადახდნენო წელნი **რწზ**, ესე არა
მდე არს, არამედ სიკვდიდმდე ვახტანგისა, და ამაზედ შვეა-

35 სწორეთ, რამეთუ დაღაცათუ გარდაცვალებამდე არა იყოს,
ყოველნი სხვანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი ს წელი

*) ამის პირდაპირ მარჯვენა აშიაზე დედნის ხელით სწერია: „წელსა ქრისტესსა 306 მოკუდა კოსტანტინ, მამა კოსტანტინესი, და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307 მოკუდა მაქსიმიან ღერკული, იქმნა კოსტანტინე ავგუსტო; 311 მოკუდა მაქსიმიან ღალერიცა, და 312 რომს მიმავალს კოსტანტინეს გამოუჩნდა ჯვარი ცაში, და იქმნა ქრისტეანე, სძლო და მოკლა მაკსენთი, დაიპყრა რომი და სრულიად კეისრობა, ვითარცა სწერს ბარონია.“

6

მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინათგან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელიწადი არიან, არამედ ჩვენის რიცხვით, რათა ჭეშმარიტი იყოს ს წელი მირიანიდამ ვახტანგის გარდაცვალებამდე წელი იგივე არიან **რწზ**. ესრეთ ჭეშმარიტ სხვათა მემატეანეთა მოწმობითა და მუნ წერილთა რიცხვითა, და მეფენიცა ამას ზედა განეასწორენით კეისართ, და სპარსთა მეფეთა შეთანასწორებითა ვახტანგისამდე.

არამედ ლეონ კეისრისას ვინაშენი მემატეანენი სწერენ მ წელს მეფობასა მისსა, და ჩვენიცა მათ ემოწმების, რომლისათვის ჩვენცა ეგრეთვე ეყვებით და შეთანავასწორეთ ვახტანგისა და ლეონის მეფობაი ხოლო სხვანი იზ წელს ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რომელი არცა ესე არს წინააღმდეგომი მისსა, დაღაცათუ არა იყო ლეონ დიდი, არამედ მეორე ლეონია ¹⁴ იგივე აღწერა ჩვენმან ცხორებამან და ზენონცა¹⁵ იგივე; და შემდგომად სპარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა ზენონად წარმოაჩინა სიყვარულისათვის. გარნა სხვას ქართლის ცხორებამა უსახელოთ კეისარი სწერია, ამითი იქმნება ანასტასი ¹⁶ კეისარი *, ვითარცა ვიუწყებთ. ხოლო ვახტანგის შემდგომნი მეფენი რაოდენთა წელთა მეფობდენ, ცხად არიან ვიდრე მთორეს ფარსმანისამდე. და ქმნული ესე ჩვენი ჭეშმარიტ არს ს წელიწადი, შესრულებულნი მირიანიდამ ფარსმანისამდე.

კვალად ბაკურ ¹⁷ მეფიდამ გურამ ¹⁸ კურადპალატისამდე საჩინო არს კეისრის მავრიკისაგან, ¹⁹ და სპარსთ მეფის ურმუზისა ²⁰ და ძისა მისისა ხოსროსაგან ²¹. ხოლო დავით წინასწარმეტყველის ²² ნათესავის გურამის მოსლვა, ცხორება და გამეფება მათი აღვსწერეთ თვისსა ადგილს, მით იუწყების. ხოლო სტეფანოზის, ²³ გურამ კურატპალატის ძისა, ერეკლეს ²⁴ კეისრის გამო, და ადარნასე ²⁵ სოსროვანისა ეგრეთვე. განა ვინათგან ჟამს ადარნასესასა და ერეკლეს კეისრისასა გამოჩნდა მამად, ²⁶ მოძღვარი სარკინოზთა, ჩვენ იგი მაჰმადის ქორონიკონი ვპოვეთ, რაოდენი ქრისტეს აქათი ყოფილ არსი ამის მიერ და წლის მრიცხველობით, ვიდრე მოწამის არჩილ ²⁷ მეფის სიკუდილისამდე, და ძეთა მისთა იოვანეს ²⁸ და ჯუანშერის ²⁸

სიკუდილისამდე და ვიდრე აშოტ კურადპალატის ძის ბაგრა-
ტისამდე, ²⁹ რომლის გამეფება წერილ არს, რამეთუ მაჰმადის
გამოჩინებიდამ ბაგრატის გამეფებამდე გარდასრულ იყუნენ
წელნი სით, ამას ზედა შევასწორენით ადარნასედამ ბაგრატი-
სამდე გარდამხდარნი წელნი სით.

35

ხოლო აშოტ კურადპალატიდამ ³⁰ ვიდრე თამარის მეფო-

*) უკანასკნელი 11 სიტყვა დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზევით
და გატანილია აშიაზე.

7

ბამდე წერილ არს ყოველთა ქართულნი ქორონიკონნი, და ამით
გამოვირიცხვეთ ქრისტეს აქეთნიცა. არამედ დავით აღმაშენე-
ბელისა ³¹ წერილ არს, ივ წლისა მეფე იქმნა და ლვ წელი მეფა,
რომელი იქმნების ნზ წელი. განა მუნვე წერილ არს, ივ წლისა
5 გამეფდა და ნზ-სა მოკუდა. ამ რიცხვით იქმნების მეფობისა
მისისა წელი მა, და ჩვენც ესევე აღვსწერეთ. ვინათგან სხვათა
მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ, და სიკუდილის
დღე შაბათი, იანვარი კდ ეს ქორონიკონი იქმნების, რომელი
დავსდევით.

10 კვალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქ-
მული, რამეთუ წერილ არს, დასაბამითგანი იყო ხქვვ, ქრისტე-
სი ჩრწვ, ხოლო უკვთუ დასაბამითგანი იგი იყო, ჯერ იყო,
რათა ქრისტესი ყოფილმცა იყო | ჩროწ, და თუცა ქრისტესი
ჩრწვ იყო, დასაბამითგანი ჯერ იყო ყოფად ხქიდ. ესრეთ არა
15 ჭემმარიტებს. ხოლო ჩვენ ალექსი ანგარისა¹ და ფრანგთაგან
კოსტანტინეპოლის ალების² ქორონიკონი ვპოვეთ, მით მას ზეი-
თი და მას ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვეულებით ვყვე-
ნით, რომელსა სწერს იწ წელს ლაშას³ გამეფებას და თამარის
20 კდ წლის მეფობის აღმავლობასა, და მისი სიკუდილის ქორო-
ნიკონსა ზედა, რომელი ვპოვეთ, ვყავთ. ხოლო ძისა თამარის
ლაშას სიკუდილი იქმნა იანვარს იწ, დღესა ოთხშაბათსა. ესე
ვპოეთ. რომელია პირველი ქრისტეს აქათი ჩსია, ქარ. ულას;
მეორე ქრისტესი ჩსივ, ქარ. ულვ. არამედ ვინათგან ჩინგის
ყენმან⁴ დაიპყრა სრულიად დიდი თათარი ქრისტესა ჩსზ და
25 ამ ჟამებთა შინა წარმოავლინა სპანი განმსტრობად, და და-
ვით⁵ მცირე ყრმა დაშთა ლაშას, და რუსუდანის⁶ მეფობის
წელი მუნვე წერილითა აღვრიცხეთ, ამისთჳს პირველი უმეტეს
მოწმობილი არს და არცა შემჭირნებულ ჰყოფს მას ქვეითთა
მეფეთა წელსა. ჩვენცა იგივე აღვსწერეთ განმართლებისათჳს
30 წერილთასა.

კვალად ლაშადამ დიმიტრი⁷ თავდადებულისამდე აღრი-
ცხვითა წელთა და მეფეთა-კეისართა მუნ წერილთათა გვიქმ-
ნიეს. ხოლო დიმიტრი თავდადებულისა, დაღათუ არა წერილ

არს წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი და დღე შაბათი მარხვისა მესამე, ამით ვპოვეთ წელიცა იგი, რომელი ყოფილ არს ქრისტესი ჩსპთ, ქარი ფთ, ხოლო მეორე ქრისტესი ჩტ, ქარ. ფვ, და თვნიერ ამისა არა არს სხვა.

40 არამედ ჩვენ ვპოვეთ ბრწყინვალე გიორგისა და ძის ძისა მისისა ბაგრატის ⁸ ქორონიკონი ძველთა ქორონიკონებთა შინა, და ამითი გულდებულ ვიქმენით ლაწქ თემურის ⁹ და ხონთქრებთაგან, და რიცხვეულ ვყავით ვახტანგისა და დავითისა, ვახტანგისა და გიორგის დავითის ძის მეფობანი. ამისთჳს იგივე

8

პირველი გვექემმარიტა, და დავსდევით, ხოლო მეორე ესე ფრიად შეამჭირვებს მათ მეფეთა წელსა და არა სწორრიცხვეულ ჰყოფს. ხოლო კვალად ვახტანგ,¹⁰ ნარინ დავითის ¹¹ ძისა, დავით ¹² მეფისა და ვახტანგ,¹³ ძმისა მისისა წელნი აღვრიცხვენით მათთა მეფობათათა და მით წარმოვაჩინენით. არამედ 5 ვახტანგის აღსასრული, დაღაცათუ არა საჩინო არს, განა იცნობის ესრეთ, რომელნი აღგვიწერია. ხოლო გიორგისა ¹⁴ და ბრწყინვალე გიორგისა, რომელიცა წარმოვაჩინეთ, სცნობს გონიერი მუნ წერილსა ზედა-ქვეთა, რამეთუ ესრეთ არიან, ვინათგან სწერს: „დაუტევა დავით მეფემან ძე თჳსი გიორგი წლისა 10 ორისა მეფე ქმნული“, და მცირე გიორგის, რომელსა მოიჯსენებს, თუცა პირველს მეფობასა მცირე იყო, არამედ აწ არღარა წელთა რიცხვისა წარმოჩენითა. ამის გამო გიორგი დავითის ძე სხვა არს და დიმიტრის ძე სსვა. არამედ სიგრძე წელიწადებთა ულჯათ ყეენის ¹⁵ გამო, რამეთუ მან ულჯათ ყეენმან იგ წელი ყეენა, და ამ წელთა აღრიცხვითა იქმნებიან ეს 15 ორნი გიორგნი ესრეთ. ხოლო შემდგომად ბრწყინვალე გიორგისა მოვიხსენოთ თჳსს ადგილს ჯეროვანად.

განა სცნობს შემომსვლელნი ამას შინა კითხვისად უზა-ქველობით, რამეთუ არა რაიმე თნებისა ანუ თვალღებით წარგვიწერიეს, არამედ შეძლება ჩვენი ესეოდენნი იყო და ესრეთ მიწდომილ ვიქმენით. ხოლო უკჭთუ უმჯობესი ვისმე ძალგიცსთ, ჩვენი ესე ქმნული არა დამაყენებელ არიან, ვინათგან დედანი იგი მატიანისა შეურყეველად ჰგიეს არა ერთი, არამედ 25 მრავალი. გარნა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კნინლა წელნი სამნი მარადის წერითა, გამოძიებითა, მატიანებთა და ცხორებათა ძიებითა, რამეთუ არა დაუტევეთ ხონოღრაფნი ბერძნისა. არა თუ ერთისა ვირწმუნენით, არამედ სხვადასხვათა შემოწმებითა. ეგრეთვე განყრილობისა შემდგომად რომაელთა კეისართაგან, მეფეთა ევროპელთა, აწინდელთა 30 სულტნებთა სტანბოლისათა,¹⁶ სპარსთა მეფეთა შისტათა ¹⁷ გამოვიპოვეთ და შემოწმებულათ ვქმენით, რომელნი მოწმობენ

ჩვენთა მატიანეთა და ქორონიკონებთა. ამისთჳს სარწმუნო ვართ. რომელმან იხილოს შრომანი ჩვენნი, არა საგმობელ გეყოს არამედ მადრიელ იქმნეს და მისცეს ლოცვა მიზდისა მოქმედსა. დაღათუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმიდისა დამასკელის თქმულისა და პლინი სტოიკის სიტყვისა, რათა არა განვლოთ ჟამი უქმობით, რომელ არა მოვილოთ ნაყოფნი სარგონი მის მიერნი. და თქვენდაცა წინაშდებარედ გვიქმნიეს, უკვთუ ვის გონდესთ, მიილოთ, უკვთუ 35 40

9

5 არა, არა არს ძალი, არამედ უმჯობესისა ჩვენება, და რომელმანცა აღირჩიოს რაიმე, იგი ყოს მადლითა და კაცთმოყვარებითა ღვთისათა, მანისა და ძისა და სულისა წმიდისათა. ამინ.
ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქორონიკონსა წლისასა ჩდმე, ქართულსა ულგ. ოკდონბერს კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას.

ზნენი და ჩვეულებანი საქართველოსანი.

ღმერთმან სიბრძნითა თჳსისა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწდომელითა, დაბადა კაცი. და ვითარითა მოწყალებითა! რამეთუ მიწისაგან შექმნა ცხოველად, სულიერად, სიტყვიერად, უკუდავად და განაშტცნა იგი სახოვნებითა და განაბრწყინვა იგი მადლითა თჳსითა უბრწყინვალეს მზისა, და ვარსკულავთა, და მნათობთა, და შეუმკო ქუწყანა ყოვლითა შუწნიერებითა: მრავალთა ნერგთა მყვავილოვანებითა და სურნელთა ფშოთათა, და მდინარე-წყაროთი მომდინარეთა. და უმეტეს ზღვათა სივრცელითა, და მას შინა მრავალთა ჭალაკთა მშვენთა, და ცხოელთა და თევზთა სხვადასხვა გუართა სისავსითა, და ჳმელთა ზედა პირუტყუთა და ნადირთა, და მწეცთა განთვითვებულითა, და მფრინველთა უმეტეს გუართა სიმრავლითა და კეკლუცობითა და მშტვენარებითა სასმენელობათათა, კვალად ვარსკულავთა მნათობთა ბრწყინვალეებითა; განათუ ამითიცა არა ჳმა 15 ჳყო, არამედ სხვა უქმნა უმაღლეს ქვეყნისა, ვითარცა დალიჭი სამეუფო და უუშუწნიერესი ყოველთავე ამათ ქმნულთა, – იგი არს სამოთხე; და დაჳბადა მას შინა ადამ ¹ და კვალად მოწყალებითავე გვერდისა მისისაგან უქმნა შემწედ ევა ², და დაადგინა სამოთხესა მას შინა უკუდავი, უზრუნველი, ნებსითი და უგნებელი, და დაუმორჩილა მას ყოველნი ქმნულნი ცასა ქვეშენი, ვითარცა მისთჳს ქმნულნი სრულიადი; და დაადგინა მეუფედ მათ ზედა, რათა დაიცვას მცნება მისი და შემდგომად მიიღოს 20

უკუდავი, უკანასკნელი, უდიდესი კვალად დადება ღვთისა. არამედ მტრისა ბოროტის მაცთურისაგან ურჩებითა ცდომისა მი- 25
ზეზისათა გამოვარდა სამოთხით და მოეძარცვა მადლი და ბრწყინ-
ვალება ღვთისა, და დაშთა ლიტონი კაცი და შეიმოსა, მადლი-
სა და ბრწყინვალეებისა წილ, ფურცელი ლეღვისა, ესე იგი არს
სიზრქე, სიმძიმე და გემოვნება. და შემოუხდა ნდომა ანუ წა-
დილი, ვითარცა კაინ ³ მოკლა ძმა თვისი აბელ ⁴. ამიერითგან 30
იწოდნენ ძენი ღვთისანი და ძენი კაცთანი, ესე იგი არს ძენი
გულისთქმისანი და ნდომისანი, და ძენი სულიერისა ღვთის ტრფი-
ალებისანი. და ვიდრე ნოეს ღრღვნისამდე ესე ესრეთ. ხოლო

11

შემდგომად ძეთა ნოესთა, რომელნი ვიდოდნენ კვალთა ძეთა
გულისთქმისა და ნდომისათავე, შესძინეს დატევება დამზადებე-
ლისა ღვთისა თვისისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნო კერპნი უსუ-
ლონი, უტყუნი და ყრუნი, და თაყვანისცემდენ მას, ვიდრე სრუ-
ლიად ქუწყანა, ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი. ხოლო
5 ესე ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მათიანე ჩვენი,
იყუნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უულ-
თოესნი.

არამედ ვინათგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამამავლობა
10 ქართველთა ნოეს ძის იეფთაეს ⁵ თესლისაგან, ვიდრე ქართლო-
სისა ⁶ და ძმათა მისთამდე, და განყოფილებანი მათნი და ძეთა
მათთა. აწ ვიწყით ძველიდამ ახლადმდე საქართველოსათა ზნე-
თა, ჩვეულებათა და წესთა მათთა პირველ განყოფილებისა ⁷ და
შემდგომად განყოფილებისა. რამეთუ წესნი მთავრობათა სა-
15 ქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ:
რაჟამს მისცა ჰაოს ⁸ ძმათა თვისთა წილნი ქვეყანათა, და შემდგო-
მად ქართლოსის ცოლმან ძეთა თვისთა, და შემდგომად მცხე-
თოს, ⁹ და კვალად ეგროს, ¹⁰ ბარდოს, ¹¹ მოვაკან, ¹² ჭროს, ¹³ ლე-
კოს ¹⁴ და კავკასოს, ¹⁵ ვითარ წარჩინებულნი მათნი მთავრად ისა-
20 ხელებოდნენ, რამეთუ ცხად არს ადგილითი ადგილთა განყო-
ფილებითა და სახელთა მათთა, რომელნი იწოდნენვე მათ მიერ;
და იწოდებოდნენ იგინი ესრეთ მთავრად, არამედ მცხეთას მყო-
ფი უწარჩინებულეს მთავრად, და მამასახლისად, და მეურნედ
მათ ყოველთა ისახელებოდა. არამედ სარწმუნოება მათი იყო
25 ერთისა დამზადებელისა ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან
ქართლოსის საფლავასა. ზნენი აქუნდათ პირუმტვიცობა, მტერ-
თა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მჭნედ ბრძოლა, მაგრად
დგომა მისთვის, ციხესიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება
ქვეყნისას ერთისა ცოლისა ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვსთ-
30 ვსთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა
და უმცირესნი უმცირესთა, და ამის მიერ არა იყო მრავალყო-
ლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხვათაცა. არამედ,
გარნა თუ მრავალ მთავარ იყუნენ და ოდესმე განდგიან თვსთ-

ზნეთავს

35 ჯსად, განა მარადის გარე მტერთა თვსთა ზედა ერთობდენ და
მორჩილებდენ მცხეთელ მამასახლისსა და, შერთბამებულნი,
თვსთა ქვეყნისათვის მწნედ იბრძოდნენ. და იყუნენ მრავალთა
წელთა წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერ-
თი დამბადებელი თვსი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვა-
40 რესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა, და შემო-
ერიათ გარეგანი წარმართხო სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერ-
ძენნი, და შემდგომად ურიანი, და იტყოდნენ ესეოდენითა ენითა;
და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვსი და წესნი და ჩვეუ-

12

ლებანი თვსნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უუწარმართესნი
და უუსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდნენ ნათესაობანი და
შერეულ იყუნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა. და
კვალად შესძინეს ამას ზედა, რამეთუ, რა მოკუდის ვინმე კა-
5 ცი ანუ ბრძოლასა, – მეორე ივასხის და შესჭამდიან,| ხოლო
უკეთუ, არა თვთ შესჭამდიან, ვითარცა იტყვის: „კასნელთა მარ-
თებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღედმდე“. კვალად სჭამდი-
ან ყოველსა ცხოველსა სულიერსა არაწმინდასა. განა იყუნენ
მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქვეშე და ერთობდენ მტერ-
თა თვსთა ზედა მრავალსა წელსა. ხოლო შემდგომად შემოვი- 10
და ალექსანდრე მაკიდონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარ-
მართნი სრულიად, თვნიერ ქართლოსიანთა და ურიათა გუარ-
თა, არამედ ურჩნი თვსნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნა-
ოზის მამა, ბიძა და სხვანიცა, და განწმინდა საქართველო ესე-
ვითართა უკწთურებათაგან, რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით* 15
ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგა-
ნან, თვნიერ კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდვა რჯუ-
ლი საქართველოთა ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანის-
ცემა, და მზისა, და მთოვარისა, და ვარსკულავთა პატივი.

კერპათოს არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა რჯული იგი 20
ერისთავმან მისმან აზონ¹ და ამართნა კერპნი გაც და გაიმა, და ათაყ-
ვანა სრულიად საქართველოსანი, და ასწავებდა ზნესა და ჩვეულე-
ბასა თვსსა. ხოლო მოიკლა აზონ ფარნაოზისაგან, და გამეფდა
ფარნაოზი. ამან საშუალსა გაც და გაიმისა ამართა სახელისა
თვსისა კერპი არმაზ მთასა ზედა და კევსა შინა, ქართლოსის 25
საფლავსა ზედა, რვალისა, დიდი, ცმული ოქროს ჯავშნითა, რო-
მელსა სხდნენ თვალნი ქვათა ძვირფასთა მნათობელთა და გვრ-
გვნი თავსა მისსა ეგრეთვე მანათობელთა ქვათა, და ათაყვანა
მას საქართველოსანი და დაუდვა დღესასწაული მოსი, რომელი
ქვემოთ ითქმი. ხოლო შემდგომად მეფეთა შესძინეს კერპნი 30
ზადენ, და აფროდიტე, და სხვანი. არამედ ესე არმაზ უდიდესი
იყო ყოველთა ღმერთთა. ხოლო მეფისა განწესების შემდგო-
მად აქუნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი, და მტკიცეთ დგნენ

სარწმუნოებასა სიყვარულსა ზედა, და არა თავყვანისციან სხვათა 35
ვისამეთა ღმერთთა [რომლისათჳს გვაუწყებს მაიჟან სპასპეტი ²
და მეთე მირიან, ოდეს ეზრახვის დიდებულთა თჳსთა წმიდის
ნინოს შეურაცხებისათჳს].

მეფეთათჳს ხოლო ჩვეულება აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და
სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა, და ჩამომავალთა და გვართა მე-
ფეთათა შემდგომად მისა გამეფებად, რამეთუ შემდგომად მამისა მე

*) უნდა: სარკინეთიო.

და არა სხვა გვარი, არცადა თუ გამორჩევით; არავისა მონებდ-
ნენ თჳნიერ მათთა ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკჭთუ არა
დაეტევის წული [ვითარც, იტყვის იგივე მაიჟან სპასპეტი, და
იხილვების მატიანესა ჩვენსა].

5 ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მღვდელთა პატივი-
ნი და რიგნი იყუნენ ცალკერმათ, ვითარცა სულიერთა. ხოლო
სოფლიერნი: პირველი ერისთავნი, ზ მთავარნი, გ აზნაურნი, დ
ვაჭარნი, ე მსახურნი, ვ მუშაკნი-გლეხნი. წესი ერისთავთა იყო
მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ და მის მიერ მოურ-
10 ნეობა. სამართალი და ლაშკარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშევე
იყუნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა ხოლო ესე
ერისთავნი დაიდგინებოდნენ მთავარნი და წარჩინებულნი, და
ძენი მათნი შეცვალებით. ხოლო წესნი მთავართა იყო გვარი
და შთამამავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო
უკჭთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა.
არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და
გვარი იგი და ამის მიმართ ციხე-ქალაქი, სიმაგრე და ჯეობა-
ნი, და თჳნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აია-
20 ნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთა-
თა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძაღვდვას გამოსლვა მარქაფითა,
კარვითა და მათთა გაწყობილებითა, და თჳნიერ ამისა არა
იწოდებოდა აზნაურად. ხოლო ვაჭართა პატივი იყო აზნაურისა
ქვემორე და ვიეთთამე სწორი. და შემდგომად პატივი მსახურ-
25 სისა მიერ პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათა –
მუშაკთა-გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა
მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით
ერთორად.

30 ხოლო ლაშკართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა,
რაოდენი ძაღვდვა, სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყვის მი-
რიანისასა და აღმაშენებელისასა ე ათასსა მარადის მცველად
მისად. და დავითთასა ³ არღარა განიყოფოდა საჭურჭლე სპათა

ლაშკარ-
თათჳს

35 ზედა*, და პატივი ამათი იყო სხვა. ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდონ ჟამად.

40 ხოლო სამარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფ-
თანნი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, კმალ-
ნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუ-
ბნი, ხიშტნი და მშვილდისარნი. არამედ ისარი ბოძალი დიდ-
თა ნადირთათჳს, ქეიბური მკეცთათჳს, სარჩა და ქიბორჯი

საჭურველ-
თათჳს

* უკანასკნელი ხუთი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონ ზემოდან.

14

წვოილთა ნადირთათჳს, და სამუდამოდ აქუნდათ; ხოლო კა-
პარჭის ისარი, რომელ არს საყალბო, ომსა-ბრძოლასა შინა.

ამართლი

ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ:

სათჳს

სისხლი, კრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი. სისხლს უწო-
ლებდენ ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი. მეფისაგან 5
შერისხვა იყო ანუ სიკუდილი, ანუ გვემა და პატიმრობა, ხოლო
მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და
საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკჭთუ
უმადლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი, ხოლო უმ-
დაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განი- 10
ძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა; ეგრეთვე დაწინდულთა
ქალთა წართმისა ანუ დატევებისათჳს ჩინებისა მიერვე დაუურ-
ვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან ამის მოქმედთა ზედა სხვა
იყო შერისხვანი.

ხოლო კმალი მეფეთა ღალატისა შეწამებისა ანუ კერპთა 15
ანუ – შემდგომად – ეკლესიისა მკრეხელთათჳს *. შემწამებელს და
შეწამებულს ალოცვიდიან მ დღე, შემდგომად შესჭურვიდ|
იან ყოვლითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა და
მისცემდიან თვთოსა ცხენოსანსა უსაჭურველოთა, თვნიერ მათრა-
შისა, რომელთა უწოდნენ მემათრახეთ, ჩაგზავნიდიან ასპარეზსა 20
შინა, და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან და შეწამებულმან, და
მემათრახენი იგინი მოახსენებდენ თვსთა ჟამთა შინა ბრძოლასა
და საჭურველისა კმარებათა, და რომელი ჩამოვარდის, განმტ-
ყუნდისცა. ხოლო რისხვა მისი: მოკუცთა თავისა და იავარი მა-
მულით და სახლით, არამედ შეწყალებისათ:ს აღმოჰდა თვალთა. 25
ხოლო შანთი ქურდთა განმართლებისათჳს: გაახურვიან
საკნისა, ვითარცა ნაკვერცხალი, და დასდვიან მაღალთა ზედა,
რათა მაღიად შეედვას კელნი ქვეშე მისსა, და დასდვიან შეწა-
მებულსა ტილო ანუ ქალაღი კელთა ზედა; იგი მივიდის და
აღილის საწნისი, და წარდგის სამი ბიჯი, და გარდააგდის. მასვე 30
წამს შეუხვივიან კელნი სამ დღემდე და სამისა დღისა გაუხსნიან და,
უკჭთუ დაუწვავ არს, განმართლდის, უკჭთუ დამწვარი, მტყუარ.

ხოლო მდუღარეცა ეგრეთვე: მისთჳს გაადუდიან წყალი

ქვაბსა შინა, შთააგდიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშვლითა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი, და წამს შეუხვივია, ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა მართალი და მტყუანი.

ხოლო ფიცი მამულის ცილებისათვის, მცირე ქურდობისათვის და სხვათათვისცა. დააფიციან მოწმითა რაოდენნი შეხუდის, ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მმარცველსა ერთისა წილ შვიდი მიაცემინიან და, უკჭთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოხდიან

*) დედანში: მხრეკელთათვის.

15

თვალთა და მცირედისათვის მოჰკუჭითიან ფერწნი. კვალად, უკჭთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუჭითიან ჯელნი, და სხვანიცა მრავალნი იყუნენ.

5 ხოლო ჯელისუფალნი იყუნენ მეფისანი ესენი კარსა ზედა: სპასალარი ანუ სპასპეტი. და ამისი კელისანი იყუნენ ყოველიზბ სავაზიროთა თათბიროთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა.

ჯელის უფალნი

ესევე შეჰკრებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა.

10 აბრამადი ანუ სალთხუცესი, და ამისი ჯელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი: ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა, და თათბირობა სამეფოსი, და სახასონი მეფისანი. და ამას ქვეითნი ჯელისუფალნი ამისი დასახედნი იყუნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქვემორენი.

სპასალარისათვის სალთხუცესისათვის სისაოთვის

15 მსახურთუხუცესის ჯელისა იყუნენ: სალაშკრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხექალაქთა მცველნი სპანი მეფისანი.

მსახურთუხუცესისათვის

მონათხუცესისა ჯელისა იყო ყოველნი მეფის როქის სპანი, თვნიერ ცახე-ქალაქთა.

მონათხუცესისათვის

20 მანდატურთუხუცესის ჯელისა იყო: მანდატურნი ბოქოულთხუცესნი, ბოქოულნი, მანდატურნი, მებჭენი, მეკრენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობის წესი, და წინძლოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამავდრებულისა ამის მიერ იყო მეფისა.

მანდატურთუხუცესისათვის

25 მეჭურჭლეთუხუცესი, ამისი ჯელისა იყო ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი.

მეჭურჭლეთუხუცესისათვის

ამისი ჯელისა იყუნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და ჯევისბერნი. ჯეთის-თავნი და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა.

მსაჯულთუხუცესისათვის

30 მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი. ამისი ჯელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჭნი, ჯინიბნი, ჭუნენი, ჯოგნი, რემანი მეფისანი.

მეჯინიბეთუხუცესისათვის

ბაზიერთუხუცესი ამისი ჯელისა იყო: სრულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძაღლენი. ძაღლნი, ტყეთა და ველთა მცველნი,

ბაზიერთუხუცესისათვის

	სანადიროთა მეფისათა.	სათეს
35	ეჯიბი, ამისი ჳელისა იყუნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი, და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა წილ, და მას ეტყოდნენ დარბაზის ერნი რაი ენებათ მეფის მოხსენებად, და თავისწინაობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა, თჳნიერ მისა.	ეჯიბისათეს
40	ეზოს მოძღვარი, ამისი ჳელისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხვათა.	ეზოს მოძღვრისათეს

16

ჩუნიერაბი- სათეს	ჩუნიერაბი, ამის ჳელისა იყო: მზარეულთუხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბოკ-ტაბლაკთა და სხვათა მცემელნი.	
მედვინეთ- უზუცესი სათეს	მედვინეთუცესი, ამისი ჳელისა იყო: მეწდენი და მესასმისენი მეფისა და ღჳნის მნენი.	5
მოლარეთ- უზუცესი სათეს	მოლარეთუცესი, ამისი ჳელისა იყო: რაიცა მეფის თეთრი ანუ ლარნი თჳსთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისად უხმდა, და მის ქუჭმე დაწესებულნი მოლარენი.	
მესტუმრეთ- უზუცესი სათეს	მესტუმრეთუხუცესი, ამისი ჳელისა იყო მესტუმრენი. ესენი მოაწვევდნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობენ სტუმართა.	10
ჯვარისმტვრ- მდივანთათეს	ჯვარისმტვრთველი, ესე მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და შერისხვაცა ამის მიერ იყო მეფისაგან . მდივანნი ესენი იყუნენ წესითა უმაღლესნი და უმაღლესნი: მეფისა თანანი პატივითა უმაღლესნი [ვითარცა იტყვის „მდივანსა ჩვენსა ჩოლაცაშვილს არა რაი ეკადროს, თჳნიერ დიდისა შეცოდებისათეს მეფისა მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არა რაი“], სპასალარისა თანასა სხვა, სალთხუცისა თანასა სხვა, მონათუხუცესისა, მსახურთუხუცესისა. მსაჯულთუხუცესის, მეჭურჭლეთუხუცესისა და ეზოს მოძღვრისა თანათა სხვა. ესენი სწერდენ: უსტარს. იერლაცსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ზრძანებათა, განაჩენთა და სხვათა.	15
ფარემთუ- ცისათეს	ფარემთუხუცესი, ამისი ჳელისა იყო: ფარემნი, ნოხნი კარაენი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიჭნი, სკამნი, სავარძელნი. სრა-ფარდაგნი, ფარდანი და მნენი მისნი, და მერწყულნი*.	25
ხუროთმოძღვ- რისათეს	ხუროთმოძღვარი, ამისი ჳელისა იყო სრულიად ჳელოსანი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ხიდთა, ფუნდუკთა.	
მწერალთათეს	მწერალნი იყუნენ, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე, და ტომართა, და სხვათა.	30

ჩვეულები-
სათეს

ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათეს სამეფოსა მცდელობდნენ და, უკვთუ მიუდიან საზღვარნი თესნი, ყოველნი მწუხარებდენ იია იჭირვოდნენ კვალადგებასავე, და მეფეთა თესთა მიუდრეკლად ერთგულებდენ. განა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგან დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თესნივე.

* ეს სიტყვა დედანში ჩამატებულია ტექსტისავე ხელით.

17

5 არა დაუტევინ ღმერთნი, და მეფე, და ჩვეულებანი თესნი. ტაბ-
ლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ, სკამთა ზედა სხდიან,
ბოდიმობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა,
სმიდიან ღვინოსა, სჭამდენ ჯორცთა პირუტყუთა და ნადირთათა,
ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა. მეფეთა გა-
მეფებათა ზედა გარდაყრიდიან დიდნი და მცირენი სრულიად
ოქროსა და ვერცხლისა ტაბაკთა, ვის რა ძალედვა. ცოლნი
თესთა თანასწორთა ერთი და არა სხვათაებრ მრავალნი. ამის-
10 თეს უწყოდენ მოყობა, ნათესაობა, ურთიერთთა მტერობა და
მოყვრობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა. არამედ ქორ-
წილის ჟამსაცა გადაყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და
ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეულნი, ვის რა ძალედ-
ვა, და არა სიძე-რძლისა იყო იგინი, არამედ მეწდისა მათისა.
15 მკუდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველი-
თა, და სამკაულითა თესითა [ამის გამო არის აწ ნიშანი ეპისკო-
პოსთა], ტიროდიან და საბნელოსა სხდიან მ დღე, აღიპარსიან
თავნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი, და ჩაიხდიდიან წელამდე
სამოსელთა მამრნი და მდედრნი, იცემდიან, ვიდრე სისხლ-
20 დინებისადმდე, არა სჭამდიან ჯორცსა და ცხოელსა წლამდე,
გარნა მაშინც იძულებითა დიდითა; შთაიცვიან ძაძა-ფლასნი
და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვიან საფლავამდე
ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა,
ჯინსა შინა მსხდომარენი ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერ-
დიან მწუხარისა ჳმითა ტყებისა ჟამსა არა ჭირისუფალნი, არამედ
25 სხვანი მუნ მყოფნი [ხოლო წესნი ესენი მოშალა ჟა მეფე-
მან გიორგიმ ¹, რა ჟამს მოვიდა მისა პატრიაქი იჭრუსალიმისა,
მის გამო, თვნიერ შავის ჩაცმისა, ჯორცის უჭმელობით და
ტყება-ტირილისა].

კვალად უწყოდინ დღესასწაული კერპთა, ღმერთთა თესთა:

კერპთ დღე-

30	განვიდის თვით მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბ- დაგითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ძროხათა, ჳართა, ცხოვართა და ნადირთა. თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა, და შემდგომად	სასწაულ- თათჳს
35	თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჳამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერჯისითა, პირობითა, სახიობი- თა და ძნობითა სამ დღე და მოიქციან თჳსთვსად სახიდ. არამედ ოდიდგან დაატევებინა ალექსანდრემ ჳამა მკუდართა, მიერ ჟა- მითგან შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და ასულთა თჳსთა, და იყო	
40	ესე ბოროტება მრავალსა წელსა; არამედ შემდგომად დააყენა დაკლვა ძეთა და ასულთა შეწირვად კერპთა მეფემან რევ ² და 18 უბრძანა კვალად პირუტყვთა შეწირვად [ხოლო ჟამსა ქრისტეა- ნობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესითარივე იყო განცხრომა-როკვანი; ამისთჳს აღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ ფერჯისა სიმღერითა გაათენოთ]. და ესენი ესრეთ.	5
შემდგომად კერპთა	ხოლო შემუსრა ძალითა ზეგარდამოთა წმიდამან ნინომ არმაზ, უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა, და იქმნა მეფე მირიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტეანე, და აღია- რეს სრულიად საქართველოსათა ძედ ღვთისად მარიამ ქალ- წულისაგან განჯორციელებული, უფალი ჩვენი ივსო ქრისტე. და შემუსრნა შემდგომად მირიან ყოველნი კერპნი საბრძანებელსა თჳსსა და მათ წილ აღმართნა ცხოველსმყოფელნი ჯვარნი ქრის- ტეს მწუფისა დასამხოზებლად მტერთა.	10
ეპისკოპოზ- მღვდელთა- თჳს	განა აქუნდათ წესნი და ჩვეულებანი ესენივე წინათქმულ- ნი, არამედ კერპთა მღვდელთა წილ დასვა მირიან მცხეთას, ზემო ეკლესისსა ³ შინა, მთავარ-ეფისკოპოზი, და ქალაქთა და დაბნე- ბთა – მღვდელნი ჳემმარტინი ქრისტეს სარწმუნოებისანი, რო- მელთა აქუნდათ პატივი – ეპისკოპოზსა მეფისა თანა, ხოლო მღვდელთა მთავართა თანა.	15
მეფეთ კურთხევი- სათჳს	ესევე ეპისკოპოზი აკურთხევდა [მეფესა] და დაადგმიდა გვირგვინსა, ხოლო დადგინებისა კათალიკოზისა – კათალიკოზი. და ჟამსა ბაგრატიონთასა ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვირგვი- ნისა: ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდენ, არა- მედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთათისის ტახ- ტისათჳს. * ხოლო შემდგომად განყოფისა იმერთეს – კათალი- კოზი იმერთა, ქართლს – კათალიკოზი ქართლისა და კახეთს – ბოდბელი.	20
კათალიკო- ზისა, ეპის- კოპოზისა, წინამძღვრი-	ხოლო ვახტანგ გორგასალ დასვა კათალიკოზი და ეპის- კოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინაი ამათ მიეცა პატივი- კათალიკოზსა მეფისა თანა და ეპისკოპოზს ერისთვისა თანა, ხოლო მღვდელთა აზნაურთა 00060. ხოლო შემდგომად მოსლვისა	30

სათეს იგ წმიდათა მამათა⁴ იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და 'უდაბ-
 ნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინამძღვართა მიეცათ
 პატივი მთავართა თანა.

შეხიზნულ- ხოლო ამათ მთავრობისა წინათქმულსა წესსა შეეძინა, 35
 ლი წესი რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო
 მთავართა- ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლი-
 თეს თურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია
 სახლსა თესსა მღვდლით. ხოლო წინათქმულითა და ამით იწო-
 დებოდნენ მთავარნი და აზნაურნი, და თვნიერ ამათსა არა. 40

* აბზაცის დასაწყისიდან აქნობამდე დაწერილია დედანში ანაფხეკზე ტექსტისავე ხელით, მაგრამ სხვა მელნით.

შემდგომად კვალად შესძინეს ჭყონდიდელი. და იყო ამისი 19
 კელისანი ქვრივ-ობოლნი, დავრდომილნი, უსამართლოქმნილნი, 35
 შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყო-
 ველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართუხუცესი ყოველთა 9
 5 სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისა-
 გან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშკართა ნოწვევად,
 და მათთა საყვირ,ნოთა მოხსენებად მეფისაი ესევე იყო ლაშქრო-
 ბისა ჟამსა პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა და
 10 ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული, და ახალ წელს
 მაკვლავი მეფისა.

კვალად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღარა იწოდე- 19
 ბოდა სპასალარი სპასალრად, არამედ ათაბაგად.

ხოლო გვარნი მეფეთანი იყუნენ: პირველი ქართლოსია- 35
 ნნი ¹, და ნებროთიანნი ¹. და არშაკუნიანნი ¹ *, და მეფობდნენ
 15 ესენი ფდვ წელთა, და მეფენი ისხდნენ კჳ. შემდგომად ამათთა
 იყო გვარი ხოსროვანთა,¹ და მეფობდნენ ესენი უნდ წელთა,
 და მეფენი ისხდნენ იზ და მთავარნი გ. შემდგომად ამათთა
 20 ბაგრატიონნი,¹ რომელნი გამეფდნენ ქრისტესსა ფოე წელთა
 და არიან აწამდე. არამედ სიტყვა იყო ივერიასა შინა მეფეთა
 ამათთეს, რამეთუ იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიან-
 25 ნნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნე-
 ბითა, შეშმართებელობითა, ხოლო ბაგრატიონნი მხნეობითა,
 სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათეს,თავდადებულობითა.

ხოლო გვარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან: 35
 25 ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბალუში, რომელი იყო
 ლიპარიტისძე, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი,
 მწარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი,
 მარუშისძე, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი,
 ფარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი,** ჯუანშერიანი, კავკასიძე,
 30 ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლოყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი,
 მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქვენაფლაველი, ჯავასისშვილი,
 ბურსელი და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერ-

19
 ჭყონდიდ-
 ლისათეს 9

ათაბაგისა-
 თეს
 მეფეთა
 გვართათეს

მთავართა
 გვართათეს

ვიან და გვარნი არა წარიწერებინა ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყვის ყუთლულ-არსადისას და ყუბასარისას და *** ქართლის ერისთავი გრიგოლ და სურამელი რატი და გრიგოლი ****, კახეთს ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს გუზანს და ***** არტანუჯის ერისთავი, კალმახის

*) აზნაცის დასაწყისიდან აქნობამდე დაწერილია დედანში ანაფხეკზე ტექსტისავე ხელით, მაგრამ სხვა მელნით.

**) უკანასკნელი ორი სიტყვა ჩამატებულია დედანში ტექსტის ხეგლით, განსხვავ. მელნით

****) უკან ოთხ სიტყვა ნახევარი დაწერილია დედანში ანაფხეკზე.

*****) უკანასკნელი ორი სიტყვა ნამატ. დედანში ტექსტის ხელით, განსხვ. მელნით.

ერისთავი, წუნის ერისთავი, ხოლო სომხითს მანკაბერ სადუნი და არა გვარი მისი, ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხვან, და არა გვარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გვარი, გარნა წესი კელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის ² მჯარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყუნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი ³, და არა გვარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ. ვითარცა აღვსწერეთ.

ახალწლი-
სათვს არამედ კვალად ქრისტეანი. ზბის :ჟამსა შესძინეს წესნი ესე-
ნი: რამეთუ ახალწელს, ერთს იანვარს. უწინარეს ცისკრის

ლოცვისა, უკულებთა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა, და სანუკარსა შაქრისა-

სა, ხოლო შემდგომად წირვისა სრულიად ერისთავნი, ელისუფალნი და დარბაზის ერნი თვსთვსთა ბარებულთა, ესე იგი

არს: ბაზიერთხუცესი – შავარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთხუცესი – ცხენსა აკაზმულსა ოქროთ მოოჭვილითა, და სხვანი ოფიკალნი თვსთვსთა შესა-

ტყვისითა, ხოლო ერისთავნი – ცხენსა არა კეთილთა, და კვა-

ლად ესენიცა და სხვანი სრულიად ისარსა, და შეაჩვევიან

კრულვით ორგულსა მეფისასა მეტყველნი: „მრავალ ჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“. და

„შემდგომად სრულიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა. ხოლო ცხენთა მათ ერის-

თავთა, მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთხუცესი, სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოს მეფის სამყოფისა, და

დაჯოცის ცხენნი იგინი მწუხრსა მას შემოღობილს მას შინა, და მას ღამესა აღივსის შემოღობილი იგი მელითა, ტურითა,

მგლითა, და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურის კარნი და

დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულთა თვსითა და მივიდის ადრიან მუნ. მაშინ გამო-

5

10

15

20

25

30

უშვიან მკვები ივინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკუდილი მათი. ესრეთ იკულებდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადომოდ.

35

აღდგომისათვის

ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ჯორცთათა აღიხსნადიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე, და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა. და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა და, რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან

40

21

თასი იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა და, რომელმან მჯარემან აჯობის, იყო მჯარეთა ლარნი სამეფონი, და მისციან მათ თვითთა თვითო [ეგრეთვე ქორწილისა, დიდ გამოძვენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა], მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პორობანი დიდნი მგოსან-სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყუნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი. ხოლო შემდგომად წარსლვისა მათისა იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი.

5

10

ხოლო წესთა ამ ათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია ოთხ სადროშოთ განყოფილი, რამეთუ წინამბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალციხელნი, და მიმყოლი მათნი სრულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვენე მიმსულელ-მცემელნი სრულიად ლიხი-იქითი აფხაზ-ჯიქითუთრ; მემარცხნეთ მიმსვლელ-მცემელნი სრულიად ჭერ-კახნი; ხოლო მეფისა აღმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მოუსვლელად ანუ სხვარიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი.¹

15

20

არამედ წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენობისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა დაბლა ნოხთა ზედა სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდებლობა ქუდისა თუ არა ჟამად, რამეთუ საუფლოთა სიტყვათა ზედა მოიხდიდიან, თვნიერ მისსა არა, არცაღა ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, და სხვანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყვის ორცოლიანობასა და სამცოლიანობასა, და მეფეთა წინააღმდეგომობასა. და განდგომილებსა. ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა, და შემდგომთა მისთა მეფეთა, ვიდრე შიხთა მეფისა, სპარსთათა გამოჩინებისამდე.

25

30

ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თვსთვსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა. განა მთავარნიცა არღარა

დროშისათვის

შერეულთა წესთათვის

შემდგომად განყოფილებისათვის

იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადათ, და არცაღა იყუნენ
 35 როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზნაურნი და მსა-
 ხურნი გლეხნი ვეობათაგან იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმე-
 ტეს მოკვევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობდნენ მას საერისთოთ.
 ხოლო იმერთა – რაჭა და სრულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა –
 ქისიყი. ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და მთავართა
 40 მინაწერნნი იყუნენ მოყვანებად, განა იყუნენ ოთხ სადროშოთვე
 კვალადცა, ვითარცა აღვსწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი.
 არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინათგან არღარა იყუნენ ეგდენნი
 შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპი-

22

რისპირათ ანუ გამაგრებოდენ მტერთა თვსთა. ამისთვის შეკ-
 კუჭეთს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა – სრულიად რაო-
 დენნი სახლსა შინა არიან – წარსლვად ლაშკარსა შინა, ხოლო
 გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე³
 ესენი ესრეთ იყუნენ.

5

აწინდელისა გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ, – მათ ურუ-
 წესისათვის მთავან და ამათ ყიზილბაშთაგან – წესნი რაიმე მათნი, არამედ
 ქართველნი და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო
 აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყი-
 ზილბაშთა ესენი, რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოთ, კელითა
 10 სჭამდიან. სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა
 რიგისა, ხოლო მესხთა ურუმთა და იმერთა – ურუმულთაგან
 შერეული; და სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღარა
 ქართული, თვნიერ დარბაზისა, და მესხთა ურუმთა რიგისა.
 15 და არცაღა იყო ერისთავთა ცვალებანი, არამედ მკვიდრადნი.
 არამედ ძველითაგანვე იყო წესი ესე: რაჟამს მოკუდის ერისთა-
 ვი, ანუ მთავარი, ანუ კელისუფალნი, ანუ აზნაური ჩინებულ-
 ნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა ჳრმალი, ცხენი და
 უხუცესი ძე მისი, ხოლო მეფე კელისუფლობისა და ერისთო-
 ბისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისამზრ მიუბოძის და ოდესმე
 20 ძესაცა, უკჭეთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი.
 ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ, და ჳრმალს მოარტყმიდა
 წინაშე მეფისა მსახურთუხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და
 დააწესონ ტაძრეულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა
 შინა ღირსებისებრ. ხოლო აწინდელსა ჟამსა კელისუფალნი
 25 ეგრეთვე ყუნიან, ვითარცა ზემო ითქვა, და ცხენიცა და ჳმა-
 ლიცა ეგრეთვე. არამედ ერისთობა და მთავრობა არღარა, და
 რომელნიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სა-
 ხლისკაცთა მისთავე მიუბოძიან, ეგრეთვე მთავართაცა.

10

15

20

25

აწინდელისა ხოლო როსტომ კელისუფალთა უწოდა: მსახურთუხუცესსა
 30 კელისუ- ყორჩიბაში, მონათუხუცესსა – ყულარ-აღასი, სპასპეტსა – სარ-
 ფალთა შე-დარი, მეჭურჭლეთუხუცესსა-მოლარეთუხუცესი და მეჭურჭლეთ-

30

ფლოლოთა ხუცესი არღარა, არც იგი წინათი მოღარეთხუცესი: ჩუნჩერახსა
 თჳს სუფრაჩი, ჩაჩნაგირს – სუფრაქეში, მანდატურთუხუცესსა – ეშიყ- 35
 აღასი, მანდატურსა – სოჰბათიასაული, ბოქოულსა – ელიადა-
 ჯი *, მსაჯულთუხუცესსა – მდივანბეგი, ეზოს მოძღვარსა – ნაზი-
 რი, მესტუმრეთუხუცესსა – მეჰმანდარი, მწერალსა – მუშრიბი.
 ხუროთმოძღვარსა – სარაიდარი, და ეჯიბი არღარა, არამედ
 მგზავსი მისი მეითარი. ხოლო სხვანი ჳელისუფალნი იყუნენ ეგრეთ-
 ვე. არამედ ჳვალად ყიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მუსტოფი 40

* უკანასკნელი ორი სიტყვა დედანში ჩამატებულია.

და მუნში. ჳვალად მეკრესა – ყაფიჩი და ასისტავსა – უზბაში. და
 კახთაცა განაწესეს ეგრეთ; ხოლო იმერეთს მეფის ალექსანდრეს
 გიორგის ძისამდე ⁴ იყუნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა
 არღარა, არამედ მთავარნი თვსთვსით სჰითა შეკრბიან, და არ-
 ცაღა ჳელისუფალნი მეფისანი არიან-ღა. ხოლო სამცხეს, ვითარ
 5 ცა ოსმანთა რიგნი, ეგრეთ იმყოფიან ჩვეულებითა და წესითა.

ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი
 ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უჰყრავთ გაჩიანისა და
 გარდა!აზანისა საერისთონი ტფილისის სამართ, ვიდრე ლორე-
 10 ფანავრამდე, თვნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა
 ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბადი-
 სასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან
 წყალობისანი. ჳვალად ყაფლანისშვილი და აზაშისშვილი სამთა
 ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყვის გვარობასა
 15 მათსა გინა ორბელიანობასა, გარნა იყო ორბელიანი სხვა და
 ქაჩიბადე სხვა გვარი, არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათა-
 საგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა
 მათ საბარათიანოდ, ხოლო აზაშისაგან აზაშისშვილნი და ეგრე-
 20 თვე სხვანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. განა საგონე-
 ბელ არს ყაფლანისანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი, და მის
 მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმული არა განმარ-
 თლდებინ. ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბე-
 25 თენიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ,¹ ძემან გიორგი
 მეფისამან, გაჰყარა სამნი ძმანი – აზაში, გუგუნა და დავით.
 აზაშისაგან აზაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითი-
 საგან ყაფლანისშვილნი არიან.* ხოლო სომხითის მელიქი არა
 არს გვარი. არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ ³ გამოჰმა-
 30 დიანებისათვს. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა მჰვარგრძელ-
 ნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლადა-
 შვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სა-
 საფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. ჳვალად დოღენჯისშვი-
 ლი აწ ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბუდალისშვილი მოვიდა მა-

აწინდელთა
 მთავართა
 გვართათჳს
 11

რიამ-ჯვრის კახეთიდან. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკვრის სამკრით ციციშვილი, რომელი ძველადვე მოვიდა ფინასკეთიდა; ჯავახისშვილი; ხოლო მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული; როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან. ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გვარი, განა წესი მეჯინბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერთობასა შინა აქუნ-

*) სიტყვებიდან; „ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა...“ აქნობამდე მოთავსებულია დედანში აშიაზე ტექსტისავე ხელით.

24

და მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა, ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთნენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი. ავალისშვილი, რა დაშთა ჯეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხა-ზეთიდან მოსლვას, განა ახალი არს. ხერხეულისძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყვის მჭარგრძელობასა. ხოლო კვალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან: ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდან. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ⁴ ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერიტგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლაველისაგან, არამედ იტყვის ბიბილურობასა. ხოლო არაგვის ერისთავი – და ალვსწერეთვა, ვითარცა არიან, არამედ გვარს სიდამონობას იტყვის. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან. ვითარცა აღწერილნი არიან.

5

10

15

20

წარჩინ- გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარ-
ბულთათვისწინებულესნი და შემძლეებელნი ისინი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციციისშვილი. ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათვის დავიდუმეთ, ვითენი ძველის გვარისანი, ვითარცა აბაზაძე. კორინთელი მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, ლაზნელი. გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი. ვით იხილვების მამულითა. ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზისშვილი, ამათგან მთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე

25

30

დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა.

კახთათჳს ხოლო კახეთს ჩოლოყაშვილი და მაყასშვილი იტყვიან ირუფაქიძობას; ენდრონიკასშვილი იტყვის ანდრონიკესაგან, ⁵ რომელი მოვიდა პირველვე კეისართა გვარისა. ჯორჯაძე. ჭავ- 35
 ჭავაძე, ვაჩნაძე, ვახახისშვილი, რუსიშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად. გურამისშვილი და ტუსისშვილი – ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესეც მღვიმეს, და აზნაურნი უფროს მცირედ. 40

სამცხისა ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა 25
 თჳს ახალციხისა; შალიკაშვილი, თადგირიძე, დიასამიძე, ქობულის-

ძე, გოგიბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხვანი, არღარა იწოდებიან გვართა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, განა დავილუმეთ.

5 ხოლო იმერეთს: არგვეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე [ამავე ჩხეიძის გვარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა], ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ლოდობერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, 10
 ლაშხისშვილი. ხოლო სვანეთს გელოვანი, და არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სვანთა ზედა.

კვალად ვაკესა შინა ჭილაძე და მიქელიძე და ჩიჯავაძე- 12
 ხოლო აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა [ვითარცა ძველად სიტყვა იყო ივერიასა შინა: დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა], არამედ სიგრძისათჳს არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწის ჟანსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე.

ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თჳთთჳსად მფლობელი 20
 ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კვალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხვანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი.

25 ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზეთათჳს თჳს, და უმდაბლესი ანჩაფაძე.

ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თჳს ჰფლობს და იტყვის ვარდანის ძმობასა, და სხვანი მის ქვეშენი არიან ესენი: 30
 თადგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდან, შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდან, ბერიძე, კვერდელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხვანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.

ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ:
„ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო თუ მანდატურო, ესრეთ
უამბე“, და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუ-
35 ჯარსა შინა: „ჩვენ, მეფეთ-მეფემან, ღვთით წყალობით ცხებულ-
მან, თვთმპყრობელმან და თვთ კელმწიფემან, იესიან, დავითიან,
სოლომონიან, ბაგრატიონმან, შვიდთავე სამეფოთა მპყრობელ-
მან [სახელი] გიწყალობეთ“. ხოლო აწინდელთა ჟამთა: „მე-
სტუმრეო, ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს დარბას-ბატონს
40 [სახელი] ასრე უანხეთ“, და მდაბალთა ზედა: „ჩვენი ბძანება
არს“, ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩვენ, მეფემან ღვთივ-ცხე-
ბით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრა-
26

ტიონმან [სახელი] გიწყალობეთ“. ესრეთვე იმერნი და კახნი
არამედ მეფე ქართლისა კვალადცა მეფეთ მეფობით სწერდა
წინავეთავე ჩვეულებითა.

ეპისკოპოზ-
თა ლაშკ-
რად წა-
სლვისათჳს

არამედ ეპისკოპოზთა სლვა ლაშკართა, ნადირობათა და
ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩვეულება იქმნა: რაჟამს უწყეს
5 მოჰმადიანთა შემდგომად დავით 3 მეფისა ¹ დაუცხრომელი
ბრძოლა და კირთება, და იხილეს ლაფლობა-ულონოება ქვე-
ყნისა ერთა ეპისკოპოზთა, მაშინ ეტყოდინა ეპისკოპოზნი: „ნუ
10 მოლაფლდებით და ნუ მოულონოვდებით ბრძოლად მათდა,
და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა
თქვენსა, და ჩვენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქვენნი“, და ჰყოფ-
დენცა ეგრეთ [ვითარცა მარაბდის ომსა ² ზედა მროველმან ავა-
ლიშვილმან. რა მოიღო ზიარება, ეტყოდენ: „უკჭთუ დღეს
15 აღიღებ მახვილსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხვა-
მან, და უკჭთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ“. ხოლო იგი იტ-
ყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნე-
ბისა და არა მხოლოდ ჩემ ზედა, ამისთჳს არა ვყო: უკჭთუ
20 უწინარეს თქვენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი მასვილის ამ-
ლებმან“. ხოლო მეორე მიზეზი: ვინათგან შეწერით იყო ლა-
შკარნი, და ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და
შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა, ამისთჳს მათ-
თა მოურნეთ თანამდებ იყუნენ წარსლვად, და არს მიერ ჟა-
35 მითგან ეგრეთ აწამდე. ხოლო სხვათა თჳნიერ ამისა აჩენს ცხო-
რება ანუ მატთანე ქვემორ აღწერილი ყოველსავე ამას ქარტა-
სა შინა. და იმყოფოდა ესენი ესრეთ აწისამდე, ხოლო წალ-
მართი უწყის ღმერთმან და, ვითარცა ნებავს, იყავნ.

აღწერა სამეფოსა საქართველოსა. 13

ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა. პირვე- სახელი

ლად – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მეორედ – ი ვ ე რ ი ა, მესამეთ – გ ი-
 ო რ გ ი ა. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, როთ
ეწოდა
 5 რომელსა წილად ზედა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა
 სახელითა თვისითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-
 ხდომილითა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მისსა,
 რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა
 მისსა, ეწოდათ საქართველო. ხოლო მეორე სახელი, ივერია,
 10 ენითავე ქართულითა მიეცა, რამეთუ „იი“ არს შორისყრილი,
 რომელი არს სასიხარულო ჳმა ზახილისა, ხოლო „ვერიე“ –
 მოვერივე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად „ივერია“, რა-
 მეთუ ოდეს ი მეფემან ადერკიმ ¹ მოკლა არშაკ ², მეფე ქართ-
 ლისა: გოლიათობითა თვისითა, მაშინ აღუტევა ჳმა სპათა მი-
 15 მართ თვსთა: „იი, ვერიე!“ და განჳდა კჳა ესე, და იტყოდიან
 ყოველნი სიმძნისა მისისათჳს: ამის გამო იწოდა ივერია. არა-
 მედ წოდება სასიხარულოს ჳმისა. მოასწავებდა სიხარულსა დი-
 დსა, რამეთუ პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩვე-
 ნი ოჯსო ქრისტე, და მოასწავებდა ჳმა სახარებისა ხარებასა და
 20 სიხარულსა სასუფევლისასა. ხოლო „ვერიე“ – მორევნასა კერპთა
 ზედა ძალსა ჯვარისასა და ჳსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა.
 კვალად გიორგიაცა მჳნელ მომჭირნეობისა მუშაკობისა ქართ-
 ველთათა ეწოდა [რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის].
 კვალად ვინათგან იცნეს სამება-ერთარსება, პეშმარიტი ღმერთი
 25 წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ, და
 ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის
 მოწამის გიორგისა, ამისთჳს მიერ ჟამითგან ნიშნი და სასწა-
 ულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამის გიორგისანი ყოველ-
 სა ივერიასა შინა, რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი
 30 გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა
 გიორგისანი, და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელები
 და ბერძენნი უჳმობებ ჯორჯიანსა, და რუსნი გრუზსა, და მო-

28

ჳმნდიანნი გურჯსა მათითა ორფოლრაფიის გამო, არამედ იგი-
 ვე გიორგიავე არს.

ხოლო არს სიგრძე ქვეყნისა ამის **ჳ** ეჯი *, ხოლო განი
 სპერის ზღვისაკენ ³ **ე** ეჯი, შუა ადგილი **ლბ** ეჯი, ხოლო ბო-
 ლოთ კერძი **ლე** ეჯი, და მდებარებს კასპიისა და პონტოს 5
 ზღვას ⁴ შორის. გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი
 ყოვლითა ღვთისა მიერ, და არა ჳელოვნებითა, კაცთათა, რა-
 მეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი კაცთა საზრდე-
 ლნი: ბრინჯნი, ჳორბალნი, ქრთილი, შვრივა, სიმინდი, ღომი,
 ფეტვი, მუხუდო, ლობიო ოსპი, ცერცვი. საკადრისი. ძაძა, 10
 მამა.. უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.

აბრეშუმო-სათჯს	კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა, რამეთუ სასტიკად მქუხარებს, და მის გამო მოსწყდების ჭიანი. კვალად ბანგას სთესენ, განა სხვაგნებული უმჯობეს არს, არამედ მრავალნაყოფიერებს.	15
ხილთათჯს	ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთის-ხილი ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი,, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ზუსტული, ქლიავი მრავალგვარი, ლელვი. მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა, კიტრი, ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი,** კრიკინა, ალუბალი, ბალამწარა, ბაღლოჯი, მაჟაველი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათჯს-სხალა, დათჯს-ბაბა, დათჯს-თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა. ხოლო მთისანი არიან: მოცხარი, კლდის-მერსენი, ჟოლო, უელი. მოცვი და სხვანიცა მრავალნი.	20 25
ხავარდისათჯს	სავარდეთა ყვავილნი მრავალი: ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუნბული, ნარგისი, ზამბახი, ყაყაჩონი მრავალგვარნი, და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვა-სხვა გვარნი და ფერნი. ხოლო ველთა: ია, კოჩივარდა, ნეგო, მიხაკი, შროშანა და სხვა მრავალნი, ვიდრე ას ფერამდე და ას გმართამდე.	30
მტილოვანთათჯს	მტილთა: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, *** პრასა, ბოლოკი, პეტრუმჟკა, სტაფილო, ქინძიჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა,	35

*) „ეჯი, ფარასანგი და ალაჯი ზომით ერთნი არიან. ხოლო ეჯი არს ექუსი ვერსთი რუსული, და ვერსი – ხუთასი მხარი, მჯარი – სამი ადლი, ადლი ოცდათორმეტი თითი, თითი – ექუსი ქრთილის მარცვალი, ქრთილის მარცვალი – ექუსი ცხენის ფაფარი“ (ვახუშტი).

**) უკანასკნელი ორი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონ ზემოდან.

***) დედანში: „სახვი“.

5	ყრდელი და სხვანიცა. ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროდ საჭმარნი ბალახნი, მხლად წოდებულნი, და თესლნი: ვითარცა: სატაცური, ასპანახი და სხვანი, და ვითარცა კვლიავი, და ტყიურა, და მისთანანი მრავალნი.	პირუტყვთა და ფრინველთათჯს
10	არამედ პირუტყვნიცა მრავალნი, ვითარცა: აქლიმი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კანბეჩი, ცხვარი, თხა, ღორი. ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემო ქურციკი ჯიხვი, მშველი, არჩვი, თხა, ყურდგელი, ვეფხი დათჯ, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელი, მაჩვი მწავი, მოახვი, ძღარბი და სხვანიცა. კვალად ფრინველნი: ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური ქა-	

15 თამი, ტრედი; ამათ შინ იპყრობენ. ხოლო ველთა და ტყეთა:
წერო, ყარახილა, ბატი, შავი გატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ლა-
ლდა, ლაინა. ესენი ზამთარ არიან. ზოგნი გაზაფხუ[ლ]-შემოდ-
გომას, თვნიერ არა; ჯოჯობი, კაკაბი, დურეჯი, გნოლი, როჭო,
20 შურთხი, | მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი, გა-
რიელი, სავათი, ტრედი მრავალგვარი, გვრიტი, გუგული, ოფ-
ოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინბური, ბულ-
ბული, ყაზალახი, მალალური, ჩიტნი და სირნი მრავალგვარნი,
შვენიერ-ჭრელნი და მომღერალნი მრავალნი. ხოლო ჯორცის-
25 მჭამელნი: ყაჯირი, სვაკი, ორბი, არწივი, შევარდები, გავაზი,
ბარი, ქორი თეთრი და წითელი, მიმინო, მარჯანი, თვალშავი,
ალალი, კირკიტა, ძერა, ბაბაყველი, ბოლო-ბეჭედა, ჭარო, ყო-
რან, მახარა, შავი ყვავი, მალრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, წო-
ტი, ჭკა,* ჭილყვავი, ყაპყაპი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა, ოყა-
30 რი, ლაკლაკი, ყარაულა და სხვანიცა.

ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა,
მწვანითა და სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადასხვა ხითა შვე-
ნიერთა ჭალათა და მთათა შინა. კვალად არიან მთანი დიდ-
35 როვანნი, რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი შავის ზღვიდამ ვი-
დრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ, და
მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინუ-
ლისა არს კ-ლ მჭარი,** და ჟამსა ზაფხულისასა გასქდების და,
თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცი-
ვისა: და ქუჭმე მისსა დის მდინარენი, და არს ყინულნი მწვა-
35 ნე და წითელი, ვითარცა კლდე, სიძველის გამო. ხოლო დიან
მთისა მისგან მდინარენი იმიერ და ამიერ მრავალნი, და შორ-
ის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამჭრით, რო-
მელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და
მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მალალი,

14

მთათათჳს

*) ეს სიტყვა დედანში სწერია აშიაზე.

**) დედანში „მჭერი“

30

არამედ თოვლნი მარადის აულებელად, გარნა ადგი[ლ]-ადგილს.
და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან
სიშორის მათსა მთანი დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი
საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი, არამედ თვსთვს ად-
გილს იწეროდენ.

5

მდინარეთა კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი,
და ტბათა-ცივნი, გემოიანნი და შემრგონი, და მკურნალნი სენტანი, და
თვს ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილი-
თა სავსენი და ვიეთნი უხმარნი.

თევზათათჳს ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი,

10

	ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა.	
მძრომთათჳს	ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: ვუჭლნი მკბენელნი, ღრიანკელი გესლიანნი, გველ-ხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხვლიკი, კუ, თაგვი და სხვანიცა.	15
მწერთათჳს	ხოლო მწერნი: კოლო, ბუზი, ბორა, კრაზანა – კაცთა და პირუტყვთა მაწყინარნი, და სხვანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი. არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი ვიეთთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცვილთა და თაფლითა სიმრავლე არს. ხოლო არს შემკობილი მითითა და ბართა, რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ბ, გ, ვ ჟამს მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მოიწეოდეს. არამედ მთათა ჯორბალი, ქრთილი, შვრია, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ, მთისანი ნაყოფიერებს და სხვანი არარაჲ, ხოლო ბართა ყოველივე ზეითწერილნი.	20 25
კაცთათჳს	ხოლო კაცნი ამის ქვეყნისა არიან სარწმუნოებით ქრისტეანენი, რომელთა მიიღეს რომით ჟამსა დიდის კოსტანტინესასა და სილიბისტროსსა წესნი და რიგნი ძველი ბერძენთა ბასილის კაბადუკიელისათა ¹ * და შვიდის კრებისა ² უპყრავთ მტკიცეთ, არამედ მძლავრებით უკუთუ ვინმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კვალად ეგების ქრისტეანედ შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალწარბ-თმოსანნი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგვრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდაშვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი; წერწეტნი, უმეტეს ქალნი, იშვით სქელნი, მჭნენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზედა და მკედრობათა შინა კადნიერნი, მკვირცხლნი, მსწრაფლნი, რამეთუ ვიეთნი ლგ ეჯს იდ ჟამს გაირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მოყვარენი, ამაყნი, ლალნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თჳსთა სახელთათჳს არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თჳსსა,	30 35 40

*) დედნში „კაბადუკიესისათა“.

სტუმართა და უცხოთ მოყვარენი; მხიარულნი, უკჭთუ ორნი ანუ სამნი არიან, არარაჲ შეიჭირვიან; უხუნი, არცა თჳსსა და არცა სხვისას კრძალვენ; საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ მიმნდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი. არამედ არს ჟამი რაოდენიმე, არღარა ისახელეტის ცოდნა, თჳნიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამკედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმდრებელნი, სირცხვილის

10 მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავხედნი, დიდების მოყვარენი, თვალმგებნი და მოთაკილენი. ხოლო რომელნი მათათა შინა სცხოვრებენ, მგზავსნი ნადირთა, განა გონიერნი. ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთრიგათ: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ 15 ჩოხისა მუხლთ ქვემოდდე, მაზედ სარტყელი, შიგნით საგულე ბანგიანი კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანზისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა. და კისერი სრულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა, ანუ ბანზისაგან, ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგვნი, თვნიერ მისსა – არა: ფერჯთა პაიჭი და წაღა ტყავისა ანუ სკლატისა. ხოლო მაშია 20 სპარსული; უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ კაბა კაბისაგან უმოკლო და ტყვი ზამთარს დიდი [არამედ პირველ ერთსმეფობასა შინა სცმით სხვაგვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მციმელი და გრძელბეწოსანი, პერანგი [ბერული ტილოსა, საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უდილოდ, მას ზედა სარტყელი ფოჩჩაშვიბული, ტყავე დიდი სახელ-ვიწრო და ფერჯთა ზედა მოგვი, ვითარცა იცნობიან ნახატებია ზედა]. ქალთაცა მგზავსად, გარნა სარტყელთა წვერნი 25 ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალული * ამოჭრილი, და თვნიერ პერანგისაგან კიდე არარაი ჰფარავს, და პერანგი მჭვირვალი, ჯორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი და ფერჯზედ წულამაშია; ხოლო თავი ქალწული: კავნი თვისისავე თმისა დაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი, არამედ ქრმოსანთა კავსა ზედა შეიკურენ, და ჰბურავთ მასზედ ლეჩაქი. კვალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი, ზოგნი თვსნი და ზოგნი სპარსათანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა ბეწულნი; განა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწამდე. ხოლო იმერთა მცირეთ რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისაგან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა დიდებულთა – ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა, რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.

50 *) დედანში: ახალუხი.

საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა

ვინათგან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქვეყნისა ამის დავსწერენით, აწ ვიწყოთ თვთვეულთა წარმოთქმად მთათა, ველთა და წყალთა. არამედ ვინათგან არს ყოველთა აქა- 5
ურთა მდინარეებთა მ ტ კ ვ ა რ ი ¹ უდიდესი, რომელი განვლის საშუალ ქვეყანასა ამას, პირველად ვახსენოთ მდინარე იგი, რომელი გამოსდის კოლას ყალნუ-მთას, გამოვლის სამცხეს,

ქართლს, ჭერეთსა, რანს შორის, განვლის მოვაკანს, მიერთვის რასს ჯავათს და სალიანს ქვეით ერთვის კასპიის ზღვას. ხოლო ქართლსა შინა არს განით მტკვარი **ე, ო და პ** მჯარი და ადგილს უმეტესიცა, და სიღრმით ადგილ-ადგილ განისვლების 10
ფონად, სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდორდების, არს ფრიად ღრმა. გარნა კიდეთა მტკვრისათა ამიერ და იმიერ კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ჭალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინვ-ლიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იპყრობენ ბადით, კონით, ფაცრით, ნევსკავით, საფიჩხუ-ლითა და ოჩხითა. ჟამად იპყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯას ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხვი და აქა სიჩქარისაგან მდინარისა ვერ აღმოვალს. და ჯეობასა შინა მტკვრისასა უმე- 20
ტეს ჩქარი არს, ვიდრე დვირადმდე, და დვირს ზეით ეგრეთვე, ვითარცა ქართლსა შინა. ამ მტკვარს ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, ჭერეთისა, რანისა, მოვაკანისა და თვთ არაზიცა. არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო, უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა. 25

ბერდუჯის ხოლო აწ ვინათგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის
აღწერა მდინარე არს, ვიწყოთ* მუნითგან წერად. რამეთუ მდინარე ესე **ბ ე რ დ უ ჯ ი** გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლით ჭოჭკანამდე, მერმე მოიქცევის და დის ჩდილოთ

* დედანში: „ვიწყოდ“

კერძ და მიერთვის ქვიის მდინარეს [არამედ სახელითა იწოდების სამითა: პირველი ბერდუჯი, **ბ ს ა გ ი მ ი, გ დ ე ბ ე დ ა**. ხოლო ბერდუჯი დაბისაგან ბერდიკისა ეწოდა, არამედ საგიმს ვგონებ ინჯას ანუ აღისტევს *]. არს ესე მდინარე სარგებლო 5
ანი მუნ, სადაცა იწყებს დინებასა ჩდილოთ კერძ, თევზთა სიმ-

რავლითა, ხოლო სახელდობ ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და წვრილი თევზი სხვადასხვა გვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთად დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე დიდთა და წვრილთა. არამედ თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინარეთანი. კვალად აღმოიღებენ რუთა, და ირწევიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, ჯორბალი, ქრთილი, ფეტვი, ზამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ზადრიჯანი, პუმპულა. ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ნეთანი. ამისთჳს იწოდა: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ხოლო აწ დებედა. ** აბრეშუმს აკეთებენ და არა მრავლად. ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილმშვენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ. ფრინველნი მრავალნი: ჯოჯობი, კაკაბი, იხვი ურიცხვნი და სხვანიცა ზემოწერილნი მრავალნი.

ხოლო ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქ უ რ დ ვ ა ჭ რ ი ს-ვევი, და აწ უწოდებენ ა დ ჯ ა ყ ა ლ ა ს [თ ე თ რ ც ი ხ ე]** იაყუფ ყენისაგან ² წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე და შემდგომად, ოდეს მიუხუნა შააბაზ ჰე მეფეს გიორგის ³, მან მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბ ო რ ჩ ა ლ უ. ხოლო სადა აღმოსავლეთით დის ბერდუჯი, არს ფრიად მაგარი ტყითა და კლდითა, შეუალი კაცთაგან. განა მოვალს მუნცა ყოველნი მარცვალნი, ბრინჯ-ზამბისაგან კიდე, ვენახნი, ბროწეული, ლეღვი და სხვა ხილნი მრავალნი. არამედ ლორის ციხეს ზევით ცივი, გარნა ზაფხულს შვენიერი, მრავალყვავილიანი, ცივნი და ტკბილნი წყარონი: და ზამბაკის კევს არარად, თჳნიერ ჯობლისა, ქრთილისა, სელისა, და თივითა ნაყოფიერებს, ცხოვარი, ძროხა, კანბეჩი. ცხენი, ვირი, თხა მრავალნი იშობიან; ნადირნი: კლდეთა – თხა და არჩვი [ფსიტი და არჩვი იგივე არს]; ***

*) ფრჩხილებში მოთავსებული წინადადების უკანასკნელი ნაწილი, სიტყვებიდან: „არამედ საგიმს ვგონებ...“ და სხვა სწერია დედანში აშიაზე ტექსტის ხელით.

**) სიტყვებიდან: „ამისთვის იწოდა“... და სხ. ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოთ და გატანილია აშიაზე.

***) სწერია აშიაზე ტექსტში შემოტანის ნიშნით „აღჯაყალა“-ს წინ.

****) სწერია აშიაზე ტექსტში შემოტანის ნიშნით „არჩვი“-ს წინ.

ტყეთა – ირემი, შველი, დათვ, მგელი, ფოცხვერი, მელა, კურდგელი მრავალნი. აქა თევზნი და ჯორცნი გემოიანნი. ლორის ციხეს ქვემოთი ცხელი და ზაფხულს გაუძლისი, გარნა ზამთარს, სივიწროეს გარდა, მშვენი. ხოლო არს ა ხ ჰ ა ტ ი ⁴ და ს ა ნ ა ი-

ნ ი ⁵ მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი*, ეკლესიან[ი] 5
 გუნბათიანნი, კეთილნაშენი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხენან
 სომეხნი, არამედ მეფე ქართლისა დასვამს ეპისკოპოზსა მიწე-
 რითა ოქივარტერისათა, ვინადგან რავდენნი სომეხნი ქართლს
 მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან. აქა იხდების გვა-
 რჯილათა სიმრავლე არა მიწიდამ, არამედ კლდის ნოტიობი- 10
 დამ. ამას ზემორ არს მონასტერი მცირე, გარნა დიდშენი, ქ ო-
 ბ ე რ ი ს ა,⁶ უპყრავთ სომეხთა. კვალად დასავლით ამისა არს
 მონასტერი მ ე ლ ი ჭ ე მ მ ა რ ი ტ ი ს ა შვენიერი, ბერდუჯის მდი-
 ნარესა ზედა, უპყრავთ სომეხთავე. აქა არს მაღალს კლდესა
 შინა ქვაბნი მრავალნი, და მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი 15
 მრავალნი ძველნი, არამედ კაცთა აუსვლელობით უხმარ არიან.
 დასავლით ამისა არს ციხე ლ ო რ ი ს ა⁷ და ქალაქი მცირე, ზა-
 ფხულს მშვენი, ზამთარ გაუძლისი, ორს მდინარეს შუა, კლდესა
 ქარაფოვანსა ზედა; დასავლით აქუს მინდორი კლდოვანი, მუნი-
 დამ მრავალჯერ აღებულ არს. აწ უპყრავთ სპარსთა. 20
 ხოლო ჳევი ბამბაკისა არს მთებრი და შვენიერი, ნაყოფიერი.
 ნაყოფიერებს ჳორბალნი, ქრთილი, სელი, შერივა, სხვა არარაი.
 თვთ ბანბაკი არს მცირე ქალაქი, და პირუტყვთა სიმრავლე
 არს, თვნიერ აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლნი მრავალი.
 სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღა- 25
 ლი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადირიანი,
 რომელი წარივლის დასავლით არტანამდე, ხოლო აღმოსავლით
 რან[ს] და გელაქუნს შუა განვლის და ვიდრე რახსადმდე მი-
 ვალს. მთისა ამის სამჯრით კერძი სომხით-ერევნისა არს, ხოლო
 ჩდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა. არამედ ბერდუჯის 30
 მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა, და დასა-
 ვლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიდრე ხუ-
 ნანამდე. ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩდილოეთით და
 სამჯრით, და მიადგების წინთქმულს ერევნის მთას. აღმოსავლე-
 თის კერძი მთისა ამისი არს რანისა, და დასავლით კერძი არს 35
 ბერდუჯისა. გარნა არს ძველად საერისთო ხუნანისა. შემდგომად
 აქუნდა თვსი ერისთავი [რომელსა იტყვიან აწინდელსა ხანსა,
 რამეთუ, ოდეს მიიღო შაბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ:
 გექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა].

*) არამედ სომეხნი სწერენ: ოდეს ეპყრათ სომეხთა მეფეთა, მათ
 მიერ არს აღშენებულნი“. (ვახუშტი)

ხოლო ახპატს ქვეით არს ჳეობა ჳოჳკანისა ლელვარის
 მთის ქვეშ, ვენახიანი, ხილიანი, ნაყოფიერებითა და ჳავითა
 შემკული. მის ქვემორ არს ჩდილოთ ეკლესია ა გ ა რ ა კ ი ს ა
 [რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, შემდგომად იქ-

5 მნა მიტრაპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო
იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე], გუნბათიანი,
დიდშენი. აწ უწოდებენ ა ხ ტ ა ლ ა ს ¹, გ ა რ ნ ა აწ ხუცის სამარ არს
პირისპირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა არს
მონასტერი ორი, რომელი ერთი ხელს კვალად ჭკვიან ჰყოფს,*
10 და მეორეს შინა დის წყარო და, უკვთუ ასვას ბრაზიან-ცო-
ფიანსა ორმოცის დღის წინათვე, ვერდარას ავნებს ბრაზი კბე-
ნილსა კაცსა. ხოლო ქვემორ ახტალისა არს ჯეობა ხოჟორნი-
ისა. არს ხ ო ჟ ო რ ნ ი ა ს ეკლესია გუნბათიანი, ხოლო წ ო ფ ა ს
ციხე მცირე. ჯეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ყოვლის
15 თესლისა მოსავლიანი. მას ქვემორ სახლობენ ელნი ქციამდე
ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა, და თესლთა ზეით-
წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა. ხოლო აწ
უწოდებენ ალადაჯს.

კვალად ქციის პირს, სად ერთვის წყალი შულავრისა, მუნ
20 არიან ელნი ყულარად წოდებული, ეგრეთისავე მოქმედნი, და
აღმოსავლით ბერდუჯის კერძოთა მოსახლენი ელნი ბორ-
ჩალონი, ეგრეთვე მოქმედნი, ვიდრე ხუნანადმდე. ხოლო ჯ ე ო -
ბ ა შ უ ლ ა ვ ე რ ი ს ა არს ლელვარის მთის წაკვრით, იმიერ და
ამიერ დაბნები. შ უ ლ ა ვ ე რ ი ³ არს დაბა დიდი. ქვემორ მისსა
25 ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის,
ზეით მცირე ციხე. შულავრის სამჯრით კერძ არს გ ო რ უ ლ ი ს -
ჯ ე ვ ი, ეყრების შულავრის-ჯევს. ამას ზეით ო ფ რ ე თ ი, მცირე
ქალაქი და ციხე მისი. ხოლო კვალად, შულავრის დასავლით,
არს მ ა ნ ხ უ ტ ი ს -ჯ ე ვ ი და ამის დასავლით ტ ა ლ ა ვ რ ი ს -ჯ ე
30 ვ ი. ამ ჯევის ბოლოს ჭ ა პ ა ლ ა და ციხე მისი [ამას სწერენ
გაჩიანად ⁵].** არამედ ჭაპალის ჩდილოთ, ქციის კბოდეზედ,
არს ა რ ქ ე ვ ა ნ ი ⁶. ამას ეწოდა ქ ა ო ზ ი ა ნ ი, სადაც არს დიდ-
დიდნი ნაშენებნი. ესევე არს გაჩიანი. და ჭაპალისა*** დასავლით
არს ჯ ე ვ ი ს ა რ კ ი ნ ე თ ი ს ა. სარკინეთს ითხრების ლითონი
35 რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლაჟვარდიცა.

*) დედანში ამის გასწვრივ აშიაზე სწერია: „ვგონებ ამას ცორტავად,
და სასწაულსაგა მის მიერ“.

(ვახუშტი)

**) „არამედ არა არს ესე დასავლით ხუნანისა, არამედ სამჯრით,
და არს წილი გარდაბანისა და არა გაჩიოსი. ხოლო არქევანი პირველ იყო
გაჩიანი და სანადირო-ქალაქი, მერმე ქაოზიანი, და აწ ესე დაბა, რომელი,
დასავლითაც არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი“.

(ვახუშტი).

***) სიტყვებიდან: „ჭაპალისა ჩდილოთ...“ და სხ. აქნობამდე დაწერი
ლია დედანში სტრიქონ ზევიდან, აშიაზე გატანით, ტექსტის ხელით და
მელნით.

ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური, გამოსდის
 ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე
 ქალაქი ბოლნისი⁷. მას ზემორ ეკლესია დიდ, აუგუნბათო,
 ბოლნისისა⁸, რომელი აღაშენი კთ მეფემან ფარსმან⁹, და გორ-
 გასალ დასვა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა 5
პთ დედოფალმან მარიამ¹⁰. აწცა ზის ეპისკოპოზი, მწყემსი აწ-
 ინდელის ქართლის სომხითისა. პირისპირ ამ ეკლესიისა არს მო-
 ნასტერი წულრულაშენს¹¹, გუნბათიანი, შვენიერად ნაშენი
 შვენიერს ადგილს და აწ უქმ არს. ამას ზეით არს ციხე ბერდი-
 კისა მალალს კლდესა ზედა, ფრიად მაგარი. აქ ერთვის და- 10
 სავლეთიდან კევი ფოლადაურს, რომელი გამოსდის ლოქის
 მთას და დაბნებით შენი არს. ამას ზეით არს მონასტერი ჰუ-
 ჯაბისა, გუნბათიან[ი], კეთილს ადგილს და აწ ცალიერ არს.
 ხოლო განჰყოფს ამ ადგილთა და ბერდუჯის მდინარეს მთა 15
 ლელვარი, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდან დასავლე-
 თად, და ამის მთისაგანვე გამოსული მცირე მთა, ჩდილოთკენ
 მდებარე ბოლნისისა. ხოლო ლელვარი არს მთა მალალი, თხე-
 მთა უტყეო და კალთათა ტყიანი, და ნადირითა სავსე. ლოქამ-
 დე სამკრეთის კერძი ბერდუჯისა და ჩდილოთ კერძი სომხი- 20
 თისა. კვალად ლოქის მთა განჰყოფს ტაშირსა და კაზრეთს,
 ბალიჰსა და დბანის კევისა, და არს იგიცა. ვითარცა მთა ლელ-
 ვარისა, და მიადგების აზოცის მთასა, რომელი არს ირჯანისა.
 არამედ ამ ადგილთა დებედიდამ ბოლნისის დასავლის მცირე
 მთამდე დაქციის მდინარიდამ ლელვარ-ლოქის მთამდე უწოდე-
 ბენ აწ სომხითს, ძველად არს საერისთო ხუნანისა. და 25
 არს შემკობილი ყოვლითა, ვენახნი და ხილნი მრავალნი, არამედ
 მთის კერძოდ არა არს. თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. მრო-
 წლენი, არვენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი, ღვინო
 მრავალი, მთათა ნადირნი ურიცხვი და ფრინველნი, რომელნი
 აღვსწერეთ, უთვალავნი. ჰაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთ კი- 30
 დესა ცხელი, უმშვენი, გაუძლისი, სხვათა ადგილთა კეთილი.
 ტყენი ბევრნი, წყარონი ცივნი და მშვენი უამრავნი. და ქციის
 სამკრით ველი იყო უწყლო. გაიღო ჟღ მეფემან ვახტანგ¹² ძვე-
 ლი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ად- 35
 გილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცი-
 რედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქარ-
 თულითა. სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურნი მრავალნი.

აღწერა
 თაშირისა

ხოლო ლოქის მთის სამართ კერძოს მდინარენი, რომელ-
 ნი დიან და მიერთვიან ტაშირის წყალსა, იგი ერთვის
 ლორის ციხესთან მდინარეს დებედას. არამედ ლორეს ზეით 40
 და ლოქის სამკრით, ვიდრე დებედამდე და არჯანის მთამდე,
 ეწოდების ამ ადგილს ტაშირისივაკისათჳს, და არს ნაყო-

ფიერი ჯორბლით, ქრთილით, სელით, შვრივით, პირუტყვის სიმრავლით; ზაფხულს ფრიად შვენიერი, ბალანოვან-ყვავილაინი, წყარონი მრავალნი მშვენნი, ფრინველნი, თვნიერ ჯობისა და კაკბისა, მრავალნი; მდინარენი კალმახითა სავსენი, არამედ სხვა თევზნი მცირედ. ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არარაი იპოვების, თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი. სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იხმევენ, სწვენ და ჰყიდიან. ზამთარს[ი] ცივი და თოვლიანი, ვითარ

5
10
15

ორს ადლად, და ყინვანი არამედ სცხორებენ უღუმელოდ. არა არს ტყე, არცა ხე, და ზიდვენ ლოქ-ლეღვარიდამ. უმეტეს ხმარობენ | წივათა საზრდელისა და სითბოსათვს. აქ მ ი ს ხ ა ნ ა ს¹ ითხრების ლითონი სპილენძისა მრავალი. კვალად ითხრების ქვა მიწიდამ წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა. მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, არამედ სამწყსონი არიან დბანისისა, და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელჩოხიანნი, ავფერუშვერად, განა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშკრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი.

20
25
30
35

ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ი რ ჯ ა ნ ი ს ა და აწ ყ ა რ ა ღ ა ჯ ა დ წოდებული. და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი. მდებარებს სამჯრიდამ ჩდილოთ კერძ. აქა ითხრების თეთრი ქვა, მგზავსი მარმარილოსი. ამ მთის დასავლით კერძ არს ა ბ ო ც ი, აწ ყ ა ი ყ უ ლ ა დ წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი, მოსავალმოუცდენელი: ჯორბალი, ქრთილი, სელი, შვრივა, სხვა არარაი, არც ხილნი და მტილოვანნი. პირუტყვთა სიმრავლე არს თივის სიბევრისათვს. თევზი მცირედ, და იგიცა კალმახი. ყ ა ზ ა ნ ჩ ი იყო ქალაქი მცირე. პალაკაციოსა და აბოცს შორის არს მთა ა ღ ბ ა ბ ა ს ი, და იგი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრ-ციხემდე და ტბამდე ტაშადანისა. ხოლო აბოცი აოჯრებული აღაშენა უ მეფემან ვახტანგ, ² და აწ ტყვე ყო შანადირ ³. სარწმუნოებით იყუნენ სომეხნი, კაცნი ჰაეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უმვერად მოსილნი, ვითარცა ტაშირელნი, განა ბრძოლასა გამოსადეგნი, და ესენიცა მხდელნი ზეთისანი.

40
45

ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძი არს დაბანისის ძეობა, და მდინარე მაშავერი, მიმდინარე მის შორის. ხოლო იწოდა ქციის რთვისათვს: „მა, შავერიე ქციას;“, და აწ მაშავრად წოდებული არამედ გამოს-

103

აღწერა აბოცისა აწ ყაიყულისა

აღწერა დმანის-ვევისა

*) სიტყვებიდან: „ხოლო იწოდა...“ აქნობამდე დაწერილია დედანში ანაფხეკზე.

დის კერუთის მთასა, და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნახიდურის ⁴ ბოლოს. ხოლო განჰყოფს მძობასა ამას სამართით მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით მცირე მთა ბოლნისისა, ჩდილოთ მთა ლუკუნისა, წავლილი აღმოსავლეთად, ვიდრე ნახიდურამდე, დასავლით მთა კერუთისა და ბოლოლისა. 5

და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყენი, და ჰვეთა შინა არს არყნაღნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი. აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა, და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. 10

ჟდ მეფემან ვახტანგ მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი. ხოლო კერუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა. აქა არს უდაბნო კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული და აწ ცარიელი. არს ტბა ორმოზანისა, არადიდი და უთევზო. 15

ხოლო დბანისამდე, მდინარის იმიერ და ამიერ, მთასა შინა დაბნებანი და, ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ, ნაყოფიერი და პირუტყვითაცა ეგრეთი, არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი. ხოლო დბანის ⁵ უდის ჩდილოთ მაშავერი, სამჭრით ფინეზაური, და ეწოდა სახელი ესე დაბანებო გამო: 20

„დაბანი ისი“. აქ დასხნა ბულა თურქმან ⁶ ოსნი. მიერ ჟამითგან იყო ციხე-ქალაქი [მის ჟამამდე არა სხენებული] ჰგ მეფის სვიმონამდე ⁷. და ამან წარუხვნა ოსმალთა, და მიერით მოლოჯრდა. არს ეკლესია ⁵ დიდი, უგუნბათო კეთილშეენიერი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა და დბანის-ჰევისა. ჰავით არს მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენობა მრავალი, არამედ შემუსვრილი. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა. აწ 30

შეაშენეს ყაფლანიანთა ⁸ ციხე სიმაგრისათჳს. ხოლო სამჭრით ფინეზაური ს-ჰევი არს მომდინარე ლოქის მთიდან ეგრეთითაცე ნაყოფიერებითა, ვითარცა ტაშირი და დბანის ჰეობა.

დბანის ქვეით არს ჩდილოთ კერძ ხინწის-ჰევი. მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქვეით სამჭრიდამ მაშავერს ერთვის 35

ბალიკის-ჰევი, ლოქიდან გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოქის კერძოთ ვითარცა დბანის-ჰევი. მას ქვეით ერთვის გეტი ს-ჰევი და ქვეეში ს-ჰევი; გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩდილოდამ მაშავერს, ეგრეთითაცე ნაყოფიერებითა. ქვეეში ს-ციხე არს მა- 40

ღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათჳს მშვენი, წყარო კეთილი. მას ქვემოთ ჰეობა კაზრეთისა, სამჭრიდამ

მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთი-
 ვე; ვითარცა კეობა ბალიჭისა. ყო რ ა ნ თ ა ს არს ეკლე-
 სია, სასვენი ატოცის წმიდის გიორგის ჯვარისა. ს ა ტ რ ე-
 დ ო ს, მაშავერზედ, შენი არს ხიდი ქვიტკირისა **ზ** თვალი, წყალ-
 5 დიდობისათვს. აქა არს ჭალა. ამას ზეით დ ი ს ვ ე ლ ი ს მ ი ნ-
 დ ო რ ი უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია-მაშავერს შუა და
 მოუცადი მარცვალთა, ბრინჯ-ბამბას გარდა. ხოლო ა კ ა უ რ-
 თ ა ს და ტ ა ნ ძ ი ა ს ქვიტკირის შენებულეზანი მრავალნი. არა-
 მედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის
 10 ეკლესიისათვს. რომელი აღშენებულ არს თხემსა ზედა მის მთი-
 სასა; და მის ქვემორ არს სამჭრით მონასტერი წ ი თ ე ლ-ე კ-
 ლ ე ს ი ა, ქვის წითლით შენებულობისათვს, შვენიერი, გარემო
 შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე, არამედ აწ ცალიერ
 არს. ჯ ა ნ დ ი რ ს არს მონასტერი ეგრეთივე და აწ ცარიელი.
 15 არს. მთა ესე ტყიანი, ნადირიანი. მდინარე მაშავერი თევზითა
 არადიდითი სავსე და მთის კერძად კალმახითა. ხოლო დბა-
 ნის ქვეით ქციამდე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხი-
 ლითა, თესლ-მარცვალთათა, ფრინველნი მრავალნი გარეულნი
 და შინაურნი, ზამთარს თბილი და მშვენი, ზაფხულს შეზავე-
 20 ბული, წყარონი ცივნი, მშვენი, ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვა-
 ვილნი მრავალნი.

არამედ ლუკუნის მთის ჩდილოთ კერძს არს მ დ ი ნ ა რ ე
 ზურტაკეტისა; გამოსდის შანზიანის მთას და მიერთვის
 ქციას მდინარეს ქციას. ხოლო განჰყოფს კეობას ამას აღმო-
 25 სავლით ქციის ჳრამი, სამჭრით მთა ლუკუნისა. ჩდილოთ მთა
 კვირიკეთისა და დასავლით მთა შანზიანისა. არამედ მთასა
 ამას შ ა ნ ბ ი ა ნ ი ეწოდების შამბ-ბალახ სიმადლისაგან, რამე-
 თუ. ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების.
 არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი, ჩდილოდამ სამჭ-
 30 რით * და მდებარებს მარადის ** თოვლი, გარნა ყვავილებითა
 მრავალფერ მშვენივართა და მფშვენითა, და წყაროთა შემკუ-
 ლი არს; უტყეო, გარნა ჳევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი
 თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვს. ხოლო
 სხვა არს ჳ ე ვ ი ფ უ ნ დ უ კ ი ს ა, სხვა შანზიანისა, სხვა არყნა-
 35 ლისა. არყნალ-შანზიანის ჳევს შუა არს წყარო შვენიერი, რო-
 მელი მარმარილოთი აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა
 შინა არს ირემთა სიმრავლე ჯოგ-ჯოგათ და ხროთ, და სხვათა

აღწერა
 ზურტაკე-
 ტისა

*) ეს ორი სიტყვა ჩამატებულია დედანში ზევიდან სხვა მელნით,
 ტექსტისავე ხელით.

**) აშიაზე ტექსტში შემოტანის ნიშნით, დედნის ხელით სწერია და-
 მოუკიდებელი წინადადება-შენიშვნა: „მარადის არს“. რედაქციას ტექსტში

ამ შენიშვნის მხოლოდ პირველი სიტყვა შეაქვს.

ნადირთაც. მოინადირა ჟდ მეფემან ვახტანგ, და მოკლეს დღე-სა ერთსა რპ. ხოლო არს დაბა ველსა ზედა შ ა ვ ი*-წყ ა რ ო-ყ ა რ ა ბ უ ლ ა ხ ი, ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა, არამედ სამწრეთის კალმახი არს შავი და ჩდილოსი თეთრი, და უკწითუ ჩასვა ჩდილოსი სამწრით, 5
გაშავდების და სამწრეთის ჩდილოთ ჩასმული განსპეტაკდების. და ამის სამწრით არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მ უ ს ი ს ც ი ხ ე – ყალა**, შიგან სდის წყარო, და ზურტაკეტა ამას ქვეით დის ჩდილოთ აღმოსავლეთს შუა. ხოლო ამას ეწოდა რ ა დ ა ბ რ ა გ ა ნ ი***. და ყარაბულახს ქვევით ზურტაკეტას ერთვის ს ა ფ ი ქ ლ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის ქ ა რ ვ ა ს ლ ი ს-ჯ ე ვ ს ა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მ ე ო რ ე ს ა ფ ი ქ ლ ი ს-ჯ ე ვ ი. აქა არს დაბადიდი გ ო მ ა რ ე თ ი ¹, ვითარცა მცირე ქალაქი. ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი, თვნიერ კალმახის, და იგი მრავალი. 10
კ ვ ი რ ი კ ე თ ი ს მ თ ა ს უწოდებენ ეკლესიისათვს, რომელი შენებელ არს თხემსა მთისასა, წმიდის კვირიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არა არს ჯეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თვნიერ მთის ხილთაგან კიდე, და ნაყოფითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. 15
აღწერა
თრიალეთისა
ხოლო ზურტაკეტის ჩრდილოთ კერძოთ არს თ რ ი ა ლ ე-თი. და განჰყოფს თრიალეთს აღმოსავლით კლდე-კრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა და მიდგმით ბენდერის მთისა; სამწრით მთა ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს კლდეისის დასავლით, გამო- 25
მართებით კვირიკეთი[ს] მთისა, ვიდრე ქარვასლის-ჯევის მთამდე; ჩდილოთ მთა კლდე-კრისა და ერჯევენისა, ვიდრე თორის მთამდე და ბაკულიანამდე; დასავლით მთა შავრაშეთი და ტბის-ყურის გამყრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე. 30
ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შავრაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის ჯრასა და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის 35
აღმოსავლეთად და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ე ძ ა ნ ს ² დაჯრამდების. და არს იმიერ და ამიერ კლდე ქარაფი და მაღალი, მჯარი რ მეტი, სიგანით რპ მჯარი და მეტიცა. ეძანს

*) ეს სიტყვა სწერია დედანში აშიაზე.

***) სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან.

****) სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან ნაცვლად წაშლილი სიტყვების: „შესაყარსა და“.

ქვევით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მალლის კლდი-
დან, ვითარცა ღარიდამ. ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ
ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი, არამედ არს მას
ზემორ კალმახი დიდნი და მცირენი, მრავალნი და გემოიანნი.

5 **ქლ** მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა,
და იპყრეს ორაგული, თვნიერ კალმახისა და სხვა თევზთა,
მას ერთს დღესა შ.

ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი,
ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი
10 დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე,
არამედ ზიდვენ ერჯევიდამ და ხმარობენ უმეტეს წივასა; მო-
სავლით, ვითარცა ტაშირი, გარნა ესე უმჯობესი მისა. თვნიერ-
აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილო-
ვანნი არარაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს
15 მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა, და დადგების ღვინო კეთი-
ლი და გემოიანი. ეძანს ზეით ერთვის ქციას ბ ე შ კ ე ნ ა შ ე-
ნ ი ს-ჯ ე ვ ი ჩდილოდამ. გამოსდის ერჯევისა და კლდე-კრის-
მთასა. აღმოსავლით ბეშკენაშენისა არს ტ ბ ა ბ ა რ ე თ ი ს ა,
მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნევი ლაკვის მთამდე, მას
20 ზეით ერთვის* ქციას ჯ ე ვ ი ე რ ა ნ-თ უ რ ა ნ ი ს ა, გამოსდო
ერჯევისა მთას, მოერთვის ჩდილოდამ, საბატეს, ქციას. მას-
ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიან[ი], წ ა ლ კ ა ს..
დიდი, კეთილნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა.
მას ზეით კ ო ხ ტ ა-ც რ ი ც ი ს-ჯ ე ვ ი, სდისვე ერჯევისა და
25 თორის მთასა, მიერთვის ქციას ა რ წ ი ვ ა ნ ს. თეზის ჯრამსა,
შინა არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესე-
ლის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მას ზემორ ს ა პ ო ნ ა უ-
რ ი ს ა და ც ხ ვ რ ი ს ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის თორის მთას, მომრ-
თვის ქციას თეზის ჯრამსა შინა, პირისპირ კოხაჯის-ჯევის. ქვე-
30 მორ სამჯრიდან ერთვის ქციას ა ვ ლ ა დ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის
ჯევე-ღრმის ჯრამსა. ესე არს ც ი ვ ი ა ნ უ მ ყ ი ნ ვ ა რ ი. მას
ქვემორ ერთვის ქციას ჯ ე ვ-ღ რ მ ი ს ა და ა ნ დ რ ა პ ო ლ თ ი-
ს ი ს-ჯ ე ვ ი. ხოლო ახალქალაქს ქვეით ერთვის ქციას ჯ ე ვ ი
აბანოსი ჩდილოდამ. მას ქვეით ერთვის ქციას კევი კარ-
35 წ ა ხ ი ს ა, გამოსდის უზნარიანს, მოდის აღმოსავლეთად. კარ-
წახის-ჯევის შესართავს ქვეით არს ციხე მ ო დ ა მ ნ ა ხ ი ს კ ა,
კვირიკეთის მთის ძირში, ჩდილოთ კერძ, ქციის მდინარის
პირს. ამას ზეითი არს თრიალეთი მოსავლით, ვითარცა ტა-

40 შირი და დაბანის-კევი დავსწერეთ თაფლითურთ. ხდიან ესე-
ნიცა სელისაგან ზეთსა.

*) დედანში: „ეთვის“.

42

ხოლო ტ ბ ა ფ ა ნ ა ვ რ ი ს ა არს დიდი და თევზით სავ-
სე, არამედ არა გემოიანი, რამეთუ ზაფხულს დღების გარე-
მოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტანგნი
ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვ-
ლისა შესდის ტბას მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა. 5
აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკჭთუ იყოს ვინმე მამდარ
ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხ-
ლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა, მდინარედ გა-
105 მომდინარე კლდიდამ, და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაო- 10
რის მთის თხემსა ზედა დგას ციხე დიდროვანის ლოდითა ნა-
შენი. არს კვალად მთა თავკვეთილი, კვედრმა, და საშუალ ფა-
ნავრისა და ტბის-ყურისა ბარძიმი და ჭიქიანი კვალად არს შავ-
ნაბადი შაორსა და თავკვეთილს შუა. არა არს მთათა ამათ
ზედა ტყე ანუ ხე, გარნა კევთა მცირე არყნალნი, ნადირნი მრავ-
ვალნი, ირემი და არჩვი ჯოგად, მშველი, დათვ. აქა არს 15
კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხელით
დაწყობილი და ნაშენი მთის ძირიდამ თხემამდე. არამედ რა
შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყვი, თრთის და იძვრის
დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შან-
ბიანსა * ზედაცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო; 20
უწოდებენ კარკნალსა. ტ ბ ა ტ ბ ი ს-ყ უ რ ი ს ა არს წყალი ან-
კარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნადოვანი, ტყია-
ნი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-
წვრილითა და ფრიად გემრიელითა. ხოლო არიან კაცნი თრია-
ლელნი მოსილნი: ვითარცა დბანის-კეველნი, სიმჭნე-ჰაეროვხე- 25
ბითაცა ეგრეთნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა.

აღწერა
ქციის ვრა-
მისა
ხოლო მოდამნახეს ციხის ქვევით არს ჳ რ ა მ ი ქ ც ი ი ს ა,
ვიდრე ნახიდურამდე, მაღალი და განიერი, ვითარცა დავსწე-
თერ ეძან-ახალქალქს შუათი, არამედ ეს უმეტეს მაღალი და
განიერი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი, ვენახოვანი, ხი- 30
ლიანი. ახალქალაქიდამ დის ქცია სამჭრით დაბის ქციისამდე.
მოდამნახეს ქვევით არს ვ ა რ დ ი ს-უ ბ ა ნ ს მონასტერი უგუნ-
ბათო, შვენიერს ადგილს. მას ქვევით ერთვის ქციას ჳ ე ვ ი
კ ლ დ ე ი ს ი ს ა, გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა. 35
ჯორჯებს არს ქვაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილი,
ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ; მას
წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი,

ზიდვენ ზაფხულს მეფისათჳს. ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა ვენახნი და ხილნი. ამ ჳევს ქვეით ქციაზედ არს ლ ი პ ა რ ი ტ ი ს-უ ბ ა ნ ს ¹ მონასტერი მცირე, კეთილშე-

*) დედანში: „მანბანსა“.

ნი. და აწ არიან ეს ორნი მონასტერნი ცარიელნი. აქ ერთვის ქციას ჳ ე ვ ი მ ვ ე ლ-გ ო მ ა რ ე თ ი ს ა, გამოსდის კვირიკეთის მთას. ესეც არს უვენახო, უხილო. მის ქვემორ არს და ბ ა ქ ც ი ა მდინარის ქციის პირს. აქა არს მონასტერი კეთილი და აწ ხუცის სამარად. ქვემორ მისა არს მონასტერი ფ ი ტ ა-რ ე თ ს ², შვენიერნაშენი, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი. მის ქვეით ერთვის ქციას ფ ო ც ხ ვ ე რ ი ა ნ ი ს-ჯ ე ვ ი, ვენახიანი, ხილიანი. ქვეით მისა, ქციის კიდესა ზედა, ც ი ხ ე ხ უ ლ უ ტ ი ს ა. მის ქვეით, სამჯრით, არს ც ი ხ ე ბ ე-რ ი ქ ა ლ ი ს ა. კლდესა ზედა, კლდითავე მოზღუდვილი, შშუალ-სა და მაგარს ადგილს. ქვემორ მისა ერთვის ქციას ჳ ე ვ ი ტ ო რ ნ ე *, ირაგის ჳეობის მდინარე. გამოსდის ბენდერის მთას, მოდის სამჯრით. არამედ ჳეობა ესე არს ვენახოვანი, ხი-ლიანი. ტყიანი, ნადირ-ფრინვლიანი, მოსავლიანი, გარნა ბენ-დერის მთის კერძოდ, ვითარცა სხვა მთის ალაგნი. ამ ჳევზედ სამღერეთს ზეით, გ ვ ი ა ნ ა ს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუ-ცის სამარს. მას ქვემორ მონასტერი ქციის ჳრამსა შინა პ ი რ-დ ე ბ უ ლ ს ³, კლდე გამოკვეთილი, დიდითა შენობითა და ყოვ-ლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა.

მის ქვემორ არს ციხე ო რ ბ ე თ ი. აწ წოდებული ს ა მ-შ ვ ი ლ დ ე ⁴. აღაშენა ქართლოს. და პირველმან მეფემან ფარ-ნაოზ ჳყო საერისთოთ და ქალაქი. არამედ იყო ჳგ მეფის სვი-მონისამდე ქალაქი. არს ფრიად მაგარი, სამჯრით უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჳივჳივა: საშორისსა ზედა არს გარდავლებული ჳრამით ჳრამამდე ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გადავლებული, ეგრეთვე დიდროვანითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუნბათიან[ი] ლ ბ მე-ფემან მირდატ, შემუსრა ლანგ-თემურ, მერმე ოსმალთა. ზაფ-ხულ არს ცხელი, ზამთარ ცივი, არამედ მშვენი და კეთილ-ჳაოვანი. ამის ძირს. ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ხოლო ქციის ჳრამი აქა არს სიმაღლით ს მჯარი და მეტიცა. და განით ფ დ მჯარი, და ჳივჳივის ჳრამი ს მჯარი აქ ჳივჳივასა ზედა არს კლდე სპეტაკი, და მისგან სცვივა ბრო-ლი გათლილი კუთხედ მწვეტი ორკერძ[ო]ვე. ჳ ი ვ ჳ ი ვ ი ს-წ ყ ა ლ ი ს დის ბენდერის მთასა და მოდის სამჯრით; არს ვე-

ნახოვანი, ხილიანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს
ნ ა დ ა რ ბ ა ზ ე ვ ი, თამარ მეფის ნასასახლევი. აქა არს ტბა
მცირე, ლულუფრისაგან კიდე მას შინა არარაი.

*) უკაწასკნელი ორი სიტყვა ჩაწერილია დედანში სტრიქონ ზემოთ,
ტექსტის ხელით და მელნით.

44

ხოლო სამშვილდეს ქვეით ქციის ჳრამი ნახიდურამდე
უმეტეს განიერი. აქ ნაყოფიერებს სხვათა ადგილთაგან მეტად
ბროწეული, ლელვი, ჳეთისხილი და სხვანი ხილნი. გაღანამცა
ზამთარ არს თბილი და ჳაფხულ ფრიად ცხელი, რამეთუ ჳან-
თარს შეშა არა უხმს. ნახიდურს ქვეით დის ქცია გაშლით მინ- 5
დორსა ჳედა გარნა კმოდე-ფლატიანსა იმიერ და ამიერ. არა-
მედ ჳრამათა ამათ შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მა-
ღალთა შინა გამოკვეთილნი სახიზრად; ვიეთნი აწ კაცთაგან
მიუსვლელნი არიან, და მას შინა ფუტკარნი მრავალნი, რო- 10
მლისაგან გადმოედინებიან თაფლნი. კვალად არს ქციასა შინა
თევზთა სიმრავლე ფრიად და გემოიანნი, პირუტყვი უამრავნი,
ამიერ და იმიერ დაბნებიანი. ხოლო ჳრამის კიდესა ჳედა რო-
მელნი დაბნები არიან, არა არს მუნ ვენახნი [და] ხილნი. ჩდი-
ლოთ კერძ ჳრამსა შინა აკეთებენ მცირედ აბრეშუმს. არს აქა
ფრინველთა სიმრავლე შინაურ-გარეულთა და უფროს კაკაბ- 15
თა. ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლო-
ბენ ელნი მოჳმადიანნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა.
არამედ ბაიდრის სულთანი, რომელი დასხნა შასეფიმ⁷ ავლავარს.
ქვეით ნაჯბადინამდე და ეკლესია-ნაზარა სოფლამდე. ხოლო
ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წ ყ ა ლ თ ა-შ უ ა და აწ 20
ბ ა ი დ ა რ ი. არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნა-
ყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა
და მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი. ბამბა მრავალ-
პირუტყვი აქლემიდან თხამდე ყოველნი, ფრინველნი გარეულ-
შინაურნი ყოველნი აურაცხელნი, და ფრინველით სანადირო 25
წარჩინებული ყოველთაგან.

ხოლო ნაჯბადინს ქვეით არს ხ უ ნ ა ნ ი⁸; დმოსავლით და
ჩდილოთ უდის მტკვარი, სამჯრით ქცია; აღაშენა ციხე-ქალაქი
ქართლოს, პირველ ეწოდა მ ტ კ ვ რ ი ს ც ი ხ ე, შემდგომად
ხუნანი, და აწ მოჳმადიანნი უწმობენ ქ ა ლ ი ს-ც ი ხ ე* - ყ ი ზ ყ ა- 30
ლ ა ს, დაბის გამო. ა მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ, ვი-
ნათგან იყო ქალაქი და ნაპირის ადგილი. შემდგომად ყრუსა⁹
მოოჯრდა ქალაქი, და ციხე იყო აქამომდე. აქა არს ნ ა ხ ი დ-
ვ ა რ ი. ამი |ს გამო აღაშენა ჳთ მეფემან როსტომ ხიდი ქვიტ- 35
კირისა, დიდშვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვე-
ნიერი, მჭვრეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა

ი მჯარი. აქათ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუქნი დიდ-
ნი და კეთილნი, თლილის ქვისანი. ხუნანის ველსა შინა არა
იყო ნაყოფი უწყლობით. **ქდ** მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ¹

*) ეს ორი სიტყვა, ტექსტში შემოტანის ნიშნით, სწერია დედანში
ამიაზე.

ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყო-
ფიერებს ფრიად.

ხუნანის ჩდილოთ კერძოთ ერთვის მტკვარს დასავლეთი-
დამ მდინარე ა ლ გ ე თ ი; გამოსდის კლდე-კარს და მოდის აღ-
მოსავლეთად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე: აღმოსავლით
მტკვრით, სამჯრით ლომთა-გორით და აწ მარნეულის გორის
აღმოსავლეთად გულთაფამდე, დასავლით ამისივ გორის წას-
რული, წრაუთის თავამდე, მიწვენილი სამეზამდე, და მისრული
ბენდერის მთამდე, და ბენდერი-ლაკვის გორამდე, ჩდილოთ გო-
რა კუმისისა, მტკვრიდამ მიყოლით კოჭრამდე, განვლის სამად-
ლოს და სხალნარს, მიადგების დიდგორს, და მერმე მთა დიდ-
გორი და ერიქალისა, და მიადგების კლდე-კარს; დასავლით
კლდე-კრის გამოკიდებული ლაკვის გორა, მიდგმით ბენდერისა.
ხოლო კ ლ დ ე-კ ა რ ი^ა აღაშენა ლიპარიტ ბაღვაშმან ², და არს
მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი.
არა არს უწყებული, რით ეწოდა ალგეთი. ამას ქვეით ერთვის
ალგეთს ს ა ყ ა ვ რ ი ს-ჯ ე ვ ი ჩდილოდამ. ამას ქვეით ერთვის
ალგეთს მ ჟ ა ვ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდიან კლდე-კარს. ამათ უწოდე-
ბენ კლდე-კრის სოფლებად. ამას ქვეით არს მ ა ნ გ ლ ი ს ი ³, ეკ-
ლესია გუნბათიანი, აღაშენა დიდმან კოსტანტინემ მირიან მე-
ფის ჟამს და დაასვენა აქა ფერაის ფიცარი უფლისა; აროდეს
შემუსრვილ არს. სამჯრით გუნბათსა შინა მაჰმად, ლომსა ზედა
მჯდომარე დახატული. იტყვიან, მის გამო მაჰმადიანთა არა
შეუმუსრავთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემ-
სი ალგეთის ჯეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე.
მანგლისს ქვეით ერთვის ალგეთს ჯ ე ვ ი კ ვ ე ლ თ ე თ ი ს ა, გა-
მომდინარე დიდგორის მთისა. ამას ქვეით ერთვის ალგეთს
ლ ა კ ვ ი ს-წ ყ ა ლ ი. დის ლაკვას ერთს წყაროს ერთი საწის-
ქვილო. არამედ ადგილი ლაკვისა არს შვენიერი, ვითარცა
თრიალეთი. ამას ქვეით ერთვის ალგეთს დ ვ ა ლ თ ა-ღ ო ლ ო ვ-
ნ ი ს-ჯ ე ვ ი. გარნა პატივანს ზეით კლდე-ქარ-დიდგორამდე არა
არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი ადვ-
სწერეთ მოსავლითა. გარნა არს ტყიანი, ნადირიანი. პატივანს
ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი, გვალვასა თუ გარდააბრუ-
ნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ
შეაფარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა.

აღწერა ალ-
გეთის მდი-
ნარისა

ამას ქვეით დის ალგეთი ჩდილოდამ სამჭრით და ერთვის საშუალს გ უ დ ა რ ე ხ ი ს-ჯ ე ვ ი. ხოლო გ უ დ ა რ ე ხ ს⁴ არს მონასტერი უგუნბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შვეწიერი, შვენიერს ადგილს, მრავალნი შენობანი; ზის წინამძღვარია მას ზეით, ბენდერის მთისაკენ, არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მაგარნი. ქვეით ამისა ალგეთს ერთვის ა მ ლ ი-

46

ვ ი ს-წ ყ ა ლ ი თაკვიდამ, დის სამჭრით ხოლო. ბუჟღულეთს ქვეით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან, ჩდილოთ კერძ, არს ციხე ბ ი რ თ ვ ი ს ი, კლდესა ზედა შენი და გარემო კლდითა მოზღუდვილი, ეჯ-ნახევარ ოდენ და შეუალი, და დიან მის შორის წყარონი. ჩ ხ ი კ უ თ ი ს სამჭრით არს ეკლესია ს ა მ ე ბ ა⁵, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არამედ საკურველი, რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქმნა, რომელი ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კარგი. ძველად იწოდა გ მ ი რ თ-ნ ა კ ვ ე თ ი, და იყო ციხე *, ხოლო აწ ეკლესია. ამას ქვეით ერთვის ალგეთს ჯ ე ვ ი ს ა ლ ი რ ა შ ე ნ ი ს ა, გამოსდის სხალნარს და მოდის სამჭრით ამას ერთვის ჳ ე ვ ი ზ რ ბ ი თ-ო შ ე თ ი ს ა. მასზედ არს მონასტერი ს ა მ ე ლ ი ს ი⁶. მას ზეით, ზრბითის ჳევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია ო რ ბ ე თ ი⁷, ხოლო ** სად ერთვის ალგეთს ჳევი ესე მუნ არს ციხე ფ ა რ ც ხ ი ს ი – ფარი ბირთვისის ციხისა, აწ შემუსვრილი.

ამის გამომართებით, სამჭრით, არს წ ი ნ წ ყ ა რ ო⁸, ქალაქი მცირე, მოსავლიანი, კეთილ-ჰაოვანი, მაღალს ადგილზედ მდგომი. აქა არს წყარო: უკჭეთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელნიმე და დღეთა შენთა ხარშო, ვერაოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად და სახმარად კეთილი ***. ფარცხის ქვეით ერთვის ალგეთს ჳევი ბ ო გ ვ ი ს ა, გამოსდის სხალნარს, მოდის სამჭრით. მას ქვეით ერთვის ალგეთს ჳ ე ვ ი ა ს უ რ ე თ ი ს ა, გამოსდის სამადლოს. ს ა მ ა დ ლ ო იწოდების მუნ ფუნდუკისათვს. მოდის ჳევი ესე სამჭრით. კიკეთს ქვეით, ჳემსა შინა, არს მონასტერი კ ა ბ ე ნ ი ს ა⁹. ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამჭრით, მას ზემოთ არს ციხე ა ზ ე უ ლ ა ს ი და აწ*** კ ო ჟ რ ი ს ა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამჭრით არს სასახლე მეფისა კ ო ჟ ო რ ი¹⁰. აღაშენა ჰთ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟა მეფემან გიორგიმ და ჟდ მეფემან ვახტანგ. დგე-

*) უკანასკნელი სამი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონ ზემოთ.

**) უკანასკნელი სამი წინადადება სიტყვებიდან: „ამას ერთვის ჳევი ზრბით-ოშეთისა...“ დაწერილია დედანში ანაფხეკზე ტექსტის ხელით.

***) ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „ხოლო აქა ვინათგან არს ყოფილი შენოგანი ფრიადნი, დიდ-დიდნი, და იწერვის დასავლით კერძოთ ხუნანისა გაჩიანი, და სანადიროცა ფრიად მრავალ არს, ვგონებ ყოფად ამას, ვინათგან საზღვარიცა არს გარდაბანისა, ანუ ნახიდურს, რამეთუ ნახიდური ეწოდების ხიდუმყოფელობისათჳს, გარნა ყოფილ არს მუნცა შენობა და საქალაქო კეთილი“.

****) უკანასკნელი სამი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოთ, ტექსტისავე ხელით.

5 ბოდნენ ზაფხულს მეფენი. დოუბნი ს-ჯევი გამოსდის კოჟ-
რის ციხის გორას და ერთვის ასურეთის-ჯევის. ასურეთის-ჯევის
ქვეით, სამჭრით, არს დურნუკი. აქა არს კარკნალი და და-
რანნი დიდ-დიდნი. ეგრეთვე მარნეულს, სადაცა არს
10 აფთარნი მრავალნი. მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწო-
და ძველადვე ლომთა-გორა. მის სამჭრით არს დაბაეკ-
ლესია, და სიციხისათჳს, ჯოჯოხეთად წოდებული. აქ ითხრე-
ბის მიწა, და ხდიან გვარჯილასა, ეგრეთვე იაღლუჯის მთასა
15 შინაცა მიწისაგან ხდიან გვარჯილასა. ხოლო ალგეთის მსახ-
ლობლის ბარათიანთაგან ეწოდების ამ ადგილთა საბარა-
თიანო აწინდელს ჟამსა, თჳნიერ დაბანის-ჯევისა, თრიალე-
თისა, ტაშირისა და სომხითისა, ჟამთა ამათ.

ხოლო ალგეთის შესართავის ჩდილოთ, იაღლუჯამდე,
15 მტკვრის პირს, სახლობენ ელნი მოჰმადიანნი, მთესველნი ბრინ-
ჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლისა. აკეთებენ აბრე-
შუმსა. მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვი-
თა. საყალტუთნის დასავლით არს იაღლუჯის მთა უტყეო და
უწყლო, და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლა-
20 შე. არამედ არს ფრიად ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუ-
კლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგ-
ნი და აქლემნი. იპოვების მგზავსი იამანის ქვისა, დიდი და
მცირე, მრავალფერნი. აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს
დასწვენ, და ნაცრითა მისითა ადუღებენ საპონს უმჯობესსა,
25 კვალად ხმარობენ სხვაფერცა. ამის მთის დასავლით, ხოშაგერ-
მას იქით, არს ობის-ციხე ველსა ზედა, და აწ შემუსვრი-
ლი, და ამის* ჩდილოთ კერძ არს ტბა კუმისისა, მლა-
შე, შესდის წყარო კოდისა, კვალად ერთვის კოჟრისა და გუ-
დელისის-ჯევის წყალი. ამ ტბის დასავლით არს კუმისი,
30 დაბა დიდი, ვენახოვანი, ლედვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი.
ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი ბრინჯ-ბანბას
გარდა; კანაფი უმუშაკოთ სცენდების. კუმისის თავს, კლდესა
შინა, არს გამოკვეთილნი ქვაბნი. კუმისის აღმოსავლით, მტკვრი-
საკენ, არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა სას-
წაულთმოქმედი. მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყურთა, და

35 აწ ს ო ნ დ ა ლ უ დ ი წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე ამ ჭალიდამ იაღლუჯამდე, და კუმისის ტბამდე, და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული ს ა რ ვ ა ნ ი ს ა, მეფეთა აქლემთა დგომისათჳს, უწყლობით უნაყოფო.

*) სიტყვებიდან: „ხოშაგერმას იქით არს.“ დაწერილია დედანში-სტრიქონს ზევით, ტექსტისავე ხელით.

48

აღწერა ხოლო კოჟრის ჩდილოთ კერძ არს ს კ ვ ი რ ე თ ი ს მ დ ი-
სკვირეთის ნ ა რ ე, აწ წოდებული ვ ე რ ე; გამოსდის დიდგორის მთას, მო-
მდინარის დის აღმოსავლით, ერთვის მტკვარს დასავლიდამ. ტფილისის ჩდი-
ლოთ კერძ. შესართავსა ზედა არს ლ უ რ ჯ-მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ¹. და
კეობა ესე დიდგორის მთის კერძო არს უვენახო. უხილო ვანათამ- 5
დე, მას ქვეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინ-
ვლიანი. ვანათს ქვეით არს ც ი ხ ე წ ვ ე რ ი ს ა. სამჯრით აქავ
არს ჯ ე ვ ი გ ე ლ ი ყ ა რ ი ს ა. მას ქვეით, წყდულეთს, ერთვის ვერეს
კევი, და ამ კევის თავს, მთაში, ჩდილოთკენ, არს ც ი ხ ე ლ ა ს-
ტისა. ამას ქვეით, სამჯრით, ყოვლად წმიდის მონასტერი ბ ე- 10
თ ე ნ ი ა ², გუნბათიანი, მაგარს ადგილს, თამარ მეფის აღშე-
ნებული, აწ ხუცის სამარ. მუნ ერთვის კევი ვერეს სამადლო-
დამ. ამასზედ არს რ კ ი ნ ი ს-ც ი ხ ე, უქვიტკირო, კლდისა-
გან მოზღუდვილი*. ამას ქვეით არს ა ხ ა ლ დ ა ბ ა და მის და- 15
სავლით უ ძ ო, ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა
ზედა, მჭვრეტი კოჟრისა და ტფილისისა. არამედ არს კეობა
ესე ფრიად მაგარი და მოსავლით და პირუტყვით შემკული-
გარნა იცის სეტყვა ხშირად, რამეთუ მოადგს დიდგორი. ხოლო
მ თ ა დ ი დ გ ო რ ი ს ა არს მაღალი და თხემთა უტყ[ე]ო, კალ- 20
თათა ტყიანი, ბალახ-ყვავილითა და წყაროებითა შემკული, ნა-
დირნი მრავალნი. აქა არს წყარო – ცივებით გაყვითლებულმან
უკჭით სვას და დაიბანოს პირი, წამს განჰკურნებს. იყო ძვე-
ლად მეფეთა სადგური ზაფხულს, აწ არს მეფეთა ცხენთა საბ-
მური ზაფხულს! არს მრავალთა ადგილთა მჭვრეტელი. ამისი
ჩდილოთ კერძი მეოთხე სადროშოსი, ხოლო სამჯრით კერძი 25
ამის სადროშოსი. ამის პირისპირ, სამჯრით, მ თ ა ბ ე ნ დ ე რ ი-
ს ა, ეგრეთვე ტყიანი და ბალახ-ყვავილოვან-წყაროიანი, და
თხემთა უტყ[ე]ო, და თრიალეთისაკენ სრულიად უტყ[ე]ო. ხო-
ლო ესენი, რომელნიცა ადვსწერეთ, ძველად არს ორ სა-
ერისთოდ. 30

გარდაბანისა რამეთუ გ ა რ დ ა ბ ა ნ ი არს საზღვრით: აღმოსავლეთით
და გაჩიანის მტკვარი და, ხუნანის გამართებით, ბერდუჯის აღმოსავლეთის
საერისთონი მცირე მთა; სამჯრით შულავრისა, ჭაპალისა და ბოლნისის
გორაები; ჩდილოთ მტკვრიდამ ტფილისის გორაები ტაგნაგე-
თამდე; დასავლით კევი ასურეთისა, წინწყაროს გამომართე- 35

ბით ნახიდურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის³ გამო, რომელსა მისცა დედამან თვსმან ხუნანი და ესენი **, და მან უწოდა სახელი თვსი ამას-

*) ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „ვგონებ ობის ციხედ ამას“. ეს სიტყვები ფრჩხილებშია მოთავსებული.

**) უკანასკნელი სამი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევით, ტექსტისავე ხელით.

ვე უწოდეს შემდგომად აგარანი. არამედ შემდგომად განდგომისა გრიგოლი მთავრისა⁴, ამას დაედვა გრდანი, ლილო და მარტყოფი, და იწოდებოდა ესენი გარდაბანად⁵. და არს ს ა-
5 ე რ ი ს თ ო ხ უ ნ ა ნ ი ს ა: წინთქმული გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი. ხოლო მეორე ს ა ე-
რ ი ს თ ო – ს ა მ შ ვ ი ლ დ ი ს ა – არს საბარათიანო, დბანის-ჯევი, სკვირეთი, თრიალეთი, რომელი იყო წილი გაჩიოსი, გარდა-
ბანს ზევითი, ამან აღაშენა ქალაქი გ ა ჩ ი ა ნ ი. იყო ესე მე
10 ქართლოსისა, რომელსა მისცა დედამან ო ბ ი ს-ც ი ხ ე*, და სკვი-
რეთიდამ, ვიდრე ფანავრამდე და აბოცის თავამდე **. და გან-
ყოფილებამდე იყო ესრეთ საერისთოთ, არამედ უწოდებდენ დღედმდე სომხითსაცა. თვნიერ თრიალეთისა, ორთა საერისთო-
თა, რამეთუ, ვინათგან ხოსროვანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგ-
15 რატ მეფისამდე სომხითის მეფეთა ადგილნი ესენი, ვითარცა მოგვიტხრობს ცხორება, ამისთვის უწოდეს სომხითი. ხოლო აწინდელს ჟამსა იყო ერთ სასპასპეტოდ, რომელნი შეიცვალე-
ბოდნენ სპასპეტნი.

კვალად იაღლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ
20 არს ბ ო ს ტ ა ნ-ქ ა ლ ა ქ ი⁶, რომელი არს რ უ ს თ ა ვ ი, ხოლო აწ ნ ა გ ე ბ ი. ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალა-
ქი შემდგომად კვ მეფემან თრდატ⁷ აღაშენა ეკლესია კეთი-
ლი. გორგასალ დასვა აქა ეპისკოპოზი, და იყო იდ მეფის და. ვითისამდე⁸, არამედ გამოსლვასა ბერქა⁹ ყეენისასა მოოჯრდა¹⁰,
და აწცა არს ოჯერ. ამ.ჟამთა ქმნა სასახლე ჟბ მეფემან ერე-
25 კლემ¹¹, მერმე შემუსრა ჟდ მეფემან ვახტანგ. ხოლო საზღვარი ამისი არს: დასავლით მტკვარი, ჩდილოთ ჯევი ლოჭინისა, აღ-
მოსავლით მთა გარეჯისა, ვიდრე მწარე-წყლადმდე, სამ-
ჯრით მწარე-წყალი.

ნაგების აღმოსავლით და სამჯრით არს ველი დიდი ყ ა-
30 რ ა ი ი ს ა, სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდენ მეფე-
ნი წლითი წლად. ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი, სავსე ეშვითა, მშვლითა, დათვთა, მგლითა და წვრილის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად, და ჯოჯობნი მრავალნი. გარეჯის მთას არს მონასტერნი¹², კლდესა შინა გამოკვეთილნი, სენაკნი, ტრა-
35 პეზნი, პალატნი; ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნ ა თ ლ ი ს

ბოსტან-ქა
ლაქი და
გარეჯის
მთის აღწე-
რა

მ ც ე მ ე ლ ს ზის არქიმანდრიტი, ჩ ი ჩ ხ ი ტ უ რ ს ზის წინამ-
დღვარი, დ ა ვ ი თ გ ა რ ე ჯ ა ს არქიმანდრიტი, ბ ე რ თ-უ ბ ა ნ ს ¹³
წინამდღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი, ვიდ-
რე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი, ხოლო აწ არს ხუ-

*) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევით, ტექსტისავე ხელით

***) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევით.

50

თი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრო-
ბენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე,
არამედ მეძვი, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიან[ი], შემ-
ქულნი და დახატულნი ძველითგანვე. მონასტერად ქმნული არს
108 იგ მამათაგანისა დავითისაგან, მერმე შემკული, მომატებული 5
მეფეთაგან. ნაგებიდამ ¹⁴ გაიღო ჟღ მეფემან ვახტანგ რუ
მტკვრისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს | ქვეითი
მინდორნი. ყარაის ჭალას ქვეით, მტკვრის კიდეს, ესახლნენ ელ-
ნი დემურჩისალნუ, სავსენი პირუტყვითა, რამეთუ ზამთარ
სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი 10
ესე, და პირუტყვნი მათი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა,
რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან
და პირუტყვთა შემრგონი. არს მთასა ამას ზედა თუთუბო, კა-
პარი მრავალი. ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს,
ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა და ზაფხულს ადვლენან 15
ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა. არამედ აჰყარა შანა-
დირ და დასხნა ხორასანს. და არს ესეცა სასპასპეტო საბარა-
თიანოსი. ნაგების ჩდილოთ, მტკვრის კიდეზედ, არს ჭ ა ლ ა ყ ა-
რ ა ღ ა ჯ ი ს ა, ეგრეთვე ნადირიანი და ჯოჯობ-ფრინვლითა სავ-
სე. იდგა ჯოჯი მეფეთა, და უწოდებდენ ს ა ჯ ო გ ი ს ჭ ა ლ ა ს. 20
არამედ ესე ადგილნი ნაგებს ზევით არს ძველად კუხე-
თისი, რომელსა მისცა დედამან კუხოსს ¹. ხოლო ნაგებს ქვეითი
წერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას, და გარეჯის მთას
მასვე ძველს სახელს. ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბა
რათიანოს მთავარნი და აზნაურნი, ვითარცა ნიშანი გვიდვია 25
რუკასა ამასა. არამედ არიან მშვიდნი, მორჩილნი, ბრძოლასა
შემმართებელნი, შვენიერ-ჰაეროვანნი, ეგრეთვე ქალნიცა უმე-
ტეს ნაზნი. ხოლო თათარნი, რომელნიც დავსწერენით, არიან
სუნნი, ქვეით, ვითარცა შვენის პირუტყვთა მწყემსთა, გარნა
მწნენი, შემმართებელნი, აჯოვანნი, ჰაეროვანნი; უწოდებენ თა- 30
რაქამად, ვინათგან ბრიყვნი, უცოდინარნი არიან, ქალნიცა ეგ-
რეთნივე, არამედ მოშავგვრემონი, მხნენი და მბრძოლნი უფ-
როს კაცთა, ცხენითა თუ ქვეითათ.

აღწერა მე-
ოთხე სასპა-
ხოლო არს მ ე ო თ ხ ე ს ა ს კ ა ს კ ე ტ ო ტფილისიდამ,
ვიდრე ტაშის-კარამდე მეფისა თანა მყოფნი, და იმზღურების: 35

აღმოსავლით ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შა-
რობის ლილოსასა აღმოსავლით-სამჯრითკენ ლოჭინამდე, რო-
მელსა ეწოდების ომანის-ჯევი, მუნით განვლის სამგორსა და
ჩადივარს შუა, და მრავალ-წ[ყ]აროსა, და სათის-ჭალას შუა,
და მიადგების ბერთ-უზნის ღელესა. ხოლო ლილოდამ ჩდი-
ლოთკენ მიადგების ჯევ-ძმარს, და ჯევ-ძმარი მტკვარს მიადგე-
ბის, და მტკვრის კიდე მცხეთამდე. სამჯრით ლოჭინის-ჯევი და

40

51

გამოღმართ კრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორას
და წყნეთის გორა,და სკვირეთის ჩდილოთ კერძი სხალ-დიდამ-
დე, და სხალ-დიდიდამ დიდგორის მთამდე მიყოლით: ერიქალის
მთა, კლდე-კარი, ერჯევანი, თორის მთა და გაყოლით ნარია-
5 ნის ხაზი ტბის-ყურამდე; ჩდილოთ მტკვარი და დასავლით,
დამჩხერალოდამ სადგერსა და თორს შუა, ბაკულიანის მთამდე.
და ტბის-ყურამდე. ხოლო ტფილისის სამჯრით ერთვის მტკვარს
კ რ წ ა ნ ი ს ი ს-ჯ ე ვ ი დასავლეთიდან, კუმისისა და შინდისის
მცირე მთებიდამ გამომდინარენ[ი].

10 ხოლო ტფილისი ² არს სამი ქალაქი – ტ ფ ი ლ ი ს ი,
კალა და ისნი. |ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს:
კალას უდის ჩდილოთ-აღმოსავლით, ტფილის – ჩდილოთ და
ისნს – დასავლით და სამჯრით. ხოლო კალასა და ტფილისს
ჰყოფს ს ა ლ ა ლ ა კ ი ს-წ ყ ა ლ ი, რომელი გამოსდის წავკისისა
15 და კოჟრის მთებსა *, სამჯრით და აღმოსავლით უდის კალას
და დასავლით ტფილისს. არამედ პირველი იყო დაგა. კუ მ ე-
ფის ვარზაბაკურის ჟამსა შინა აღაშენა შ უ რ ი ს-ც ი ხ ე მცხე-
თისათჳს ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დად-
ვა საფუძველი **, დაჩიძ ³, ლ დ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახ-
20 ტად მეფეთა, და მურვან ყრუს შემდგომად შემუსრეს საზარ
თა, და აღაშენა ამირ აგარიანმა ***. შემდგომად შემცირებასა
მცხეთისასა და აოჯრობისა მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა
ბაგრატიოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ. არს
მით აბანონი ექვსნი და დიდშენნი, ავაზიანნი. მარადის მომდი-
25 ნარე ცხელი წყალი. აქ, თ ა ბ ო რ ს, ყოფილა ციხე, არამედ
აწ შემუსვრილი არს. აქ დასხნა შასეფიმ სეიდნი მის გამო
სპარსნი უწოდებენ *** ს ე ი დ ა ბ ა დ ს. ყოფილან ეკლესიანი
დიდშენნი, არამედ აწ შემუსვრილნი არიან. კალას არს ციხე,
ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალალაკის-
30 ჯევი მტკვრამდე. სალალაკის-ჯევის კარს უწოდებენ გ ა ნ ჯ ი ს-
კ ა რ ა დ. მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი წმიდის
ნიკოლაოზისა და სასახლე მეფისა, პალატნი დიდ-დიდნი და
შვენიერნი. არამედ დაუტევა ჰ თ მეფემან როსტომ, ჩამოზღუ-
და კალა ციხიდან ხიდის ყურამდე და მისცა სპარსთა; მიერით-

აღწერა
ტფილისისა

35 გან უპყრავთ მათ. და თავისა თვისისათჳს სამეფოდ აღაშენა სიონსა და ანჩისხატს შუა სასახლედ, მტკვრის გარდაკიდებით,

*) სიტყვეგნდან: „რომელი გამოსდის წაჯვისისა...“ სწერია დედანში სტრიქონს ზევით.

**) უკანასკნელი სამი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოდამ.

***) სიტყვებიდან: „შემდგომად შემუსრეს ხაზართა...“ ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოდამ.

****) ამ სიტყვის შემდეგ დედანში სწერია: „სეიდის შენნი“.

52

ციხილბაშთა რიგისა. **ჟ**დ მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდმხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა შემუსრეს ოსმალთა.

არს კალას ეკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, ს ი ო ნ ი ⁴ წოდებული, ღვთისმშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა **ლ**თ მეფემან გურამ. შემდგომად შეასრულა ქვრივმან ვინმე და მოქალაქეთა. და **მა** მთავარმან ადარნასემ, ხოლო აწ, დარღვევასა ზედა მიხდილი, განაახლა და აღაშენა ძირიდან გუნბათითურთ უდ მეფემან ვახტანგი ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტფილისის სამცრით ქციისამდე. არს კვალად ეკლესია **ჯ ვ ა რ ი ს**, გუნბათიანი, შვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან. არს კვალად **ან ჩ ი ს ხ ა ტ ი** ⁵, დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსვრილი აღაშენა კათალიკოზმან დომეტიმ, ძემან ქაიხოსროსამან ⁶, არს ნათლისმცემლის. გუნბათ[ი] მოარღვია **პ**თ მეფემან როსტომ, სხვით განაახლა **ჟ**დ მეფემან ვახტანგ. არს კვალად დაბალს ციხესა შინა ეკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან. **გ** უპყრავთ სომეხთა. უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად **პ**თ დედოფალმან მარიამ. კვალად აღაშენა **ჟ**დ მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. **ჟ** დედოფალმან როდამ ⁷ აღაშენა ერთი უგუნბათო; კვალად უგუნბათო ოთხი აწ უპყრავთ სომეხთა, ხოლო ხიდის ყურს აღაშენა მეჩიტი შაისმაილ ⁸. **პ**თ მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თვისა ერთი და განჯის-კართან ერთი. ურუმთ, ქრისტესსა **ჩღვზ**, აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შანადირ. 25

ისნს არს. კიდესა მტკვრისასა, კლდესა ზედა. ციხესა შინა ეკლესია **მ ე ტ ე ხ ი** ⁹, ღვთისმშობლისა, გუნბათიანი, დიდშვენიერნაშენი, საარქიმანდრიტო: შემუსვრილი აღაშენა **ფ**გ მეფემან დიმიტრიმ. **ჟ**ბ მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდან ციხესა. 30
ხოლო ხიდის ყურის სამართ არს საფლავი წმიდის აბოსი რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისის ¹⁰. ხოლო **ი ს ნ ი ს ც ი ხ ე**

109 ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდნენ | ოსმალნი ქრის-
ტესსა ჩღვ^წ და დაშთათ უსრულნი, ისნს არს ეკლესია ერთი
უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი, და უგუნბათო ერთი
უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი
ტფილის, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსვრილნი არიან.
კალა მოზღუდა მეორე შააბაზ¹, პირველი შემუსვრილი.
სამჯრით მოავლო სალაღაკის კლდეზედ; დასავლით ქმნეს ორი
კარი, ჩდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარეთ უკმობენ აწ გ ა-

35

40

*) „იტყვიან ამის აღშენებას გორგასლისსა“.

რ ე თ-უ ბ ა ნ ს, სადაცა არს ასპარეზი. აქა არს ეკლესია გუნ-
ბათიანი ბ, უგუნბათო ბ, და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნ-
ბათო ბ უპყრავთ ქართველთა. კალას არს რომაელთა ეკლესია
ერთი და მონოზონნი. ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა
5 აწ ტფილისს და განყოფით: კალას – ტფილისსა, ტფილისს –
სეიდაბათს და ისნს – ავლაბარს, და გარეთ-უბანი არს ტფილი-
სისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰ-
მადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ
ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან
10 ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა,
ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი
ქვიტკირისანი არიან. ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი
შვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქა-
ლაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა
15 და ყვავილითა სავსე, გარნა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერ-
ნი, ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფ-
ხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო სანადირონი მრავალნი
ახლოს, ფრინველთა და ნადირთა. ხოლო კვალად დასავლით,
20 იშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მ თ ა წ მ ი დ ი ს ა²
და აწ ცალიერი.

ხოლო ტფილისის სამჯრ-აღმოსავლით არს ნ ა თ ლ უ ხ ი.
მუნ დის ნავთი კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით
მრავალი არა იდების. აღმოსავლით ტფილისისა არს ლილო.
არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო
25 წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირე-
ნი და უთევზონი, მყვრითა სავსე; სხდების წერო და ბატი მრავა-
ლი. ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დ ი დ უ ბ ი ს ა, რომელ-
სა პირველ ეწოდა ც ხ ე ნ ი ს-ტ ე რ ფ ი. ტფილისიდამ მცხეთამდე
უწყლო, არამედ მოსავლიანი. კვალად ტფილისის ჩდილოთ არს
30 ლურჯ-მონასტერი ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო; დი-
დი, აწ ხუცის სამარ. ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირი-

სა. გარნა მერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მის სამჯრით არს ველი ს ა ბ უ რ თ ა ლ ი ს ა. ამას შინა ყოფილა რუ, ვერიდამ მოტანილი, და აწ უმისოდ უნაყოფო არს. მას 35 ზეით არს ტ ბ ა ლ ი ს ი ს ა, და მის დასავლით მთა ს ხ ა ლ დ ი დ ი ს ა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა. ამის სამჯრით ჯეობა* დიდმისა. გამოსდის ამისი წყალი სხალ-დიდსა და სა-თოვლიას მთას** და დის აღმოსავლით, მიერთვის მტკვარს

*) „აქიდან ძეგვის წყლამდე მუხრანისა არს, ხოლო აწ ესრეთ რიცხვენ“ (ვახუშტი).

**) ეს სიტყვა სწერია სტრიქონს ზემოთ დედანში.

54

დასავლეთიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი და მას ზეით მთებრი.

სამჯრით არს ველი დიდი დ ი ლ მ ი ს ა, უნაყოფო, არამედ ბა-
ლახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრა-
ვლენი. ნ ა ქ უ ლ ბ ა ქ ე ვ ს ზეით არს დ ე ვ ი ს-ნ ა მ უ ხ ლ ი-კლდე, 5
გაჭრილი გზად. მას ზეით მ უ ხ ა დ-გ ვ ე რ დ ი. მას ზეით, მცხე-
თის ხიდის სამჯრით, არს მონასტერი ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ უ რ ი, ყო-
ვლადწმიდისა*, უგუნბათო, კეთილს ადგილს; იდგნენ მოწესე-
ნი. მის დასავლით მცირე ჯ ე ვ ი ქ ა რ თ ლ ი ს ა, სდის მისსავე
მთას და მოდის ჩდილით. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა 10
ქართლოს და უწოდა სახელი თვისი, არაოდეს შემუსვრილი
მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაგა. ამ ადგილის
გამო ეწოდა ამ ქვეყანათა ქართლის. ა მეფემან ფარნაოზ აღ-
მართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვისისა, და მის გამო ეწო-
და ა რ მ ა ზ ი ადგილსა ამას. და დაეფლა ქართლოს აქავე, და 15
ფარნაოზცა წინაშე კერპისა თვისისა. არამედ კერპისა ამის მსა-
ხურნი რომელნი იყუნენ, იგინი იყუნენ საქართველო. ხოლო
შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინომ. არამედ იყო
ქალაქი არმაზი³ აქითგან, ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსა-
გან და შემდგომად მისა მოოჯრდა, ხოლო აწ არს დაბნები. 20

აღწერა მცხე-
თის ზემო-
თისა
დასავლით არმაზისა არს ც ი ხ ე-დ ი დ ი. მის დასავლით
ჯ ე ვ ი მ ე გ ვ ი ს ა. სდიან სხალ-დიდს, მიერთვიან მტკვარს სამ-
ჯრით. არს ღვინო და მბალი მუნებური კეთილი. კვალად
ამის დასავლით ჯ ე ვ ი ნ ი ზ ბ ი ს ი ს ა, გამოსდის დიდგორს, დის
ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამჯრითამ. 25

ნიჩბისათვის
ნი ი ზ ბ ი ს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე, აწ
ხუცის სამარ. ამ ნიჩბისის-წყლის შესართავზედ, მტკვარზედ, არს
კ ო წ ა ხ უ რ ა ს ფ ო ნ ი, მუხრანს გამსვლელი.

კავთის-კევი-
ნიჩბისის დასავლით ჯ ე ვ ი კავთისა.. გამოსდის დიდ-

გორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამჭრიდამ. ქვათახევამ-
 დე ვენახოვანი, ხილიანი. ქ ვ ა თ ა ხ ე ვ ს არს მონასტერი ⁴ ყოვ-
 ლადწმიდისა ^{***}, გუნბათიანი, შვენიერნაშენი. ზის არქიმანდრი-
 ტი. და არს ადგილი შემეული, ზაფხულს გრილი, წყაროიანი;
 ზამთარ თბილი: გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი. ამას
 შინა შეჰყარა ლანგ თემურ მოწესენი და შეასხა ეჟვანნი [რომელ-
 ნი იტყოდენ: „ვაი ჩვენა დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნე-
 ბიან!“], და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღე-
 საც იატაკსა ზედა ჴელნი, ფერჴნი, თავნი და გვამნი. არავინ

30

35

*) უკანასკნელი სამი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.
 **) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.
 ***) სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

შევალს ფეკცმული, არამედ ფერჴშიშველნი, სიწმიდისათვს. ამას
 ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა, მაღალს კლდესა
 ზედა შენი. კავთას ქვეით ერთვის ამ ჴევს ჴ ე ვ ი ბ ო ტ ი ს ი-
 ს ა. ქვათახევ-წინარეხს ქვეით ერთვის ამავე ჴევს კვეი გ უ დ ა-
 რ ე ხ ი ს ა. წინარეხის აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს
 მონასტერი ლავრა ⁵, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ
 უქმად. გუდარეხის-ჴევზედ არს თ ვ ა ლ ი ვ ს სასახლე მეფეთა,
 ნაშენობა დიდი.

10 ხოლო დასავლეთით კავთის-ჴევისა დის მდინარე თ ე მ-
 მ ი ს ა გამოსდის ჴვარებსა და თორის საშუალს მთასა, და დე-
 და-ციხემდინ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთკენ და
 მიერთვის მტკვარს სამჭრიდამ. აქ მტკვრის კიდეს არს მონა-
 სტერი ყოვლადწმიდისა, გუნბათიანი, დიდი, მ ე ტ ე ხ ი ⁶, კეთილ-
 შენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო. ამის ზეით არს ს ხ ე რ-
 ტ ი ს ჴ ა ლ ⁷. ამის სამართ არს თემამზედ ახალქალაქი:.

თემისათვის

15 ამის ზეით ეკლესია გუნბათიანი, ერთა წმიდისა ⁸, სასწა
 ულთ-მოქმედი. ამის აღმოსავლით არს ც ი ხ ე ც ხ ი რ ე თ ი ს ა,
 ნასასახლევი მეფეთა. ერთაწმიდის დასავლით არს ც ი ხ ე
 დ რ ი ს ა, მაღალს კლდესა ზედა. მაგარი, მდინარესა ზედა
 20 თემმისასა. ამის სამჭრით, ზემოთ თემმის მდინარესა ზედა, არს
 კ რ კ ო ნ ს ⁹ მონასტერი გუნბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს
 ადგილს. აქა არს ლითონი ბრჴენისა მრავალი, იტყვიან ვერც-
 ხლსაცა. ზის წინამძღვარი. აქამომდე არს თემამი ვენახ-ხილითა
 ნაყოფიერი. ამას ზეით, ვითარცა თრიალეთი ჴვარებითურთ.

110

25 კრკონს ზეით, ჴევ-ღრმას, არს მონასტერი. მას ზეით **, ერიქა-
 ლის მთის ქვეშა, არს დ ე ე ა-ც ი ხ ე, კლდით მოზღლუდვილი, ფრი-
 ად მაგარი. და მდინარესა ამას შინა არა არს თევზი, თვნიერ-
 კალმახისა, და იგი მრავალი, გარნა წყალდიდობას შემოვალს
 კაპოეტნი და ჟამად ორაგულნიცა. გომიდამ მეტეხამდინ არს
 30 ჴალა სხერტისა ^{***}, და არს ჴოჯობი მრავალნი.

თეზის დასავლით არს ჯ ე ვ ი ხ ო ვ ლ ე ს ი, გამოსდის რაზ-
მითის მთას, მოდის ჩდილოდამ, ერთვის მტკვარს სამარიდამ;
არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეზიდამ ატენის-
წყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზის რუთი,
და არს ფრიად მოსავლიანი, თვნიერ ბრინჯ-ბანზისა.

ხოვლესათვს

ამას დასავლით არს ჯ ე ო ბ ა ა ტ ე ნ ი ს მდინარისა. ტა-
ნა გამოსდის ჯამჯამს და საცხენისის მთას, დრის-წევამდე დის
აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამჭრი-

ატენისათვს

*) ეს წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

**) უკანასკნელი ხუთი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს
ზემოდან.

***) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

56

დამ. მტკვრის სამჭრით-დასავლეთიდამ ერთვის ატენის -წყალს
წ ე დ ი ს ი ს-ჯ ე ვ ი. წ ე დ ი ს ს არს ციხე მცირე, და არს ჯეობა
ესე ვენახოვანი, ხილიანი. კვალად ატენის-წყალს მოერთვის აღ-
მოსავლიდამ ვ ე რ ი ს-ჯ ე ვ ი. აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა.
და ჯეობა ესე არს ვენახოვან-ხილიანი. ვ ე რ ი ს დ ა ბ ი ს დასა- 5
ვლით არს, დანახვისის მთის ძირს, მონასტერი კეთილშეგნიერი
ყოვლად წმიდისა *. ამას ზეით ა ტ ე ნ ი ¹, მცირე ქალაქი. მოსახლე-
ნი ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალს კლდესა ზედა,
ნაშენი დიდი, და ციხის გორის სამარით არს საცივი, ვითარცა 10
მყინვარი, სადაც დგება ღვინო წარჩინებულ; ჩდილოთ კერძ
სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა, და სდის სხვაცა ცი-
ვი წყარო. ატენის სამჭრით არს მონასტერი ს ი ო ნ ი ², გუნბა-
თიანი, კეთილნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს ახ-
ალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი.
სიონის პირისპირ, დანახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლის- 15
მცემლისა. დ ა ნ ა ხ ვ ი ს ი დგას მაღალს მთასა ზედა. ეკლესია
წმიდის გიორგისა, მჭვრეტი ქართლისა. ამას ზეით მოერთვის
ტანას ჯ ე ვ ი დ რ ი ს ა, გამომდინარე რ ა ზ მ ე თ ი ს მ თ ი ს ა;
და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო. აქა არს საფ-
ლავი ჯაფირისა, რომლისა სიგრძე ხუთი ადლი, და სცოცხლებ- 20
და ჟამსა როსტომ მეფისასა**. ხოლო ბობნავს ზეით ერთვის
ტანას ღ უ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე საცხენისის მთისა. და***
ბობნავამდე ჯეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი; მას ზეით მთუ-
რი, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური
არს ტყედ****. ბობნავს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ციხე კ ი- 25
კ ა ნ ა თ-ბ ე რ ი, კლდით მოზღუდვილი, და წყარო შიგ გა-
მომდინარე, და ფრიად მაგარი. ამ ციხის დასავლით, მთასა
შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა ა ხ ა ლ ი-ჯ ვ ა რ ი, სას-
წაულთმყოფი, რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშველნი და

მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი.
ხოლო მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოიანი,
მრავალნი, და სხვა თევზნი არა. წედისის ჩდილოთ და გორის
პირისპირ არს ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა
ზედა ნაშენი. სასწაულთმოქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდე-
ბარებს ჯვარსა შინა, უწოდებენ გ ო რ ი ჯ ვ ა რ ს ³. არა იყო მუნ

30

35

*) უკანასკნელი წინადადება ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზე-
მოდან.

***) ტექსტი სიტყვებიდან: „სიონის პირისპირ, დანახვისის ძირში“...
სწერია დედანში აშიაზე.

****) წინადადება სიტყვებიდან: „ბოზნავს ზეით ერთვის... სწერია
დედანში სტრიქონს ზევით.

*****) დედანში აქ წაშლილია: „სიონს ზეით მოერთვის სამკრიდამ
დრის-ვევი“.

წყალი, ჟდ დედოფალმან რუსუდან ⁴ მოიტანა ბურეთის
მთიდან.

დასავლით გორიჯვრისა არს ჯ ე ვ ი ს კ რ ი ს ა, და მიერ-
თვის სამკრიდამ მტკვარს. ამ კეობის დასავლით არს ხ ვ ე დ უ -
5 რ ე თ ი ს ჯ ე ო ბ ა. გამოსდიან საცხენისის მთას და მიერთვის
სამკრიდამ მტკვარს. და არიან ესე ორნი კეობანი ვენახოვანნი,
ხილიანნი. ხვედურეთის დასავლეთით არს მონასტერი ყ ი ნ -
ც ვ ი ს ს ⁵, წმიდის ნიკოლაოზისა, გუნბათიანი, დიდშენიერად ნა-
შენი, მაღალს ადგილსა ზედა; ზის წინამძღვარი. ამის სამკრით,
10 მთასა შინა, ა რ ს ს ა რ კ ე ს ⁶ მონასტერი უგუნბათო ფრიად კე-
თილნაშენი და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს მ ა მ ი ს
ჯ ე ო ბ ა. გამოსდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჭალამდე
აღმოსავლით, მას ქვეით დის ჩდილოთ, მიერთვის მტკვარს
15 სამკრიდამ. მტკვრის კიდესა ზედა არს ციხე ს ა მ წ ე ვ რ ი ს ს,
დიდი, შიგ ეკლესია კეთილშენი. სამწევრისის სამკრით მოერ-
თვის ძამას ი მ ე რ ხ ე ვ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის საცხენისის მთას.
აქ არს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი მ ა მ ი ს ა ⁷, და აწ ხუცის სამარს. იმერ-
ხევის დასავლით, ძამაზედ, არს მ ძ ო რ ე თ ი ⁸, მცირე ქალაქი.
მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს მაღალს კლდესა ზედა
20 ნაშენი. ესე არს მ ა მ ი ს-ც ი ხ ე. ამ ციხის ქვეშ სასახლე ცი-
ციანთა. მძორეთის დასავლეთს, გვეძინეთს, ერთვის ძამას ჯ ე ვ ი
მ უ ხ ა ლ ე თ ი ს ა. აქა არს ციხე. კვალად გვეძინეთის დასავლით
მოერთვის ჯ ე ვ ი ა ბ უ ხ ა ლ ო ს ი. აქა არიან ქვაბნი გამოკვე-
თილნი მაღალს კლდესა შინა მრავალნი. მას შინა ეკლესია კე-
25 თილი და კაცთა შეუალი სიმაგრით. აქიდან გარდავალს გზა
გუჯართს რაჭის ხევზედ *. აბესალოს დასავლით გარდავალს
გზა გუჯართს. ამ გზის დასავლით და ქოზიფას ზეით არს

აღწერა სა-
ციციანოსი,
ხვედურეთ
ზეით, დამ-
ჩხერლომდე

კლდე ფშენიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო, და მის ქვეით** არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილშენი, მთასა შინა, და აწ უქმი. არამედ გვეძინეთამდე არს ჯეობა ესე ვენახოვანი, სოლომანი და მას ზეით მთური. მძორეთის ჩდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით, არს მონასტერი ყოვლადწმიდისა*** წრომს⁹, გუნბათიანი, შვენიერი, სოფის კენჭი ჩაწყობილ-დახატული, და ხუცის სამარ. ხოლო ამას ქვეითს მინდორს რწყავს რუ მამისა და ნაყოფიერებს. წრომის დასავლით არს ჯევიმიწობისა. მის დასავლით არს კრისის-ჯევი, ამინ დასავლით ჯცისის-ჯევი. და არიან ჯევი ესენი ვენახოვანი, ხილიანი.

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში აშიაზე.

**) სიტყვებიდან: „გარდავალს გზა გუჯარეთს. ამ გზის დასავლით,“ სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან.

***) ეს სიტყვა დედანში სწერია სტრიქონს ზემოდან.

ხოლო დამჩხერლოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი, ბრინჯ-ბამბას გარდა ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი: ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე, თვნიერ აქლემისა. ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვითარცა მთისანი დავსწერენით, ნაყოფითა და პირუტყვითა, ტყიანი, ნაძოვან-ფიჭოვანი და ნადირიანი. მთა დიდგორისა და ერიქალისა ჩთილოთ კერძი არს ამ ადგილისა, და ნადირიანი არიან, და ერიქალის მთასა შინა არს მეტი სხვათა თხა. კლდე-კრის დასავლით არს მთა-ერჯევისა, მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერძოსაკენ ტყიანი. არს დიდნი და მცირენი ნადირნი მრავალნი. აქ, მთის თხემსა ზედა, არს წყარო – თუცა სვას დაცონილმან, ჰგონებს სამდღე უქმელობასა. და შემკულნი არიან მთანი ესენი შვენიერებითა. ხოლო კვალად წრომის ჩდილოს, მტკვრის კიდესა ზედა, არს დაღალულამინდორი, და ნაშენი და ფრიად ნაყოფიერი. ზამთარ პირუტყვთა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინველთა სხვადასხვითა სავსე, გარნა ზაფხულს გაუძღისი. ტფილისიდან გორამდე მტკვრის კიდე აქა და იქით არს ჭალიანი, კლდიანი; ნადირნი და ჯოჯობნი მრავალნი. გორიდან დამჩხერლომდე ფლატოიანი და ჭალიანი, ვითარცა დაღალულა.

5

10

15

20

აღწერა თორისა და აწ გუჯარეთისა

ხოლო ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და ქეობათორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამის შუათს მთასა და მიდის დასავლით, მერმე მომგრგვალდების ჩდილოთ სადგერს ზეით და მიერთის მტკვარს სამკრიდამ, და აწ განყოფილი არს სადგერად და გუ-

25

ჯ ა რ ე თ ა დ. ამ ადგილის კაცნი ყოფილან მბრძოლნი ძლიერ-
ნი, აწცა არიან მკნენი. გომარეთს ზეითი ჭვარებამდე არს 30
კეობა გუჯარეთისა, და ყოფილარიან მრავალნი შენობანი და
ეკლესიანი, გარნა აწ შემუსვრილნი. გუჯარეთის სოფელს ქვეით
კიმოთისმანამდე, თორის წყალზედ, აქათ და იქით, არს კლდე,
რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი ფიქალ-ფიქალი შავი,
და ბურვენ მით სახლებსა *. არს გუჯარეთის ჩდილოთ, მაღალს 35
მთის თხემსა ზედა, ციხე თ ო თ ხ ა მ ი, მჭვრეტელი ქართლ-
იმერეთისა. ამას ქვეით არს ციხე მ ო მ წ ვ ა რ ა ს, და ეკლე-
სია მცირე, და შენობანი დიდნი. არს კვალად, სარბიელას ზეით,
ციხე. ს ა რ ბ ი ე ლ ა ს-ჯ ე ვ ი ს თავს, მაღალს მთის წვერზედ,

*) უკანასკნელი წინადადება, სიტყვებიდან. „გუჯარეთის სოფელს
ქვეით კიმოთისმანამდე...“ ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოდან.

არს ციხე ა ლ ე წ ი ს ა, მაგარი და მჭვრეტი ქართლ-იმერე-
თისა*. ხოლო ადგილნი ესენი იყო უშენი, მცირეთაგან კიდე-
ალაშენა ჟღ მეფემან ვახტანგ. არა არს აქა ვენახნი და ხილ-
ნი, თვნიერ მთის ხილთა, და სხვით ნაყოფიერი მთისებრ,
5 ბალახ-ყვავილითა, ტყითა და წყაროებითა შემკული; ნადირნი
მრავალნი, წყალი კალმახით სავსე. მოერთვიან სამჭრიდამ და
ჩდილოდამ ჳევი თორის წყალსა. აწ იყო ნარიანიცა ამისი,
სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე,
ვიდრე ტბის-ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შვენიერსა. დის
10 ქცია საშუალს ნარიანისა, კალმახით სავსე [იტყვია[ნ1] ტბის-
ყურისას – თამარ მეფემან ჳყო ტბად. ვინათგან ჩანს ნარული,
რომელი გაიტანაო ქციიდან – და აწ უქმი არს].

ხოლო არს სასპასპეტო ესე შემკული მთითა, ბართა,
პირუტყვითა, ნადირ-ფრინვლითა. მოსავალნი, რომელნიცა
15 აღვსწერენით, მრავალნი ნაყოფიერებს. კაცნი და ქალნი შვე-
ნიერნი, მშვიდნი. მორჩილნი და ვიეთნი შფოთის მოყვარენი,
მბრძოლნი ძლიერნი. სამწყსონი კათოლიკოზისანი. სახლობენ
მთავარნი ოთხნი ** და აზნაურნი მრავალნი. აწ ვიწყებთ
სხვასა.

20 მ ე ს ა მ ე ს ა ს პ ა ს პ ე ტ ო არს, რომელი იწყების მცხე-
იქიდან. ხოლო კათალიკოზი, ვინათგან მეფისა თანა მყოფი არს,
და არს მეოთხე სასპასპეტოსი, არამედ მუხრანი, ორი არაგვი,
ქსნის-ჯევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. ხოლო
მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუხათაგან, სადაცა არს ადგილ-
25 თა ამათ შინა ტყე უმეტეს მუხანი. გარნა საზღვარი მუხრანისა
არს ძეგვის-წყლიდან დიდმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავ-
ლით მზღვრის არაგვი, სამჭრით მტკვარი, ჩდილოთ ციხე ბო-
დავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამჭრითკენ

აღწერს მე-
სამე სასპას-
პეტოსი

30 გარდაჭრილი ხაზი შავ-ტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე.
 ხოლო მ ც ხ ე თ ა¹ არს ორს მდინარეს შორის: სამჯრით
 უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი, და მუნ შეკრებებიან.
 აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან, და უწოდა სახელი-
 თა თვისითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწო-
 დებდნენ დედა-ქალაქსა. მერმე მოზღუდა არდამ, ერისთავმან²
 35 სპარსთამან; მანვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩდილოთ ცი-
 ხე. კვალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკვრადმდე. ამის გამო
 ისწავლეს ქართველთა ქვიტკირი. და იმყოფოდა ქალაქსა ამას
 შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი, და მორჩილებდენ

აღწერა
 მცხეთისა

*) უკანასკნელი წინადადება, სიტყვებიდან: „სარბიელას ჳევის თავს...“
 სწერია დედანში სტრიქონს ზევით.
 **) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევით.

60

ამას. შემდგომად აზონ მოარღვია ზღუდე, ა მეფემან ფარნაოზ
 კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამითი-ჟამად ამაგრებდნენ. ხო-
 ლო მირიან აღაშენა ეკლესია მოციქულთა, ხისა, სამოთხესა
 შინა თვისსა, სადაცა არს კვართი უფლისა, რომელი მოილო
 ელიოზ, და ხალენი ელიასი. და კვ მეფემან მირდატ³ აღაშენა 5
 მონაკვეთსა სვეტისასა გარემო ქვიტკირის სვეტი, და ამისგან
 ეწოდა ს ვ ე ტ ი ც ხ ო ვ ე ლ ი⁴ ეკლესიასა ამას*, და აღმართა
 მას ზედა ჯვარი, რომელსა სდიოდა მირონი სამკურნალო, და
 აწ უწოდებენ სამირონესა. და ჩდილოთ ამისა მირიანვე აღა-
 შენა ეკლესია მაცხოვრისა ღვთაებისა **, ს ა მ თ ა ვ რ ო⁵, ქვიტ- 10
 კირისა, გუნბათიანი, დიდშვენური, და დაეფლა მირიან მუნ
 და მგ მეფე მირ⁶. ამას შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი,
 და აწცა ზის მთავარ-ეპისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზევით
 დიდ-ლიახვამდე. ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვიტ-
 კირითა და შეამკო დიდად. მანვე დასვა კათალიკოზი. შემ- 15
 დგომად, ძვრით დარღვეული, აღაშენა ოა მეფემან გიორგიმ⁷,
 მერმე შემუსრა ლანგ თემურ, აღაშენა ოა მეფემან ალექსანდ-
 რემ. არს სიგძით*** ... ადლი და განით*** ..., ფრიად მალა-
 ლი. შემდგომად შთამოვარდა გუნბათი. მოაშენა პთ მეფემან
 როსტომ. ჟდ მეფემან ვახტანგ შეამკო კარი სამირონესი ოქ- 20
 როთა, მინითა და ვერცხლითა, და ჰყო მოფენილ-მოფარდა-
 გულ ზეზით კერილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ,
 დავით ლაშას ძე, დიმიტრი თავდადებული, დიდი ლუარსაბ⁸,
 სვიმონ და გიორგი⁹ [აწცა ეფლვიან, არამედ უშვერ არს]. აქავ
 ლა მეფემან არჩილ¹⁰ აღაშენა ეკლესია ს ტ ე ფ ა ნ წ მ ი დ ი ს ა,
 აღმოსავლით, არაგვის კარსა ზედა. ყოფილან ეკლესიანი მრა-
 ვალნი, არამედ შემუსვრილნი არიან. არიან შენობანი დიდნი,

პალატნი დიდ-დიდნი. ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოჯრდა [იტყვიან მძლავრებისათვის მოჰმადიანთა არღარა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან, და შეიგინოს სიწმიდე]. ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულ ცხელი, არამედ ჰავით მშვენი, მოებთა შორის მდგომი, რამეთუ აღმოსავლით აქუს მთა ჯვარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარკინეთისა, სამჯრით მთა ქართლისა და კარსნისა.

30

აღწერა მუ-
ხრანისა

ხოლო ს ა რ კ ი ნ ე თ ი არს მცხეთის დასავლით, სადაცა აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა და, მოსლვასა ალექსანდრე მაკიდონელისასა, განხვრიტეს მთა ესე სხალტბისაკენ და ივლტოდნენ კავკასეთად. მერმე შემუსრა ალექსანდრემ. და არიან

35

*) სიტყვებიდან: ‘და ამისგან უწოდა...’ სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ, აშიაზე გატანით.

**) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევით.

***) აქ დატოვებულია დედანში ცარიელი ადგილი.

61

ქვაბნი, გამოკვეთილნი კლდისაგან, მრავალნი, და კლდე ესე არს, ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი და მ დ ვ ი მ ე მას შინა, რომელსა შინა სცხორებდა წმიდა შიო, იგ მამათაგანი. ზის აწ არქიმადრიტი. არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი სასწაულთმოქმედი*, რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მკვეცი შეჭმად პირუტყვთა მონასტრისასა. არს აქა კვალად ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილნაშენი. ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ჰ მონაზონნი ამათ ადგილთა შინა¹. არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრატოიანი, უწყლო, ნადირიანი. თვნიერ ირმისა, ყოველნი. სამჯრით კერძი მტკვრისა უმოსავლოიანი, ხოლო ჩდილოთ კერძი მოსავლიანი, ვენახ-ხილიანი. დაიწყების მთა ესე მცხეთიდან და მივალს გორამდე, და ვიდრე ალამდე.

ხოლო მცხეთას განჰკვეთს არაგვი, გარნა მოებმის ზედაძნის მთა და მივალს ქისიყამდე. ხოლო მდინარე ა რ ა გ ვ ი განჰყოფს ქართლსა და კახეთს. და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისთავე, ვინათგან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ ჰევთა!“ არამედ არს მდინარე ურგები, თევზი, თვნიერ ორაგულისა, არარაი, და იგიცა ჟამად. გამოსდის მალრან-დვალეთის ქნოლოს კავკასის მთიდან, და ციკარიდამ დის აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა, ვიდრე გუდამაყრის ჰევამ | დე და მუნიდამ სამართ დის მტკვრამდე. ამიერ და იმიერ ჰალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირითა, ეშვითა და ჯოჯბითა სავსე.

ხოლო მცხეთის ჩდილოთ არს ციხე ბ ე ლ ტ ი ს ა ¹, აღაშენა არდამ ერისთავმან. ამის ჩდილოთ არს ღ ა რ თ ი ს - კ ა რ ი,

5

10

15

20

25

30 ჰევი ღრმა და მშრალი. მის ჩდილოთ არს მ დ ი ნ ა რ ე ნ ა რ ე-
კ ვ ა ვ ი ს ა, რომელი გამოსდის ალევის მთასა და დის სამჯრით
ტყვილიანამდე, მერმე აღმოსავლეთით და მიერთვის არაგვს
დასავლეთიდან. ესე გამოვლის შორის მუხრანსა. არაგვის და-
სავლით, ნარეკვავსა ზედა, არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირი-
თა და ჯოჯბითა სავსე. და არს მდინარე ესე უჟანამდე ვენა-
ხითა და ხილითა ნაყოფიერი. ხოლო ნარეკვავის ჩდილოთ,
35 არაგვის პირს, არს ს ა ფ უ რ ც ლ ე და საფურცლის ჩდილოთ
მ ი ს ა ქ ც ი ე ლ ი, მთის ძირს. ამის დასავლით, ამ მთის ძირს,

*) „წმიდის შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი-წლად, ძვალი ში-
შველი, თვნიერ ჯორცთა, და თავიანისცემდენ და მიიღებდენ კურნებასა.
შანადირ მოავლინა მოჰმადიანნი, რათა იხილონ, უკჭთუ ჭემმარიტი არს
ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრივეს. შემდგომად
შეკრიბეს და დაასვენეს მუნვე. მიერთით არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე“.
(ვახუშტი).

62

არს ეკლესია წ ი ლ კ ა ნ ს ², ღვთისმშობლისა, გუნბათიანი და
შვენიერი. აღაშენა კე მეფემან ბაქარ, ზის ეპისკოპოზი, მწყემ-
სი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა. ტყვილია-
ნიდამ ისო წილკანელმა, იგ მამათაგანმან, წარმოილო ყავარჯ-
ნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოთ წყალი, და 5
მოილო წილკანს და დის დღედმდე. დაფლულ არს წმიდა ისო
მუნ. ხოლი ირწყვის მინდორი ამისი რუთა მით და ნაყოფიე-
რებს ფრიად. ტყვილიანის ჩდილოთ არს მონასტერი მ ჭ ა დ ი ს-
ჯ ვ ა რ ი ს ა ³, საბურდიანოსა შინა, გუნბათიანი და აწ უქმი.
კვალად ნარეკვავის შესართავის დასავლით, სარკინეთის მთის 10
ჩდილოს გვერდი, ვიდრე ქ ა ნ დ ა-ც ი ხ ი ს ძირამდე, არს ვე-
ნახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი, ხოლო ციხის-ძირს
ჩამოუდის კსანი. ოძისამდე არს მუხრანისა, ოძისის ჩდილოთ
კერძი ქსნის ჰევის. ციხის-ძირის სამჯრით არს ც ი ხ ე
მ ტ კ ვ რ ი ს ა ⁴, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა 15
ოთ მეფის კოსტანტინეს ⁵ ძემან ბაგრატ ⁶. ამ ციხის სამჯრით,
მტკვრამდე და ნასპარსევამდე, არს მ ი ნ დ ო რ ი ნ ა ს კ ა რ ს ე-
ვ ი ს ა წოდებული. ოდეს დაისხნენ თურქთა მოსლვასა სპარს-
ნი, და მოსწყვიდნა ალექსანდრე დიდმან ⁷, მათ გამო ისახელა.
არს უწყლოობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და
იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე. 20

ხოლო კსანი მდინარე ერთვის მტკვარს ჩდილოდამ, ცი-
ხეს ქვეით. ციხის-ძირს ზეით ერთვის კსანს შ ი ო ს-უ ბ ნ ი ს-
წყ ა რ ო ს-წყ ა ლ ი აღმოსავლეთიდან. არამედ შიოს-უბანს არს 25
შენობა დიდი სასახლეთა. ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე
ქრისტესა ჩდლ. აწ არს სახიზრად. ამის ჩდილოთ ქ ს ო რ ი-
ს ი. მუნ არს აღებული რუ, და რწყავს ორთა ამათ მთა-

თა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთა-
 თა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ო ძ ი ს ი
 და, დასავლით კსნისა, ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ- 30
 ბეგთათავისა; ირწქვის ქსნის რუთივე და ნაყოფიერებს. ხოლო
 ციხის-ძირის დასავლით, კსანს იქით. ასტყდების მ თ ა თ ხ ო-
 თ ი ს ა, რომელსა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტეანედ.
 აწცა არს მუნ ნიში ჯვარისა, რომელი აღმართა წმიდამან ნი-
 ნომ, სვეტისაგან გამოკვეთილი. ამ მთის მობმით მთა წლევი- 35
 სა წარვალს გორამდე. ამ მთათა სამჯრით არს, მტკვრამდე და
 კასპამდე ქსნიდამ, მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, გარნა
 ბალახიანი და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა. ხო-
 ლო მდინარემან კსანმან მოიგო სახელი ესრეთ, რამეთუ მდინარე
 ესე არს სხვათა მდინარეთა ერთი კსანი. და არს სარგებლია- 40
 ნი მდინარე და თევზიანი. არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკუ-
 ოლი არს ზამთარ სითბოთი, და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩა-

ლიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივ-
 ნი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა,
 ვენახთა, თესლმარცვალთა მრავლად ნაყოფიერებს. პირუტ-
 ყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი მრავალნი, რამეთუ ზამთარ
 5 ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურ-
 ნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი. სახლობენ გვარიან-
 ნი აზნაურნი და კაცნი მჭნენი და მზრძოლნი, არამედ მპარავ-
 ნი. პირველ იყო მეფეთა სადგური; აწ უპყრავს, შემდგომად
 10 ბაგრატისა, მნხრანის ბატონსა, ამასვე აქუს დროშა სასპასპე-
 ტე არაგვ-ქსნისა.
 ხოლო კვალად არაგვის პირს არს ო ხ ე რ-ხ ი დ ა, რო-
 მელსა ეწოდა პირველ ხ ი დ ა რ ი, სადაცა აღაშენა ვარზაბა-
 ქარ ციხე და უკუჯდა ჳევსა კახეთისასა და არაგვის *. მოსაკ-
 ციელიდამ; და ოხერ-ხიდის ანანურამდე არს ვენახოვანი,
 ხილიანი; და ოხერ-ხიდის ჩდილოთ არს ბ ო დ ო რ ნ ა ს ⁸ ქვაბ-
 15 ნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩდილოთ უ რ ი ა,
 მოსახლენი ვაჭარნი. ჩდილოთ მისა, არანისთან, ზ ა ნ დ უ კ ლ ი ს-
 ჳ ე ვ ი, მას ზეით ვ ე ძ ა თ კ ე ვ ი ს-ჳ ე ვ ი. ამ ჳევისა და არა-
 გვის კიდეზედ არს ა ნ ა ნ უ რ ი ⁹, ძველად იყო ეკლესია მცი-
 20 რე, არამედ წელსა ქრისტესა ჩდდ აღაშენა გიორგი ერისთავ-
 მან ეკლესია გუნბათიანი, დიდი. გარემო მოავლო ზღუდე
 ქვიტკირისა, და მალალს კლდესა ზედა სძქმნა კომკი და ციხე-
 ჰგონებდა სიმაგრედ თჳსად და მომავალთა თჳსთა, არამედ
 ექმნა საბრხედ და მომწყვეტელ ძეთა და ნათესავთა მისთა.
 25 ვემათ-ჳევის დასავლით არს ს ა ფ ე რ შ ე თ ი და ა ლ ე ვ ი, მთა-
 სა ზედა; და ალევი არს მთა მალალი, თხემთა უტყეო, კალთა-

აღწერა არა-
 გვის-პირის
 და ზაზალე-
 თისა

თა ტყიანი. ესე წარივლის სამწრით ოძისამდე და ჩდილოთ
 ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის-ჯევსა და ბაზაღეთსა. ამ
 ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო ¹⁰, მჭვრეტი
 30 ქართლ-კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯვართა
 ოქროსა და ვერცხლისათა, და სამსახურებელნი ეკლესიისანი
 მრავალნი. კარნი აქუს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა, რა
 ჟამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა უქმნე[ს]
 35 კარნი ოქროსანი და დასდევს ურემსა წარბმულსა, და მოიღო
 მუნ. ამ მთას გასდის ნ ა რ ე კ ვ ა ვ ი.

არამედ ვეობასა ამას ბენის-ჭილუტამდე ეწოდების გ რ ე-
 მ ი ს-ჯ ე ვ ი. არა არს გრემის-ჯევს ვენახნი და ხილნი, სხვითა
 ყოვლითა მოსავლიანი. და ამ სიმგრვლეს შორის არს ბ ა ზ ა-
 ლ ე თ ი, რომელსა ეწოდა დაბის გამო. აქვს ბაზაღეთს აღმო-

*) ტექსტი სიტყვებიდან: „ყარს ოხერ-ხიდა, რომელსა...“ სწერია
 დედანში სტრიქონს ზევით, აშიაზე გატანით.

სავლით არაგვი, სამართ ციხე ბოდავისა და ტინის მთა *,
 დასავლით გრემის-ჯევი და ალევის მთა, ჩდილოთ ჭართალის
 მთა. არს აქა ტბა ბ ა ზ ა ლ ე თ ი ს ა, დუშეთის ¹¹ წინარე
 მდებარე, და არს ურგები და უთევზო, და წურბელი მრავალი. 5
 სხდებიან ფრინველნი მრავალნი. არიან ტბის გარემოს, მუხრა-
 ნის კერძ, არაგვისკენ, გრემის კერძ და ანანურის კერძით,
 დაბნები ვენახოვანნი, ხილიანი, მოსავლიანი და უწყლოობით
 113 არა მრავალნაყოფიერნი. არიან მცირე წყარონი დაბნებთა.
 ჰავითა მშვენი და კეთილი. კაცნი მზრძოლნი და მპარავ-ავა-
 ზაკნი და უშიშნი ღვთისა. წილკნის მთის ზეით, ვიდრე ანანუ- 10
 რამდე, უმეტეს ტყიანი, ღელოვან-წრამოვანი. ხოლო ანანურს
 ზეით ერთვის არაგვს დასავლიდამ ჭ ა რ თ ა ლ ი ს-ჯ ე ვ ი. მის
 ჩდილოთ არს მ თ ი უ ლ ო-კ ა რ ი, სიმაგრე მტკიცე; მას ზეით
 ნასასახლევი მეფეთა და ხ ა ნ დ ო ს-ჯ ე ვ ი, რომელი გამოსდის 15
 ლომისის მთას, ერთვის არაგვს დასავლეთიდამ.
 აღწერა გუ- მის ზეით ერთვის ჯ ე ვ ი გ უ დ ა მ ა ყ რ ი ს ა არაგვს ჩდი-
 დამაყრისა ლოლამ; გამოსდის კავკასს გუდამაყარსა, ჯევსა და ძურძუკს
 შორისსა. და არს გუდამაყრის ჯეობა მაგარი, მოსავლით, ვი-
 თარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი და ქალ- 20
 ნი მგზავსნი მთიულთა, კელოსანნი, მშვილდთ-მოქმედნი, აკე-
 თებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და წართაგან.
 აღწერა მთი- ხოლო გუდამაყრის-ჯევის შესართავს ზეით, დასავლეთ-
 ულეთისა ჩდილოს შუა, არს მ თ ი უ ლ ე თ ი. ამ მთიულეთსა და კსანის-
 ჯევს განჰყოფს ცხრაზმასა და ჯანდოს ლომისის მთა. გუდამაყ- 25
 რის-ჯევს ზეით, სამწრიდამ მოერთვის არაგუს ა მ ი რ თ-ჯ ე ვ ი.
 კვალად მოერთვის სამწრიდამვე ჩოხელთ-ჯევი. ამას ზეით მოერ-

თვის არაგვს ცეცხლის-ჯვარიდამ ჳ ა რ ხ ე ლ თ-ჳ ე ვ ი. ამას ზეით არს ნ ა ღ ვ ა რ ე ვ ი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულეზა დიდი. მას ზეით მოერთვის არაგვს ღ უ დ ო ს-ჳ ე ვ ი. ამას ზეით არს მონასტერი ყოვლადწმიდისა და აწ უქმი. და ეს ჳევენი გა- 30 მოსდიან ლ ო მ ი ს ი ს მ თ ა ს. მონასტრის სამჯრით, მთის თხემსა ზედა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლ ო მ ი ს ა ¹ [და ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე], უგუნზათო. არს მრავალნი ხატნი და ჳვარნი ოქრო-ვერცხლი-სანი, დახიზნულობით. უჭვრეტს სამჯრით კსანსა, ჩდილოთ 35 მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი. ხოლო ღუდოს-ჳევის ჩდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა ჳ ა დ ა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითა-ვე. მის ჩდილოთ არს ც ი კ ა რ ა, ადგილი კლდოვანი და ღ კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას 40

*) ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „დასავლით გრემის-ჳევი და ალე“.

დასავლით გარდავალს გზა ჳევესა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლეთით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი, და ამას ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის ზეით და ქვეით ჩდილოდამ.

5 ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჳყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და ჳევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა; ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი. არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს აქა აქლემი, კანბეჩი და ვირი; არს ცხოვარი უდუმო, კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალსივიწროვის გამო. ჳავით არს ფრიად კეთილი და შვენიერი, წყარო-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ჳორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჳაეროვანნი, მჯნენი* და 15 მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყ-უსაქციელონი, საჭურველთ-მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყონი. ქალნიცა შვენიერნი, არამედ უგბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ-ფიქლად, და ასხედს მას ქვასა 20 სიბრტყეზედ ხშირად მუწუკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრჳყვინავი ფრიად, ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატოხსნება მათ შინა ესე.

25 ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს ჳ ე ვ ი. გარდავალს გზა კევეს, აადის დასავლეთიდან, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო; ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი

თოვლის სიდიდითა; ზაფხულ არს ბალახიანი, ყვავილიანი ამას უწოდებენ ყ ე ლ ს. ხოლო ჩდილოთკენ ერთვის ჳევის მდინარეს ჳევი, და უწოდებენ შ თ ა ს ა ვ ა ლ ს. აქა არს წყარო სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და ჳყრია ბროლი მრავალი, მგზავ-
30 სი გათლილისა, და სცვივა კლდესა. აქა იპოების ბროლი და სჭვირს წითლად, და გასტეხო – არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ჳევისასა ეწოდების ა რ ა გ ვ ი ვ ე ჩერქე- ზამდე და მუნ ლ ო მ ე კ ი ს-მ დ ი ნ ა რ ე ძველადვე, და აწ უწოდებენ თ ე რ გ ს ა; გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მალრან-
35 დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდან, კავკასის მწრიდან, დის აღმოსავლეთად ჩასავალამდე.

ამ ჩასავალს ზეით არს თ რ უ ს ო სამ ჳევად. აღმოსავ-
ლით აქუს ჳევი, დასავლით ზახა და მალრან-დვალეთი, სამ-
წრით მთიულეთი, ჩდილოთ ქურთაული, და მოზღუდვილ არს
40 კავკასით, თჳნიერ ჳევიდამ. მოსახლენ[ი] არიან ოსნი, დვალნი. შთასავალს ქვეით მოდრკების არაგვი და დის ჩდილოთ, ვიდრე ქისტის-წყლამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დი-

66

ნების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თჳნიერ კალ-
მახისა. და არს ჳეობა ესე მოზღუდვილ კავკასითა, რამეთუ
დასავლით აქუს მ ყ ი ნ ვ ა რ ი ², უმაღლეს ყოველთა კავკასთა
და მარადის ყინულით შეკვერცხილი. და განჳყოფს მთა ესე
თაგაურს, ჩიმსა და ჳევსა. აღმოსავლით უძეს კვალად კავკასი, 5
იგიცა მარადის თოვლიანი. განჳყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს
და ჳევსა, სამწრით აქუს კვალად კავკასი, და განჳყოფს ესე გუ-
დამაყარს, მთიულეთს და ჳევს.

ხოლო ჩასავალს ქვეით არს, ჩდილოთ კერძ, არაგვის და-
სავლით, ც ი ხ ე ა რ შ ი ს ა ³, თჳნიერ კაცთა ჳელთაგან ქმნუ-
10 ლი, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილ კლდითავე და შეუა-
ლი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა. აღმოსავლიდან არაგუს
ერთვის, არშას ქვეით, ა ჩ ხ ო ტ ი ს-ჳ ე ვ ი *. აქ არს ც ი ხ ე ლ უ-
დ უ შ ა უ რ ი ს ა მცირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ ჳევიდამ
გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩდილოთ არს ს ტ ე ფ ა ნ-
15 წ მ ი დ ა ⁴, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გ ე რ გ ე თ ი,
არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა
ზედა, მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ს ა მ ე ბ ი ს ა ⁵, გუნზათიანი, მცხეთის
სამკაულის-სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯვარი, შვენიერ-
ნაშენი, შვენიერს ადგილს. მყინვარის კლდესა შინა არიან 20
ქვაბნი გამოკვეთილნი ფრიად მაღალსა, და უწოდებენ ბ ე თ-
ლ ე მ ს ა ⁶, გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჯაჭვი
რკინისა, გარდმოკიდებული ქვაბიდან, და მით აღვლენ. იტყვი-

- ან უფლის აკვანსა მუნ და აბრაჰამის. კარავსა, მდგომს უსვე- 25
ტოდ, უსაბლოდ, და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუ-
მებ. კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამო-
კვეთილი უდაბნოდ, და აწ ცალიერ. გერგეთს ქვეით, ჩდი-
ლოთკენ, დასავლეთიდან ერთვის ჯ ე ვ ი გ ე ლ ა თ ი ს ა, ძვე-
ლად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი, ხოლო აწ უწო- 30
დებენ გ ვ ე ლ ე თ ს.
- 114 ამ გველეთს ქვეით ერთვის არაგვსმე კვეი, სამჯრ-ალ- |
მოსავლეთიდან, გამოსდის გუდამაყარისა და მურძუკის კავკას-
სა, მოდის დასავლეთს-ჩდილოს შუა და არს უშენი. გარდა-
ვალს ამ ხევიდამ გზა მურძუკსა და ქისტეთს, ძნელი, საჭირო. 35
კვალად გარდავალს გზა გუდამაყარსაცა. ამ კვეს ქვეით და-
ვიწროვდების კვეი ესე კლდითა, და აქა არს ც ი ხ ე დ ა ვ ი-
თ ი ს ა, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, აღმაშენებელის
აღშენებულია. ამას ქვეით არს დ ა რ ი ე ლ ა¹ არაგვის აღმო-
სავლით, კიდესა ზედა, გ მეფის მირვანის² მიერ – შეაბა კარი 40
და ქმნა სიმაგრე ხაზართა და ოპსთათჯს, რათა უმისოთ ვერ-

*) დედანში აქ გამეორებულია: „არაგუს“.

- ღარა ვიდოდნენ * [და არს სახელი ესე მომრევი]. ამას ქვეით
ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშქრიან ოვსეთად, მუნ
დადგიან.
- 5 ხოლო ძეობა კვეისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთი-
ლისა, სელისა, შვრივისა შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა
ხილნი, თჯნიერ მთის ხილთა; არს კოწახური, მოცხარი, კლდის
მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა
მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვა-
ვილნი მთისანი მრავალნი. პირუტყენი, რაც ოდენ ეტევის, 10
მრავალნი. ცხვარი უდუმო არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად
და არჩვი. არს ფრინველი შურთხი, გლონი და ზაფხულს მწყე-
რი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხლისასა. არა
არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ. ჰავით არს კე-
თილმშვენი. კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, აჯოვანნი, ჰაე- 15
როვანნი, ვითარცა მთიულნი, გარნა ესენი უმჯობესნი ყოვლითა
სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.
- ხოლო მდინარე კ ს ნ ი ს ა ოძის ზეით, ბაზალეთისა და
ალევის მთის დასავლით, დის და გამოსდის ქნოლოს ჟმურის
საშუალს კავკასს. ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს 20
ქვეით სამჯრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მტკვარს. ხო-
ლო ოძის ზეით არს მონასტერი ხ ო ფ ა³, უფუნბათო, დიდ-

აღწერა
ქნის-კვეისა
და მამული
სა მისისა

შენი კეთილად და აწ ცარიელი. მის ჩდილოთ არს მცირე ქალაქი ა ხ ა ლ-გ ო რ ი ⁴. მსახლობელნი არიან სომეხნი, და სასახლე ქსნის ერისთვისა. მას ზეით, კსნის დასავლით კიდესა 25 ზედა, არს ციხე დაბასა წ ი რ ქ ვ ა ლ ს. ამის სამჯრით, ბოლ-სა და ახალდაბას შუა, არს ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს ^{**} ც ი ხ ე ამილახორისა. წირქვალს ზეით, ჩდილოთ, არს მონასტერი კ ა ბ ე-ნი ⁵, გუნბათიანი, ყ ა ნ ჩ ი ე თ ს ⁶, კეთილად ნაშენი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის სამარ. ჩდილოთ ყანჩიეთისა, ზებეყურის 30 მთის ძირს, არს ხ ა დ ი ს ც ი ხ ე, მაგარი. ზ ე ბ ე ყ უ რ ი ს მ თ ა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს დასავლიდამ და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანსა კლდითა.

ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე ქსანი არს ვენახოვანი, ხილია- 35 ნი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწრო და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიან-კლდიანობითა. ამავე

*) „ამას უწოდებენ ევროპელნი კავკასიის კარად და მეორეს ლექეთის კავკასიის გზასა“.

(ვახუშტი).

**) ეს სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს ზემოდან“

კლდის ჩდილოთ, ს ა მ ე გ უ რ ს ⁷, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდამ ჳევი, ალევის მთის გამომდინარე. სამეგურის ჩდილოთ არს მონასტერი ლ ა რ გ ვ ი ს ი ⁸, წმიდის თევდორესი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ; აქა ჳყო შანშემ ⁹ ციხე, არამედ ურგებად თვსად. აღმოსავლით უდის კსანი, სამ- 5 ჳრით ჳურთის-წყალი *. ამის ჩდილოთ ერთვის კსანს აღმოსავლიდამ ც ხ რ ა ზ მ ი ს-ჳ ე ვ ი, გამოსდის ლომისას. და არს ადგილი ესე მოსავლიანი, მთის ალაგთაებრი. და ამ ჳევს ზეით, ჩდილოთკენ, არს ც ი ხ ე ქ ა რ ჩ ო ხ ი ს ა, ქსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამჯრით ქსანი და 10 აღმოსავლით ჳევი, ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის. დასავლით არს კსანსა ზედა ჟ ა მ უ რ ი. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა არს ციხე, ბ ე რ-ც ი ხ ე დ წოდვილი, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე 15 არამედ მთიულეთსა და ამას შუა არს მთა მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცირე არყნალი. ჟამურის მჯარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი, მალალნი და კეთილნაშენნი. მოსავლით, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაცა უდუმო, პირუტყენი არა ეგდენ მრავალნი. 20

ხოლო სამწრით ჟამურისა არს მთა, განმყოფელი ჭურ-
თისა და ჟმურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადი-
რიანი. ამ მთის სამწრით არს ჭ უ რ თ ი ს-ჯ ე ვ ი, რომლისა
წყალი გასდის ამავე მთას, და სად ერთვის ამ წყალს ცხრა-
წყაროს-წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთ შუ[ა]. არს ც ი ხ ე წ ი ნ-
კ ი ბ ე, ფრიად მაგარი. ამ ორთა ჳევთა უწოდებენ ჭ უ რ-
თ ა ს, და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის მონასტერს
კსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველ-
ნი, ეგრეთვე ქსნის-ჯევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურ-
თა, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა
ჯეობათანი არიან, ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმ-
გზავსებულნი, და ისინი ყოვლითა უმჯობესნი, ხოლო ესენი
ქურდნი, მპარავნი, მძრცველნი, უსირცხონი,

25

30

აღწერა ქო-
ლოთქვიტ-
კორისა

კვალად ცხრა-წყაროს სამწრით არს მთა, კსნიდამ ისრო-
ლის-ჯევის მთამდე მდებარე, აღმოსავლიდამ დასავლეთად,
თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გაზდის სამწრით
რეხულა, და არს აქა ციხე მცირე, და მას ციხეს ქვეით ქო-

35

*) დედანში ეს ადგილი შემდეგნაირადაა: „სამეგრის ჩრდილოთ არს
მონასტერი ლარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის კსანი, სამ-
წრით ჭურთის-წყალი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა, აწ ხუცის სამარ.
აქა ჳყო შანშემ ციხე. არამედ ურგებად თჳსად“. ხაზგასმული სიტყვები
ანაფხეკზუა დაწერილი, განსხვავებული მელნით, დედნის ხელით.

69

ლოთვიტკირი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ, ვიდრე ზა-
ხორანდე.

ხოლო კვალად ჭურთისა, ცხრა-წყაროსა და ქოლოთ-
ქვიტკირს დასავლით არს ი ს რ ო ლ ი ს-ჯ ე ვ ი. ბიყარის-ჯევის
5 ზეით არს მამული კსნისა. ეს მდინარე არს მ ე ჯ ვ დ ა. გამოს-
დის ჟამურის მთასა, დის სამწრით დაბის მეჯვდამდე. ჟამურის
მთის კალთასა არს ა შ ა ტ უ რ თ-კ ა რ ი და ციხე. ხოლო გან-
3ყოფს ამ ჳეობასა, ქოლრთქვიტკირს და ჟამურს მ თ ა ჳ ა-
რ უ ლ ი ს ა. მდებარე ჩდილოდამ სამწრით, ტყიანი და ნადი-
10 რიანი. აშატურთ-კარს ქვემოთ ერთვის მეჯვდას დასავლიდამ
მ ე რ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ბენდერის მთას. ხოლო ამ ჳევის
სამწრით, მახისიდამ, წარივლის მთა ტყიანი და ნადირიანი
ორბოდლის მთამდე. ხოლო ო რ ბ ო ძ ა ლ ი არს თხემთა უტყეო
და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს
15 ბალახი. უკჭთუ მოძოოს არა მუნებურმან ცხენმან, მასვე წამს
მოჳკლავს, ეგრეთვე თივაცა მისი მოაკუდინებს. და არს ესე
ბალახი ამ მოებთა ზედა ყოველგან მრავალი. და მივალს ესე
ორბოძალი, ვიდრე ბენდერის მთამდე. მერეს-ჯევის ქვეით ერ-
თვის მეჯვდას ბ ი ყ რ ი ს-ჯ ე ვ ი აღმოსავლეთიდამ, გამოსდის

აღწერა ის-
როლის-ჯე-
ვისი

20 უსანეთს. და ამ ბი | ყარს ზეით არს ისროლის-ჯევი, ვითარცა სხვანი ამ მჯრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კვალად ორბოძლის მთის სამართით არს, მთის კალთასა შინა, ი კ ო რ თ ა ს, მონასტერი ¹ დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს; ზის არქიმანდრიტი.

25 ამ მთის სამჯრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანათამდენ, უწოდებენ გვერდის-ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი; ბრინჯბამბას გარდა ყოველნი სცენ-დობის ნაყოფიერად, ვითარცა დავსწერთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად.

30 ხოლო ისროლის-ჯევის და ჟამურის დასავლით არს პატარა-ლიახვის სვეთ. განჰყოფს მთა ბენდერისა, წოფორისა და ქნოლოსი. მდეგარეგენ მთანი ესენი ჩდილოდამ სამჯრით კავკასიიდან. ამ მთებს უძეს აღმოსავლით ისროლის-ჯევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით – პატარა-ლიახვი. გამოსდის პატარა-ლიახვი ქნოლოს ზეით მცირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამჯრეთად, მერმე სავსენის ქვე-
35 მოთამდე დასავლეთად, მერმე კიდევ სამჯრით. ხოლო ვანათს ² ერთვის დასავლიდამ ლიახვს ჯევი გერიისა. გამოსდის მშხლების მთას და დის სამჯრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, სავხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის-
40 ჯევი, ღრმა და კლდიანი, ძნად განსავალი. გამოსდის გერი-

70

სა და შუა-ცხვირის მთას. შუა-ცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისას-ჯევს ზეით არს აწერიის-ჯევი. აქ აღაშენა შანშემ ციხე სიმაგრედ თვსად, არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედაწული მისი მუნიდამ. მას ზეით მოერთვის ჯევი შანზიანისა ლიახვს აღმოსავლი-
5 დამ. გამოსდის ჟამურის მთას და დის დასავლეთად. ამ ჯევს ზეით ერთვის ლიახვს ჯევი ჩაბარუხეთისა. გამოსდის გერის მთას, დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს, ორსავ წყალს შუა, არს ციხე ბეფ-
10 ჩოსი. ამ ციხეს ზეით არს ქნოლო, სამ ჯეობად, აღმოსავლი-
დამ, ჩდილოდამ და დასავლით-ჩდილოდ შუადამ. ხოლო ტბა ქნოლოსი არს მცირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდან ვანათამდე არს ლიახვის ჯეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერთ მთის ჯევი, და სივიწროვით ესე უფროს მწირი,

115

აღწერა
გვერდის-ძუ-
რისა

აღწერა პა-
ტარა-ლია-
ხვის ჯეობისა.

5

10

	არამედ აწერის-ჯევეს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სრულიად.	15
აღწერა მალ- რამ-დვალე- თისა	ხოლო კვალად ქნოლოს ჩდილოთ კერძოთ არს მთა დი- დი კავკასი. ამ კავკასის ჩდილოთკენ არს მ ა ლ რ ა ნ-დ ვ ა ლ ე- თ ი. და იმზღვრების ესე მალრან-დვალეთი აღმოსავლეთით კავკასიო, მთიულეთსა და მალრანდვალეთს შუათითა; სამჭრით კავკასით, ქნოლო-მალრან-დვალეთის შორისით; ჩდილოთ კავ- კასით და მთითა უმდაბლესითა, თრუსო-ზასასა და მალრან- დვალეთს შორისით; დასავლით მთით, ჩამოსვლით კავკასიადამ, ჟბასა და მალრან-დვალეთს შორისით. აქ მალრან-დვალეთს გამოსდის დიდი-ლიახვი თრუსოსა და ზახის კავკასსა, და დის სამჭრეთს-დასავლეთს შუა. და არს მალრან-დვალეთი სამ კეო- ბა, მოსავლით, ვითარცა ამ მჭრის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი. ხოლო ქსნის მამულნი რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყვავილითა და ბალახითა. კაცნი ჰგონე, ვითარცა არაგვისანი, არამედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის ად- გილებთა შინა, რომელნი ადვსწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭლმის მომდნობნი და მომნე- ლებელნი, და სმენ მუნებურნი; უწოდებენ ვეძახ, პირუტყვთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გარდმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან. არამედ ჩვეულებასა ამ ოს- თასა დავსწერთ მის ადგილს, ოსეთი[ს] აღწერასა შინა.	20 25 30 35
აღწერა მეო- რე სასპასპე- ტოსი და სამილახვა- როსო	ვიწყებთ მ ე ო რ ე ს ა ს პ ა ს პ ე ტ ო ს, მემარჯვენეს, ში- და ქართლის ნაკუჭთსა, რომელი არს აწის ზ ე მ ო -ქ ა რ თ ლ ი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწე-	40

რეთ ხაზი კასპიდამ წარსრული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა,
შავ-ტყისა და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამჭრით
მდინარე მტკვარი; ჩდილოთ, რომელი ადვსწერეთ ქსნის მამუ-
ლის საზღვარი, და მერმე კავკასი; დასავლით ძირულას იქითი
5 მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩდილოთ კერძ
პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე და ესევე მთა კოლბეუ-
რისა, კეფინის-ჯევესა და ამაშუკეთს შუა, მიჰყვების სამჭრით
ვერტყვილამდე; ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმელის დაბის ქვა-
ბამდე და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და
10 ბაკულიანის მთამდე. ხოლო მუხრანს თხოთის მთიდან მოსდევს
მთა, დასავლეთად, მტკვრის კიდესა, გორის ქალაქამდე, და

15 ეწოდების მთა წლევისა, მერმე კვერნაქი. არს ამ მთისა ჩდილოთ კერძო ტყიანი, ვიდრე ზეგან-ამდე, მას ზევით კვერნაქი უტყვეო გორამდე, და სამჯრით კერძი სრულიად უტყვეო, გარნა ბალახიანი ზამთარცა და თბილი. კლდენი მა-

20 ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა; ქოლოთქვიტკირს ქვეით დის ლეხურა სამჯრით, ერთვის კასპს მტკვარს ჩდილოდამ. კასპი³ აღაშენა პირველად ქალაქი უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი. კასპს ზევით, წლევის მთაში, არს მონასტერი მამებას⁴, სტეფან წმიდისა, თათესაგან, იგ მამათა--
25 წილის აღმოსლვასა, ვითარცა წმიდის შიოსას, არამედ აწ დეკანოზის მიზეზით დაყენებული: და აწ არს ხუცის სამარი მას ზევით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი. ამის ზევით, ჯორჯებთან, ერთვის რეხულას ჯევი უსის-
30 ტყისა და გამოსდის მჭურვალეთის მთას. ამის ზევით არს, რეხულას აღმოსავლით, სამთავისი⁵, ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდშენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას ჯეობისა. ქმნული არს იგ მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლული არს იგი მუნვე. ხოლო სამთავ-
35 აღმოსავლით არს ციხე ცხვილოსისა, მთის ძირსა ზედა. და წარივლის მთა ესე ჩდილოთ ზებეყურამდე და დასავლით უსანეთამდე, და არს ტყიანი და ნადირიანი. ჭალას ზევით არს დაბა რეხი, რომლის გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რე-
40 ხის აღმოსავლეთით არს მონასტერი ქვაბისმანი. ზის წინამძღვარი.

116

აქამდენ არს რეხის ჯეობა[ა] ხილთან-ვენახიანი და ნაყოფიერი. ამას ზევით ქოლოთქვიტკირითურთ, ვითარცა სხვა მთის

72

ალაგნი. რეხის დაბის ზევით ერთვის რეხულას ჯევი წოდისა. და განჰყოფს ამას მთა წინხსენებული ცხვილოსისა. ჩდილოთ ამ მთის არს წოდო, სამჯრით ბერშოეთ-კირბალი და სხვანი. წოდის-ჯევი გამოსდის უსანეთის მთას, უსანეთის მთის თხემს არს ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო. ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე. ამის აღმოსავლით, ზემორ, არს ზახორი, ზახორს ზევით ციხე კაბერი, და ამ ციხეს ზევით ქოლოთქვიტკირი. ხოლო კვალად ჭალასა და რეხის დასავლეთად, მჭურვალეთს ზევით, არს მთაში მონასრერი¹ კეთილნაშენი, აწ უქმი.

5

10

ამ მთის მიყოლივით, დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდ-
რე დიდ-ლიახვამდე, და კვერნაქის მთის შორისი მინდორი
დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარ-
ნი და ვენახნი მრავალნი; და ირწყვის მინდორი ესე მეჯვდის
აღმოსავლეთისა მეჯვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, 15
თვნიერ ბრინჯ-ბანზისა. მთის ძირის დაბნებნი ეგრეთვე ვენა-
ხოვანნი და ხილიანნი, პირუტყვთა სიმრავლე: თვნიერ აქლე-
მის, არს ყოვლისავე. ამ ადგილს აწ უწოდებენ ს ა მ ი ლ ა-
ხ ო რ ო ს ა. კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და
კვერნაქს შუა არს ა შ უ რ ი ა ნ ი, უწყლობით უნაყოფო, უფლის-

ციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი, და იზრდების ცხოვარ-
თა, რემათა მროწლეთა სიმრავლე, და თხილი ზამთარ.
აშურიანს ზეით არს უ ფ ლ ი ს-ც ი ხ ე ², კვერნაქის გამოკიდე-
ბულის კლდის გორასა ზედა. მტკვრის კიდესა, რომელი აღა-
შენა პირველად უფლოს,მემან ქართლოსისამან, და იყო ქალა- 25
ქი ჩინგისამდე; აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო,
კლდისაგან გამოკვეთილი; პალატნი დიდ-დიდნი ქანდაკებული
კლდისაგანვე; გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდ[ე], დი-
დი. დასავლით აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვე-
თილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს. აქა 30
არს ბუზნი. გამოსული იხილვების სპა-ლაშკარნი შუბოსან-
მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალამკრებულნი, ნიშვნენ მისნო-
ბად და უწოდებენ უფლის-ციხეს.

აღწერა გო-
რის ქალაქი-
სა
ამის დასავლით არს ქალაქი გ ო რ ი ³. ამან სახელი მოი-
გო გორისაგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი. ლიახვის 35
მდინარის კიდესა ზედა. და მოსდგამს ამ გორას აღმოსავლით
კვერნაქი, ჩდილოთ. მთა რუისისა, ლიახვის დასავლეთად, რო-
მელი იწოდების კვერნაქადვე, სამჭრით მთა ბურეთისა და გო-
რიჯვისა. და ამ მთის ძირს, გორსა და მთას შუა, დის მდი-
ნარე მტკვარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინა- 40
რე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკვარს ჩდილოდამ. არა-
მედ არა არს უწყებული, ვისით აღშენდა პირველ, გარნა

5 ცხორებასა წერილ არს: „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო
[რომელი არს ოქროს მთა] და ჰყო საფლველად საგანძურთა“. არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩა-
ტანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა. ამის გარმოხვეული ლიახვი-
დამ ლიახვამდე ქალაქი. **პგ** მეფემან სვიმონ წარუხვნა ოსმალ-
თა და შემუსრა ციხე. პთ მეფის როსტომის მეფობას აღაშენა
შასეფიმ კვალად ციხე, და მიერთი ეპყრათ ყიზილბაშთა. უდ
მეფის ვახტანგის ჟამს იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს

10 ურუმთა, მერმე შანადირ დაარღვივა ციხე; არამედ დამალყო-
ფილი ოსმალთა და ლეკთა, და ყიზილბაშთაგან შემცირდა
ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა, ეკლესიანი
კეთილშვენიერნი ზ, გარნა ერთი შემუსრეს ოსმალთა სომხისა-
აქა **პთ** მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა,
წალკოტ-სავარდითა, დიდი; ავაზანი წყლიანნი დიდ-დიდნი,
შვენიერნი. **ჟდ** მეფემან ვახტანგ განაახლა; შემუსრეს ოსმალ-
თა. არამედ არს ადგილი ჰავითა შვენიერი. წყალი კარგი,
გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი ზაფხულ კე-
თილი, ზამთარს ცივი, ქარიანი; სანადირო მოუკლებელი ფრინ-
ვლითა, თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი,
15 გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი,
ჰაეროვანნი, ტანოვანნი, შვენიერნი, ამაყნი და დიდის
მთქმელნი.

აქ, ციხის ძირს, ერთვის ლიახვს მეჯუდის-მდინარე. არს
20 ბიყრამდე მეჯვდა ვენახოვანი, ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბ-
ნები მრავალნი; თესლთა, მარცვალთა მოსავლით ნაყოფიერი.
გორს ზეით, ბ ე რ ბ უ კ ს, ერთვის მეჯვდას ს ვ ე ლ ნ ე თ ი ს-
ფ შ ა ნ ი. არს მეჯვდაზედ, იკორთისა და კირბალის მთის ძირს,
დაბა მ ე ჯ ვ დ ა რომლისაგან ისახელა მდინარე ესე. გორი-
30 დამ ჩდილოთკენ მეჯვდას ზეით არს, უსანეთის მთის * ძირში,
მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის სამარს. ამას ზეით
არს მონასტერი, მეჯვდის მდინარის დასავლეთად, მთის ძირ-
ში, ბ ი ე თ ს ⁴, მონასტერი ** კეთილს შვენიერს ადგილს. ამას
უდის ჰევი, გამომდინარე მერის მთისა, და მიერთვის მეჯვდას
დასავლიდამ. უზის ბიეთს წინამძღვარი. ბიეთს ზეით არს ჰ ე ვ ი
35 მ ა ხ ი ს ი ს ა. აქამომდე კეობა მეჯვდა ვენახოვან-ხილოვანი,
მოსავლიანი. ამას ზეით არს ბიყარი და ისროლის-ჰევი, ვი-
თარცა აღვსწერეთ.

ხოლო გორიდამ ლიახვის მდინარის სიგრძე არს მალრან-
დვალეთამდე და დის მალრან-დვალეთიდან, აღმოსავლეთიდან

მეჯვდის
მდინარის
აღწერა ბიყ-
რამდე

აღწერა დი-
დის ლიახვი-
სა და პატა-
რას ლიახვის
ვანათამდე

*) უკანასკნელი ორი სიტყვა სწერია დედანში ანაფხეკზე.

**) გამეორებულია დედანში.

დასავლეთად, მუგუთამდე; მუგუთიდან დის სამჯრით გორამდე,
და გორს მცირეთ ქვემოთ მიერთვის მტკვარს ჩდილოდამ.
არამედ არს მდინარე ლ ი ა ხ ვ ი სარგებლიანი, მრწყველი ველ-
თა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რი-

ყიანი, და ჯმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი. მარადის 5
 ცივი, გარნა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათჳს. თევზნი
 მრავალნი. რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პური მისი
 არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემოიანი, და სპე-
 ტაკი. გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭალისა და ნაჭარ-
 მაგვეისა წყალნი *. ნ ა ჭ ა რ მ ა გ ე ვ ი ი ე ო სადგური მეფეთა 10
 და კეთილსანადირო, და აწ კ ა რ ა ლ ე თ ა დ წოდვილი, ად-
 გილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი.
 არამედ ამ გორს ზეით არღარა არს კაკაბი, გარნა მცირედთა
 ადგილებთა თუ მოპოების. გორს ზეით, კარალეთის პირის-
 პირს, ლიახვის დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თ ე დ ო -
 წ მ ი ნ დ ა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდან ლიახვს 15
 ვ ა რ ი ა ნ ი ს - ფ შ ა ნ ი და ა ხ ა ლ და ბ ა ს ა. ამ ფშანსა შინა
 იპყრობი[ს] კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი.
 ვარიანს ზეით ერთვის ლიახვს აღმოსავლეთიდან პატარა-
 ლიახვი. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შ ე რ თ უ ლ ი. ვანა- 20
 თამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველ-
 117 თა გორს ზეითისა, მეჯვდის | მდინარისა და პატარას-ლიახვს
 შუათთა, გვერდის-ძირამდე. შერთულს ზეით არს ეკლესია
 ა რ ბ ო ¹-წ მ ი დ ი ს ა **, სასწაულთმოქმედი, პატარა-ლიახვის
 კიდეზე, დასავლით. ამ არბო-წმიდის ზეით ერთვის პატარა- 25
 ლიახვს აღმოსავლიდან მერის-ჯევი. ამ ჯევიზე აღმოსავლეთით
 არს, ორბოძლის მთის კალთასა ზედა, კ უ ლ ბ ი თ ს ც ი ხ ე.
 კულბითს ქვეით მოერთვის ამ ჯევის ლ ა ფ ა ჩ ე ბ ი ს - ჯ ე ვ ი. გა-
 მოსდის ორბოძალს. ამ ჯევის ერთვის ს ნ ე კ ვ ი ს - ჯ ე ვ ი, გამოს-
 დის სნეკვსავე. და არს სნეკვი, და ლაფაჩები, და მერე ქსნი- 30
 სავე. ამ მერის-ჯევის ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ვ ა ნ ა თ ი, პა-
 ტარა-ლიახვის კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე, სნეკვი-
 დამ წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს მთა გაჰყოფს კულბითს-
 ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა, და ბელოთს, და პატა-
 რა-ლიახვს, და მიადგების ორბოძალს. ჩდილოთ უდის პატარა- 35
 ლიახვი, სამართთ აქუს კულბითი და ვანათი. ვანათის ციხე
 შემუსვრილი განახლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა.

*) ეს სიტყვა დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

**) „ვგონებ აქა ტფილის წამებულის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისსა აღშენებულსა, და სასწაულსაც მის მიერ“.

75

ციხის უკან, ჩდილოთ, არს კლდე მაღალი *, ქარაფოვანი,
 მჭვრეტი ლიახვისა, და მას შინა ქვაბნი გამოკუჭთილნი მრა-
 ვალნი.

5 ხოლო კვალად შერთულს ზეით, დიდს-ლიახვზედ, არს
 მ ე ღ ვ რ ე კ ი ს ს მონასტერი ოგუნბათო, უზის წინამძღვარი.

დასავლით მეღვრეკისისა, ლიახვს გაღმა, არს ნ ი ქ ო ზ ს ²
ეკლესია ღვთაებისა ** დიდი, გუნბათიანი, აღაშენა გორგასალ
და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჭდენისა ³. მანვე გორ-
გასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი; ზის დღე-
10 საც,მწყემსი კავკასიანთა, დვალთა და აწ ოსეთად წოდებულთ-
სა, გლოლა-ღებითურთ. და არს ეკლესია დიდშენი, კეთილს
ადგილს, შვენიერი. ამ ნიქოზის ჩდილოთ. დიდის-ლიახვის კი-
დეზედ, არს მცირე ქალაქი ქ ც ხ ი ლ ვ ა ნ ი ⁴, კეთილ-ჰაოვანი.
მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს
15 წალკოტოვან ვენახოვანი, საზრდლით მამღარი. ლიახვს გაღმა,
აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთა ტყიანი, და ეს
მთა მიჰყვების ჩდილოთკენ მშხლემამდე. ამ მთის ძირს,
ქრცხილვანის აღმოსავლით, პატარა-ლიახვისაკენ, არს ე რ ე დ ვ ს ⁵
ციხე და ეკლესია მას შინა, წმიდის გიორგისა, სასწაულია-
20 ნი. მის ჩდილოთ, მთის კალთას არს ციხე მცირ[ე] სხვა. ამ
ერედვის ჩდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ-გერის-ჰევს და
დიდ-ლიახვსა. კვალად ერედვის ჩდილოთ, ამავე მთასა შინა,
არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი,
კარგს ადგილსა და შვენიერსა, ს ა ბ ა წ მ ი დ ა ⁶, დიდნაშენი,
25 და აწ ხუცის სამარ. მის ზეით, ამავე მთაში, არს, აღმოსავლის-
კენ, უ დ ა ბ ნ ო, მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი
ეკლესიით; ძეს მოწესე მკუდარი დღედმდე დაუშლელი, კუბო-
სა შინა კლდისასა, ანაფორითა. აქა არს კარკალი, სადაცა
ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარო-
30 ბენ ზაფხულ ყინულად .

კვალად ქცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, თ ა-
მ ა რ ა შ ე ნ ი ⁷, მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი
და ქართველნი. თამარაშენს ზეით ერთვის თ ი რ ი ს მ ო ნ ა ს ტ-
რ ი ს-ჰ ე ვ ი. ამ ჰევზედ, გორის ძირს, არს ა ჩ ა ბ ე თ ი, ს ა-
35 სახლე და ციხე მეფეთა. ამის დასავლეთით არს, მთაში, თ ი რ ი ს
მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ⁸, უგუნბათო, არამედ ფრიად კეთილშენი, კე-
თილს ადგილს. ზის წინამძღვარი. აჩაბეთს ზეით, კ ე ხ ვ ს,
არს, მთის კალთას, ციხე კეხვისა. და მთა ესე ასტყდების და-
სავლეთის კერძოთ ქცხილვანიდამ, და წარმოივლის ჩდილოთ,

*) დედანში: „მაღი“.

**) ეს სიტყვა დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

და კეხვს ზეით მოვიწროვდების კლდითა, და მერმე წარვალს
დასავლით, და მიადგების პერანგის წარმოსრულს, წონისა და
ფაწას შორისს, მთასა, და კვალად ქცხილვანიდამ წარვალს და-
სავლით, და მივალს ბეყმარამდე. ხოლო კეხვს ზეით, მოვი-
წროებულსა ზედა, არს ხიდი სვერისაკენ გამსვლელი, და ამ

ჭიდს ქვეით ხიდთა მუსრავს ლიახვი მტკიცესაცა. და გორიდამ სვერამდე არიან ლიახვის იმიერ და ამიერ დაბნები ხილიან-ვენახიანნი. არამედ არს ღვინო თხელი და მომჟაო, სასმელად მშვენი.

კეხვის აღმოსავლეთიდან ლიახვს ერთვის ჯ ე ვ ი ს ვ ე რ- 10

ს ა და ქემერტს შუა; ჩამოვარდების ჩდილოდამ. გამოსდის ამასა და გერის შორისს მთას. ამ მთის თხემზედ არს ე კ ლ ე-ს ი ა ს კ ა რ ს ი ს წ მ ი დ ი ს გ ი ო რ გ ი ს ა, და არს ხატი დი-

დი ოქროსი, სპარსთაგან ქმნული, სასწაულისათვის მის მიერ ქმნულისა, და აწცა არს სასწაულიანი. კვალად სვერიდამ წა- 15

რივლის მთა ტყიანი ჩდილოთ, და სადაცა მოდრკების ლია-ხვი, მოდრკების მთა ესეცა. და წარივლის აღმოსავლით, და მიადგების გერის მთასა. სვერის ხიდს ზეით ჩამოვარდების

ი თ რ ა ფ უ ლ ა დასავლეთიდან და მიერთვის ლიახვს. ამას 20

ზეით, გ უ ფ თ ა ს, არს ნაციხვარი. გუფთას ზეით მოერთვის ლიახვს მ დ ი ნ ა რ ე ფ ა წ ა. გამოსდის ერწოსა და ამას შუ[ა]თს მთას, მიდის აღმოსავლეთად. და ამ ჯევის მოერთვის სხვა ჯევი

სამჭრიდამ, გამოსდის მასვე მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ 25

ჯევის შესართავს ზეით ერთვის ფაწას კ ა ტ ა რ ა-ჯ ა ვ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის დვალთ-გორასა. ამას ზეით ერთვის ფაწას

ს ო ხ ო ს-ჯ ე ვ ი. სოხოს-ჯევის ზეით ფაწასვე მოერთვის ქ ე შ ე ლ- 30

თ ი ს-ჯ ე ვ ი. და სდიან ეს ჯევი დვალთ-გორასა. ხოლო პატარა-ჯავასა და ხწვეს შუა არს მთა ტყიანი, დვალთ-გორიდან ფაწამდე სამხრით მდებარე. ფაწის შესართავს

ზეით არს ს ხ ლ ე ბ ი და ჯ ა ვ ა. ჯავას ზეით ერთვის ლიახვს 35

დასავლეთიდან ხ წ ვ ი ს-ჯევი, სდის დვალთ-გორასა ხწვის პირისპირ, ლიახვს გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი ⁹, და უდის სუნი ფრიად ძნელი, არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას სუნებითა, გარნა მსუნებელი შებნდების სუნითა.

ხწვეს ზეით ერთვის* ხ ე ვ ი მ უ გ უ თ ი ს ა ლიახვს, დასავლი- 40

დამ, და გამოსდის დვალთ-გორასა. აქ აღაშენა ციხე მაჩაბელ-მან, შეუმუსრეს ურუმთა, რომელი იყო მაღალს კლდესა ზედა. მცირეთ ამ მუგუთს ზეით მოდრკების ლიახვი. და მიერთვის მუნ ჯ ე ვ ი კ ო შ კ ი ს ა. მას ზეით მიერთვის ლიახვს რ ო-კ ი ს-ჯ ე ვ ი. როკას ზეით მიერთვის ლიახვსვე ბ ჟ ი ს-ჯ ე ვ ი.

*) ეს სიტყვა დედანში ორჯელაა დაწრილი, მეორე წაშლილია.

და სდიან ეს ჯევი დვალთ-გორასა, და დიან სამკრეთად. ხო-ლო ბჟის-ჯევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხული-სა ზახას და დვალეთს. კვალად ლიახვს ერთვის ბჟას ზეით, | სამ-

5 ვრიდამ, მ შ ხ ლ ე ბ ი ს-ჯ ე ვ ი და გამოსდის გერის მთას. და
ამას ზეით არს მადრან-დვალეთი, ვითარცა აღვსწერეთ. არა-
მედ სვერს ზეით რომელი ლიახვის ჯეობა აღვსწერეთ, არს
უვენახო, უხილო; მსახლობელნი არიან ოსნი, დვალნი; მოსავ-
ლით მთის ალაგებრი და პირუტყვთაცა ეგრეთ. ხოლო ქცხილ-
10 ვანის დასავლით არს, წინხსენებულის მთის ძირს, თ ი ხ რ ე-
ვ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის ძარს, დის სამჯრით, არამედ მინდო-
რად ვერღარა დის. ტბეთ¹ ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით
ითხრების ქვა შავი დ უ დ ე თ ს. ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა,
სიბრტყისა და სიმსუბუქისათჳს. გარნა არიან ქცხილვანის ჯეო-
15 ბის კაცნი შვენიერ-ჰაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდე-
ვარნი, ამაყნი, ერდგული. სახლობენ თავადნი და აზნაურნი,
და ქალნიცა ეგრეთვე რიცხვე.

ხოლო კვალად გორის დასავლით არს მ თ ა რ უ ი ს ი ს ა,
ტინის-ხიდით, თედო-წმინდით სასირეთამდე და მტკვრამდე,
20 მცირე ადგილს ტყიანი, საკნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად
უწყლო, და ადგილ-ადგილს დის წყარონი მცირენი. მტკვრის
პირად ღრატოიან-კლდიანი. და ამ მთის დასავლით, მტკვრის კი-
დესა ზედა, არს უ რ ბ ნ ი ს ი ². აღაშენა ქალაქი უფლოს, მე-
მან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ
25 არს ეკლესია დიდი, უგუნბათ, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დი-
დის ლიახვისა, და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსვრი-
ლი აღაშენა და განაახლა ჟდ მეფემან ვახტანგ და შეამკო ხა-
ტი მისი წმიდისა სტეფანე პირველმოწამისა. მოზღუდა ქვიტ-
კირითა. ურბნისის დასავლით, დ უ დ ე ს, დის წყარო ფრიად
30 დიდი კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილ-
ნი ზამთარცა, ვინათგან ვერ განჰყინავს.

სამჯრით ურბნისისა არს, რუისის მთის ძირს, დაბა დიდი
რ უ ი ს ი ³ და ეკლესია ღვთაებისა, გუნბათიანი, დიდი, დიდ-
შენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა,
35 ლიხ-ტაშის-კარამდე, და აწ ესევე მწყისის ხეობასა და სადგერს,
ვინადგან მაწყვერელი არღარა არს. შემუსრა ლანგ თემურ;
აღაშენა ეკლესია ესე ოვ მეფემან ალექსანდრემ. შემდგომად
კვალად განაახლა და შეამკო პთ დედოფალმან მარიამ. და ამ
რუისის მთის სამჯრეთის მინდორი ნიქოზამდე და ლიახვით
40 დვანის-წყლამდე ირწყვის ორის ლიახვის რუთი, თამარ მეფის
ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი.
ხოლო სალთვისის რუ განაახლა ჟ მეფემან ვახტანგ, არამედ

აღწერა გო-
რისა და
ლიახვის
ზეითისა

აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს უწყლო, თჯნიერ წყაროსა
ერთისა, რომელი არს ეკლესიისა თანა. არამედ სცხორებენ
მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე.

აღწერა
დვანის-
წყლისა

რუისის დასავლით არს დვანის-წყალი. ეს გამოს-
დის თირის. მონასტრიდამ წარსრულს მთას, დის ჩდილოდამ 5
სამჭრით, ერთვის მტკვარს ჩდილოდამ. მტკვრის ჩდილოთ, ამ
მდინარის აღმოსავლით, არს ბ რ ე თ ს მონასტერი უგუნბათო,
რომელი ქმნა პიროს, იგ მამათაგანმან, და დაფლულ არს იგი-
ცა მუნვე. არს აწ ხუცის ამარ. ბრეთის დასავლით, წვერიდამ,
ასტყდების მთი კვერნაქი და მივალს ფცის-წყლიმდე, რომელ- 10
სა ეწოდა ც ე ც ხ ლ ი ს-ჯ ვ ა რ ი. წვერს ქვეით, ა რ ა დ ე თ ს,
არს ჭია მარიამული, რომელი ჰკურნებს ბრაზიანის ნაკბენს სმი-

თა. ამის ჩდილოთ და ამ წყლის დასავლით კიდესა არს
დ ი რ ბ ს მონასტერი ⁴, სადა ზის არქიმანდრიტი იჭრუსალემის
ჯვარის მონასტრისა. არამედ მეფენ[ი] ქართლისანი დასმენ 15
ქართველთა, და ყოველს საქართველოსა შინა არს მამული მი-
სი, და ჰფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლად იჭრუ-
სალემს. ამას ზეით, დვანს, ამ წყალს ერთვის ჯ ე ვ ი ჭ ო ლ ი-
ბ უ რ ი ს ა. ამ ჰვეს ზეით ერთვისამ წყალს ჯ ე ვ ი წ უ ნ ა რ ი ს ა.
წუნარს ⁵ არს ეკლესია გუნბათიანი, აწ უქმია წუნარის-ჰვეს 20
ზეით არს ეკლესია ერკნეთს; დვანან მთაწმინდის მონაზონ-
ნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდა მ უ ლ ი ს-
ჯ ე ვ ი. არს ნულს ციხე. ამ ჰვეს ზეით მოერთვის აღმოსავ-
ლიდამ ყ ო რ ნ ი ს ი ს ჯ ე ვ ი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს
არს ქვაბნი კლდისანი და კომკოვანი, გარნა შემუსრეს ლეკთა. 25
ყორნის ზეით, წ ო რ გ ი ს ს, ერთვის ამ წყალს ხ ტ ა ნ ი ს-ჯ ე ვ ი.
წორბის ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ც ი ხ ე ს ა ქ ა რ-
თ ლ ი ს ა, მაგარი. არამედ ჰეთბა დვანისა არს ვენახოვანი, ხი-
ლიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერი.

აღწერა
ფცის-წყალი-
სა

დვანის-წყლის დასავლით არს ფ ც ი ს-წყ ა ლ ი და დის 30
ლოხოსისა-პერანგას მთათაგან, მოდის სამჭრით და მიერთვის
მტკვარს ჩდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქ ვ ე ნ ა-ტ კ ო ც ა,
მას ზეით ბ ე რ ძ ე ნ ა უ ლ ი. ამას ზეით მოერთვის ამ წყალს
ტ კ ო ც ი ს-ჯ ე ვ ი დასავლიდამ. ამას ზეით, ფცის ზემორ, ამ 35
წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ლ ო ლ ე თ ი ს-ჯ ე ვ ი, სდის
ლებეურის მთას. ამას ზეით, ა ვ ლ ე ვ ს, მოერთვის ამ წყალს
დასავლიდამ ბ რ ე ძ ი ს-წყ ა ლ ი. არს ბ რ ე ძ ა ს მცირე ციხე.
გამოსდის ეს წყალი პერანგას, მოდის სამჭრით ბრემამდე, მერ-
მე აღმოსავლით. აბანოს ერთვის ამ წყალს წ ა ღ ვ ლ ი ს-წყ ა-
ლ ი, და ბრემას მოერთვის ა ბ ა ნ ო ს-წყ ა ლ ი. ეს-გამოსდის 40
მმვილდაურის მთას, მოერთვიან ორნივ ბრემის-წყალს დასავ-
ლეთიდა. ა ბ ა ნ ო ს დის თბილი წყალი, ჰკურნებს ქარით

დახუთვილსა და ბუგრსა-მუწყუსა. ბრემის ჩდილოთ არს ეკ-

ლესია ა ტ ო ც ს ⁶, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. ავლევს
 ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით, არს ო ქ ო ნ ა ს ⁷ მონასტე -
 რი დიდი, გუნბათიანი, არამედ უცხო არს, რამეთუ ძრვისაგან,
 5 წახრით მდგომარებს ჩდილოთკენ და არა დაირღვევის, ადგილ-
 სა შვენიერს, წყაროიანსა. აქა არს ნიგოზი: გასტეხო რა, ნე-
 ბალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი..
 დასავლით მ ე ტ ე ხ ი ს ა * და ფცის-წყლისა არს თ ი-
 ღ ვ ა ს ⁸ ჯ ვ ა რ ი ს ** მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, რომელი აღაშენა ასულ-
 10 მან აღმაშენებელისამან თამარ ⁹, გუნბათიანი, დიდშვენიერი,
 კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის
 სამარსა. ამის ჩდილოთ კერძ არს ძ ა ღ ი ნ ა. აქა არს ლითო-
 ნი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათვის დაუტევეს. აქავ,
 მდინარის კიდეს, არს მ უ ხ ა უ რ ი; მოსახლენი არიან ურიანი
 15 და სომეხნი ვაჭარნი. მუხაურის ბოლოს ეყრების ფცის-წყალს
 ხ ტ ა ნ ი ს-კ ე ე ვ ი. ძაღინას არს ციხე და სასახლე. ხოლო ფცისა
 და დვანის-წყალს ჰყოფს მთა ლ ე ბ ე უ რ ი, რომელი ასტყდე-
 ბის დაბის ფციდამ და მდებარებს ხტანამდე სამჭრიდამ ჩდი-
 20 ლოთ, ტყიანი და ნადირიანი. მუხაურს ზეით არს მონასტერი
 ფცისა და ოჟორის-წყალთა შუა, წოდებული ო ჟ ო რ ი ს ა ¹⁰,
 უგუნბათო, შემკობილს ადგილ[ს], და აწ ხუცის ამარად. ხტა-
 ნის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გ ო მ ა რ თ ა,
 და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალასა შინა.
 25 ხოლო ფცის-წყლის დასავლეთით არს ა ლ ი ს-წყ ა ლ ი.
 გამოსდის ლიხის მთას, მოდის სამჭრით, ერთვის მტკვარს
 ჩდილოდამ***. ამის შესართავთან არს დ ა ღ ა ლ უ ლ ა. ამ
 მტკვრის კიდეზედ, სამჭრით, არს სომანეთი. ამ სომანეთის სამ-
 30 ჭრით არს ვაყა. ვ ა ყ ა ს ზეით არს ნ ა ბ ა ხ ტ ე ვ ი¹ და ნაცი-
 ხვარი. სომანეთსა და ქვენა-ტკოცას შუა არს მ ო ხ ი ს ი, დაბა
 დიდი, ცეცხლი-ჯვრის მთის ძირს; და ამისი მინდორი მტკვრამ-
 დე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა. ნაბახ-
 ტევეს ზეით ერთვის ალის-წყალს ბ რ ი ლ ი-წყ ა ლ ი; დის
 35 ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილ.ა აქ, ბრილს,
 ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის.
 ბრილის-წყლის შესართავს ზეით. არს ალის-წყალზედ, დასავ-
 ლით, კიდესა ზედა, ა ლ ი ², ქალაქი მცირე, მსახლობელნი
 არიან სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი. გაზაფხულ-

*) დედანში: მეტეხისა.

**) ეს სიტყვა დედანში ჩამატებულია სტრიქონს ზემოდან.

***) დედანში შეცდომით სწერია „სამხრიდამ“.

შემოდგომას ჭყვპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს, ცხელი, არამედ [ჰ]ავით კეთილი, მხიარული. ალს ზეით არს, ლიხის მთის კალთას, ციხე ალისა. ციხეს უკან არს სოფელი უ ლ ე ვ ი, მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ღვინისასა კეთილსა, ყოველთა უმჯობესსა. ამავე ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლიდამ 5 ალის-წყალს ჭ ე რ ა თ ჯ ე ვ ი ს-ჯ ე ვ ი, არამედ უშენობო. ამ ჰევს ზეით არს მონასტერი უ ლ უ მ ბ ა ს ³, უგუნბათო, დიდი, დიდშენი, მიქელ იგ მამათაგანის ქმნული, და დაფლული არს მიქელ მუნვე. ზის წინამძღვარი.

აღწერა სუ- ხოლო კვალად ალის-წყლის დასავლეთით ა რ ს წ ყ ა ლ ი 10

რამის-წყლი-ს უ რ ა მ ი ს ა. გამოსდის ლიხის მთას, მიერთვის ჩდილოდამ *

სა მტკვარს, ოსიაურს ზეით. აქა არს ჭალა სურამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არომედ გაჭკაფა ჟღ მეფე-მან ვახტანგ და ქმნა დაბნები. ოსიაურს ზეით, ხ ა შ უ რ ს, ერ- 15 თვის სურამის-წყალს ქ ე მ ე რ ტ ი ს-წყ ა ლ ი, აღმოსავლიდამ.

გამოსდის ლიხის მთას. ამ ჰევს შესართავის დასავლით, შინ-დარას დასავლით, არს ს უ რ ა მ ი ⁴, მცირე ქალაქი. მოსახლე-ნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს საშუაღს ციხე 20 მაღალს კლდესა ზედა, მტკიცე. არს ჰავითა მშვენი და მხიარულნი. სურამს ზეით. სამხრიდამ, მოერთვის ამ წყალს უ თ ხ-

ვ ი ს-ჯ ე ვ ი. მას ზეით არს ი ტ რ ი ა ს ⁵ მონასტერი ყოვლად-წმიდისა, უგუნბათო, დიდშენი, აწ ხუცის ამარად. სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წი- 25 ფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამჭრით არს ბ ე კ ა მ ი, ტ ე-

ძ ე რ ი, ვიდრე შოლამდე; ჩდილოთ სურამის ჰეთბა. შ ო ლ ი ს მ დ ი ნ ა რ ე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს ჩდილოდამ *. შოლის პირიდამ გაიტანა 30 ჟღ მეფემან ვახტანგ რუ, რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წისქვილნი, და სმენ პირუტყვნი. შოლის პირის და-

სავლით, შოლისავ კიდეზედ, არს ქ ვ ი შ ხ ე თ ი, ზაფხულს ჰა- ვითა ამო, შვენიერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საჭირო. ქვიშხეთ 30 ზეით, შოლაზედ არს ც ი ხ ი ს ძ ი რ ს ციხე. ქვიშხეთის სამ-

ჭრით არს, მთის ძირს, მტკვრის ახლო, დაბა ტ ა შ ი ს-კ ა რ ი. და ლიახვის მდინარეს აქათ ტაშის-კარამდე, რომელნიცა 35 მდინარე-ჰევნი აღვსწერენი, უწოდებენ, თვნიერ შოლისა, ფრო-

ნეთა. ამ ფრონეთა შინა შემოვალს წყალ-დიდობას მრავალნი კაპოეტნი, იქმნების ჟამად ორაგულნიცა, და წყალ-ცოტაობას არს მათ შინა წვრილნი თევზნი მრავალნი, და მთის კერძოდ 40 კალმახნი ფრიადი და გემოიანნი. არამედ გორს ზეითნი ად-

გილნი ესენი არიან მოსავლიანი, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა ვენა- ხით, ხილით და ყოვლითა მარცვლითა. აკეთებენ მცირედს

*) დედანში შეცდომით სწერია: „სამჭრიდამ“.

აბრეშუმსაცა. პირუტყვნი მრავალნი, აქლემს გარდა ყოველნი, არამედ არა ეგდენად, ვითარცა აღვსწერეთ სომხით-საბარათიანოსა, ზამთრისათვის, რამეთუ არს სამ თვე თოვლი, და ზაფხულის ვერ სთიბენ თივას, საცნავთ გამო მიწათა და მათათა შინა მცირეთა, არა საკმაოთა. ჰავითა მშვენი და ამო.

სასმელი და საჭმელი აქაური* უმეტეს გემოიანი სხვათა ადგილთაგან. კაცნი არიან ჰაეროვანნი, ამაყნი, მცნენი, შემმართებელნი, მხიარულნი, უხვნი, სტუმართმოყვარენი. ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი.

ხოლო კვალად სურამის დასავლით, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა ა. ამ ფონას გასდის ჩხერი მელის მდინარე და მიდის დასავლეთს-სამარჟო შუა მეზობირის ზეითამდე. მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა. მეზობირს ზეით ამ ჩხერიმელას ერთვის ჯევი ჩდილისა. ამ ჩდილის-ჯევს ერთვის ჯევი ნუნისისა სამჯრიდამ, ამისა და ჯეობის შუას მთას, გამომდინარე. ჩდილის ჯევი გამოსდის მცირეს ლიხის მთას, სად გასდის იქით შოლა. ნუნისს⁶ არს ეკლესია-მონასტერი, შვენიერი, შვენიერს ადგილს. უზის წინამძღვარი. ხოლო ჯევი ესენი არიან ვენახოვანნი, ხილიანნი.

კვალად ფონას ზეით და სურამის დასავლით ლიხის მთას გასდის ჯეფინის-ჯევის წყალი და მიერთვის ძირულას აღმოსავლეთიდად ხოლო ძირულა გამოსდის მთასა პერანგას და დის ლოდორამდე სამჯრით და მუნდამ მომგრგავლით დასავლეთად. არამედ არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე ჯეფინის-ჯევსა. და მას ზეით არს ულუმბის მონასტრისა, არამედ აწ მიხმული აქუს იმერთაგან, გარნა აძლევენ ცვილისა, ზეთისა და საკლმის ფასსა აწცა. ვერტყვილას მოერთვის სამჯრიდამ ვერტყვილისა ვე-ჯევი. ხოლო ვერტყვილას და ამაშუკეთს შუა არს მცირ[ე] მთა, მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა აწინდელი. ამ ვერტყვილის-ჯევს ზეით ერთვის ძირულას ბჟინევის-ჯევი. აქა არს, სამჯრით, მონასტერი გესამანა⁷, გუნბათიანი, კეთილშენი, საწინამძღრო. მას ზეით ჯევი გრიგალეთისა, ერთვის ძირულას; მას ზეით ჰეფონის-ჯევის წყალს ერთვის ჯევისს-ჯვრის-ჯევი. მას ზეით ამასვე ერთვის ჯევი წაქვისა. და ჯევი ესენი ყოველნი სამჯრეთიდად ერთვიან, გამომდინარე ფონის გამდინარის ჩხერიმელისა და ჯეფინის-ჯევის შუა მთი-

აღწერა მთა იქითისა

აღწერა ჯეფინის-ჯევისი

*) დედანში: „აქურუ“.

120 დამ. და არს ჳეთბა ესე ჳეფინის-ჳევი მოსავლიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ქართლისაგან მეტი არს აქა ღომი, ხურმა, წაბლი. რომელი მთას იქითი და | ვსწერეთ, ქვიშხეთის დასავლით, იგინიცა ესრეთვე ჳგონე. არს ცხოვარი უდუმო, სთესვენ სიმინდსა მრავალსა. ხოლო ადგილები ესენი, რომელნი აღვსწერენით, ლიხის მთის შორისი, ეგრეთვე ჳგონე, ვითარცა აღვსწეროთ იმერეთი. 5

აღწერა მტკვარის ჳეობისა
ხოლო ტაშის-კარის სამჳრით ჩამოვალს დასავლეთიდან მთა მახვილოსი ცხვირ-ცხვირად, და აღმოსავლიდან ყერძენის მთის წვერი, და მოავიწროებს მტკვარს კლდითა. 10
აქ, მოვიწროებულსა შინა, არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდან ჳეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშის-კარი [ესე არს ქვის-კარი]. და ამის პირისპირ, სამჳრიდამ, ერთვის მტკვარს სარმანი შვილის-ჳევი, გამოსდის ყერძენსა და ამას შუას მთას. ამის დასავლით არს ახალ დაბა¹, მცირე ქალაქი, მტკვრის იმიერ-ამიერ, მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამჳრით არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, დიდნაშენი და მაგარი. ახალდაბას ქვეით მტკვარს მოერთვის ჩდილოდამ ჳევი ნეძვისა, გამოსდის ამასა და მთას იქითს შუას მთას. კვალად ახალდაბას ზეით ერთვის მტკვარს სამჳრიდამ ჳევი ქიმერეთისა. გამოსდის ყერძენის მთას. ქიმერეთის-ჳევს ზეით ერთვის მტკვარს სამჳრიდამვე ჳევი კორტანეთისა. გამოსდის მასვე მთას. ჩდილოდამ მოერთვის მტკვარს ზანავრვილის კჳვი, ამასა და მთას იქითის შუას მთიდამ გამომდინარე. 20 25

აღწერა სადგერის ჳეობისა
ამ ჳევს ზეით ერთვის მტკვარს თორის-წყალი სამჳრიდამ. ამ შესართავს სამარით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორი მდინარე, დასავლით შავ-წყალი; და შავ-წყალი გამოსდის ბაკულიანისა და კოდიანის მთასა, და მიერთვას მტკვარს სამჳრიდამ. გომარეთამდე შავ-წყალსა და თორის-წყალს უწოდებენ აწ სადგერის ჳეობას *. არამედ სადგერი არს მაგარი და შეუალი, ეკლესია შემუსვრილი აღაშენა და შეამკო ხატი მისი ჟდ მეფემან ვახტანგ. ამ სადგერს ზეით, დასავლით, არს დაბათორი, მას ზეით ციხის-ჳვარი, და ციხე მისი შავს-წყალსა ზედა, დასავლისაკენ. კვალად სადგერს ზეით მოერთვის თორის-წყალს 30 35

*) „ვგონებ თორელთა სამთა ამათ ჳეობათა – სადგერს გუჯარეთს და მტკვრის ხეობას, ვინათგან სახელნი და ადგილნი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ“.

სამწრიდამ ბაკულიანი სწყალი, გამომდინარე ბაკულიანის მთისავე. აქა, თორისწყლის აღმოსავლით, არს კომოთის მანს. მონასტერი² გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი. ხოლო ეს სადგრის ჯეობა არს უვენახო და მოსავლით, ვითარცა აღვსწერეთ გუჯარეთის ჯეობა, ესეც სცან, ეგრეთვე ნაყოფიერი, მთითა, ნადირითა და პირუტყვითა. კიმოთისმანს ქვეით არს ციხე, თორისწყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, უზნარიანი ს, ფრიად მაგარი.

10 ხოლო კვალად ჩდილოდამ ჯეობაში* მტკვარს ერთვის ეშმაკთ-უზნის-ჯევი, გამომდინარე ამასა და მთას იქეთის მთის შუადამ. ამას ზეით, ნუას, მოერთვის შავწყალი. ნუას ზეით, ჭალის პირისპირ, სამწრიდამ, ერთვის მტკვარს დღვაში ს-ჯევი. გამოსდის კოდიანის მთას. მას ზეით არს, 15 მტკვრის კიდესა ზედა, სამწრით, პეტრეს-ციხე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყვერბილი ს-ჯევი, მოერთვის სამწრიდამ მტკვარსა, გამოსდის კოდიანსა. პირისპირ ციხისა მოერთვის მტკვარს ჩდილოდამ ლიკანის-ჯევი, გამოსდის მახვილო-ფერსათს. ამ 20 ჯვეთ ზეით არს ჭობის-ჯევი. და არს დვირამდე ქართლისა. არამედ არს ესე მტკვრის ჯეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიანნი, ნამოვან-ფიჭოვანი. ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირნი მრავალნი. ჩდილოთ მთა 25 აქუს ღადოსი და მახვილოს წამოსული აღმოსავლით, ვიდრე ტაშის-კარამდე სამწრით კოდიანიდამ წამოსული აღმოსავლეთს-ჩდილოს შუა მთა, ამასა და სადგრის ჯეობას შუათი.

ხოლო ტაშის-კარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ-ტფილისამდე სამნი ესე სასპასპეტონი: მემარცხნე, მუხრანისა, მემარჯუნე ქართლისა, მეფის თანა მყოფი, ტფილის ზეით, 30 მტკვრის სამწრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე **, – არიან წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა; და უფლოსისაგან ეწოდა ზენა-სოფლები შიდა-ქართლს. და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო, და ყოველთა ერისთავთა და სპასპეტთა ზედა- 35 მხედველი. შემდგომად თამარ მეფისა ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა. და შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ სადროშოდ იქმნა. არამედ რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტერნი აღვსწერენით, ანუ პალატნი, არა არს არცა ერთი, რომელნი არა იყოს თლილის ქვითა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის

კვალად ჯეობის აღწერა

საერისთოსა, სასპასპეტოსა და სადროშოსი, ვითარ არს და იყო

*) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევიდამ.
**) უკანასკნელი ორი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზევიდამ.

ქვითა არიან აღშენებულნი. კვალად არა არიან დაბანი ანუ აგარაკნი, რომელსა შინა არა იდგეს ეკლესია თლილის ქვისა, უგუნბათონი, მცირენი და დიდნი, და მით იცნობების ნასოფლარნი, სადაცა დგას ეკლესია. ხოლო მონასტერნი, რომელნი ცალიერნი დავსწერენით, აწ ხუცის სამარად, მამულნი მათნი მიუხვამთ აწ მთავართა ანუ აზნაურთა, მათნი შეწირულობანი, ანუ მეფეთა ხიზრად მოსულნი დაუსადგურებიათ მუნ, და ჟამთა ცვლილობითა შერჩომიათ მათ, არღარა დაუსვამთ წინამძღვარი და უსაზრდელობით მონაზონთათა აწ ცარიელნი არიან. კვალად რომელნი ეკლესიათა აღმშენებელნი არა მოვიხსენეთ, ვინათგან დავსწერეთ მეფენი ეკლესიათა მაშენებელნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთავართა და ხუროთ-მომღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილნი აჩენენ.

5

10

აღწერა ჭერეთისა, კახეთისა და კუხეთისა კვალად თუშეთისა და დიდოეთისა

173

სახელთათვის

ხოლო ქვეყნისა ამის სახელნი არიან სამი: რამეთუ ჭერეთი ეწოდა თარგამოზის ძის ჭეროსის¹ გამო, რომელსა ძმათა თვსთა შორის წილად ხუდა ქვეყანა ესე და დაიპყრა საზღვარი თვსი, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო კახეთი და კუხეთი არიან წილნი ქართლოსისა, რამეთუ, შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, განუყო დედამან მათმან მეთა თვსთა ქართლოსის წილი ქვეყანა. და მისცა კახოს¹ საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი; სამჯრით საზღვარი ჭერეთისა, თურდო-შტორის-ჯევი, ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს, ერწო-თიანეთს, იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს კახეთი, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-კევსურსა [რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი], თიანეთს, ერწოს, ირტოს-ჯევს, პანკისის კეობას, საყდრიონს და ალონს.

ხოლო კუხოსს¹ მისცა* საზღვარი: აღმოსავლით მთა კახეთისა; სამჯრით საზღვარი ჭერეთისა, რომელ არს ხუნანის გამო[ს]წვრივ გულგულამდე; დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩდილოთ იგივე** მთა კახეთისა. და ამათ შორის ქვეყანას

20

25 ეწოდა კუხეთი, კუხოსის სახელის გამო, არამედ აწ უწოდებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თემის-ჯევს [რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო, ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდორნოსოსაგან მოსრულნი ურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ყვნა მეხარკედ], კვალად გრდანი მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადივარი, ომანის-ჯევი, ყარაღაჯი და ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი, ამან მოსპო სახელი კუხეთისა და

*) ამის შემდეგ წაშლილია: „მისცა“.

**) დედანში: იგივე.

86

იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯვარს ქვეითს, სამჯრის კერძს, ეწოდა გარდაბანად, არამედ შემდგომად კვირიკემ ², დაიპყრა რა ზერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ, გარნა ზერეთს აქუნდა თვისივე სახელი მოუსპელი.

5

ხოლო შემდგომად განდგომილებისა, ქრისტესა ჩუდგ, ქართ. რნდ, მოისპო სახელი ზერეთისაცა, და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და ზერეთს უწოდებენ შემდგომად აწაწდე განყოფით ესრეთ: გაღმა-მხარს, ელისენსა *, შიგნით-კახთს, ქისიყს და გარეთს-კახეთს. და არს სრულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამჯრით დიდის ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი, და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და, მწარე-წყალს ქვეით, მტკვარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე.

10

15

და მდებარებს ქუწყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქვეყნისა ამის საშუალოს არს მთა, რომელი გამოხდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ და გამოვლის მახვილის ჯევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის, და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩდილოდამ სამჯრით, მერმე წარმოვალს და მივალს მალარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა მდებარებს და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამჯრით ქისიყი **, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას კავკასის კერძოსავე მთა კახეთისა, მერმე გონზორი, შუამთა და ცივი. არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინე-

20

25

30

თისა, რომელსა კვერნაქადცა უწოდებენ, თვნიერ განკვეთისა არაგვისაგან. ამისთჳს უწოდებენ გონზორის მთასაცა ქისიყამდე კვერნაქად.

არამედ მთასა ამას და კავკას შორისი ქვეყანა არს ტყიანი შაქამდე და მცირე ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი, საგარეჯოს ქვეით, უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო, თვნიერ იორის მდინარისა და მცირე წყარონი. ხოლო ჰავითა არიან მშვენი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინუ-

35

*) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან.

**) უკანასკნელი 5 სიტყვა სწერია დედანში ანაფხეკზე.

87

ლო, უყივნო, ვინათგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.

5 ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინვლითა და თევზითა, არამედ უფროს ზერეთი, და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი, რამეთუ, თვნიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმოსა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენით, აბრეშუმით, ბამბით, 10 ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს. გარნა არა სთესვენ ღომს, და არცა არს კირჩხიბი აქ. ხოლო ხილნი ვიეთნი** აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისასაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობე და უმრავლეს აქაურთა. 15 ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქართველთა ზნითა, ჩვეულებით და ქცევით, არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდმთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართველნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი 20 ქართლის კათალიკოზისანი.

ხოლო არს ქვეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ იორი, რომელთა მოიგეს სახელნი ალონის გამო, არამედ იორი გაორებისათჳს, ვიწადგან აქუთ სახელი ერთი – „იორა ამ მდინარემ“. ხოლო 25 გამოსდის ა ლ ა ზ ა ნ ი თუშ-ფშავსა და ძურძუკს შორის კავკასსა, და დის ჩდილო-დასავლეთიდან აღმოსავლეთს-სამჯრეთ შუა, და მიერთვის მტკვარს განჯის ბოლოს. აქ მტკვრისა და ალაზნის შესართავს შორის არის მ ო ვ ა კ ა ნ ი რომელი აღაშენა მოვაკანოს¹, და ამის გამო ეწოდა წილსა მისსა მოვაკა-

ნაყოფითაჳს
და კაცთა

ქვეყანა
წყლისათჳს

30 ნი, ვითარცა აღაშენა ბარდა ბარდოს¹ და უწოდა სახელითა
 თვისითა წილსა თვისსა. ხოლო მტკვრისა და ალაზნის შესარ-
 თავს ზეით, ჩდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე-ალაზანი
 ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს ც ე რ ე თ ი, რო-
 მელი აღაშენა წეროს, ქალაქი თვისი სახელისა, და ამი | ს გამო
 35 ისახელა ქვეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხ ო -
 რ ა ნ თ ა ს, და იყო ქალაქ და ციხე ყრუდმდე და ბერქამდე,
 შემდგომად მოოჭრდა და აწცა ოკერ არს.

174

ხოლო ი ო რ ი გამოსდის ფშავისა და თიანეთის შორისს
 მთას და დის ჩდილოდამ სამკრით უჯარმამდე, მერმე ჩდილოთ-
 დასავლეთიდან აღმოსავალ-სამართ შუა, გარნა უფროს აღმო-

იორის მდო-
 ნარისათჳს
 და მის ქვე-
 ყანათა

*) ეს სიტყვა დედანში გამოორებულია.

88

სავლით. არამედ იორს და მტკვარს შუა ასტყდების მცირე
 მთა ხორანთიდანვე, რომელსა ეწოდების გ ძ ე ლ ტ ბ ა და
 გ ა რ ე ჯ ა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს: ხორაუგი-
 დამ მწარე-წყალამდე და მტკვრამდე კახეთისა, ხოლო მწარე-
 წყალს იქით ნახევარი, აღმოსავლეთის კერძი, კახეთისა, და
 ნახევარი, დასავლეთის კერძი, ქართლისა. ეს გარეჯის მთა
 მიადგების სათის-ჭალას კუხეთის მთას და მერეთ, ჩადივრის
 გორაებით, მიადგების ლილოს, და ლილო[ს] მთა მიადგების
 ეგრეთვე კუხეთის მთას. მდებარებს მთა ესე, ვითარცა მდინა-
 რე იორისა, და არს უტყ[ე]ო, თვნიერ ძეძუთა, და თუთუბო-
 თა, და ეგეთთა სხვათა მრავალთა. არა სდის მდინარე და
 იშვით წყარო ტბანი, არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და
 მწარენი .გარნა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან
 სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა იმიერ და
 ამიერ. გარნა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები.

5

10

15

ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს
 ფრიად ნაყოფიერი, ვინადგან აღმოვლენან რუნი, და ირწყვიან
 ველნი, და სცენდებიან[ნ] ყოველნი მარცვალნი. და დასდევს
 იორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნა-
 დირნი და ფრინველნი მრავალნი და უმეტეს კოკობნი. გარნა
 20 იყო ალაზნის შესართავადმდე და ვიდრე სამგორამდე შენობა-
 ნი დიდ ფრიად, არამედ მოოჭრდა გამოსლვასა ბერქასსა და
 შემდგომად ლანგ თემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემ-
 დგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონე-
 25 თა, ვითარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან, და სთესდენ
 ესენი ყოველსავე; და ესენიცა წარიყვანა შანადირ და დასხნა

ხორასანს ¹. ხოლო იორს არარაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ
კევი საგარეჯოდმდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი. და
არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირეთოვლიანი,
ნადირ-ფრინვლიანი, ჰავითა მშვენი, ხოლო ზაფხულის ცხელი, 30
ხაშმიანი, გაუძლისი. იორის პირს ყოფილა სასახლე, და მ კ ა-
ლ ა ს, აწინდელთა კახთა მეპატრონეთა, საზამთროთ ნადირო-
ბისათჳს, არჩილ ³ ა მეფისამდე კეთილს ადგილს, შვენიერს,
წყაროიანსა.

გარეთ-კახე
თისათჳს ხოლო დამკვალას აღმოსავლით-ჩდილოთ არს, ჭერეთის 35
მთის ძირს, მ ა ნ ა ვ ი ³, სადაცა აღაშენა სასახლე იმანყული
ხან ⁴. მთის ძირად არს ძველადი ციხე და აწ შემუსვრილი.
არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავს ქვეით ქისიყამდე, ცივ-
გომბორის მთის კალთათა, არიან შენობა-დაბნები ვენახ-ხი-
ლიანნი. უმეს იორისკენ სახვნელნი ველნი და უკან მთა ტყია- 40
ნი, უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი.
ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათჳს შემჭირ-

ნობს, თგნიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმარობით, ვი-
ნათგან არა აქუს მთას მდინარე, ვეწ/იარით რწყვენ ველთა.
არზაზედ არს აჰა კირუტყჳთა სიმრავლე ცხოვარს-ი, ცხენი,
ძროჳა, კანბეჩი, ვირი.ხოლო მანავის დასავლით არს ჯ ე ვ ი
5 გ ი ო რ გ ი-წ მ ი დ ი ს ა; გამოსდის შუა-მთას და დის ჩდილო-
დამ სამჭრით. ამან მოიგო სახელი, ოდეს შესწირეს გარეჯის
უდაბნოს დაბნები ესე, უწოდეს ს ა გ ა რ ე ჯ ო. ამის დასავ-
ლით ერთვის იორს ნ ი ნ ო-წ მ ი დ ი ს-ჯ ე ვ ი, გამოსდის მასვე
მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ჳევზედ არს ნ ი ნ ო-წ მ ი დ ა ⁵,
10 ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ
და დასვა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა
ქისიყადმდე.

ამის სამართ დახ იორის მდინარისა არს გარეჯის მთასა
შინა, ნათლის-მცემელსა და დავით-გარეჯას შუა, მ ო ნ ა ს-
15 ტ ე რ ი დ ო დ ო, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ,
რომელიცა იყო ნათესავით და ქვეყნით კახი, მოწაფე დავით
გარეჯელისა, და დაფლულია იგი მუნვე. და მონასტერი ესე
არს, ვითარცა სხვა გარეჯის მონასტერნი აღვსწერეთ. უზის
წინამძღვარი. ხოლო კვალად ნინო-წმიდას ზეით ერთვის იორს
20 ს ა მ ე ბ ი ს-ჯ ე ვ ი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე, ვი-
თარცა წინათნი ჳეენი. და ამის შესართავზედ, ხაშმს, ყვეს
მონასტერი და ციხე ნათლის-მცემლის მონოზონთა. ამას ზეით,
ამ ჳევზედ, არს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, ს ა მ ე ბ ი ს ა ⁶.
ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწოდმდე [და
25 იტყვის გარეჯის უდაბნოს თჳსად]. ესევე ჳევი არს საზღვარი

ჭერეთისა და კახეთისა. ამ ჳევზედ არს ციხე ვერენისა⁷, მაგარი, და გარდავალს გზა შიგნითკახეთს შუა-მთაზედ*. კვალად ამ ჳევს ზეით არს, იორსა ზედა, უჯარმა⁸, ორთა მთათა შორის კახეთისა და კუხეთისასა, რომელი აღაშენა კგ მეფემან საურმაგ⁹, ციხე ქალაქი, და კვალად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა, რამეთუ განყოფისა სამეფოთა მოოჯრდა.

უჯარმას ზეით, ჩდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა¹⁰ ციხე. და ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს კეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი, ძველად შენობიან ეკლესიანი. ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოდის ციხესა შინა წყარო. არს შენობა დიდი და მაგარი [ესე არს, რომელი წილად ხვდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოს[ს], და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კა-

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

90

ხოსს]. შემდგომად უწოდეს ვეჭორმა, ესე იგი არს „ვეჭორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა“. მერმე უწოდეს ბოჭორმა. ხოლო ბოჭორმას ზეით ერთვის იორს დასავლეთიდამ ერწოს-წყალი. გამოსდის ხერკისა და ერწო-თიანეთის შუას მთას და მოდის აღმოსავლეთ-სამჯრეთს შუა. ამ წყალზედ არს მონასტერი მცირე, შვენიერი, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ. და არს ჳეობა ესე იმიერ და ამიერ შენობა-დაბნებიანი. კვალად ამავე წყლის შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს, აღმოსავლით კერძ, ჟალიეთი¹¹, შენობა დიდი და შემუსვრილი. ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქვა. შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილ-შვენიერი, გუნბათიანი და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-ჳევსურისა და ჳერკისა. ხოლო ჟალეთს ზეით მოვიწროვდების იორი ხერკის მთიდამ წარმოსულის მცირეს მთით, და ამას ქვე[ე]ით ბოჭორმამდე არს ერწო და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისი; სამჯრით მთა კუხეთისა, იალონიდა[მ] წამოსული უჯარმამდე; ჩდილოთ მთა მცირე, თიანეთსა და მას შორისი, ხერკის მთიდამ წარმოსული; დასავლით მთა ხერკისა.

ხოლო კვალად ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის-
თის-წყალი, რომელი გამოზდის თვალივს ქვეით ხერკის მთას და აწ თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს-სამჯრეთ შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდამ. ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თვალივის იქით, თეთრის არაგვის მჭვრეტად არს

ერწოსათვს

5

10

15

20

25

თიანეთის-
თვს

175

ხ ა რ ჭ ა შ ო ს ¹ ეკლესია გუნზათიანი, კეთილშენი, ზის ეპის-
კოკოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-წევსურისა და თუშე-
თისა, რამეთუ შემუსრვასა ჩელეთისასა მოსცვალეს აქა [ანუ ეს
არს ჩელეთი]*. კვალად ამ თიანეთის-წყლის შესართავს ზეით,
იორზედვე, არს მთაში ც ი ხ ე ო ჩ ა ნ ი ს ა, მაგარი და შეუა-
ლი, და შენი არს ორთა მდინარეთა შორის. ხოლო ეწოდების
თიანეთი ვიდრე ერწოს საზღვრადმდე, და არს შენობიანი და
დაბნეზიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ამასა და კვეტერა-
პანკის შორისი მოა; სამჯრით ერწოს საზღვარი, და ნოკორნი-
სა და ბოკოწნის შორისი გორა, ხერკის მთიდამ არაგვამდე
მისული; არამედ ამას ზეითი ჟინვანამდე იყო ხერკისა ძველად,
ხოლო აწ თიანეთისა; ჩდილოთ ფშავსა და ამას შორისი მთა;
დასავლით შავი და თეთრი არაგვი. გარნა სახელი ეწოდა თია-
ნეთს, ვინადგან არს ძველივე, ვგონებთ, ძეთაგან კახოსისათა.

30

35

*) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები დედანში ამ სახით დაწერილია სტრიქონს ზემოთ.

91

5 არამედ არიან ორნივე მთანი უვენახონი, უხილონი, გარ-
ნა ნაყოფიერი, პირუტყვიანი, ნადირიანი, ბალახოვან-ყვავილო-
ვანი, წყაროიანი, ვითარცა თრიალეთი, თუნეირ სიმცირისა.
ხოლო ამ იორის მდინარესა შინა, უჯარმას ზეით, არს უმეტეს
კალმახი და მრავალნი, და მას ქვეით სხვა თევზნიცა და არა
ეგოდენ მრავალი, მდინარის სიმცირისათვის. ხოლო კვალად
ხარჭამოს, საშიშს დასავლით, დის თეთრის-არაგვის მდინარე.
ესე გამოსდის ძურძუკს-ფშავს მორისს კავკასსა და მოდის
ჩდილოდამ სამჯრით, და მიერთვის ჟინვანს აღმოსავლიდამ შავს
10 არაგუს.

15 ამ ჟინვანს ზეით და ხარჭამოს ზეით მოერთვის თეთრს
არაგვს კ ე ვ ს უ რ ე თ ი ს-წყ ა ლ ი. გამოსდის ესე ძურძუკისა
და ამას შორისს მთას კავკასს, მოდის ჩდილოდამ სამართ.
ამას მოერთვის ჯევენი იმიერ და ამიერ. და განჰყოფს ჯევესუ-
რეთს: აღმოსავლით კავკასიდამ ჩამოსული* მთა სამჯრეთად,
ამასა და ფშავს შორისი; სამჯრით ფშავის საზღვარი; ჩდილოთ
კავკასი, ამასა და ძურძუკს შორისი; დასავლით კავკასიდამ
ჩამოსული სამჯრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი.

20 ხოლო კევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფ შ ა ვ ი,
რომელსა შუაში უდის თ ე თ რ ი-ა რ ა გ ვ ი, და მოერთვიან
ჯევენი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლე-
სია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრ-
ვალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და
წიგნნი, და უწოდებენ ლ ა შ ა ს-ჯ ვ ა რ ს ², და აქუთ სასოება

კევსურეთი

სათვს

ფშავისათვის

- 25 მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც ჰევსური, უკჭთუ
 იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ თავისად,
 არამედ მიუძღვნის ლაშას-ჯვარსა. და არიან ესენი სარწმუნოე-
 ბითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა
 ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელ-
 30 ქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა,
 და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ჯერ-იჩენენ უმეტეს ჭეშმა-
 რიტებისასა. და არიან ყოვლითა, ვითარცა მთიულნი აღვსწე-
 რეთ. არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა, და უფ-
 როსად ჰევსურნი, და უმეტეს ბრიყვნი მთიულთაგან, და უზ-
 35 ნეონი, მებატონეთა თვსთა ერდგულნი. და ვინადგან ფრიად
 მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა, და კლდი-
 თა, და ტყითა, ამისთვის იმყოფიან მშვიდად და სიმწირისა-
 თვს მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან
 მუნიდამ.

*) ეს სიტყვა დედანში გამოორებულია.

92

ხოლო მზღვრის ფშავს: აღმოსავლით მთა კავკასიიდან
 ჩამოსული; სამჯრით კავკასივე, ამასა და მახვილოს-ჰევს შო-
 რისი; სამჯრით მთა, ამასა და თიანეთს შორისი; ჩდილოთ კავ-
 კასი, ამასა და ღლიდეს შორისი; დასავლით მთა, კავკასიიდან
 ჩამოსული სამჯრით, ამასა და ჰევსურეთს შორისი, არამედ ძვე- 5
 ლად ეწოდა ამ ორთა ჯეობათა ფ ხ ო ე ლ ნ ი, და აწ უწოდე-
 ბენ ესრეთ. გარნა სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკთა, ღლილუ-
 თა და ქისტთა თავისად, გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟა-
 მით, ოდეს განდგნენ[ნ]. ხოლო ყ ი ნ ვ ა ნ ი ^{2a} არს შავისა და
 თეთრის არაგვის შესაკრებელს შორის ციხე შენი და მაგა- 10
 რი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს.

დანარჩომი და ამ ჟინვანს ქვეით ერთვის შავს-არაგვს ჯ ე ვ ი ბ ო-
 თიანეთისა დ ა ვ ი ს ა. გამოსდის წინჴსენებულს ხერკის მთას და აწ თია-
 თვს, არამედ ნეთისას, მიდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ბ ო დ ა ვ ს
 პირველი იყო არს მონასტერი ³ გუნბათიანი, დიდ-შენი შვენიერს ადგილს 15
 და აწ ცარიელი. ამას ქვეით ერთვის არაგვსვე წ ი რ დ ა ლ ი ს-
 კუხეთი ჯ ე ვ ი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე.
 ამას ქვეით ერთვის არაგვს ნ ო კ ო რ ნ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარ-
 მომდინარი მისვე მთისა ეგრეთვე. ამის თავს არს ნ ო კ ო რ-
 ნ ა ⁴, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, დიდი. ესე აღაშე- 20
 ნა მდ მეფემან არჩილ და ყო მონასტერად. შემდგომად წამე-
 ბისა მისისა, ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ.
 არამედ ბოკოწნის ჰევს და ამ ჰევს შორის ჩამოვალს მცირე

ხერკისა და
საგურამოსა-
თჳს

მთა, წინთქმულის მთიდამ, დასავლეთად. ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი, და აქამდე აწ უწოდებენ თიანეთს, გარნა პირველ იყო ჟინვანამდე წილი კუხოსისა. 25

ხოლო ბოკოწინის-ქევი ერთვის ჯილაურს არაგვს. გამოსდის ერწოსა და მის შორისს მთას, მოდის აღმოსავლეთი-დამ დასავლეთად. ამას ქვეით ერთვის არაგვს ხერკის-ქევი 30

ანუ თეზმის-ქევი. გამოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად. ხოლო ამის შესართავსა და ნარეკვავის შესართავს ქვეით არს, არაგვის დასავლით, მთასარკინეთისა და, აღმოსავლით, მთა მაღალი კუხეთისა, გა- 35

კუჭთილი არაგვით. ორნი ესე მთანი პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად წოდებული ამისთჳს, რამეთუ, თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნე- 40

ბის, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი დიდი. ამ მთის თხემსა ზედა, მჭვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე დ მეფემან ფარნა- 40

ჯომ⁵ და აღმართა მუნ კერპი ზადენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზეაზადენი. შემდგომად იგ მამათაგანმან მამამან იოვანემ ჰყო აქა მინანასტერი⁶ და ეკლესია სადგურად თჳსად,

და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამაროდამ სწვეთს წყალი, და უდგს ქვემორ ავაზანი ქვისა, და შეიკრიბვის მას შინა, არა გარდმოედინების და არცა აღმოსვებით მოაკლდების, უკუთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა.

ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ საგურამო 176

ანუ თეზმის'კევი! აქუს ხერკს: აღმოსავლით მთა ერწოსა და ამას შორისო სამართით მთა ზედაძნისა.: ჩდილოთ ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არა-გვანდე დასავლით არაგვი. ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე, და მივალს, და დამდაბლდების ხორაუგს აღმოსავლით აქუს ამ მთას ერწო, დასავლით ზრდანი. ხოლო ზედა-ძნის | მთას უმეს სამჯრით ზრდანი და ჩდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი, მცირე წყლიან-მდინარიანი.

კვალად ზედაძნის სამჯრით არს, ამავე მთის განკიდულს გორასა ზედა, მცხეთის პირისპირ, აღმოსავლით, არაგვის კიდესა, მაღალს კლდესა ზედა ჯვარის მონასტერი¹, კეთილი, დიდ-შენი. აქ დაასვენა წმიდამან ნინომ ჯვარი, სვეტისაგან გამოკვეთილი. შემდგომად გურამ კურატპალატმან, ლთ მეფემან, იწყო ეკლესია, ვინათგან აქამდე ჯვარ[ი] უეკლესიოდ ესვენა, და ძემან მისმან დიმიტრიმ შეასრულა. ზის არქიმანდრიტი.

ამის დასავლით, მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნი-
 25 ნოსაგან, სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა. და არს გა-
 რემონი მისნი მლაშე და მწარენი, და იგი ფრიად ტკბილი.
 ამას ქვეით, გრდანამდე, არს ველი მთასა და მტკვარს შო-
 რისი, და არს დაბნებნი მთასა შინა მცირე წყაროთი, უვენა-
 ხო, უხილო. ხოლო ჯეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოს-
 30 დის ზედაძმის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩდი-
 ლოდამ სამჯრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერ-
 თვის ავჭალას აღმოსავლიდამ მტკვარსა. ა ვ ჭ ა ლ ა არს მტკვრის
 კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავჭალის ბოლოს არს
 35 ჯევიმარი, ჩამოვარდების მშრალი ჯევი ქვიტკირის-ლილოდამ
 მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთი-
 სა. აქამდე უწოდებენ საგურამო[ს] ხერკითურთ გურამიანთ
 გამო. გარნა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით,
 მარცვლით, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვითა, ნადირითა,
 ფრინვლითა, ტყითა, ველითა და მითით შემკობილი. არამედ
 არ აკეთებენ აზრემუმს აქა. განჰყოფს გრდანს: აღმოსავლით
 40 ერწოს მთა; სამჯრით ჯევიმარი, ლილო, მარტყოფი; ჩდილოთ
 მთა იალონი; დასავლით მტკვარი და არაგვი.

94

მარტყოფი
 სათეს

ხოლო ამას ქვეით, ლილოს მთისა და კუხეთის მთის შო-
 რის, არს მ ა რ ტ ყ ო ფ ი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას.
 საცხენისის ჯევიამდე – მარტყოფისა, ხოლო მას ქვეით მტკვრამ-
 5 დე უწოდებენ აწ ლ ო ჭ ი ნ ს ა, არამედ ძველად ეწოდა ო მ ა-
 ნ ი ს-ჯ ე ვ ი. ხოლო მოერთვის ამას ლილოს მთის წყარო და-
 სავლეთიდამ, და ამას ქვეით ერთვის ამავე მარტყოფის წყალს
 ჯევი, გამომდინარე კუხეთის მთისა, მომდინარე აღმოსავლიდამ
 დასავლეთად. ამ ჯევსა ზედა არს სამჯრით ე კ ლ ე ს ი ა ღ ვ თ ა ე-
 10 ბ ი ს ა *, გუნბათიანი, დიდმენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი,
 მგზავსი ციხისა, კეთილს შვენიერს ადგილს. აქ დაადგრა იგ
 მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თვს მცი-
 რედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ, და მით
 ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი და აწ მარტყოფი ². ხო-
 15 ლო შემდგომად, რაჟამს მოოჯრდა რუსთავი, მუნებური ეპის-
 კოპოზი მოსცვალეს აქა, და ზის აწამდე, და არა შეუცვალეს
 სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს
 მარტყოფ-საგურამო-სერკისა. არამედ აწ აქუსცა დროშა სას-
 20 პასპეტო; და არიან ამის სასპასპეტოსანი გარეთ-კახეთი ქისი-
 ყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხნე ბრძოლასა.
 ამ ჯევს ქვეით ერთვის ჭ ო ტ ო რ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე
 უჯარმისა და ამას შორისის კუხეთის მთისა, და მომდინარე

დასავლით. ამ ჰევს ქვეით ერთვის ს ა ც ხ ე ნ ი ს ი ს-ჰ ე ვ ი,
მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთ მომდინარე.

არამედ არს ესე მარტყოფი ვენაჯოვანი, ხილიანი და ყოვ-
ლითა, ვითარცა საგურამო. [ჰ]ავითა მშვენი. ხოლო საცხენისის 25
და ლოჭინის სამჭრით არს ს ა მ გ ო რ ი ს ვ ე ლ ი და ჩ ა დ ი-
ვ ა რ ი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვის, რომელი
არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათის-ჭა-
ლამდე და გარეჯის მთამდე. სათის-ჭალის ზეით, კუხეთის მთის
კალთას, არს ხ ო რ ა უ გ ი. კვალად სამგორს აქუს დასავლით 30
ჩადივარი და აღმოსავლით კუხეთი[ს] მთა; და ხორაუგიდამ
დამდაბლდების კუხეთის მთა და მივალს გარეჯის მთამდე. ხო-
ლო ხორაუგის აღმოსავლით დის იორის მდინარე, ვითარცა
აღვსწერეთ.

კაკისა და ელისენისა-
თვს
ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად 35
არს ხ ო რ ა ნ თ ა , მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გ ი-
შ ი ს წ ყ ა ლ ი, რომელი გამოსდის კავკას, კულმუხსა და ჭე-
რეთს შორისს, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამჭრით, მერ-
მე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გ ი შ ი არს მთის ძირს,
რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი ⁴, გუნ- 40

⁴) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

ბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა, წუქე-
თისა და შაკიხისა, არამედ მიუხუნა შაბაზ კახეთს და
ჰყო სასულტნოდ, და ამას ეწოდა წ უ ქ ე თ ი, და აწ
უწოდებენ ა ლ ი ს-ს უ ლ თ ნ ა დ. კვალად გიშის წყლის შესარ-
5 თავს ზეით, ამ გიშის-წყალს მოერთვის ჩდილოდამ ქ უ რ მ უ-
ხ ი ს-წ ყ ა ლ ი; გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩდილოდამ
სამჭრით. ამ წყალზედ არს ქ უ რ მ უ ხ ი ⁵, სიმაგრე დიდშენი,
და აწ სახლი ალის-სულთნისა [იტყვიან, მივიდა ვახახისშვილი
წინაშე შაბაზისა ქრისნესსა **ჩფუზ**, ქარ. **სოე**, გამოჰმადიანდა
10 და, მოსლვასა ერევანს, მიუღო ალექსანდრეს და დასვა სულტ-
ნად იგივე აქა].

კვალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წ ყ ა ლ ი ფ ი-
ფ ი ნ ე თ ი ს ა; გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე
ჩდილოდამ სამჭრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე
15 ჩდილოდამ სამჭრით. ხოლო მთის ძირს არს ფ ი ფ ი ნ ე თ ი ⁶,
სად დასხნა ე მეფემან ლევან ⁷ ლეკნი, რათა უზიდონ ზაფხულს
კავკასიიდან ყინული, და იყო არჩილამდე ეგრეთ. შემდგომად
იწოდა ჭ ა რ ი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძო-
ლათა შინა. აქ, ჭარს ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, კე-
20 თილშენი, კარგს ადგილს, არამედ მ[ა]თ გამო უქმი, ხოლო ამ

წყლის შესართავს ზეით არს ალაზანი ყურედ და ყურედ, და მომდინარე მომგრგვალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა, ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყლი-
25 თა. ამ ადგილს უწოდებენ მ ო ს ა ბ რ უ ნ ს. აქ, ჭარის პირის-
პირ და ყარაღაჯის ბოლოს, აღაშენეს ხანთა სასახლენი დიდ-
შენნი, არამედ აწ არს ოჯერ.

ამას ზეით, ბ ო ე თ ა ნ ს, ერთვის ალაზანს ბ ე ლ ა ქ ნ ი ს-
წყალი. ამ წყალსა და გიშის-წყალს შორისი, ალაზნამდე და
კავკასამდე, არს ე ლ ი ს ე ნ ი, არამედ აწ ქურმუხს აქეთი.
30 და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარც-
ვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა.
ნადირნი, პირუტყენი, ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმი, ბრინ-
ჯი, ბანბა მრავლად. გარნა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს,
არამედ მთის კერძნი კეთილ-აგარაკოვანნი და მშვენნი. ხოლო
35 ზამთარს კეთილჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო. მზღვრის
ელისენს აღმოსავლით მთა კავკასი, კულმუხსა და მის შორის;
სამჯრით აღის-სულტნის საზღვარი; ჩდილოთ წყალი ბელაქნი-
სა; დასავლით ალაზანი. ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნ-
ზახსა და ამას შორისს კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავ-
ლეთად. აქ, მთის კალთას, არს ც ი ხ ე მ ა კ ა ბ ე ლ ი და სა-
სახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნ ო ხ პ ა ტ ო. აქ
აღაშენა მდ მეფემან არჩილ ცი | ხე და ეკლესია შვენიერი,

177

96

უგუნბათო და არს აწცა. ამ წყალს ამ ციხესთან მოერთვის
სხვა კევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე. და არს ად-
გილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა
ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი, გარნა მოსრნა იგინიცა შანადირ,
და აწ ოჯერ არს.

5

ყარაღაჯისა
და ქასიყისა-
თგს

ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს
ყ ა რ ა ღ ა ჯ ი ¹, სასახლე, რომელი ყვეს ხანთა, ვითარცა მცირე
ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ ჟამთა ჰყვეს* ციხე, და
აწ ჯერეთ ოჯერ არს. კვალად ყარაღაჯის სამჯრით, ალაზნის
კიდურთა ზედა, ასტყედების კმოდე და მივალს ვიდრე ხორან-
10 თამდე, და არს ალაზნისკენ მცირეტყიანი და ბალახიანი, და
აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთ. და კმოდეს ქვეით, არს ვე-
ლი ხორანთიდამ ქისიყამდე, წოდებული კმოდეს ქვეით, ალა-
ზნისკენ, წ ი ნ ა მ ი ნ დ ო რ ი, ხოლო ზეითს, ყარაღაჯითურთ,
უ ფ ა დ ა რ ი. და არს ესე სანადირო კეთილი. გარნა ყოფილ
15 არსცა ძველად შენობა დაბნებთა, არამედ შემდგომად ბერქას
გამოსვლისა ოჯერ არს. კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსა-
ბრუნთა შინა ძველად შენობა ქრისტეანეთა, და შემდგომად
დასხნეს ელნი, და უმეტეს ხანთა – ელი ფადარი, დიდი, მრავა-

10

15

ლი. გარნა იგიცა აპყარა შანადირ იორის პირის ელითურთ. 20

ხოლო ყარაღაჯის სამჯრით, სადაცა დასწვდების ზერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი², და აწ უწოდებენ ჭოეთს. აქ, კლდესა ზედა, შენი არს ციხე მაგარი, და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოჯრდა. ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის-ჯევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა; მოდის ჩდილოდამ სამჯრით და ვერ მდინარებს ველსა ზედა სიმცირით. ამ ჯევისა ზედა არს ბოდბეს-ეკლესია გუნბათიანი³, დიდშენი, შვენიერი. აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კე მეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე და მანავადმდე, და არს ბრძოლასა მეწინავე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათვს წმიდის ნინოსა. ბოდბეს ზეით, ამ ჯევზედ, არს მალაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ. ამავე ბოდბის დასავლით არს ლაკბის-ჯევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთვე მომდინარე, და ვერცაღა ეს მდინარებს ველსა ზედა. კვალად ხორნაბუჯის ჩდილოთ არს ხირსას მონასტერი⁴, რომელი ჰყო იგ მამათაგანმან წმიდამან სტე-

20
25
30
35
40

*) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემით.

ფანემ, დიდ-კეთილშენი. დაფლულ არს მუწვე წყოლა სტეფანე. ზის წინამძღვარი.

5 არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა, ცივის მთილამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვს, შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვს – „მქის იყო“. არამედ არიან კაცნი მბრძოლნი, მჯნენი, აჯოვანნი, შემმართველნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამჯრით – უფადარი და წინამინდორი

10 ხორანთა-იორამდე; ჩდილო მთა მთა ზერეთისა. ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის-ჯევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჯრით იორი ანუ მტკვარი; ჩდილოთ მთა ცივისა კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს შორის გასული ალაზნამდე.

15 ხოლო კვალად ბელაქნის-წყლის შესართავს ზეით მოერთვის ალაზანს მალის-წყალნი, გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავკასს, მოდის ჩდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით-სამჯრეთს შუა. ამ ჯევზედ არს, მთასა შინა, თოლა, სა-

გაღმა-მჯრისა
და შიგნით-
კახეთისათვს

სახლე მეფეთა, ფრიად მშვენივარე ზაფხულს. ამას ეწოდა მ ა ჭ ი.
 20 აქ ეყრების ჴევი სხვა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად,
 გამომდინარე მისვე კავკასიდამ. ამ ჴეობათა ზედა ყოფილა
 შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომად შააბაზისა
 ლეკთა მიერ ოჯერ არიან. ამ მაწის-წყლის ჩდილოთ არს ველ-
 25 სა ზედა ც ი ხ ე ტ რ ა წ ა ყ ა ლ ი ს ა და აწ უქმი. ამას ზეით,
 ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ც ი ხ ე ლ ა კ ვ ა თ ი ს ა, მდ მე-
 ფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლ ა გ ო ე თ ა დ წოდებული,
 მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჯერი. ამან მეფემანვე აღაშენა
 30 ს ა მ მ ო რ ი ს ც ი ხ ე და ეკლესია*. კვალად მაწის-წყლისა და
 ამ ციხეთ ზეით მოერთვის ალაზანს ნ ე ი ნ ი ს-წყ ა ლ ი; გა-
 მოსდის ლეკეთსა და ამას შორის კავკასსა, და მოდის აღმო-
 სავლიდამ დასავლეთად, და ველსა ზედას ფრიად გრეხით. ამ
 წყალზედ არს ჭ ი ა უ რ ი და ქ ვ ა ბ ლ ო ვ ა ნ ი. ამას ზეით
 მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ კ ა რ დ ა ნ ე ხ ი ს-წყ ა ლ ი,
 35 გამოსდის ჴერეოისას ანუ ცივის მთას, მოდის დასავლეთიდამ
 აღმოსავლად. ხოლო ნეინის-წყლის ზეით, ჩდილოთ კერძ, ველ-
 სა ზედა, არს ც ი ხ ე კ ა რ თ უ ბ ნ ი ს ა და აწ ცალიერი. მას
 ზეით, ჩდილოთკენ, ველსა ზედა. გ ო რ ი ს წ ყ ლ ი ს ციხე და
 აწ უქმი. ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბ ე დ ი ყ რ ი ს-წყ ა ლ ი,
 40 გამოსდის კავკასის კალთას, დის ჩდილოთ-აღმოსავლის შუა-
 დამ, მოდის დასავლეთს-სამკრეთს შუა. ამაზედ არს ს ტ ე ფ ა ნ-

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

წ მ ი დ ა, მ ო ნ ა ს ტ ე რ თ ⁵, მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმე-
 საგან აღშენებული. ხოლო ამ წყლის შესართავის ალაზნის და-
 სავლით, ცივის მთის ძირს, არს ვ ე ჯ ი ნ ი ⁶. მას ზეით, მთის
 კალთას, კლდესა ზედა, არს ციხე შენი მაგარი და დიდგებული,
 შიგ გამომდინარე წყაროთი და ეკლესიით. კვალად ალაზანს
 5 ერთვის, ბედიყრის-წყლის შესართავს ზეით, გ ა ვ ა ზ ი ს-წყ ა-
 ლ ი; გამოსდის ამასა და დიდოეთს შორისს კავკასსა და მო-
 დის აღმოსავლეთ ჩდილოთ შუადამ სამართ-დასავლეთს შუა.
 ამას ზეით მოერთვის ალაზანს ყ ვ ა რ ე ლ ი ს-წყ ა ლ ი, გამომ-
 10 დინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე.
 ამ წყალზედ, ყვარელს ზეით მთასა შინა, არს ნ ე კ რ ე-
 ს ი. დ მეფის ფარნაჯომისაგან აღშენებული ქალაქი ⁷ იყო.
 შემდგომად მეფემან თრდატ აღაშენა ეკლესია დიდშენი, გუნ-
 ბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, იგ მამათაგანი, და იქ-
 15 მნა იგი ეპისკოპოზო, მწყემსი გაღმა-მჭრისა დიდოთურთ. ამან
 მოაქცივნა უმრავლესნი მთიულნი; ესევ ეწამა სპარსთაგან, ვი-

თარცა მოგვითხრობს მეტაფრასი, და დაფლული არს სამთავ-
 როს. და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ
 არღარა არს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო, და
 არიან სადროშონი მისნი გაღმა-მჯარნი ელისენით და მემარჯვ- 20
 ნე. ხოლო კვალად ყვარელის-წყლის შესართავს ზეით ალაზან-
 სვე ერთვის ჩ ე ლ თ ი ს წ ყ ა ლ ი, გამომდინარე მისვე კავკასი-
 სა და მომდინარე ეგრეთვე. ხოლო ამის შესართავის პირის-
 პირ, მცირეთ ზემორ, დასავლეთიდან მოერთვის ჭ ე რ ე მ ი ს-
 წ ყ ა ლ ი, გამომდინარე ცივის მთისა და მომდინარე ჭერემამდე 25
 ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამჯრეთს შუა, მერ-
 მე დასავლეთს-სამჯრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოთ შო-
 რის. ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით, ველსა ზედა,
 ვ ე ლ ი ს-ც ი ხ ე ¹, და აწ უქმი. ამავ წყალზედ არს, ცივისა ანუ
 ჭერეთის მთის საშორისსა, ჭ ე რ ე მ ი ² იყო ქალაქი, სადაცა 30
 აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი და ქალაქი
 მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნით-კახეთისა, და
 ზის დღესცა. ხოლო ამ ჭერამის სამჯრით, მთას იქით, არს მა-
 ნავი; კვალად ჭერემს-ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩდილოთ, მთის
 კალთას, არს ა ხ ტ ა ლ ა ³, რომელსა იტყვიან ნასოფლარსა 35
 და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუპრი, ვითარცა მდულა-
 რე და აღმოაქვს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხთა. ხო-
 ლო კვალად ჩელთის-ხწყალს ზეით ალაზანს ერთვის ს ა ბ უ ე-
 გ რ ე მ ი ს-წ ყ ა ლ ი, გამომდინარე დიდოეთსა და ამას შორის
 კავკასს და მომდინარე, ვითარცა წინანი მდინარენი. ამ წყალ- 40
 ზედ არს გ რ ე მ ი ⁴, რომელი ქმნეს ქალაქად ქრისტესსა ჩუდვ,
 და განდგომილებისა კახთ მეპატრონეთა, და მყოფობდენ მუნ.

აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოჯრა
 შააბაზ, მიერთით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლე-
 სია გუნბათიანი, კეთილშენი, მთავარ-ანგელოზთა, და არს ე
 მეფე ლევან დაფლული მას შინა. ამ გრემის-წყლის შესართა-
 ვის პირისპირ მოერთვის ალაზანს დასავლეთიდან ა კ უ რ ა ს-
 ჯ ე ვ ი, გამოსდის გონზორისა და ცივის მთას.

ამ ჯ ე ვ ს ზეით მოერთვის კვალად ალაზანს კ ი ს ი ს-ჯ ე ვ ი,
 გამოსდის გონზორის მთასა, მოდის დასავლით-სამჯრეთს შუადამ
 ჩდილო-სამჯრეც (sic) შუა. ამ ჯევზედ კლდეში არს ქვაბნი მრა-
 ვალნი გამოკვეთილნი. აქავ ღვინო კონდოლისა წარჩინებული. 10
 ამას ზეით ერთვის ალაზანს ლ ო პ ო ტ ი ს-ჯ ე ვ ი ს წყალი, გა-
 მოსდის თუშეთსა და მას შორის კავკასსა, მოდის აღმოსავლი-
 დამ დათვლად. ამ ჯევზედ მთაში არს ლ ო პ ო ტ ი, კლდე
 დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაგარი და შეუალი მტრი-
 საგან, რომელი დადგა მოსვლასა ყრუსასა. აქ მოერთვის ჯევი, 15

დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე. ამ ჴევს
ერთვის კავკასიდამ გამომდინარე ჴევი. ამ ორთა ჴევი, შორის
არს ლოპოტი. კვალად ამ ლოპოტის-წყლის შესართავს ზეით
ალაზანს მოერთვის თ უ რ დ ო ს-ჴ ე ვ ი, გამომდინარე შუა-მთი-
20 დამ. ამ ჴევზედ არს გ უ ლ გ უ ლ ა, რომელსა ეწოდა პირველ
ტ ყ ე ტ ბ ა. ეს ჴევი არს საზღვარი ჴერეთისა და კახეთისა. ამ
ჴევის სათავე ზეით, მთაში, არს შ უ ა-მ თ ა ს მონასტერი ⁵
კეთილი, გუნზათიანი, რომელი აღაშენა ე მეფის ლევანის ცოლ-
მან, გურიელის ასულმან თინათინ, და დაეფლა მუნვე. ზის წი-
25 ნამძღვარი, და უწოდებენ მოძღვართ-მოძღვარს.

ხოლო მთა ესე ამის სამჯრით ხორნაბუჯამდე არს მთა
ჴერეთისა, თხემთა შიშველი და უტყეო, ბალახ-ყვავილოვანი,
მცირე-წყაროიანი, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. მთის ძი-
რად კალთას იმიერ და ამიერ, შენობა-დაბნეზიანი, ვენახოვან-
30 ხილოვან-მოსავლოვანი. არამედ შუა-მთა ეწოდა საშუალობისა-
თვს გზისა გარდასულთა სამეზიდად თელავს. და არს ადგილი
შვენიერი, ყვავილოვანი. ამას ქვეით მ თ ა გ ო ნ ბ ო რ ი იწო-
და უმაღლესობისათვს, და ამას ქვეით მ თ ა ც ი ჴ ი ს ა კარდა-
ნეხის ჴევამდე არს, ვინადგან აქუს იქით და აქათ ცხელნი აღ-
35 გილნი. და მთა ესე არს მაღალი, აგარაკოვანი, ბალახოვან-
ყვავილიანი, წყაროიანი და გრილი ფრიად. ხოლო გულგულას
ქვეით, თურდოს-ჴევის სამართ, არს თ ე ლ ა ვ ი ⁶, რომელი
ჴყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჴერეთს, სა-
სახლე დიდი, ვითარცა ქალაქი, ხოლო მისცვალა მცირედ თ
40 მეფემან არჩილ 7 და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე,
და მაგრობენ მას შინა. კვალად თურდოს-ჴევის ჩდილოთ არს
იყალთოს-ჴევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მომდინარე

100

აღმოსავლეთად, არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცირით.
ამ ჴევზედ კახეთის მთის კალთას, არს ი ყ ა ლ თ ო ს მ ო ნ ა ს-
ტ ე რ ი ⁸, კეთილშენ-გუნზათიანი, ქმნული იგ მამათაგანის წმი-
დის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმიდა არსენცა,
რომელი იყო ქვეყანით კახი. კვალად თურდოს-ჴევის შესარ- 5
თავს ზეით ალაზანს მოერთვის შ ტ ო რ ი ს-ჴ ე ვ ი, გამოსდის
თუშეთსა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლიდად
დასავლით. თორღის ციხესთან ერთვის ამ ჴევს სხვა ჴევი, გა-
მომდინარე მისვე კავკასისა. თ ო რ ღ ი ს ც ი ხ ე არს მაგარი
და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი. სად მიერთვის ეს 10
ჴევი ალაზანს, მუნ არს ლ ა ლ ი ს-ყ უ რ ი ს ციხე [ვგონებ
ნახჴევნად]. ამ შტორის-ჴევისა და თურდოს-ჴევის ჩდილოთი
ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამჯრითი- ჴერეთი.

ამ შტორის-ჴევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ა ლ ა-

ვ ე რ დ ი ⁹, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, 15
 ზღუდე პალატებიანი, გუნბათიანი, რომელმან მოიგო სახელი
 ალონის გამო, რომელ არს ალონ-გვერდს, და შემდგომად ყრუ-
 სა უწოდეს * ალავერდი. აღაშენა იგ მამათაგანმან წმიდამან იო-
 სებ და ყო მონასტერი წმიდის გიორგისა, და დაფლულ არს
 მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე, ქრისტესსა 20
ჩუფვ, და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოს-ჯევის
 შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე, და უპირველეს კახთა
 ეპისკოპოზად. დაიქცა ძვრით. როსტომ იწყო შენებად, არჩილ
 შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესსა **ჩდმა** ძვრითვე. ხოლო
 ალავერდს ზეით ერთვის ალაზანს ა ხ მ ე ტ ა ს-ჯ ე ვ ი. გამოს- 25
 დის კახეთის მთას, ამასა და თიანეთს მორისს, მოდის დასავ-
 ლეთიდან აღმოსავლეთად. და ახმეტის ღვინო კეთილი. კვალად
 ახმეტის-ჯევის ზეით ერთვის ალაზანს უ ტ ო ს-ჯ ე ვ ი, გამომდი-
 ნარე კახეთის მთისა და მარილის-პანკისის შუათის მთისა, მო- 30
 მდინარე კვეტერის ციხემდე ჩდილოდამ სამჯრით, მერმე და-
 სავლიდამ აღმოსავლეთად. ამ ჯევის კვეტერის ციხესთან მოერ-
 თვის სხვა ჯევი, გამომდინარე პანკისის მთისა, მომდინარე
 ჩდილოდამ სამჯრით. ამ ორს ჯევის შორის არს ც ი ხ ე კ ვ ე-
 ტ ე რ ი ს ა ¹⁰, ფრიად მაგარი და დიდშენი. ხოლო უტოს-ჯე- 35
 ვის შესართავის პირისპირ, ალაზანის აღმოსავლეთის კიდეა ზე-
 და, არს ც ი ხ ე ბ ა ხ ტ რ ი ა ნ ი ¹¹ ანუ მაღრანისა, რომელმან
 მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა [ვგონებთ
 ლორწობანსაც ამას, ანუ ამას ზეით, მთასა შინა]. ესე ყო-
 ფილ არს დიდშენი და მაგარი, გარნა აწ უქმი. ამ ციხესა და

*) დედანში აშიაზე, ამ ადგილს შემოტანის ნიშნით, სწერია: „ღმერთ-
 მან მომცხ“.

ლალის-ყურს შუა არს ვ ე ლ ი ა ლ ო ნ ა დ წოდებული და სა-
 ნადირო კეთილ ფრიად. კვალად უტოს ჯევის ზეით ერთვის
 ალაზანს ჯევი, გამომდინარე პანკის-კვეტერას შორის მცირეს
 მთისა. ამ ჯევის სამჯრით არს მ ა რ ი ლ ი ს ი ხოლო მარილი- 5
 სის დასავლით მთაში არს, ქ ა ჩ ა ლ ა უ რ ს, მონასტერი კეთი-
 ლი და აწ ცარიელი. ამის სამჯრით არს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი წ მ ი-
 დ ი ს მ ა რ ი ნ ე ს ი, ფრიად შვენიერ-კეთილნაგები. ამის და-
 სავლით არს კვალად მონასტერი გუნბათიანი, დიდშენი, ყოვ-
 ლად-წმიდისა, ც ხ რ ა-კ ა რ ა დ წოდებული, შვენიერს ადგილს 10
 და აწ ხუცის ამარ.

ხოლო მარელისის ჩდილოთ ჯევი რომელი აღვსწერეთ,
 მის ჯევის ჩდილოდ კერძი არა პ ა ნ კ ი ს ი ს ჯ ე ო ბ , რომლი-
 სა შორის დის ალაზანი. და აღმოსავლით აქუს პანკისის კავკა-

15 სი, ამასა და თუშეთს შორისი; დასავლით მთა კახეთისა,
ფშავს, თიანეთსა და ამას შორისი; ჩდილოთ კავკასივე, ღლიღვ-
სა და ამას შორისი; სამჯრით ჳევი წინთქმული და მთა მცირე,
კახეთის მთიდამ ჩამოსული, აღმოსავლეთად ალაზნამდე, და
მერმე იქიდამ ხაზი, გასული კავკასამდე. ხოლო კახეთის მთი-
20 დამ ჩამოსულის მთის ზეით ერთვის ალაზანს ჳევი და გამოს-
დის კახეთის მთას, მოერთვის დასავლეთიდამ ალაზანს. ამ ჳევს
ზეით ერთვის სხვა ჳევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორისს
კავკასსა, მოდის დასავლეთად. ამ ჳევიდამ გარდავალს გზა
თუშეთს. ამ ჳევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორ-
25 თა წყალთა შუა არს ც ი ხ ე ხ ო რ ჯ ი ს ა ანუ მ ა ხ ვ ი ლ ი,
მაგარი და შეუალი, არამედ აწ უქმი.

ხოლო ჳეობა პანკისისა არს ვენახოვანი. ხილიანი – და-
ბალნი, და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი –
კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თჯნიერ
30 ბრინჯ-ბანზისა. პირუტყვნი მრავალ, გარნა ღორი უმრავლეს.
ხოლო პანკისის ჳეობის სამჯრით, ვიდრე ქისიყის საზღვრამდე,
უწოდებენ შიგნით-კახეთს რომელი იმზღვრების: აღმოსავლით
ალაზნის მდინარით; სამჯრით ქისიყის ხაზის საზღვრი; დასავ-
ლით ჳერეოისა და კახეთის მთით; ჩდილოთ პანკისის საზღვ-
35 რით. და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, გარნა
ტყე უმეტეს ხილიანი. მცირე წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი,
ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი. ფრინველნი, თჯნიერ დუ-
რაჯისა და კაკბისა, რომელნი ტყეთა გვარობენ, მრავალნი-
პირუტყვნი, – ცხოვარი მცირედ, – სხვანი მრავლად, არამედ
40 ღორი უმრავლეს, რამეთუ ერთ გლეხს ჳყავს ს, უ, ჩ და ც-
ნადირნი მრავალნი. მოსახლენი არიან თავადნი და აზნაურნი,
და არს შენობიანი მთის ძირად. კაცნი ზნით აღწერილისაებრ
გულისხმა ჳყავ. ხოლო ამის აღმოსავლით არს გაღმა-მჯარი.

102

რომელსა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი ლეკეთისა, დიდოე-
თისა და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გარდავლენანცა
გზანი მათ შინა გაღმა-მჯრიდამ; სამხრით ელისენის საზღვარი;
დასავლით ალაზნის მდინარე; ჩდილოთ მთა კავკასი, ამასა და
თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვა- 5
რი პანკისისა. და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა და,
უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი, მდინარითა,
ტყითა, ველითა, სიმაგრით, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენა-
ჯითა, ხილითა, რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არიან ნა-
40 დირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი, და უმეტეს კალმახი
მთის კერძოდ. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი და არიან

მკნედ მბრძოლნი. და ზერეთის ქვეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმა-მწარსა შინა და უმეტეს ელისენში; ეგრეთვე ბანბასა და ბრინჯსა სთესენ, გარნა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბამბასა. 15

დიდოეთისა თჳს ხოლო თუშნი და დიდონი, უკჭთუ არიან წილნი ლეკოსისა ¹, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხილავთ, და მოხარკენი მათნი, და უკანასკნელის განდგომილებისა, ვინადგან დავითსა ² ზედა დაშთენ ნამსახურად დიდონი, და მიერთგან მორჩილებენ კახთ მებატონეთა. 20
არამედ შემდგომად თუშეთ[ი] დაიპყრო ე მეფემან ლევან, ამისთჳს აწცა ჯერ არს აღწერად კახეთსა ზედა. ხოლო დ ი დ ო ე თ ი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა ³-ყვარელის ⁴ და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძოსა შინა. და არს დიდოეთი ორ-ჯეობად, და დის მის შორის მისივე მდინარე, რომელსა ლეკეთს ეწოდების ყ ო ზ ლ უ ხ ი, და უმეტეს ვაკესა შინა. ამ ჴევის აღმოსავლეთით არს მეორე ჴ ე ვ ი, და განჰყოფს ამ ორს ჴევს კავკასი მათვე შორისი, და ამისი მდინარეცა მიერთვის მის მეორეს ჴევის მდინარესა. ხოლო მზღვრის ამ ორს ჴეობას დიდოეთისასა: აღმოსავლეთით კავკასი ჴავარისა, ლეკეთისა და ამას შორისი; სამჯრით მდინარე ამისივე და კავკასიიდან ჩამოსული კავკასივე, ჩდილოთ მდებარე; დასავლით მთა კავკასი, ამასა და გაღმა-მწარის კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი. 30

და არს ქვეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუალი მტერთაგან, მწირი, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, და უმეტესადცა მისსა. გარნა ესენი უბილწესნი ზნითა, ქვევითა, ჰაეროვნებითა და სახითა. ენა აქუსთ თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი, რამეთუ იტყვიან, ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა სარკინეთი, განხვრიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა, და მიერთგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა, ვითარცა ჩანს ქცევა- 35

ზნითა მათითა, რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა, ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგვრის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანა-ეყოფის* აღრევითა დედაკაცსა მას; ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარს დაიპყრობს თჳთ, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქრმისა. და სხვანიცა მრავალნი უკჭთურებანი არიან. უვისთ

მოხუცებულნი. იგინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და დააწყნარებენ. ბრძოლასა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავათ მოსილნი, ავმოიარაღენი, ყოველნი სრულიად შავით მოსილნი, ემმაკის კერძობისათვის, შალითა და ნაბდითა. არამედ სიმაგრის გამო არიან მშვიდობით და მტერთაგან უვნოდ. კელოვნება უწყიანი ოსთავე მგზავსათ, და ამათი ჩოხა-ნაბადი სხვაგვარი: ჩოხა უხაო და ნაბადი ბოჭკო-მაღალი, ვითარცა ქუნთისა, გარნა შავი და არა სხვა ფერი. ხოლო ლეკის მკარე დაიპყრნეს – რომელიმე

20

ლეკთა და მოჰმადიან ჰყვეს და სხვან[ი] ჰგეის, და არიან ეგრეთვე. და კახეთის მკრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინათგან ზიდვენ კახეთიდან საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თვსთა.

25

ხოლო თ უ შ ე თ ი არს ლოპოტისა, თორღისა ** და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძოთა შინა, და არს ორს ხევად და მდებარებს ჩდილო-დასავლეთის შუადამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შორის, და უდის შორის მდინარე თქსი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩა-

30

ჩანს და მიერთვის ბორაღანს თერგის მდინარეს. ხოლო პანკისის გარდასწორ კავკასს იქით, არს წოვა; წოვას ქვეით გომეწარი და მის ქვეით ჩალმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღას და ლოპოტის ჰევზედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი, და სხვანი დაბნები არიან ლზ. ამის ჩდილოთ არს ფარსმანის თუშეთის-ჰევი, რომელთა უძეს

35

შორის კავკასივე. და არს ფარსმანის თუშეთს დაბანი ლვ, და განჰყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმართის ჰეთა ქისტ-ლილივიდამ წამოსული კავკასი, აღმოსავლეთ-ჩდილოთ შუა მდებარე. და მზღვრის ორსავ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი

თუშეთი

სათვს 180

*) დედანში: „ეზოფის“.

**) დედანში: „თორღირა“.

104

ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამკრით კავკასი, ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით მთა კავკასი, ამასა და კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამას და ლილივ-ქისტს შორის. არამედ არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მოსავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და ჰელოვნებით. არამედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათგან აქუთ ზაფხულს თვსთა მთათა შინა საძოვარი, და ზამთარს ჩამოვლენ გაღმა-მკარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ კახთა.

5

ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, გარნა ამათ მიერ

10

იგინიცა გამოიზღებია[ნ] კახეთი, რამეთუ მათ მოჰყავთ და ვაჭრობენ. არამედ იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა, ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშქრენი და მეხარკენი არიან; და არიან ბრძოლასა შემმართველნი, მკნენი ძლიერნი, მკედარნი წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი. რამეთუ, ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლების, არამედ განუტევებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ დღეთა მოიყვანებენ შობილითურთ. ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს გულითა კაც-

15

თაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჰმევენ ძალლთა თანა გობასა შინა ძალლთასა და არღარა კაცთა თანა. ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართულითა. აწ მწყისის ალავენდელი, მომტაცე ხარჭაშნისა. არს ეკლესია მცირე, აღშენებული ძველივე, და უვისთ ხუცესნი არამედ უმეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი, რამეთუ აქუსთ კლდე დიდი და მაღალი, და დღესა ილია წინასწარმეტყველისასა მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და პროხასა, და თაყვანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდისა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი. ხოლო რომელნი არიან მწარეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მათნი. გარნა ფარსმანის ჳევისანი სარწმუნოებით და ენით შერეულნი არიან, ვითარცა ქისტნი. არა იქმნების მათ შინა სიძვა ანუ მრუმება და, უკლტუ მძლავროს ვინმე და შეეყოს მის თანა, მოიკლავს თავს დედაკაცი იგი, და კაცსა მას მოჰკულენ თემნი, და მცნობი არა ილტვის სხვათა ქვეყანასა.

20

25

30

აღწერა აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა 209

ქვეყანა ესე, რომელსა აღვსწერთ, წილხდომილ არს კავკასოსი¹, მისა თარგამოზისა. ხოლო მოვიდა რა ორნი ესე ძმანი, ლეკანს და კავკასოს, ლეკანს დაიპყრა წილი თვისი და, გამოსვლასა ხაზართ მეფისასა, მისცა მამის ძმისწულსა თვისსა ხაზართ მეფემან ტყვენი რანისა და მოვაკანისა, და ლეკანის წილი ქვეყანა, და დაემუნა თვისითა და მით მუნ. ხოლო ხოზო-

სახელის-
თვს

ნის, რომელი უწარჩინებულ იყო ნათესავთა ლეკანისთა, შემოვიდა მათა შინა და აღაშენა ქალაქი, უწოდა სახელი თვისი ხოზონხეთი და ხარკს მისცემდა ხაზართა. ხოლო კავკასოს დაიპყრა ქვეყანა ლეკანის საზღვრიდამ, ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასის მთის ჩდილოთი ველითურთ, და ამისგან ეწოდა მთასა კავკასი და ველსა ოსი, ბოლოს მონაწყვეტი კავკასოსი, ვითამ მისი გამოსვლამდე ხაზართა. არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თვისსა ურბანოს და ტყვენი ქართლ-სომხეთისანი. ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი, და დაეშენა აქა თვისითა და ტყვითა მით, და უწოდა ო ვ ს ე თ ი. ეს არს ხაზარულად „ზოგი თესვად“ ვითამ – „ზოგი მოვსწყვიდე და ზოგი დავსხი თესვად“. ვითარცა უწოდეს ბარდოსის წილს რანი, ესე არს წყლულნი, რამეთუ მუნ მოსწყიტნეს უამრავნი, მძორთა უტევანნი.

ხოლო ძე ტინენისა, დურძუკოს, უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსა, შემოივლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი. ამის გამო ეწოდა არაგვის აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძ უ რ ძ უ კ ე თ ი, ხოლო არაგვისა დასავლით, რომელ არს მდინარე ლომევი და აწ თერგი, რომელი დის ჳევიდამ კავკასთა შინათა, დვალეთი, მისვე ურბანოსისაგან ხაზარულათ, ესე იგი არს, „ორი წელიწადი“, ესე იგი არს, რამეთუ ვინადგან ძურძუკეთსა შინა მცხოვრებელნი და კავკასთა შინა მცხოვრებელნი ხარკსა მისცემდნენ ურბანოს, ამისთვის ორი წელიწადი უწოდეს, რამეთუ ორის წლისა შემდგომად ხარკსა გამოართმიდენ, რომელი დღე-

106

საც ეგრეთვე მოხარკენი არიან თვსთვსთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა. ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი ჳევი იგინი დაშთენ მეფეთა ოვსთასა, და იწოდნენ ჳევი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კვალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად *, ქისტად და დლიდვად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკოს ძეთაგან ანუ შემოსულთა ოვსთაგანვე.

5

არამედ დვალეთიცა გაწიყოფების ჳევ-ჳევად და იწოდების ჳევი ესრეთ: კ ა ს რ ი ს-ჳ ე ვ ა დ, ზ რ ა მ ა გ ა დ, ჟ დ ე ლ ე დ, ნ ა რ ა დ, ზ რ ო გ ო დ და ზ ა ხ ა დ. ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელნი მათნი არიან ესენი: ჩ ი მ ი, თ ა გ ა უ რ ი, ქ უ რ თ ა უ ლ ი, ვ ა ლ ა გ ი რ ი, ფ ა ი ქ ო მ ი, დ ი გ ო რ ი და ბ ა ს ი ა ნ ი, და სახელნი ესენი უწოდნენ ანუ დაბებთაგან, გარნა უმეტეს შემოსულთა ოსთაგან, რომელნი შემდგო-

10

15

მად ჩინგიზ ყეენთა მიმავლისა, ბათო ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოწრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და იწო[დ]ნენ სახელითა მათითა ჴეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი, რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი, და გვარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჴახილიძე. ხოლო შემდგომად მოოწრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა, იწოდნენ: ოვსეთი ჩერქეზად ანუ ყაზარდად, და კავკასიასა შინა მყოფნი მათ შემოსულთაგან ოვსეთად, რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა – კვალად დვილადვე. არამედ ჴევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დვალეთისავე, გარნა ვინათგან მტკიძედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა ჴევად, ვინათგან არს ჴევი შვენიერი. არამედ თ რ უ ს ო კვალად არს დვალეთისავე, და ეგრეთ საცნობი ესეცა.

20

25

30

ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლით თრუსოსა და ჴევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამჴრიდამ ჩდილოდ, და დასწყდების ჴევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე, ვიდრე ხეთამე-ჩერქეზის მთამდე; სამჴრით მზღვრის კავკასი, ჴევის-ყელიდამ წარსრული დასავლეთად, რომელ არს ბრუც-საბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჴა-დი გორ-ბასიანს შორისი კავკასნი; ხოლო ჩდილოთ ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოთ უტყ[ე]ო, არამედ ღელეებთა შინა მცირეტყია-

35

40

*) დედანში „ძურკუკად“.

107

ნი; და დასავლეთით მზღვრის კავკასივე რაჴასა და ჟღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი.

ქვეყნისა
თჴს

5 ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუვალი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარისა და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყინულის სიმაღლე არს კ და ლ მჴარი ზაფხულის, კვალად სივიწროვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან, და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნადად განვალს ცხენი ფონად, თჴნიერ ხიდისა, არამედ მცურავთაგანცა არა ძალიდების ცურვად. არა არს აქა ტყე, მცირეთაგან კიდე და იგიცა უმეტეს არყნალი, გარნა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე-სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების, გარნა ვიეთნი ზიდვენ ჩერქეზის მთიდამ, და სხვანი სწვენ წივასა.

10

ხოლო სიგრძე ამის ქვეყნისა არს ჴევიდამ სვანეთის კავ-

15 კასამდე და განი ქართლის კავკასიდან ჩერქეზის მთამდე. არა-
 მედ ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინათგან არა-
 რაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თვნიერ ხორბლისა, ქრთილი-
 სა და შვრივისა, სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შე-
 მოდგომისათს. გარნა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმი-
 20 წობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთე-
 სონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკჭთუ მო-
 ვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლი-
 ერად. კვალად არარაი მოვალს, და არა* უწყიან მტილი-
 25 იპოების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი. პირუტ-
 ყენი არიან ცხოვარნი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა,
 ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, გარნა არიან ფრი-
 ად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს. და ვინადგან
 აქუთ საძოვარნი და სათიბნი ომცირედ, ამისთჳს ვერც ინახვენ
 30 ცხოვართა, თვნიერ კ, მ და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძრო-
 ხათა ი, კ და მ და უფროსი არღარა. ხოლო არიან ვექანი,
 რომელ არს წყარო ანკარა მლაშე, და მრავლად ყოველსა ოვ-
 სეთსა შინა. ამას სმენ კაცნი და პირუტყენი, და ფრიად ერ-
 გებისთ გარნა უფროს პირუტყვთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს,
 35 და გემოიან, და ურბილებს მატყლსა. ფრინველნი ჰყავთ ქა-
 თამნი და სხვანი არარანი, და გარეულნიცა წვრილთა სირთა-
 გან კიდე არარაი არს მუნ. გარნა არს ფრინველი შურთხი სა-
 ხელით, რომელი ყოველსა კავკასიასა შინა გვარობს, მგზავსი
 სახით კაკბისა და სიდიდით ორის ქათმის. ეს შურთხი შეიკრებს
 40 თჳსად საზამთროდ ბალახსა მრავალსა, და ამას ზამთარს შეუ-
 ქამს ჯიხვი, ხოლო შურთხი გამოიზრდების კურკლითა მისითა.

210

*) დედანში სიტყვა არ არის.

108

და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი. ნადირნი არიან ვიეთთა
 ადგილთა ირემი, არჩვი, მშველი, ფოცხვერი, მელი, მგელი,
 ტურა, მაჩვი, დათჳ, კურდღელი, და არა მრავლად. ხოლო
 5 ჯიხვი, რომელი მგზავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდი-
 დესი მისსა და შვენიერი სახითა და რქითა, ესე გვარობს კავ-
 კასთა ამათ შინა ყოველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ვალს
 კლდესა ზედა ქარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაი
 ცხოველი შემძლებელ არს განსვლად: აღვალს იანვრის ტეხვრა-
 ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასსა ზედა, და შეაქცევს ცხვირს
 10 ქარსა, და დაწვების ეგრეთ, და არარაი ვენების. არს აქა ფუტ-
 კარი და ჰყავთ, და არა ეგდენ მრავლად, რათამცა კმა ეყოსთ
 თაფლნი. არიან აქა ლითონნი ვერცხლისა, ბრჳენისა, რკინისა,

5

10

გოგირდისა, გვარჯილისა და ქვისა ბროლისა, არამედ არა უწყიან კელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად. არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისაგან, თვნიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოების კალმახნი. 15

კაცისა და ჩვეულებისა, ხოლო კაცნი და ქალნი არიან შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ-თვალ-წარბანი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, ზნისა და ხე-ლოვნებისა- წერწეტნი, გარნა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიც-ხელნი, თვსთა ქვეყანათა შინა მცირედ მჭამელნი, რამეთუ ჳმა იყოფენ თვნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხვათა ადგელთა 20

და სტუმრობათა შინა გაუძლომელნი, ვერ შემმართველნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ემინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართველნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსვლელნი, უსაქციელონი, ბრიყუნი, ქვეყანათა თვსთა ლაღნი და ამაყნი, სხვათა ქვეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მტყუარნი, ხარბნი, მომხვეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყვის მყიდველნი, გარნა არა თვსთა ჰყიდიან. არამედ ქალნი მათნი იცმენ ქალწულებასა ვიდრე შერთვადმდე ქრმისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კურონი, რამეთუ სირცხვილად აქუსთ დღისით ხილვა ცოლ-შვილთა თვსთა ქრმისაგან. 25 30

ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბერულად მოჭრილითა, და ნიფხავი ხამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მუჭლადმდე და პაიჭიცა შალისა. არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უფუჯასტო, ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული; ფერჯთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლ[ა]ნჩა გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე, და მას შინა შთასდებენ თომსა, და ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მოუსხლტეთ ფერჯი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა. უდიდესნი იცმენ წულასა, და ბურავსთ თავსა ქუდი მგრგვალი და ბეწოსანი შალისაგანვე. ბოდიშობენ ურთიერთს და მიემშვიდებიან ქუდის მოხდით. სხედან სკამთა ზედა. არა- 35 40

მედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე, ლეონსა, დარაიას, დარაიბაფთს, ყუთნსა და რაისაც ლარს იშოვნიან. ეგრეთვე მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად, და ბურავთ მათცა ქუდი იგივე, აცვიათ წულა-პაიჭი და არა ნიფხავი. 5 მოირტყემენ სარტყელსა კაცნი და ქალნიცა, ვითარიცა ძალუცთ შოვნად. სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დვალნი სახელით ოდენ ქრისტეანენი, რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა, და სამღვდელოთა პატივსა და თაყვანსცემენ, და სხვისა სრულიად უმეცარნი. არა უვისთ 10

მღუდელი, და უნათლისღებონი არიან, თვნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მონათლვიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალა- გირი, ფაიქომი, დიგირელნი და ბასიპანელნი, რომელთა თავნი და წარჩინეულნი მათნი არმან მოჰმადიანნი, და დაბალნი 15 გლეხნი ქრისტეანენი, გარნა უმეცარნი ორივეს რჯულისანი, რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტეანენი, და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მოჰმა- დიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და ჯორცსა 20 შესჭამენ თვთვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალს ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყ[ა]ვსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყა- ნისანი.

კვალად არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდ- 25 ნარნი. ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათგან ჩერქესთა ენა სხვა არს. ვიეთთა მოთა- ვეთა და ქართლსა და რაჭას მსვლელთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქეზსა შინა მსვლელთა უწყიან ჩერქეზული და თათ- რული ჯაღათასი. შეირთევენ მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა 30 და დაბალნი – ერთსა, არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირ- თავს მეორე ძმა თვს ძმის ცოლსა, ვინადგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი, კ, ლ და მ ძროხასა, ამისთვის არღარა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თვთვე. უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვართა არიან ოვსნი.

ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გვარად: სიღამო- 35 ნად, ჭახილიძე, თაგაურად, ქურთულად ბადელიძედ, ჩირქი სიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უ | წარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თვსთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშქრობა, შველა, მესისხლობა, რამეთუ უკჭთუ 40 მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილით- შვილამდე უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა, და მკულელი მოკლულსა მათთვის გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოჰკ-

211

110

კალო მკულელი შენი“, და რწამთ ესე საცხონებლად მისად. არა- მედ უკჭთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მისცეს სისხლი, გარნა კვალადცა მოჰკლავს და უკუნსცემს სისხლსა, მონაცემსა თვსსა. არამდ დვალი უმდაბლესნი არიან გვართა, გარნა თუ განდიდ- 5 ნეს ანუ განმდიდრდეს ოვსი ანუ დვალი, ანუ შეირთავს ორ-სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კომკსა, ანუ მოჰკლავს კაცსა, და უკჭთუ მძლეველ ექმნას მესისხლე თვსი, შევალს კომკსა შინა და არ- ღარა გამოვალს სიკუდილადმდე. კვალად უწყიან პატივი მოხუ- ცებულთა თვსთა ფრიადი, და უვისთ, ვითარცა პატრონნი

თვსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბრჭობასა, და ზავსა, 10
 და ყოველსავე სამჭირნოსა თვსთა განაგებენ მათით. სიმდიდრე
 მათი არს თოფი, კრმალი, ჯაჭვი, ჯავშანი; სპილენძი და ოქრო
 და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა
 წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და
 ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი, არა- 15
 მედ მწყრთა; უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებლო-
 ბით დაცვანი, რამეთუ ვერავინ რაის ავნებს ერთისა ვისმე სტუ-
 მარსა, ვინთაგან მოსწყდებიან მისთვის გვართ. არამედ თვთ
 გამოუხმენ, რაოდენნი ძალუცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ 20
 საჩუქარსა, რომელიცა ჯერ არს მათგან, იგინივე მიუხმენ. უწყიან
 ჰელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისი, თელვა, კეთება ნაბდისა
 კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ
 შენება, არამედ არღარა ხმარობენ ქვიტკირსა. გარნა აღაშენე-
 ბენ სახლთა უსარკმლოდ, და მრავალსა ერთმანერთსა ზედა, 25
 და კომკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალს კლდე გორიანსა
 ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზვავისა კვეთებისათვს,
 რამეთუ არღარა ეკვეთვის, გარნა ავიდეს რა კაცი კომკსა შინა,
 ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ.

ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კომკნი, ეკლესიანი ქვიტ-
 კირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს, იტყვიან თვთ იგინივე, 30
 თამარ მეფისაგანსა. გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა,
 გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერმანი წმინდა და კეთილნი.
 არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბანბა
 და აბრეშუმნი, რათამცა ყონ სამოსი თვსნი. ამისთვის უმეტესნი 35
 სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართ-
 ლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეხიდამ. და ამისთვისცა მორჩილებენ
 თვსთვსთა მწარეთა და კვალად უმეტესად საზრდელთათვსცა.
 ხდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა,
 და იგიცა მიაკუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. კვა- 40
 ლად ხდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა, პურთა და ქერთაგან,
 და სმენ დღესასწაულსა თვსსა და სტუმრობასა შინა. უწყიან
 სულთა მკვდართა მათთა სახსრად და მოსახსენებლად, რომელსა

5 უწოდებენ დოდსა, რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის-სამის
 დდის სავლიდამ გამოუშვებენ, და რომელი მათგანი უპირველეს
 მივალს, მას მისცემთ: ნიქსა და გარდაიხდიან პურობასა და
 ლხინსა დიდსა, ვის რაი ძალუცს, და ჰგონებენ ამას სალხინებე-
 ლად და საცხორებლად სულთათვს მკუდართა მათთათვს.

ხოლო მათთა, კევთა, მდინარეთა, წყალთა და შენობათა
 აღწერანი ესენი არიან, და დავიწყებთ კვეილამვე. ხოლო კევის
 ბოლოს არს ლ ა ზ უ რ ი. მას ქვეით, ჯარიებს მოერთვის კევის

ალაგებ-
 თათვა

- 10 არაგუს ქ ი ს ტ-მ უ რ ძ უ კ ი ს-წ ყ ა ლ ი. მას ქვეით არს
 ხ ე თ ა მ ე.
 არამედ ამ ქისტის-წყლის შესართავს, არაგვის დასავლით, ჩიმისათვის
 მაღლა მთის ძირს, არს ჩ ი მ ი, დაბა დიდი და კოშკოვანი.
 მოსახლენი არიან ოვსნი, სიდამონნი გვართა, და არიან აწ
 15 თავნი მათნი მაჰმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათვის, არამედ
 არიან მისიცა უმეცარნი.
 ამის ჩიმის დასავლით და ჳევის დასავლით არს თ ა გ ა უ რ ი ს თ ა გ ა უ რ ი ს
 ჳ ე ო ბ ა ამისი მდინარე გამოსდის მყინვარის კავკასსა და ხო-
- 20 ხისასა. სიგრძით არს ხონიდამ ჩერქეზამდე და დის სამჳრიდამ
 ჩრდილოთ, და მიერთვის არაგვს დასავლეთიდამ. ხოლო ამ თა-
 გაურის მდინარეს ერთვის ჩ ი მ ი თ ი ს-წ ყ ა ლ ი, რომელი გა-
 მოსდის ახოტის კავკასს. ამ ჳევზედ არს ჩ ი მ ი თ ი, დაბა დიდი
 და კოშკოვანი, ვითარცა ჩიმი ყოვლითავე. ამ ჳევის შესართავს
 25 ზეით თაგაურის-წყალს მოერთვის ყაზანს სხვა ჳევი, რომელი
 გამოსდის მყინვარის კავკასს, და ამ ჳევს მოერთვიან მყინვარის
 კავკასიდამ ჳევნი. არამედ ყ ა ბ ა ნ ი არს ამ ორთა მდინარეთა
 შორის, დაბა დიდი, კოშკოვანი. მას ზეით თაგაურის-წყალზედ
 არს, დასავლეთის კიდურზედ, ეკლესია მცირე ძველადვე აღშე-
 ნებული მეფეთაგან. ამას ზეით, ამავე წყალზედ, არს ჯ ი ბ ლ ი ზ ი,
 30 დაბა დიდი, კოშკოვანი, და ციხე, აღშენებული მეფეთაგან,
 მაგარი, შეუალი მტრისაგან. მას ზეით არს ყ ა ყ ი დ უ რ ი, დაბა
 დიდი, კეთილი, კოშკოვანი, და ხოხის კავკასის ჩამოსულს
 ძირში, გორა-კლდესა ზედა, ციხე, აღშენებული მეფეთაგან,
 ფრიად მაგარი. და არიან ჳევნი ესენი შენობიანნი და დაბნე-
 ბიანნი.
- 35 ხოლო თაგაურის დასავლით არს ქ უ რ თ ა უ ლ ი, რომ-
 ლისა წყალი გამოსდის ხოხისავე მთასა, და მოდის სამხრეთი-
 დამ ჩდილოთ, და გასჭრის ჩერქეზის მთასა, ვითარცა თაგაურის-
 წყალთ და მიერთვის ლომეკსა ანუ თერგსა. ხოლო სად გასჭ-
 რის ჩერქეზის მთასა, მის მთის ზეით მოერთვის ამ თაგაურის-
 40 წყალსა აღმოსავლიდამ ჳევი. მას ჳევს ზეით, დასავლეთით, ამ
 წყლის კიდურზედ, არს ეკლესია მცირე. მას ზეით, ამ წყლის
 აღმოსავლით კიდურზედ, არს ქ უ რ თ ა თ ა და ციხე მაგარი,

112

ნაშენი კლდესა ზედა. აქ მოერთვის აღმოსავლიდამ ამ წყალს
 ჳევი. ამ ორს წყალს შუა არს ქურთათა. ქურთათას ზეით მომრ-
 თვის დასავლიდამ ჳევი ქურთაულის-წყალსა. ამ ორს ჳევს შუა
 არს დაბა ჯ ა ბ ა. ამას ზეით არს ჩიმი. ამ წყალზედვე დაბა, ორს
 ჳევს შუა. ამას ზეით ხოსოს კავკასის მთის ჩამოსავალზედ არს

212	კ ვ ა რ ა, დაბა კეთილი, კოშკოვანი, და ციხე დიდი და მაგარი, შენი მეფეთა. კვარადამ გარდავალს გზა ხობის კავკასსა ზედა, ნარასა და ზროგოს. ხოლო ქურთაულსა და თაგაურს განჰყოფს* მთა, ხობიდან ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ ჩერქეზის მთამდე, ქურთაული-თაგაურს შორისი; და თაგაურსა და ჯევსა განჰყოფს მთა მყინვარი და ახოტი, და მთა ახოტიდან ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ, ჩინსა და თაგაურს შორისი.	10
ვალაგირის- ფაიქომი- სათუს	ხოლო ქურთაულის დასავლით არს ჯეობა ვ ა ლ ა გ ი რ ი ს ა და ფ ა ი ქ ო მ ი ს ა, რომელი იწოდა დაბნებთ გამო, მუნ მყოფთა. და წყალი ვალაგირისა გამოსდის ხობისვე კავკასსა და დის სამჯრიდამ ჩდილოთ. ამას მოერთვიან ჯევნი მცირენი. და არს ჯეობა ესე დაბნოვანი, მოსახლენი – სიდამონი და ჭახილიძენი. ხოლო განჰყოფს ვალაგირსა და ქურთაულს მთა ხობიდანვე ჩამოსული, ჩდილოთ მდებარე ჩერქეზის მთამდე, ვალაგირსა და კასრის ჯეობას შორისი. არამედ სამთა ამათ ჯეობათა მზღვრის: აღმოსავლით მთა, რომელი დავსწერეთ, ჯევსა და თაგაურს შორისი ჩერქეზის მთამდე; საჯართ მთა ხობის კავკასი, ფრიად მაღალი, და მყინვარი, და უმაღლესი ბრუცაბზელ-ზეკარისა. ამან მოიგო სახელი თვისი ხობვით სლვისათვის, რამეთუ ძნიად გარდავალს ცხენნი მას ზედა, გარნა მკვირცხლნიცა – ჭირითა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლიდამ დასავლეთად, მყინვარის კავკასიდამ კასრის ჯობამდე. და კვალად მზღვრის ჩდილოთ კერძ მთა ჩერქეზისა და დასავლით კასრა-ვალაგირს შორისი მთა.	15 20 25
კასრის-ჯევი- სათუს	ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კ ა ს რ ი ს ჯ ე ო ბ ა, რომელი იწოდების აწცა დ ვ ა ლ ე თ ა დ. და აქუს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე ჩერქეზამდე. და მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახა-თრუსოს მორისს კავკასთა და მოდის სამარიდამ ჩდილოთ. ხოლო კასრის ჯეობასა შინა მოერთვიან ამ წყალს, დიგორისა და ამის შორისის კავკასიდამ, ჯევნი და გარდავლენან მას ზედა გზანი დიგორს. ეგრეთვე ვალაგირსა და ამის შორისის მთიდამ მოერთვიან ჯევნი და გარდავალს გზანი ვალაგირსა და ფაიქომ[ს]. და არს ჯეობა კასრისა, კასრის-კარიდამ ჩერქეზის მთამდე, შენობიან-დაბნებიანი. ხოლო კასრის-კარ[ი] არს ქვემო-ზრამაგას ქვეით, სად მოვიწროვ-	30 35 40

*) დედანში „განჰყოფს“.

დების ბოხის მთის ჩამოსულის კლდითა, და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნული, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული, რათა არა ვიდოდნენ თვნიერ მათსა

5 ოვსნი. და არს ჳეობა ესე ფრიად მაგარი და შეუალი. აქა არს ლითონი ბრჳენისა მრავალი, რომელსა სწურვენ იგინივე. კვალად არს გოგირდი ფრიად კარგია არს ლითონიკა ვერცხლისა, არამედ არა უწყიან გამოღება. კვალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ გვარჯილასაცა.

10 ხოლო ამ კასრის-კარს ზეით მოერთვის, ქვემო-ზრამაგას, ჟღელის-კველის კავკასს, მოდის სამჭრიდამ ჩდილოთ. ამ წყალს მოერთვიან აღმოსავლიდამ და დასავლეთიდამ ჳევენი მცირენი. და ჟღელესა და გლოლას შორის კავკასზედ ამ ჳევებიდამ გარდავლენან
15 გზანი გლოლას. ამის მდინარის სათავიდამ გარდავალს გზა კედელის კავკასსა ზედა კუდაროს, და რაჭას, და ქართლს. და არს ჳეობა ესე შენობიან-დაბნებიანი. აქა არს ქალაქას დაბას წყარო დიდი, რომელი ჟამ რაოდენმე დის, და ჟამ რაოდენმე დადგების, და არღარა გამოსდის, მერმე კვალად
20 გამომდინარდების და კვალად დადგების. ხოლო განიყოფის ჳეობა ესე აღმოსავლეთიდამ ზეკარიდამ ჩამოსულის მაღლის მთით ქვემო-ზრამაგამდე, ჟღელე-ზრამაგას შორისითა, სამჭრიდამ ჩდილოთ კერძოთ მდებართა, და სამჭრით ზეკარა-კედელის კავკასითა; დასავლით ამასა და გლოლას შორისიო კავკასითა, კვალად კედელის კავკასითა; ჩდილოთ ამასა და გლოლის შორისის კავკასიდამ ჩამოსულის მთით, რომელი შეჳკრავს
25 კასრის-კარსა.

ხოლო ქვემო-ზრამაგას არს კასრისა და ჟღელის-წყლების შესართავს შუა, და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი.

30 ხოლო ქვემო-ზრამაგას ზეით ერთვის ნარის-კეობის-წყალი. გამოსდის ხოხის კავკასსა, დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. და აქუს ამ ჳეობას აღმოსავლით ხოხის კავკასი; სამჭრით ხოხიდამ ჩამოსული მთა მაღალი, ამასა და ზროგოს შორისი; დასავლით ზრამაგის-ჳევი და ჩდილოთ ხოხისავე კავკასი. ამ ჳემში არს დაბა ჴ მოსახლენი. ხოლო ამის შესართავს ზეით არს ზემო-ზრამაგა, დაბა კოშკოვანი და ეკლესია მცირე. აქ მოერთვის ჳევი ზეკარიდამ მომდინარე და მოერთვის დასავლეთიდამ. და ამ ორთ ჳევთ შორის არს ზრამაგა.

40 ხოლოამ ზრამაგას ზეით მოერთვის ზოგოს-კეობის-წყალი. გამოსდის ხოხისავე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და აქუს ჩდილოთ ნარის მთა და სამჭრით ზახის

მთა, აღმოსავლით ხოხის კავკასი და დასავლით ზამაგის-ჳევი, და არს დაბოვან-შინობიანი.

ზახისათვის ხოლო ამის შესართავს ზეით მოერთვის ზახის-კეობის-

ჟღელის-კველისათვის

ზრამაგათათვის

ნარასათვის

ზროგოსათვის

წყალთა გამოდის თრუსოსა და ზახას შორის კავკასსა, მოდის
აღმოსავლეთიდან დასავლეთად, არამედ ბოლოს მოდრკების და 5
მიერთვის ზრამაგის-წყალსა. ამ ზახის-წყალს მოერთვის სამარეთ-
ჩრდილოდამ ჳევნი, და არიან დაბანი კომკოვანნი. აქა არს ეკლე-
სია მცირე. აქიდან გარდავალს გზა თრუსოს, მალრან-დვალეთს
და ჟბას, დიდ-ლიახვზედ. ამას აქუს აღმოსავლით თრუსოს მთა; 10
სამართ კავკასი ზეკარისა; ჩდილოთ ამასა და ზროგოს შორისი,
ხოხიდან ჩამოსული მთა; დასავლით ჳევი ზრამაგისა. კვალად ამ
ზრამაგის-ჳევის სათავიდან გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლს
დიდ-ლიახვზე.

თრუსოსათვის

ხოლო ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო,
რომელსა აქუს აღმოსავლით მთა, ხოხიდან და ჳევის-ყელიდან 15
ჩამოსული მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განჳყოფენ
ჳევსა და თრუსოსა: სამართ კავკასი, მთიულეთსა, მალრან-
დვალეთსა და თრუსოს შორისი; ჩრდილოთ მყინვარი და ხოხის
კავკასნი; დასავლით თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს
თრუსო სამ ჳეობად გამოდის ერთი ზახის მთასა, მეორე მალ- 20
რან-დვალეთის კავკასსა და მესამე ხოხის კავკასსა. ამ ჳეობაზედ,
სოხისაკენ არს ეკლესია ყოვლად-წმიდისა მცირე. და
არიან ამ კვეთა დაბნები ცი არამედ კეობანი ესენი, რომელნი
აღვსწერეთ მალრან-დვალეთითურთ, არიან დვალეთი. და კვა- 25
ლად დიდის-ლიახვისა, პატარას-ლიახვისა, ქსნის-კევისა და
კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდან გარ-
დასულნი რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც
213 მონათესავენი ურთიერთთა.

ხოლო ამ დვალეთს მზღვრის: აღმოსავლით მთა თრუსოსა
და ჳევს შორისი, და კასრის-ჳევსა და ვალაგირს შორისი მთა; 30
სამართ კავკასი მალრან-დვალეთისა ზახისა, ბრუც-საბძლისა,
ზეკარისა და კედელისა [არამედ ბრუც-საბძელი ეწოდა,
ვინადგან არს მგზავსი საბძლისა და უქმი, ხოლო ჳეკარა
კარსავით მყოფისა, სადა გავლის მას შორის გზა, და კედელა 35
– ამართებით ყოფისათვის კედელსავით. არამედ ქართლიდან
ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მჩენა-
რებენ და დიდად, და ამისთვის უწოდესცა სპარსთა იალბუზი^{1,*}
და მარადის მყინვარედ იხილვებიან, რამეთუ ზაფხულს გზებთა
ამათ ზედა ვლენენ ცხენით, გარნა პირითა, და თვნიერ ზაფხული-
სა ვერცა ერთი სულიერი]. ბოლო ჩდილოთ მზღვრის დვალეთს 40

*) დედანში ამ სიტყვის ზემოდან არის მცირე წრე.

ხოხის კავკასის მთა და, კასრის ბოლოს, ჩერქეზის მთა; დასავ-
ლით – მთა კავკასი, კედელიდან წამოსული, რაჭასა, გლოლასა

[და] ამას შორისი, მერმე დიგორსა და ამას შორისი, ვიდრე ჩერქეზის მთამდე. არამედ რომელნი აღვსწერენით – ჩიმი, თა-
5 გაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყო-
ველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლო-
მეკსა ანუ თერგს სამჭრიდამ.

ხოლო კასრის-ჯევის დასავლით არს დიგორი, რომელი დიგორი-
განიყოფის ორად – ჩ ე რ ქ ე ზ ი ძ ე დ და ბ ა დ ე ლ ი ძ ე დ. და არს სათვს
10 სიგრძე ამისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე. ამისი მდინარე
გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამის შორისს კავკასსა, მოდის
სამჭრიდამ ჩდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის
ლომეკს. ამას უწოდებენ რიონსავე, ვინათგან მასვე კავკასსა
გამოსდის აქათ, და იქით – რიონი იმერეთისა. და ამ მდინარეს,
15 ჩერქეზის მთას ზეით, ერთვის ჯევი, გამომდინარე ბასიანის
მთისა, და მოერთვის დასავლეთიდამ. ამას ზეით ერთვის სხვა
ჯევი, გამომდინარე კასრის-ჯევისა და ამას შუათის მთიდამ, და
დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ეს ჯევი არს ბადელიძისა.
ამ ჯევს, რიონის შესართავს ზეით, ერთვის სხვა ჯევი, სიგრძით
20 ჩერქეზის მთიდამ მომდინარე, და მოერთვის ჩდილოდამ. ამ
ჯევიდამ გარდავალს გზა ჩერქეზსა შინა. ამ ჯევს ზეით კვალად
მოერთვის სხვა ჯევი სამჭრიდამ. ამათ შესართავს შუა კლდე-
ზედ, არს მალლა ციხე და მცირე ეკლესია. არამედ ესენი, რო-
მელნი დავსწერეთ ჯევი, არიან ბადელიძენი, და არიან შენო-
25 ბიასი და დაბნეზიანნი და კომკოვანნი მრავლად, რომელთა
შინა მოთავენი მათნი არიან ყმიანნი მეზატონენი. ხოლო ამ
ბადელიძის-წყლის შესართავს ზეით, რიონზედ, არიან ჩერქესი-
ძენო და მას ქვეით, ჩერქეზის მთამდე, კვალად ბადელიძენივე.
და ამ ბადელიძის-წყლებს სათავიდამ გარდავალს გზანი კას-
30 რის-ჯევში, ჟღელის ჯეობაში და ქელმაჰმადის სოფლიდამ ჩერ-
ქეზსა შინა.

ხოლო ამ ბადელიძის-წყლის შესართავს ზეით მოერთვის
რიონს აღმოსავლიდამ მდინარე რიონივე. გამოსდის გლოლასა
და ამას შორისს კავკასსა, მოდის სამჭრიდამ ჩდილოდ. ამას
35 მოერთვის სხვა ჯევი აღმოსავლიდა[მ], გამოსდის ამასა და ბადე-
ლიძეს შორისს მთას. ამაზე გარდავალს გზა ბადელიძეებში.
ამას ზეით მოერთვის კვალად სხვა ჯევი აღმოსავლიდამ, მისვე
მთის გამომდინარე. ამ რიონის სათავიდამ გარდავალს გზა კავ-
კასზედ გლოლას, სადა არს, კავკასის ძირში, დიდს მაღალს
40 კლდესა შინა, ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური
მივალს მას ქვაბსა და დილას წარვალს, ჩავალს გლოლას.
ეგრეთვე მუნიდამ მოსრული, მუნ განისვენებენ დაშრომისათვს.

და მეორის ამის რიონიდან გარდავალს გზა ღებს. არამედ ამ გზებზე ზაფხულით * ცხენით ვლენან **, გარნა ჭირითა დიდითა, და თუნირ ზაფხულისა – ვერი ქვეითნი. და ამ ჳეობასა ზედა არიან დაბნები და შენობანი. და მზღვრის დიგორს: აღმოსავლით კავ- 5 კასი, ამასა და კასრა-ჟღელეს შორისი; სამჯრით კავკასი, ამასა და გლოლა-ღებს შორისი; ჩდილოთ. მთა, ამასა და ჩერქეხს შორისი, მალალი და დიდი; დასავლით კავკასი, ამასა და ბასიანს შორისი.

ბასიანისათჳს

ხოლო დასავლით დიგორისა არს ბ ა ს ი ა ნ ი, ჳეობა დიდი, რომელსა შინა დის მდინარე, გამომდინარე რაჭისა და 10 ბასიანს შორისის კავკასიდან, და მიდის სამარიდამ ჩდილოთ კერძოდ, სიგრძით კავკასიდან ჩერქეხის მთამდე. ამის მდინარეს მოერთვიან ჳევენი აღმოსავლილამ მამომდინარენი, ამასა და დი- გორის საშუალის კავკასიდან, და დასავლეთიდან სვანეთისა და ამის შორისის კავკასიდა. და ამ ჳევებიდან გარდავლენან გზანი 15 სვანეთს და დიგორს. და ამის წყლის სათავიდან გარდავალს გზა რაჭას, ღებს და ლუხუნზედ. და მზღვრის ბასიანს: აღმო- სავლით მთა კავკასი, ბასიანსა და დიგორს შორისა; სამჯრით მთა კავკასი, ამასა და რაჭას შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეხისა, ბასიანსა და ჩერქეხს შორისი; დასავლით მთა კავკასი, ამასა და 20 სვანეთს შორის. და არს ესე ბასიანი შენობიანი, დაბნებიანი და უმეტეს გვარიანნი სხვათა ყოველთა ოსთაგან, და არიან მეზა- ტონენი ყმიანნი. და მდინარე ესე ჩადის ჩერქეხსა შინა. მერმე მიერთვის თერგის მდინარესავე. არამედ რაოდენნი კავკასნი აღვსწერენით, სვან მარადის მყინვარედ და თოვლ,ლიანად, ვი- 25 თარცა სხვა სნხელდობ გამოვაჩინეო კავკასთა მთანი. კვალად რაოდენნი დაბანი ციხოვან-კოშკოვანნი დავსწერეთ, იგინი მათ უწოდებენ ქალაქად. არამედ ვინადგან არა აქუსთ მართ- ველობა და განწყობილება ქალაქთა, აქა დაბად ვსთქვით.

ქისტისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ ჳევის აღმოსავლეთის კერძოთ კავკა- 30 სიელთა, ვინადგან შევასრულეთ დასავლეთის წილი. გარნა ჳევის ბოლოს, სადა დაივაკებს მდინარე არაგვი ანუ ლომევი, ამ არაგვს, ხეთამის დაბის ზეით, ერთვის ქ ი ს ტ ე თ ი ს-წ ყ ა ლ ი და ძურ- ძუკისა. ესე მოერთვის აღმოსავლეთიდან, გამოსდის ძურძუკეთსა და ფშავ-ჳევესურეთს [რომელი არს ფხოელი] შორის კავკასსა, 35 დის სამჯრიდამ ჩდილოთ და მცირედ ჩდილო-დასავლეთ შუა. სიგრძით არს კავკასიდან ლომეკამდე. ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯ ა რ ი ე ხ ი, კლდე დიდი, მოვლებული ველსა დიდსა გარე, ქარაფოვანი, და ამითი არს

) დედანში: „ზათხულით.

**) „ ვლენად“.

ფრიად მაგარი, და შენი არის კოშკი დიდი, ზღუდოვანი, ვი-

თარცა ციხე, და ა | მ წყალსა ზედა, ჳეობაში, ამ ჳარიებს ზეით, არს ქ ი ს ტ ე თ ი დაზნებანი, შენობიანი.

ბურძუკი-
სათჯს

5 კვალად ამის სამჭრით, ქისტეთ ზეით, არს ძ უ რ ძ უ კ ი.
შენობიანი, დაზნებანი, კომპოვანნი ორნივე. ამ ჳეობათა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი, ქისტ მურძუკსა და ღლიდეს შორის; სამჭრით კავკასი, ფშავ-ჳესურსა და ძურძუკს შორის; დასავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ჳევს შორის; ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ქისტეთს შორის. და გარდავლენან გზანი
10 ქისტ-ძურძუკიდან ამ კავკასებთა ზედა ჳევს, ფშავ-ჳევსურეთს, ღლიდვეთს და ჩერქეზთა შინა.

ხოლო ამ ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღ ლ ი ღ ვ ე თ ი, ღლიდ. ოსისაგან, ძურძუკოს ძის ძისაგან, სახელდებული ანუ უმო- სელობისათჯს წოდებულნი, რომლის მდინარე გამოსდის ფშავისა და ღლიდვის შორისს კავკასსა, და მოდის სამჭრიდამ ჩდილოთ და მიერთვის *... წ ყ ა ლ ს ა, მერმე მიერთვის ბორა ღ ნ ი ს-წ ყ ა ლ ს ა. ამ წყალზედ არს ა ნ გ უ ს ტ ი, დაბა დიდი. და არს შენობიანი ჳეობა ესე და დაზნებანი. და მზღვრის ღლიდჯს: აღმოსავლით მთა ღლიდჯსა და...* შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ღლიდეს შორისო; სამჭრით კავკასი, ღლიდჯსა და ფშავს შორისი; დასავლით მთა, ღლიდჯსა და ძურძუკს შორისი. ხოლო ანგუსტის მოსახლენი არიან მგზავსნი ჩერქეზთა. რჯულით მოჰმადიანნი, სუნნი. ხოლო ამ ღლიდვის აღმოსავლით არსი...* ჳ ე ო ბ ა, რომლისა მდინარე გამოსდის ამასა და პანკის
25 შორისს კავკასსა, მოდის სამჭრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ღლიდვის-წყალსა, და მერმე მიერთვიან ბორაღნის-წყალს დასავლეთიდამ. და არს ჳეობა ესეცა შენებანი-დაზნებანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით თუშეთსა და ამას შორისი კავკასი; სამჭრით კავკასი პანკისსა და ამას შორისი; ჩდილოთ მთა ჩერქეზისა, ამასა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა, ამასა და ღლიდეს შორისი. არამედ ეს ჳევნი, რომელნი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სახელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრეთ განიყოფებიან.

ხოლო არიან ჳერბანი ესენი ფრიად მაგარნი და შეუალნი
35 მტერთაგან, მთით, კლდითა, სივიწროვითა, და მდინარითა, და ტყითა, მწირი და მოუსავლიანი, მცირე პირუტყვიანი, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი. ეგრეთვე კაცნიცა რჯულითა, სარწმუნოებითა, ჳნითა, ქცევითა, ჩვეულებითა სცან ოსთაებრ-არამედ აქუსთ ენა თჯსი საკუთარი, და ქალნი მათნი მოსილნი
40 სხვებრ. არცა უწყიან კლვა და მესისხლობა ურთიერთთა, გარნა

*) დედანში აქ დატოვებულია ცარიელი ადგილი.

თუ შეიმთხვეს, მოხუცებულთა მათთა განგრძობითა ზავ ჰყოფენ. და არიანცა უმეტეს პირისწყლიანნი ოსთაგან, კაცით ქალამდე. არამედ იციან ორ-სამ ცოლობანი და მრუშება ქრმინობასა შინა, გარნა ქალწულთა – არაოდეს, ვითარცა ოსთა. უწყიან ქვიტ-კირნი, და მით აღიშენებენ სახლთა, კოშკთა და სიმაგრეთა. ხოლო მორჩილებენ და აძლევენ ხარკთა ჩერქეზთა, მემკრეთა თვსთა, უსაზრდლობისა, საშიშლოსა და მარლისათვს.

5

119

აღწერა საჩინოთა ადგილებთა* სამცხე-საათაბაგოსი

ადგილებთა
სახელის
წარმოჩენი-
სათვს

5 ხოლო ქვეყნისა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამისთვს, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა, და მისგანვე ეწოდა ქართლი და, შემდგომად სიკუდილისა მისისა, საქართლო ანუ საქართველო, და იწილების დღედმდეცა ეგრეთვე. არამედ, ვინადგან ჟამითი-ჟამად შეეძინნენ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და ადგილებთა განყოფისათვს, და ისახელნეს ესრეთ: რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თვსნი, და მისცა უხუცესსა ძესა თვსსა მცხეთოს ტფილისისა და არაგვის დასავლეთი, და ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა, წილი ქართლოსისა, ზღვამდე სპერისა, 10 და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, და დაიპყრა მცხეთოს ქვეყანა ესენი; ამან მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშიშ-კარამდე, შ ი დ ა-ქ ა რ თ ლ ი და ტაშის-კარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე 15 უწოდა ზ ე მ ო-ქ ა რ თ ლ ი, და განყო იგივე ქართლოსის სახელი ესრეთ. ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა თვსთა წილი თვსი და მისცა უფლოს, ძესა თვსსა, რა იგი აღვსწერეთ. და ძესა თვსსა ოძრახოს მისცა ტაშის-კარს ზეითი და მტკვრის დასავლეთი, ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ 20 არიან აწ სამცხე, გურია, ლიგრო, შავშეთი, არტანუჯი, ფანასკეტი, ოლთისი და ტაო; და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო-ქართლი.

25 ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკვრის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკვრისა, მისცა მცხეთოს ძესა თვსსა ჯავახოს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი. და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა. და არს საზღვარი ამისი: აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარ-

*) დედანში: „ადგინებთა“.

120

ჯეტსა და ტაოს შუა ზღვამდე სამჯრით მთა იგი, რომელს
სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-
ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, და ჩდილოთ შავი ზღვა.
და არიან ამით შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაი-
ბურდი და ჭანეთი [არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი 5
ესე, გარნა საგონებელ არს ლელარჭნილთა და კლდოვან-ღრატო-
ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან, რამეთუ მთა-
ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ-ჟამისა სავალთა
არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი და
ყოველნი ნაყოფნი]. 10

და ესრეთ განიყო სახელი ზემო-ქართლისა სამად. არამედ
აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწო-
დებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირ-
ველვე წოდებულა მცხეთის მორჩილებისათჳს [კვალად იტყვიან:
ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან ¹ ციხე ღემრთს, სამთა ცი- 15
ხეთათჳს ლომ[ს]ისა, ოძრახესა მეპირისპირედ, ესე იგი არს სამ-
ციხეთა, ამით იწოდა სამცხე]. ხოლო ამისვე წილი გურია აღვ-
სწერეთ იმერეთსა ზედა, მუნ იხილავ. ხოლო ჭოროხის მდინარე
იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა,
რამეთუ მის მიერ დის მჩქეფრად და ჩქარად, და ჳევსა მისსა 20
– ლიგანის-ჳევად, კლდოვან განლიგებისათჳს ანუ დაბისაგან;
ეგრეთვე შავშეთი – ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა-კლდო-
ვან ტყის გამო, და არტანუჯი – შვენიერებისათჳს: „არა ტანი,
არამედ უნჯი“, ანუ იწოდნენ ძეთაგან ოძრახოსათა, რომელთა
ეწოდათ სახელნი ესენი, და დაიმკვიდრეს რა ადგილნი ესენი, 25
უწოდეს სახელნი თჳსნი არამედ ჯავახეთს უწოდებენ მასვე
ძველს სახელს. ხოლო არტ[ა]ნი ეწოდა მისვე ჯავახოსაგან,
ვითამ ჯავახეთის – „არა ტანი, არამედ პირი“, და კოლა იწოდა
მუნ მცირე ქალაქის გამო. ხოლო ქვეყანასა კლარჯეთისასა
ეწოდნენ სახელნი იგინი დაბნებთა და ქალაქებთაგან, მუნ მყო- 30
ფებთა, ანუ მის ძეთაგან ჰაოსისათა; და ჭანეთს ეწოდა მათ-
განმვე, ანუ შემდგომად მლიქნელობისა და მდედრობისა მათ-
თათჳს ჭანად. არამედ ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა
ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი *, იგივე
ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათჳს მესხნი ითქმის. 35

*) ამის გასწვრივ დედანში მარჯვენა აშიაზე სწერია: „ამათ ყოველთა
კრებით ქვეყანასა სწერენ ძველს ლეოდრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონე-
ლისაცა. სახელსა მოსხი, ესე იგი არს მესხი, და მთათა დევაბონისას,
ირიჯლუსას, ყალნუსა და თორთომისას-მესხის მთა. ამით საჩინო არს,

მცხეთოსისა და მცხეთისაგან იწოდა სახელი ესე, და არს ძველითვე, ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა“.

(ვახუშტი).

121

ხოლო ბრწყინვალემ მეფემ გიორგიმ მისცა რა ათაბაგობა და მის ქვეშე დააწესნა მის ქვეყნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგო, და უმეტეს განდგომილებისა ყვარყვარე ათაბაგისაგან ², და ისახელების დღედმდე საათაბაგოდ.

5 ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლის-ყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე, და განი დევაბოინისა, და ირიჯლუს, და ყალნუს მთებიდამ ღადოსა და გურიის მთამდე და ზღვამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და 10 მთა ყარსისა, არტან-კოლას დადა ყარს შორისი; სამჯრით მთა წინვსენებული, სომხით-ქართლის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუსა და დევაბოინის მთად; ჩდილოთ მზღვრის მთა ღადო ანუ ფერსათი, და მთა აჭარა-გურიის შორისი*, და 15 ზღვა პონტოსი: დასავლით .მთა აზრუმისა, ეზინგის და საქართველოს-ყელს შუა წავლილი, ანუ რკინის-პალოსი, და მისრული ზღვამდე, რომელი აღვწერეთ ტრაპიზონისა და ჭანეთის საზღვარი.

ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჳევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შროშ-ნიანი, მდინარიან-წყაროიან ტბიანი და მცირედ ველოვანი. 20 ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული. რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თჯნიერ აგარაკთა. ჳავით მშვენი და 25 კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი, რომელნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტილნი და სავარდენი. გარნა ტყეთა, მთათა და ველთა ვიეთთა 30 ადგილებთა შინა მრავალ არიან, ვინადგან მთა და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყვენი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არა არს. ფრინველნი ურიცხვნი, გარნა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენი და კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი, და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი. არამედ ზუთხი არა არს მდინარე-ტბათა ამათ შინა, არცა კირ-ჩხიბი. მწერნი და მძრომელი ადგილ-ადგილ მრავალნი და ადგი-

ქვეყანისათჳს

*) დედანში ამის პირდაპირ აშიაზე სწერია: „ესენი არიან მოსხის მთანი“.
(ვახუშტი).

122

222 * ლად არა ეგდენნი. ფუტკარი მრავალნი, და თა | ფლნი კარგნი
და მრავალნი.

კაცისათჳს

ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქართველთანი,
არამედ უმეტეს ნელიად და ენატკბილად მოუბარნი, ტანოვანნი,
მცნენი, შემმართველნი, მშვენიერნი, ცოდნა-ველოვნების მოყვა- 5
რენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით
იყუნენ წლისამდე ქრისტესისა ჩქევ, ქართულისა ტიდ-მდე სრუ-
ლიად ქრისტეანენი ქართველთა თანა და სამწყსონი ქართლის
კათალიკოზისანი, ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან
მოჰმადიანნი, და გლეხნი ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს 10
გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრის-
ტეანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინათგან არღარა რაისა
მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს
მათთჳს. ამისთჳს უეფისკოპოზონი და უხუცონი არიან. თჳნიერ 15
რომელნიმე ქართლს იკურთხიან. ენა საკუთრად აქუსთ იგივე
ქართული. გარნა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა
უმბობენ აწ თათრულსა და თგსთა სახლებთა ანუ ურთიერთის
მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი
არიან წარჩინებულნი და მოჰმადიანნი. ვითარცა ოსმალნი, და
ქრისტეანენი, ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთ- 20
ნიმე მესხნიცა, ვითარცა თრიალელნი. და გულისხმა ჰყავ ეგრეთვე
ქალნიცა მათნი.

სამცხისათჳს

ხოლო ქვეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი
მტკვარი და ჭოროხი, რამეთუ მტკვარს მოერთვიან ყოველნი
მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და 25
ჭოროხს სრულიად კლარჯეთის მდინარენი, თჳნიერ ჭანეთისანი.
ამისთჳს ჩვენ კვალად ვიწყებ[თ] მტკვრიდამვე აღწერასა, ვინად-
გან დაგვიშთა ქართლიდამ სრულიად აღწერა მისი. და მდინარე
ესე მ ტ კ ვ ა რ ი გამოსდის კოლას ზეით არსიანის მთას, და აწ
წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა. და მუნიდამ მიდის სამჯრე- 30
თიდამ ჩდილოეთად, ვიდრე ახალციხის-წყლის შესართავადმდე,
მერმე მუნიდამ გაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავ-
ლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობის-წევამდე; და მას ქვეითი აღვს-
წერენით ქართლსა ზედა. გარნა ესე მტკვარი დის ერუშეთის
მდინარის შესართავიდამ, ვიდრე ჭობის-წევამდე, ქართლისაგან 35
უმეტეს ჩქარად, და კლდოვანსა, და ჭრამსა ქვიანსა შინა. და
ერუშეთის მდინარის შესართავს ზეით, არტანსა და კოლასა შინა,
ფრიად მდორედ და გრეხით სივაკის გამო. და არსცა თევზთა

სიმრავლე მას შინა. და მთის კერძოდ უფროს კალმახნი დიდნი და წვრილნი. სასმისად არს გემოიანი და შემრგო, უფროს ქართლისაგან, და სხვად არარადმე სახმარი.

40

*) 221 და 222 გვერდი ორი ფურცლისაგანაა შეწებებული.

123

ხოლო ამ მტკვარს ჭობის-ჯევეს ზეით მოერთვის ჩდილო-
დამ ქ ვ ა ბ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე ფერსათის მთისა. ამ ჯევის
დასავლით, მტკვრის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი,
მაგარი [ვგონებ ამას დ ე მ ო თ ი ს ც ი ხ ე დ, რომელი აღაშენა
5 სუნბატ ბივრიტიანმან და განავსნა სპითა, შემწედ წუნისათვს,
და შურად ოძრახოსა და ლომისასათვს, და რათა ვერღარა ვი-
დოდნენ სპანი ქართლისანი მას ზედა, ვინათგან ჯავახეთი ეპყრა
მასვე]. ამ ციხეს ზეით მოერთვის მტკვარს ჯ ე ვ ი ბ ო ბ ნ ა ვ ი ს ა,
10 გამომდინარე კოდიანის მთისა. მოდის ჩდილოდამ სამჯრით
მტკვრამდე. ამას ზეით მოერთვის მტკვარს ს ლ ე ს ი ს-ჯ ე ვ ი
ჩდილოდამ გამოსდის ფერსათს და მოდის სამჯრით [ამ ჯევე-
თაგან ერთს ვგონებ ლ ო გ ა დ-ჯ ე ვ ა დ]. სლესის-ჯ ე ვ ი, ზეით
მოერთვის მტკვარს სამჯრიდამ თ ი ხ რ ე ვ ი ს - კ ე ვ ი, გამომდი-
15 ნარე კოდიანისა და მომდინარე ჩდილოდ. ამ თიხრევის-ჯევეს
მოერთვის ყ ი ნ ც ვ ი ს ს სხვა ჯ ე ვ ი, გამოსდის კოდიანსავე
თიხრევის-ჯევეს ზეით, მტკვრის კიდეზედ, სამჯრით არს ა წ ყ-
ვ ე რ ი ¹, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მესხნი,
სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი –მოჰმა-
20 დიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული, გუნ-
ბათიანი, ყოვლად-წმიდის ღვთის-მშობლისა. იჯდა მიტრაპო-
ლიტი, მწყემსი ყვიზის კორტანეთს ზეითისა, და მტკვრის ჩდი-
ლოეთისა, და ბოცოს-წყლის ჩდილოეთის კერძოსი, ვიდრე გუ-
რიის მთისამდე. გარნა აწ უქმი არს, არამედ ციხესა შინა დგა-
ნან იენგიჩარნი. აქ არს ხიდი მტკვარსა ზედა.

25 ამი[ს] ზეით მტკვარს მოერთვის ზ ი კ ი ლ ი ს-ჯ ე ვ ი,
ჩდილოდამ, აგარას. გამოსდის ფერსათს და მოდის სამჯრით.
ამ ჯევეს ზეით, ხიდისთავს, მტკვარს მოერთვის* სამჯრიდამ
ხ ო ს კ ი ო ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე
ჩდილოთ. ამის პირისპირ, მცირეთ ზემორ, ჩდილოდამ, მოერთ-
30 ვის მტკვარს წინუბანს ა ბ ა ნ ო ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ფერსათს და
მოდის სამჯრით. ამ ჯევეს ზეით, წნის, ერთვის მტკვარს წ ნ ი-
ს ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე ფერსათის მთისა. ეს მოდის პირველ
ჩდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთს-სამჯრეთს შუა, მერმე
ჩდილოდამ სამჯრია. ამ ხევზედ არს, წ ნ ი ს ² ზეით, მონასტერი
35 მაღალს კლდესა ზედა, კეთილშენი, გუნბათიანი და აწ უქმი.
ამ ჯევის სათავეს, მთასა შინა, არს ჭვინტის დასავლეთად ჯ ვ ა-

40 რ ი ს-ც ი ხ ე, მაგარი და დიდშენი. ჭ ვ ი ნ ტ ა ს არს მონასტერი
კეთილი, შვენიერშენი და აწ უქმი. წნისს არს მტკვარზედ ხიდი
კარგი. ამ ხიდს ზეით მომდორდების მტკვარი და მოდრკების
სამჭრიდამ აღმოსავლეთად; სად მოდრკების, მოერთვის მტკვარს

*) დედანში ამ სიტყვის შემდეგ გამეორებულია: „ხიდისთავს“.

124

მუნ ა ხ ა ლ ც ი ხ ი ს-წ ყ ა ლ ი, და ახალციხის-წყალი ეწოდების
კვანჯღამდე ამ წყალსა, და მოდის დასავლეთიდამ აღმოსავ-
ლეთად.

ხოლო კ ვ ა ნ ჯ ღ ა ს ზეით ახალციხის-წყალი განიყოფის
ოთხ მდინარედ, და ეწოდების თვს თვსი სახელნი. ხოლო ამ 5
ახალციხის-წყალს, მტკვარს ზეით, მოერთვის ო ლ დ ა მ ი ს-ჯ ე ვ ი
მარდაებთან. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის სამარიდამ
ჩდილოთ. ამ ჳევს ზეით, ახალციხეს ერთვის ურიებთან ბ ო რ-
ჯ ო მ ი ს-ჯ ე ვ ი, მისვე მთი[ს] გამომდინარე და მომდინარე 10
ეგრეთვე. აქა არს ა ხ ა ლ ც ი ხ ე ქ ა ლ ა ქ ი³, ფერსათის მთის
კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს [ამას
ვგონებ ლ ო მ ს ი ა დ, ვინათგან, ისახელების რა ახალციხე ცხო-
რებასა შინა, არღარა მოიხსენების მერმე ლომსია]. ამ ახალ-
ციხეს უდის წყალი თვსი სამჭრით, და დასავლით ლ ი კ ა ნ ი ს-
ჯ ე ვ ი, რომელი გამოსდის ფერსათს და მოდის სამჭრეთად. 15
ხოლო ქალაქი არს მოზღლუდვილი ციხიდამ ქვიტკირის სამის
ზღუდით. მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი
მოჰმადიანნი, და ვაჭარნიცა. გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი
და მცირედნი მესხნიცა. ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და
თოვლიანი, ზაფხულის არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა 20
წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი. აწ მჯდომარებს ფაშა
მუნ, რომელსა უწოდებენ საქართველოსანი კვალად ათაბაგადვე,
ხოლო ოსმალნი ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სრულიადი
სამცხე-საათაბაგო.

223 ხოლო ახალციხეს ზეით, კვანჯღას, მოერთვის ახალციხის- 25
წყალს ო ც ხ ი ს-წ ყ ა ლ ი. ეს გამოსდის ფერსათს და მოდის
ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამჭრეთ შუა. ამ
ოცხეს-წყალს ერთვის, ვაშლობს, პ ა ნ ტ ნ ო ვ ა ნ ი ს-ხ ე ვ ი,
გამომდინარე ფერსათისა, და მოდის ჩდილოდამ სამჭრით. ამ
ჳევს ზეით, მთის ძირში, არს ო ძ რ ა ხ ე¹, რომელი აღაშენა 30
ომრახოს ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თვსი. ამისაგან
ეწოდაცა საერისთოსა ამას საერისთო ომრახოსი, და იყო ქა-
ლაქი და ციხე, განყოფილებისამდე სამეფოსა, საერისთოდ, და
შემდგომად მისა – დაბად; ხოლო აწ არს ოჯერ, და ციხე შე-
მუსვრილი. მცირედ ამის ქვეით, სამართ, არს მთის კალთას 35

წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდულარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი, რამეთუ ჰკურნებს ქარით დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებელსა მკურნალ-თაგან. გარდავალს აქედამ გზა კაკას ხიდზედ, ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რ კ ი ნ ი ს-ჯ ვ ა რ ი *

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

125

ამ ოცხის-წყლისა და ახალციხის-წყლის შესართავს ზეით იყრებიან ერთად ქვაბლოვანისა და ბოცოს-წყალნი, და მომრ-თვიან ოცხე-ახალციხის წყალსა. და ქ ვ ა ბ ლ ო ვ ა ნ ი ს-წყ ა ლ ი დის ოცხეს წყლის სამჭრით და გამოსდის გურიის მთასა, მოდის ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამჭრეთს შუა, და ამის სამჭრით დის ბ ო ც ო ს-წყ ა ლ ი. ეს გამოსდის გურიისა და აჭარის მთასა, მოდის დასავლეთიდან აღმოსავლეთად. და ამ ბოცოს-წყალს, ხვანას ზეით, ერთვის სხვა კვევი, რომელი გამოსდის გურიისვე მთასა. ესეც მოდის დასავლეთიდან აღმო-სავლეთად. ამას ზეით, ბოცოს-წყალზედ არს, ნ ა ო ხ ა რ ს, სასახლე თამარ მეფისა, დიდშენი, შვენიერს ადგილს და აწ ოჯერ. ბოცოს-წყალსა და ქვაბლოვანის-წყალს შორის, ხ ვ ა ნ ა ს და უ დ ე ს² შორის არს მთა, წარსრული გურიის მთიდან აღმო-სავლეთით. ამ მთასა შინა არს ვ ა ნ ა ს³ მ ო ნ ა ს ტ ე რ ი, შვე-ნიერი, კეთილნაგები და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა და აწ უქმნი. ამავე მთაში არიან ზეგანის დაბნებნი.

ხოლო ბოცოს და ქვაბლოვანის-წყლის შესართავს ქვეით ამ წყალს ერთვის ჯ ა ყ ი ს-წყ ა ლ ი, გამოსდის არსიანის მთას და მოდის აღმოსავლეთად, და მოერთვის ბოცო-ქვაბლიანის-წყალს სამარადამ. და ამ ჯაყის-წყალს, ჰვინტას ქვეით, მომრ თვის ტ ყ ი ს-ს ო ფ ლ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის სამჭრით. ამ კვეს ზეით ჯაყის-წყალსავე, წურწყუმას, მოერთვის ფ ო ც ხ ვ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთასა, მოდის დასავლეთად და მერმე ჩდილოდ. ხოლო წ უ რ წ ყ უ მ ა ს⁴ არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილშვენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბიციოს-წყლისა და ახალციხის-წყლის სამჭრეთისა, ვიდრე მტკვრადმდე, და ერუ-შეთისა, და არსიანის მთამდე. წურწყუმს ზეით, ჯაყის-წყალ-ზედ, არს ყ ვ ე ლ ს⁵ ც ი ხ ე, მრავალჯერ შემუსვრილი და აწ ოჯერი. ყველს ზეით, მთაში, არს ზ ა რ ზ მ ა ს⁶ მონასტერი გუნ-ბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს და აწ უქმი. ხოლო ქვაბლოვანისა და ბოცოს-წყლის სათავიდან გარდავლენან გუ-რიას და აჭარას გზანი, და ჯაყის-წყლის სათავიდან გარდავალს

35 აჭარასა და შავშეთს გზანი, და ფოცხვის-წყლის სათავიდან გარდავალს ერუშეთს გზა. არამედ აწ, ვინადგან აღვსწერეთ ახალციხის დასავლეთი, ამისთვის კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე და აღვსწერთ მის შემრთველს წყალთა.

40 ახალციხის-წყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ც უ ნ ქ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის. ამ ჳევს ერთვის ღ რ ე-ლ ი ს-ჯ ე ვ ი, მისვე მთის კალთის გამომდინარე. ამ ჳევზედ არს 126

ს ა ფ ა რ ა ს ⁷ მონასტერი, შვენიერად დიდშენი, გუნზათიანი, ყოვ-
ლად-წმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოსა და წმი-
დათა ნაწილებითა, და დაეფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს
ხუცის ამარ. ამავე ჳევს ზეით, ცუნქის-ჳევს მოერთვის ჭ ო ბ ა-
რ ე თ ი ს - ჳ ე ვ ი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგ- 5
რეთვე [ამას ვგონებთ ხ ი ნ გ ი ს მ დ ი ნ ა რ ე დ]. ამ ჳევს მოვრთვი
ან, ჳევაშენებს, ორნი ჳეენი, დასავლეთიდან მომდინარენი. ხოლო
ხოზას ზეით არს, ცუნქა-ღრელის ჳევთ შორის, თ მ ო გ ვ ს ⁸,
კლდესა ზედა, ციხე შენი; თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს
დაბა. კვალად მტკვარს მოერთვის, ცუნქის-ჳევის შესართავის 10
პირისპირ, აღმოსავლიდან, ი ნ წ ყ ო რ ა ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე
კოდიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად.
ამ ჳევს მოერთვის, გიორგი-წმიდას, სხვა ჳევი სამჳრიდამ, მცირე.
ხოლო ცუნქის-ჳევს ზეით, მტკვრისა და წითელის კლდის და-
სავლეთით, არს მონასტერი გუნზათიანი, დიდშენიერი, შვე- 15
ნიერს ადგილს და აწ ცალიერი. კვალად მტკვარს მოერთვის,
წითელ-კლდეს ზეით, ღობიეთის პირისპირ, ო შ ო რ ი ს-ჯ ე ვ ი.
ესე გამოსდის კოდიანის მთას და მოდის დასავლეთად. ამ ჳევ-
ზედ, ზემო-ოშორას ზეით, არს მონასტერი გუნზათიანი, დიდ-
კეთილად ნაგები და აწ ცარიელი. ოშორას-ჳევის შესართავს 20
ზეით, ი ნ დ უ ს ა ს, არს ხიდი მტკვარზედ. მას ზეით მოერთვის
მტკვარს ს ვ ე ლ ი ს-ჯ ე ვ ი დასავლეთიდან.

ამას ზეით ერთვის მტკვარს ა ს პ ი ნ ძ ი ს-ჯ ე ვ ი აღმოსავ-
ლეთიდან, გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის
შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ა ს პ ი ნ ძ ი ს თავს ⁹ და 25
აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი. ასპინ-
ძის ზეით, ჩდილოთ კერძოთ, არს მ გ ე ლ- ც ი ხ ე, მაგარი, დიდ-
შენი. ამავე ჳევზედ, ო თ ა ს, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი
ქვაბნი დიდ-დიდნი სახიზრად. ოთას ამ ჳევს ერთვის ჯ ა ბ ო ე-
თ ი ს - კ ე ვ ი. გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძის-ჳევის 30
სათავეზედ, მთის ძირში, არს შ ო რ ა პ ა ნ ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ¹⁰
უგუნზათო, შვენიერს ადგილს, დიდშენი, სრულიად სოფის
კენჭით და აწ ცალიერი. ასპინძის-ჳევის შესართავს ზეით მო-
ერთვის მტკვარს ვ ა რ ე ნ თ ი ს - ჳ ე ვ ი. გამოსდის ერუშეთის

მთას, მოდის დასავლეთად. ვ ა რ ე ნ თ ა ს არს ც ი ხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ ჴევის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კო ხ ტ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად. კოხტას ამ ჴევს მოერთვის სხვა ჴევი, მისვე მთის გამომდინარე. ამ ორს ჴევს შორის არს ც ი ხ ე კო ხ ტ ი ს ა, დიდშენი და მაგარი. კვალად მტკვარს მოერთვის, კოხტის ჴევის შესართავს ზეით, და დ ე-ში ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე ერუშეთის მთისა და დ ე შ ს ¹¹ არს

35

40

127

მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შეგნიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი. ამ ჴევის შესართავს ზეით, ნ ი ჯ გ ო რ ი ს პირისპირ, მტკვარ | ს მოერთვის შ უ ლ ა ვ რ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე მოუშეთის მთისა.

- 5 ამ ჴევს ზეით, ხ ე რ თ ვ ი ს ¹, ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკვარს, რომელსა უწოდებენ ჯჰავახეთი[ს] მტკვრად, და ამ მდინარეს მოერთვიან ყოველნი ჯავახეთის მდინარენი. ხერთვის არს ხიდი მტკვარსა ზედა. ამ ხიდს ზეით მოერთვის მტკვარს ქ ა ჭ ა რ ა ქ ი ს-ჯევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ ჴევს ზეით მოერთვის მტკვარსვე ქ ა რ ზ ა მ ე თ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ქ ა რ ზ ა მ ე თ ს არს მონასტერი გუნბათიანი ², მდიდრად შენი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვ ა რ მ ი ა ს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ³, კლდესა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატები-
15 თურთ, და მას შინა აღშენებული ძ ა მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან ძ ა მეფე გიორგი ⁴, ოე მეფე კოსტანტინე ⁵ და სხვანიცა. არამედ აწ ცალიერი.
- 20 ხოლო აქამომდე რომელნი აღვსწერენით, ესე არს უმეტესად ზემო-ქართლი და შემდგომად სამცხე წოდებული, და აწცა სამცხედვე ისახელების. და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა; სამჯრით მთა ერუშეთისა და სამცხეს
25 შორისი, მერმე არსიანის ნთა, შავშეთსა და ყველს შორისი. ხოლო, ა რ ს ი ა ნ ი ს მ თ ა მ დებარებს სიგრძით აჭარის მთიდან არტანამდე, აღჭოსავლეთ-სამჯრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შუა და არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. გამოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ. არს ყვავილოვანი, ბალახოვანი,
30 წყაროიანი, ნადირიანი, ფრინვლიანი. არტახიდან მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამჯრით, მიადგების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ არტანს – ქ ვ ა ყ რ ი ლ ს, და კოლას – ყ ა ლ ნ უ მ თ ა ს. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არტანი,

35 და დასავლით არტანუჯი და ფანასკეტი. და არს მთა ესე არ-
სიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო დასავლით
მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა, რომელი მდებარებს.
ჩდილოდამ სამკრით, ფერსათის მთიდამ არსიანამდე, და არს ესე-
ცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, წყარო-მდინარიანი, შამბ-
40 ყვავილიანი, ნადირ-ფრინვლიანი. და ჩდილოთ მზღვრის მთა
ფერსათი, არამედ პირველწოდებული და დო და ლო მ ს ი ა,
და ქართლის კერძოდ ეწოდებას მ ა ხ ვ ი ლ ო, რომელი არს
128

უმაღლესი და მარადის თოვლიანი, მყინვარი, და სიმაღლეს
სიწვრილისათჳს ეწოდა მახვილო.

და ძეს მთანი ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, ქართლის
ჯეობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა
ტყიანი, გარნა რომელთამე ადგილთა თოვლიანი, ყინულიანი 5
მარადის, ბალახოვანი, შამბნოვანი, ყვავილოვანი, წყარო-მდი-
ნარიანი, ნადირ-ფრინვლიანი მრავლობით. ჩდილოთ აქუს იმე-
რეთი და სამხრით სამცხე. და ამ საზღვართა შორისი არს
სამცხე, შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, ჯეკიან-კლდიანი,
მაგარი მთაბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი მრავლად. 10
მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ, პირუტყვიანი მრავლად,
არამედ ცხოვარნი უმრავლესად. ჰავით მშვენი და შემკული,
აგარაკოვანი. თევზნი, თვნიერ ზუთხისა, მრავალნი და გემო-
იანნი ყოველნი. კაცნი და ქალნი, ვითარცა ადვსწერეთ, იუწ-
ყეთ ეგრეთ. არამედ გლეხნი კვალადცა მაჰმადიანდებიან ჭირი- 15
სათჳს დიდისა.

ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს. და სად ერთვის მტკვარს
ჯ ა ვ ა ხ ე თ ი ს-მ ტ კ ვ ა რ ი, ამ ორს მდინარეს შორის არს
ხ ე რ თ ვ ი ს ი, მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზე და ჯავახეთის-
მტკვრის სამკრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და 20
დგანან აწ იენგიჩარნი. არამედ ეს ჯავახეთის-მტკვარი გამოს-
დის ფანავრის ტბას და მოერთვის საღამოს ტბასა, კვალად გა-
მოსდის საღამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამკრეთს
შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. სიგრძით არს საღამოს
ტბიდამ ხერთვისამდე, და დის ფრიად, და ღრმას, და კლდიანს 25
კრამსა შინა, რომლისა იმიერ და ამიერ არიან გამოკვეთილნი
კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი სახიზრად. ხოლო ხერთვის ზეით
ამ ჯავახეთის-წყალს ერთვის გ ო კ ი ს მ დ ი ნ ა რ ე, გამოსდის
შარვაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე ჩდილო-
დამ სამართ, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის 30
ჯავახეთის-მტკვარს ჩდილოდამ. გ ო კ ი ა ნ ⁶ არს ქალაქი მცირე.
მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი. გოკიას
ქვეით ამ გოკიის-წყალს ერთვის ო ლ დ ა მ ი ს-წყ ა ლ ი, გამომ-
დინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე ჩდილოდამ სამკრით.

ჯავახეთი-
სათჳს

ხოლო კვალად გოკიის-წყლის შესართავის, ჯავახეთის-მტკვრის სამკრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტ ბ ა კ ა რ-წყ ა ხ ი ს ა, ⁷ დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა. ამ ტბას მოერთვის წყ ა ლ ი ფ ო ს ო ს ი, რომელი გამოსდის ყარსის მთას და მოდის ჩდილოთ კერძოთ. ამ წყალზედ არს, ტბის მჭვრეტი, წყ ა რ ო ს-თ ა ვ ს, ეკლესია ფრიად დიდ-შვენიერი ⁸, გუნბათიანი, რომელი აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტანთურთ, ვიდრე ყარსის მთადმდე და ხავეთამდე ამავე წყალზედ არს ფ ო ს ო ა ნ უ ჩ უ ლ უ რ ე თ ი. ამ ფოსოს აქუს აღმოსავლით მთა ნიალის-ყურისა, სამკრით მთა ყარსისა, დასავლით მთა არტანისა და მის შორისი, 5 ჩდილოთ მთა ნიალის-ყურისავე, წყაროს-თავის სამკრით, რომელსა გასჭრის წყალი ფოსოსი. და არს ეს ფოსო უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა, მოსავლით, პირუტყვით და კაციტა.

ხოლო კვალად გოკიის-წყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის-მტკვარსა ზედა, სამკრეთისაკენ, კიდეზედ, არს წ უ ნ ა ⁹, რომელი აღაშენა – ციხე-ქალაქი, მტკიცედ მოზღუდვილი – ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს ც უ რ ი, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქ ა ჯ თ ა-ტ უ ნ ი, და მერმე ეწოდა ქ ა ჯ თ ა-ც ი ხ ე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმე-15 ფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, გარნა ციხე არს. ამ წუნას ზეით, ჯრამის თავს, მინდორზედ, სამკრით კერძოთ, არს კ უ მ უ რ დ ო ს ე კ ლ ე ს ი ა,¹⁰ გუნბათიანი, ფრიად დიდშენი, შვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა* [მირიანისასა]. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვისის ზეითისა. ხოლო წუნას ზეით ჯავახეთის-მტკვარს მოერთვის ჩდილოდამ ბ ა რ ა ლ ე თ ი ს მ დ ი-20 ნ ა რ ე, რომელი გამოსდის ფანავრის ტბისა და სანსრების შორისს მთას და მოდის აღმოსავლეთად. ამ წყალზედ, მტკვრის შესართავს ზეით, არს ბ ა რ ა ლ ე თ ი¹¹, მცირე ქალაქი. მოსახ-25 ლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ბარალეთს ზეით, ამ წყალს, კაჭიოს, მოერთვის ა ზ ა ვ რ ე თ ი ს-ჯ ე ვ ი, გამომდინარე შავრაშეთის მთისა და მომდინარე სამკრეთად. ამას ზეით ამავე წყალს ერთვის, ბოჟანოს ქვეით, ბ უ შ ა თ ი ს-ჯ ე ვ ი. გამო | დის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამას ზეით, 30 მასვე ბარალეთის მდინარეს მოერთვის მ ო დ ე გ ი ს-ჯ ე ვ ი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე.

ხოლო კვალად ბარალეთის-წყლის შესართავს ზეით მოერთვის ჯავახეთის-მტკვარს, სამხრიდამ, ა ხ ა ლ ქ ა ლ ა ქ ი ს წყ ა ლ ი, რომელი გამოსდის აზოცის დაბის მცირეს ტბას და 35 მოერთვის მცირედ მუნვე ხავეთის ტბასა, და კვალად, მის ტბის გამომდინარე, მოდის აღმოსავლეთ-სამკრეთს შუადაამ

ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ხოლო ახალქალაქი¹ არს ამ
ორთა მდინარეთ შესართავს შორის. ესე იყო ქალაქი მოზღუდ-

*) უკანასკნელი ხუთი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან,
მარჯვენა აშიაზე გატანით. ტექსტი გადასულია, უკანასკნელი სიტყვა აღარ
გაირჩევა. მ. ჯანაშვილს წაუკითხავს „მირიანისასა“.

130

ვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. გარნა
აწ აღაშენა კვალად შავშეთის ბეგმან ქართლიდამ. ამ ახალქალაქს
ზეით არს ამირანი ს-გორა², მტკვრის სამჯრის კიდეზედ.
მუნ არს მტკვარსა ზედა ხიდი. ამას ზეით არს ტბასა
ლა-
მოსი³, დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა ამისთვს, 5
რამეთუ არს ანკარა და ქვიანი. ამის სამჯრით არს ტბა
ფა-
ნავრისა⁴, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა. და ამ ფა-
ნავარს გამოსდის ჯავახეთის-მტკვარი, დაბას გასადინარსა⁵.
ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარე-
კევთა ზედა დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავა- 10
ხეთს: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიცა აღვსწე-
რეთ; სამჯრით მთა ნიალის-ყურისა რომელი მდებარებს გოლის
ტბიდამ ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროს-თა
ვამდე, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და არს მთა ესე სრუ- 15
ლიად უტყეო, ბალახ-შამშ-ყვავილიანი და წყაროიანი, ხოლო
ფოსოს კერძონი და წყაროს-თავის კერძო მტკვრამდე – ტყიანი,
ნადირიან-ფრინველიანი. ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს
ძველად მტკვარი, და აწ ნიჯგორს-ხერთვის ზეითი, და წყაროს-
თავის დასავლით წარსრული მცირ[ე] გორანი; ხოლო ჩდილოთ 20
პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსრული მცირე
მთა ნუსხამდე, და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ
კოხტის მდინარის აქეთ სამჯრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგო-
რის თავამდე და * კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიანის მთა
ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკუ- 25
ლიანიდამ და ჭობის კევიდამ და მოვალს კოხტის-თავამდე,
მერმე დამდაბლდების და დასწყდების ნიჯგორს ზეით ჳრამზედ.
ხოლო ჯავახეთი[ი] არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო,
უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავ- 30
ლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ** ნაყოფიერი და მოუც-
დენელი. ჰავითაც მგზავსი, გარნა უმჯობესიცა. ზამთარი დიდ-
თოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი.
თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ,
მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი
ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შვენიერ-ჰაეროვანნი, უსაქციე- 35
ლონი, ბრიყვნი; სარწმუნოებით გლეხნი ჳერეთ ქრისტიანენი
სრულიად, არამედ არლარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, გარნა

ჰყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა დამჭირნეობისათჳს ოსმალთა.

*) აქ დედანში წაშლილია: „ბაკულიანამდე“.

**) დედანში: „უმეტენ“.

130

ერუშეთი-
სათჳს

5 ხოლო აწ კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე. ვარძიას ზეით, ჳრამის თავს, სამღერეთს, მტკვარს მოერთვის ერუშეთის მდინარე. ეს გამოსდის ერუშეთსა და ფორჩხის-ჯევის შორის მთასა. მოდის ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამჯ-
რეთ შუა. ამ წყალზედ არს, სამღერეთის დასავლით, ნაქალაქი⁶, სადაცა იყო ქალაქი, და აწ არს დაბა. აქ აღაშენა ეკლესია გუნბათიანი, შვენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კოსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ ძირიან მეფისათანა, და დაასვენეს მას შინა სამსჭვალი
10 ქრისტეს უფლისა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკვრის დასავლეთისა, აწცა არს ეკლესია დაურღვეველი, არამედ ცალიერი. ხოლო ერუშეთს მზღვრის: აღმოსავლით მტკვარი და მთა ამისი და სსარკნ/ეს შორისი, და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სამცხეს; სამართ არსიანი-
15 დამ ჩამოსული მთა აღმოსავლეთად სამღერეთამდე, ერუშეთს და არტანს შორისი; დასავლით მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს; ჩდილოთ მთა ამასა და ფოცხვის-ჯევის შორისი, და ამასა და სამცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდავლენან გზანი ფოცხვის-ჯევისა და სამცხეს შინა. და არს
20 ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნადირითა და მდინარე-თევზითა არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი.

25 ხოლო სამღერეთისა და ერუშეთის-წყლის შესართავს ზეით არს არტანი⁷, ქალაქი მცირე, რომელიცა აღაშენა ჯავახოს, ძემან მცხეთოსისამან, მტკვრის დასავლით კიდეზედ, და ციხე მაგარი შემდგომად, მეფობასა შინა ბაგრატიონთათა, იჯდა ერისთავი არტანისა და კოლისა. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი და აწ ცალიერი. ამას ზეით,
30 მტკვრის კიდესა ზედავე, არს დასავლით ჯინჭრობი. ამ ჯინჭრობს ზეით ჩამოვალს მთა ქვაყრილის მთიდამ აღმოსავლეთით მტკვრამდე, ეგრეთვე ფოსოს მთიდამ მტკვრამდე. ეს მთანი არიან საზღვარნი არტანისა და კოლისა. და ამ არტანს შინა მოერთვიან მდინარენი მტკვარს ქვაყრილისა და ფოსოს მთიდამ, რომელთა ზედა არიან ლამნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის
35 არტანს: აღმოსავლით მთა, ამასა და ფოსოს შორისი; სამჯრით

არტანისათჳს

მთა, ამასა და კოლას შორისი; დასავლით არსიანი, და აწ ქვაყრილად წოდებული, სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს ჩდილოთ მთა მცირე, ამასა და ერუშეთს შორისი. ხოლო არს 40 არტანი ვაკე და უტყეო, ბალახ-ყვავილიანი, მოსავლით, ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე.

132

კოლასათჳს

ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკვრის კიდის დასავლეთით, არს მცირე ქალაქი კოლას⁸, და ზის აწ ფაშა კოლას, და უწოდებენ კოლის ფაშას. ამ კოლას ზეით, მტკვრის კიდეზედ, და დეშს⁹, არს ეკლესია დიდ-შვენიერ-გუნბათიან-შენი, და აწ უქმობენ დორთქილისისა. იჯდა 5 ეპისკოპოზი სრულიად კოლისა, და აწ უქმი არს. ხოლო მტკვრის სათავეს ზეით, ყალნუს მთის ძირზე, არს ციხეშენი ქუმურლუსი, მაგარი და შეუალი [ვგონებ ბეჭისციხედ]. აწ ცალიერ არს. ამას ზედა გარდავალს გზა ბანას და ფანას-კეტს. არამედ კოლის ადგილებთა შინა მოერთვიან მტკვარს 10 მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთიდან, და მათ ზედა შენ არიან დაბნები. და მზღვრის კოლას: აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარებს ყალნუს მთიდან ნიალის-ყურის მთამდე. დასავლეთს-სამკრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის. და არს მთა ესე მცირეტყიანი, და არს ბალახ-შამბ-ყვავილოვანი, 15 წყაროიან-ნადირიანი. გარდავლენან მას ზედა გზანი ყარსის ადგილებთა შინა; დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა. და აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას, არტანუჯსა შინა. და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშნიანი და ზაფხულის ფრიად 20 შვენიერი; ჩდილოთ მზღვრის კოლას არტან-კოლას შორისი მცირე მთა.

და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვით და ჰავით, ვითარცა ჯავახეთი, და კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი. ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, 25 არტანი და კოლა ერთი საერისთო და შემდგომად იქმნა ორ საერისთოდ ბაგრატიონობასა შინა – წუნისად და არტანისად. და აწ ზის ჯავახეთს ნიჯგორს მჯდომ[ი] ფაშა და კოლას ფაშავე, გარნა მორჩილებასა შინა ახალციხის ფაშისასა. და ესენი არიან აღწერანი მტკვრის შემდინარის მდინარეთა და ქვეყანათა, 30 რომელთაცა ძველად ეწოდებოდა ზემო-ქართლად, ამისთჳს – მტკვარი ვინადგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქვეყანათა დაუბრკოლებელი აქუსთ.

ჰორიხისათჳს

ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს. და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი¹, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამკრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლე-

35

თით მიწოლილ ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუხვევს და დის, უმეტეს ართვანიდამ, ჩრდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქვეით შ[ა]ვს ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და კრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებ ურგები,

40

133

ვინადგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თვნიერ ერგეს, გონიას და ბათომს. არამედ ვინადგან აღვსწერენით* ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის-წყლის შესართავიდამ.

5 ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის-წყალი აღმოსავლეთიდამ, და გამოსდის ზარზმა-აჭარას მორისს მთასა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ჯეობის საშუალოს, არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა, ქედა². მოსახლენი არიან ვაჭარნი. ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, 10 გურიის მთიდამ, და აჭარასა და ლიგანის-ჯევის შორისის მთებოდამ, ჯევი, და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი **, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამართ მთა აჭარასა და ლიგანის-ჯევის შორისი; დასავლით მდინარე ჭოროხი, ჩდილოთ მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან 15 გზანი გურიას. და არს აჭარის ჯეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვნიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, კრამოვან-ლრატოიანი; მთანი ტყიან-ნადირიანი; კაცნი ჯელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყველს – ერთი იქმნების ი, იე და კლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგზარი კეთილსახმარ არს.

აჭარისათვის

25 ხოლო აჭარის-წყლის შესართავს ზეით მოერთვის დასავლეთიდამ ჭოროხს ფორჩხის-ჯევის მდინარე, გამომდინარე ბაიბურდისა და ფორჩხის ჯეობის საშუალოს მთიდამ. მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ ჯევის მოერთვიან ჭანეთისა და ისპირის მთიდამ ჯევი, და შენ არიან დაბნები ამ მდინარეზედ არს, ჭოროხის დასავლეთად***, დაბა დიდი ფორჩხა. ამის გამო იწოდა ჯეობაც ესე ესრეთ. ხოლო 30 მზღვრის ფორჩხის-ჯეობას: აღმოსავლით ლიგანის-ჯევი; სამწრით მთა ისპირისა, სადაცა გარდავლენან გზა ისპირის ჯეობასა შინა; დასახლით მთა ბაიბურდისა და ამას შორისი; ჩდილოთ მთა ჭანეთისა, და მას ზედა გარდავლენან გზანი ჭანეთს არამედ არს ჯეობა ესე ვენახოვან-ხილიანი, ვიწრო და კლდიანი და 35 მოსავლიანი, რაოდენიცა მიწანი იქმნიან, პირუტყვიან-ნადი-

ფორჩხის
ჯეობისათვის

რიანი, მთა-ბარნი ახლორებენ ფრიად.

ხოლო ფორჩხის წეობას ზეით არს მცირე კევი; გამოსდის ისპირის მთას, მოდის სამწრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ჭოროხს.

აწა

*) დედანში: „აღვსწერეთნით“.

**) დედანში გამეორებულია: „მთა“.

***) დედანში გამეორებულია: „არს“.

134

ამ კეფზედ აღმოსავლით და ჭოროხის დასავლით, ისპირის მთის კალთას, არს ეკლესია ღვთაებისა ა ნ ჩ ა ³, გუნბათიანი, დიდშენიერად ნაგები, კარგს ადგილს. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის-კევისა გაღმა-გამოღმართისა გონიამდე, ფორჩხის წეობისა და აჭარისა, და აწ ცალიერი არს.

5

ანაკერტი

ამას ზეით მოერთვის ჭოროხს ა ნ ა კ ე რ ტ ი ს-კ ე ვ ი აჭარის მთიდან. ამ კეფზედ არს, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთას, ა ნ ა კ ე რ ტ ი, დაბა დიდი და კარგი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს შავშეთის მდინარე აღმოსავლეთიდან. აქ არს ფ ა ნ ა კ ე რ ტ ი ც ი ხ ე, ორთა მდინარეცა შორის*.

10

ნათლისცმლის მონასტრისათვის

ამ შავშეთის-წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა. ამას შინა იყო ჯორპი ნათლის-მცემლისა, და იყო დიდ-ჯელოვნებით ქმნული და შენებული. ამისნი შედეგნი იბ მონასტერნი, და თავი იყო, სადა ესვენა ჯორჭი იდგნენ მონა-ზონნი მოწესენი მრავალნი, და იყო, ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიოს წესითა და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ შენებულეზანი, არამედ უქმ-ცარიელ არს. ამას მწოდებდენ ო პ ი ზ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ ა დ ⁴, რომელი აღაშენა მეორედ გურგენ ⁵, აშოტ დიდის კურადპალატის ძემ, და დაეფლა თვთცა მას შინა**.

15

20

შავშეთისათვის

ხოლო შ ა ვ შ ე თ ი ს-წყ ა ლ ი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდან დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს-სამწრეთს შუადამ ჩრდილოთ-დასავლეთს შორის. ამას, ჭოროხის შესართავს ზეით, მოერთვის მდინარედ ჭ ი ლ ო ვ ნ ი ს-კევი, გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამწრით გრეხით. ამ კევიდამ გარდავალს გზა ზარზმას და ყველს. ამავე კევის სამწრით სახლობს აწინდელი შავშეთის ბეგი. ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭილოვნის-კევის შავშეთისავე მ დ ი ნ ა რ ე ს ა თ ლ ე ს ი და ტ ბ ე თ ი ს ა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთად, და მერმე, ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არს ს ა თ ლ ე ⁶, ქალაქი მცირე, და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა. ამ სათლეს ზეით არს ტ ბ ე თ ი ⁷, სამწრით ამ მდინარის კიდესა, რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრა-

25

30

35

ვალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუნზათიანი, მდიდრად
ნაგები და დიდ-შვენიერი. ეს აღაშენა ამოტ კუხმან ბაგრა-

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან.

**) სიტყვებიდან: „რომელი აღაშენა ..“ სწერია დედანში სტრიქონს
ზემოდან.

ტიონმან ⁸. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა,
სრულიად შავშეთისა და არტანუჯისა. ტბეთის პირისპირ, ჩდი-
ლოთ კერძ, მდინარის გაღმა, არს ციხე თ უ ხ ა რ ი ს ი, რომე-
ლი აღაშენა პირველ ოძრახოს, | მემან მცხეთოსისამან, შემდგო-
5 მად კვ მეფემან მირდატ აღაშენა ეკლესია ციხესა შინა; მერ-
ხე, ყრუსაგან მოკრებული, აღაშენა მტბევარ ეპისკოპოზმან.
არამედ მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათჳს – „თუ ხარ
შენ ციხე და არა სხვა“.

ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბ-
10 ნები შენნი დიდ-მცირენი. და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით
მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს,
ფოცხვის-ჯეობას და ზარზმა-ყველს; სამჯრით მზღვრის კლდე,
არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი
15 ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კნინლა ჭო-
როხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა, ვითარცა კარი,
და თჯნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა,
შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ მთა, არსიანიდამ ჩა-
მოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი,
გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ ხი-
20 ლიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თჯნიერ ბრინჯ-
ბამბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრ-
ვალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმა-
რების სივიწროვედ.

ხოლო შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს
25 მოერთვის დასავლეთიდან ი ს პ ი რ ი ს მ დ ი ნ ა რ ე, წოდებული,
ჭოროხადვე. და ამ ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭო-
როხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ა რ თ ვ ა ნ ი,¹
ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი.

და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე,
30 ჭოროხის ჯეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლ ი გ ა ნ ი ს
ჯ ე ო ბ ა დ. და არს ეს ლიგანის ჯეობა, თჯნიერ სივიწროვისა,
ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთის-
ხილით, ბროწეულითა, ლელვით, ვენახით, ხილით შემკობილი,
და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნა-
35 ყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბას.
ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლო-

ართვინი-

სათჳს

ლიგანის

ჯეობისათჳს

40 რებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი, შვენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნახევარ-ჟამის სავალთა, წყაროებითა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოვლითა ნაყოფიერებით აღვსილი.

ხოლო ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ ჰევი, რომელი გამოსდის თორთომ-ისპირის მთასა, მოდის

იზანისათჳს

136

აღმოსავლით. ამ ჰევზედ არს ი შ ხ ა ნ ს ც ი ხ ე, ფრიად მაგარი, დიდ-შენი და ეკლესია² გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ არს. ამ ჰევს ზეით არს ჭოროხზედ ხ ვ ა რ ა მ ზ ე ს ხ ი დ ი, ქვიტკირისა, მრავალ- 5

არტანუჯი-სათჳს

ამ ხიდს ზეით მოერთვის ჭოროხს მ დ ი ნ ა რ ე ა რ ტ ა ნ უ-ჯ ი ს ა. ეს გამოსდის ქვაყრილის მთას, მოდის აღმოსავლეთიდამ დათვლად. ამ წყალს მოერთვის ჩდილოდამ, ჭოროხს ზეით, სხვა წყალი არტანუჯისავე. ესეც გამოსდის ქვაყრილის მთას, 10 და არტანუჯსა და შავშეთს შუათს კლდეს. ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ, არს ა რ ტ ა ნ უ ჯ ი³, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს აღაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე აღაშენა და განაახლა აშოტ კურატპალატმან, და ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი; 15 მოკლეს მას შინავე და დაფლეს მუნვე. არს არტანუჯს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქავ არტანუჯს აღაშენა გორგასლან მონასტერნი მ ე რ ი ს ა, შ ი ნ დ ო ბ ი ს ა და ა ხ ი ზ ი ს ა, ფრიად შვენიერნი. კვალად ქმნა ახიზს ქვაბნი კლდისა გამოკვეთილნი, 20 ფრიად მაგარნი და შეუალნი.

ხოლო ამ არტანუჯის მდინარეთა მოერთვიან სხვანიცა მდინარენი, და მათ ზედა შენებულ არიან დაბნები. და მზღვრის არტანუჯს: აღმოსავლით მთანი ყალნუ-ქვაყრილისა, და გარდავ- 25 ლენან გზანი მათ ზედა კოლა-არტანს; სამჯრით ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად, ვიდრე ჭოროხამდე; დასავლით მთა მცირე არტანუჯსა და ჭო-როხს შორისი, და თვთ მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ კლდე შავშეთსა და არტანუჯს შორისი. არამედ არს არტანუჯი ვენა- 30 ხიანი, ხილიანი; მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირე-ველოვანი. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ჰავით მშვენი, კეთილი, ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი. კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე სარწმუნოებითა და ენითაცა. არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლიგანის-ჰევი 35 არს ოძრახოსავე წილი. და საერისთო მისი, ხოლო შემდგომად

იქმნა არტანუჯის ერისთავი სხვა, შავშეთით, და აწ უზისო
თვსთვსი ბეგი, ოსმალნი.

კალმხის ციხისათვის ხოლო კვალად, არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდან გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსავლეთად. ამ ჳევზედ არს ც ი ხ ე კ ა ლ- მ ა ხ ი ს ა ^{3a}, რომელი აღაშენეს პატიახშთა, დიდშენი, მაგარი

137

და შეუალი. იყო საერისთო ტაოსი. ამას ზეით მოერთვის ჭო-
როხს მდინარე ბანა-ფანასკეტისა, გამომდინარე ყალნუ მთისა
და მომდინარე აღმოსავლეთიდან დასავლეთად.

5 ამ წყალზედ, ჭოროხის აღმოსავლით, არს ც ი ხ ე ფ ა ნ ა ს-
კ ე ტ ი ს ა ⁴, კლდესა ზედა, დიდშენი, მაგარი. აქ იჯდა ერისთავი
ფანასკეტ-ოლთისისა, და აწ არს დაბა. ამას ზეით, ამ წყალზედ,
მთაში, არს ბ ა ნ ა ⁵, აწ უწოდებენ ფ ა ნ ა ქ ს. აქა არს ეკლესია
გუნბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილ-შვენიერს ადგილს.
10 აღაშენა მეფემან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა
ეპისკოპოზი, მწყემსი ფანასკეტისა და სრულიად ტაოსი, ოლ-
თისისა და ნარუმაკისა, და აწ არს ცალიერი.

ფანასკეტი-
სათვის

ამას ზეით, ჭოროხის აღმოსავლეთის კიდებზედ, არს ო ლ-
თ ი ს ი ⁶, ქალაქი კარგი და კეთილ-ჰაოვანი. აქ არს ციხე მაგარი
და დიდ-შენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალ-
15 ციხე. ოლთისს ზეით, ჭოროხის აღმოსავლის კიდებზედ, არს
ნ ა რ უ მ ა კ ი და აწ ნ ა რ ი მ ა ნ ი, დაბა დიდი. აქამდე არს ფა-
ნასკეტი-ოლთისი ხილიანი, ვენახიანი, ვითარცა სხვანი აღვსწე-
რეთ. ხოლო ნარუმაკს ზეით კვალად, ჭოროხის აღმოსავლის
კიდებზედ, არს დაბა დიდი ი დ ი, კეთილი. ამას ზეით არს, ვი-
20 თარცა მთის ადგილნი ნაყოფითა.

ოლთისი-
სათვის

არამედ არმივანს ზემოთ იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა,
თორთომის მთის აღმოსავლეთით არს კ ა რ ხ ა ლ ი ა ნ უ* ტ ა ო ს-
კ ა რ ი ⁷ ა ნ უ ტ ა ო. და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის
25 მდინარე; სამჯრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე: და-
სავლით | თორთომის მთა; ჩდილოთ ჭოროხი და ისპირის მთა.
და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა
მარცვლითა, და მთის კერძოთ, ვითარცა ჯავახეთი. არამედ
არს მთიანი, ბორიანი, ლელოვან-ჯრამოვანი, ღრატოიანი,
წყლიანი და იწრო. და არიან ჳევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთ-
30 ნივე. გარნა იდი და ნარუმაკი არიან, ვითარცა თრიალეთი
ანუ ჯავახეთი ყოვლითურთ.

ტაოსათვის

ხოლო ოლთის-ნარიმანისა და იდის სამჯრით არს, ირიჯ-
ლუს მთას იქით, ბ ა ს ი ა ნ ი. და ესე ბასიანი თუმცა არს სომ-
ხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა
35 დაიპყრეს, მათ, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახ-
სისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა

228

ბასიანისათვის,

ამისსა ბასიანი¹, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილ-
თა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ა ს ა ნ ყ ა ლ ა ს. და არს,
საშუალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა, ჩდილოთ კერძ, არა
დიდი ქალაქი. და მზღვრის ამას ბასიანს: აღმოსავლით მთა,

*) უკანასკნელი ორი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან

138

ჩამოსული სამჯრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა;
დასავლით მთა ირიჯლუ-დევაბონისა; ჩდილოთ მთა ირიჯლუ-
ყალნუსი; სამჯრით მთა, დევაბონიდამ წამოსული- სომხითის
მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახსს იმიერით და
ამიერით მდინარენი მთებთაგან და შენებულ არიან დამნები. 5
არს უვენახო, უხილო და მარცვლის მოსავლითაცა, ვითარცა
ჯავახეთი, არამედ ესე უმჯობესცა ჭამითაც. უტყეო, თვნიერ
მცირე არყნალნი. სწვენ წივას და ზიდვენ ხესა და შეშას რახ-
სის წრამიდან. ამ ასანყალას ქვეით არს ხიდი რახსსა ზედა, და
ვლენან ქარავანნი, თვნიერ მისა ვერ განვალს არაზს. 10

ისპირისათჳს

ხოლო ისპირის ჯეობის მდინარე გამოსდის, ბაი-
ბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის
მთიდამ ჭოროხამდე, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად
ქევსა კლდოანსა და ქვიანსა შინა. და ამ ისპირის წყლისა და
ჭოროხის მდინარის შესართავს ფრიად ზეით, ამ ისპირის მდი- 15
ნარეს მოერთვის სამჯრიდამ თორთომის ჯეობის მდინარე. და
ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის
კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა, და ამის გამო სახელ-
იდვა ჯეობა ესე და მდინარე. ამას ზეით მოერთვის კვალად
ისპირის მდინარეს საქართველოს-ყელის მდინარე ანუ გურჯი- 20
ბოლაზისა. და ამ მდინარეს ზეით არს მთა, რომელი მზღვრის
ბაიბურდსა და ისპირსა. ხოლო ამ ისპირის მდინარეს მოერთ-
ვიან ამიერ-იმიერით ჯევნი ისპირისავე მთებიდამ, და არიან და-
შენებულნი დაბნები მათ ზედა.

და მზღვრის ისპირის ჯეობას: აღმოსავლით ისპირის მთე- 25
ბიდამ ჩამოსულნი მთანი, სამჯრით-ჩდილოეთიდამ ისპირსა,
ტაოსა და ლიგანის-ჯევის შორისნი. და არს მთანი ესენი ტყი-
ანნი, კლდიანნი, ღრატოიანნი, ჯევ-ქარაფიანი და ნადირიანი;
ხოლო სამჯრით მზღვრის მთა ისპირისა, ისპირსა და თორ- 30
თომის ჯეობას შორისი, და გარდავლენან გზანი თორთომის
ჯეობასა შინა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლეთიდამ დასავ-
ლეთად. არს თხემთა უტყ[ე]ო და ადგილს თოვლიანი, და კალ-
თათა ტყიანი, წყაროიანი, ბალახ-ყვავილიანი და ნადირიანი.
ეგრეთვე დასავლით მზღვრის მთანი, ისპირის მთებიდამ ჩამო- 35
სულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამჯრით ჩდილოეთიდამ, ბაი-
ბურდსა და სპერს შორისი. და არიან მთანი ესენი ტყიანნი.

კლდიანნი, და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, ფორჩხის ჯეობასა და ისპირას შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ფორჩხას. და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი ისპირის მთა.

40

139

5 გარნა არს ესე ისპირის ჯეობა ქარაფოვან-კლდიანი, დელე-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე ვე[ლო]ვანი, მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარცა აღვსწერეთ ლიგანის-ჯევი, ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა. ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქუს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი. კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა.

10 ხოლო თორთომის მდინარე გამოსდის დევაბოინის მთასა და მოდის სამჯრიდამ ჩდილოდ, გასჭრის სპერის მთას და მიერთვის ისპირის მდინარეს. ამ ისპირის მთას ზევით არის თორთომის ჯეობა და ამ ისპირის მთის ფრიად ზევით მოერთვის დასავლეთიდამ თორთომის მდინარეს ჯევი, შიფაქლუს მთის გამომდინარე, და მოდის პირველ სამჯრიდამ ჩდილოდ, მერმე დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ ჯევიზედ, 15 შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახული ისა², ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შვენიერს, კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით³ კურადპალატმან, ბაგრატ მეფის⁴ მამობილმან. აქავ არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდ-შენი, რომელი აღაშენა მწმეფემან დავით⁵. არამედ აწ უქმ ცალიერ არიან, და ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან. ამ ჯევის ზევით, თორთომის მდინარეზედ, არს ციხე 20 თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდ-შენებული. ამის მიერ იწოდა ჯეობა ესე თორთომის ჯეობად. ამ ციხეს ზევით არს ხენძორეთი, დაბა დიდი და გზა აზრუმისა. არამედ 25 ამ თორთომის მდინარეს მოერთვიან ჯევი თორთომისა და შიფაქლუს მთიდად, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი.

30 ხოლო მზღვრის თორთომის ჯეობას: აღმოსავლით მთა თორთომისა *, თორთომსა და ტაოს შორისი, რომელი მდებარებს სიგრძით სამჯრეთ-დასავლეთს შუადად აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის, გამოვალს ირიჯლუს მთიდად და მიადგების ისპირის მთას, და არს ისპირის მთის კერძოთ თხემთა უტყ[ე]ო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი და მას ზევით სრულიად უტყ[ე]ო, 35 წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-შროშნიანი; გარდავლენან გზანი ტაოს შინა. ხოლო სამჯრით მზღვრის მთა ირიჯლუ-

თორთომისათვის

დევაბონისა, რომელი ეგრეთვე უტყეო არს. დასავლით მთა

*) ამის გასწვრივ დედანში აშიაზე სწერია: „ეს მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველს ღეოღრაფიასა შინა მოსხის მთად, რომელნი არიან მესხის მთანი ირაჯლუსი, თორთომისა, შიფაქლუსი და დევაბონისა და ისპირისა“. (ვახუშტი)

140

შიფაქლუსა, თორთომისა და ქართლის-ყელს შორისი, რომელი მდებარებს სამხრიდამ ჩდილოდ, გამოვალს დევაბონის მთიდამ და მიადგების ისპირის მთას. და არს ხახულამდე უტყეო და ყოვლითა, ვითარცა სხვანი მთანი ხახულს ქვეით ეგრეთი ოსპირის მთამდე, ვითარცა თორთომის მთის კერძი დავსწერეთ. ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისა, ამასა და ისპირს შორის, და გარდავლენან გზანი ისპირის ჳეობისა შინა. არამედ თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ჳეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჳავახეთი აღვსწერეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი, შემკობილი მთით და ბარით. კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უმბობენ თურქულსა.

5

ხოლო ამის დასავლით არს და შიფაქლუს მთის იქით გ უ რ ჯ ი-ბ ო ღ ა ზ ი ს ჳ ე ო ბ ა ანუ ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს-ყ ე-ლ ი ს ა, რამეთუ ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ჳამით უწოდეს სახელი ესე. სიგრძით არს დევაბონის მთიდამ სპერის მდინარემდე. გამოსდის დევაბონის მთასა, მოდის სამჳრისამ ჩდილოთ, და ხენძორეთის გარდასწვრივ არს გურჯი ბოღაზი დასავლეთით; და ეს ჳევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და ჳეობა ესე არს ფრიად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი.

15

20

გურჯი-ბოღაზისათვის
229

ხოლო სადაცა მიერთვის ისპირის მდინარეს გურჯი-ბოღაზის მდინარე, მას ჳეით არს ისპირის მთებიდამ ჩამოსულნი მთანი, ისპირისა და ბაიბურდის საზღვარი, ვითარცა აღვსწერეთ. ამ მთებს ჳეით არს ბაიბურდი¹, ყოველგნით მთით მოხვეული და თვთცა მთა. ამას შინა დის ისპირისავე მდინარე. ამ წყალზედ, შუას ადგილს, არს ქ ა ლ ა ქ ი ბ ა ი ბ უ რ დ ი, არა დიდი, და არიან აწ სრულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედი თუ ვინმე ქრისტიანენი. ამ ქალაქის გამო იწოდების ადგილიცა ესე ბაიბურდად. ხოლო მოერთვიან ბაიბურდის ადგილთა შინა ისპირის მდინარესა, აჳარა-ეზინგის მთებიდამ, მდინარენი, და არიან მას ჳედა შენნი დაბნეზი. არამედ მზღვრის ბაიბურდს: აღმოსავლით მთა ისპირსა და მის შორისი; სამჳრით მთა ეზინგსა და ბაიბურდს შორისი, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად, უტყეო; დასავლით მთა ტრაპიზონისა; ჩდილოთ

25

30

35

ბაიბურდი-სათვის

მთა ჭანეთისა, ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი. და არს ეს ბაი-
ბურდი, ვითარცა ჯავახეთი, მთებრი მოსავალ-პირუტყვითა.
გარემოს მისა მთანი უტყეონი, და ზიდვენ ჭანეთის მთიდამ
ხესა და შეშასა, უმეტესად სწვენ წივასა. ჰავით ზაფხულის
კეთილ-ამო და შვენიერი, ზამთრივ ცივი, თოვლიანი და გაუძ-
ლისი. გარდავლენან გარემოს მთებთა ზედა გზანი ადგილებთა

40

141

შინა, რომელი აღვსწერეთ მის გარემო. კაცნი არიან სრუ-
ლიად მოჰმადიანნი და ზნითაცა მ[ა]თითა.

ჭანეთისათჳს

ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამკრით, ჭანეთის მთას
იქით, არს ჭ ა ნ ე თ ი, და აწ უწოდებენ ლ ა ზ ს ა ვ ე. არს ესე
5 შავის ზღვის კიდის * წადევნებით, გონიიდამ ტრაპიზონის საზ-
ღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში
გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარებს ჭანეთსა და
ფორჩხის ჯეობას შორის, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის
იქით არს ხ ო ფ ჯ ა ², ქალაქი მცირე, იძღვის კიდესა ზედა. აქ
10 მოერთვის მ დ ი ნ ა რ ე ხ ო ფ ჯ ი ს ა, გამომდინარე მისვე მთისა
და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე,
ხოფჯას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს
ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ.
ამ მდინარის, დასავლით არს ქალაქო მცირე რ ი ზ ა ³, ზღვის
15 კიდეზედ. მოერთვის მუწვე მდინარე მისიჰე ზღვასა, და გამოს-
დის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხობო ამის დასავლით
ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ.
და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა
არს რ კ ი ნ ი ს-ჰ ა ლ ო, აქავ არს ს ა ტ ყ ე ჰ ე ლ ა. აქ აღაშენა
20 მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა
[ვგონებ რიზას].

ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად,
მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდრე ჭოროხამდე
არს თხემთა უტყე[ე]ო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. გარნა
25 ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელეიანი, არამედ ხი-
ლიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბანბითურთ,
და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვნი, ნადირნი ფრიად მრავალნი;
ფრინველნი და თევზნი ურიცხვნი მწერნი მრავალნი,
ფუტკარნი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი,
30 მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული
არა გაუძლისი. კაცნი არიან ჯელოვანნი ხის მუშაკობითა და
შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით
აწ სრულიად მოჰმადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოვებინ
ქრისტეანენი, არამედ იციან კვალად ქართულ[ი] ენა ვიეთთამე.
35 ხოლო მზღვრის ჭანეთს: აღმოსავლით გონიის საზღვარი; სამკ-
რით მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი;

დასავლით მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი.

40 ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩენილთა ადგილებ-
თა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა. არამედ არა არს

*) დედანში: „კითის“.

142

ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს
საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი,
დიდნი და მცირენი. და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა
შინა, რომელნიცა აღვსწერენით. კვალად არიან გორა-მთათა
ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად ხვდებიან კაცნი, 5
თვნიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთვს, რამეთუ, ვინათგან კერ-
პობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუნენ კერპნი აღმართე-
ბულნი, და დღესასწაულობდენ მუნ სილოდობითა, და ქრის-
ტეანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არამედ კვალად არა დას- 10
ცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სილოდითა და როკ-
ვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლესიანი, რათა თაყვანისცენ
ამათ და არღარა მოიხსენონ კერპნი სილოდა-განცხრომითა.

143

აღწერა ეგრისის ქვეყანისა ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა.

სახელისათჳს

ქვეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად
ე გ რ ი ს ი, მეორედ ა ფ ხ ა ზ ე თ ი, მესამედ ი მ ე რ ე თ ი ა რამე-
თუ ეგრისი ეწოდების ეგროსის¹ გამო, ძისა თარგამოსისა, რო-
მელსა ძმათა შორის თვსთა ხვდა წილად ქვეყანა ესე, და იწო-
5 დებოდა სახელითა ამით, ვიდრე ხოსროვანთ გარდავლინებამდე.
ხოლო აფხაზეთი – ლევანის გამო, რომელი, შემდგომად პირ-
ველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთაობდა აფხაზეთს ქრის-
ტესსა ღ ზ ჳ, ქართულსა ე. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ
10 ამან უწრდა აფხაზეთი * სამეფოსა თვსსა, და მოილო საერის-
თოსა თუსისა სახელი ეგრისსა ზედა. არამედ იმერეთი – ბაგ-
რატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხა-
ზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერე-
თი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი, უმეტესად
15 შერთებისათჳს, და აწცა საზოგადოდ უწოდებენ იმერეთსა.
ხოლო ესე აფხაზეთი ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად,

და ეს განყოფით ადგილებთა სახელები დავსწეროთ თვსთვს-
თა რიგთა ზედა. არამედ ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოთ
ამ ქვეყანას უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი, უქუ-
დობისათვის, რომელთა ჰბურავთ მცირე რაიმე ნაჭრისაგან ლარ-
თა, ვითარცა მდებარედ თავსა ზედა.

ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამინი არს ლიხის მთის თხემი-
დამ შავს ზღვამდე, და მერმე კიდევ ეგრისის მდინარიდამ ვიდ-
რე ზღვამდე. ხოლო განი ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკა-
სამდენ და, ლიხის მთის კერძოთ, ფერსათის მთის თხემიდამ
რაჭა-სვანეთის კავკასის მთის თხემამდე. და მზღვრის ქვეყანა-
სა ამას: სამჯრით ღადოს მთა ანუ ფერსათი; ჩდილოთ კავკა-
სიის მთა, და მდებარებს ორთა ამათ მთათა შორის, დასავლით
უმდებარებს შავი ზღვა, აღმოსავლით მთა მცირე ლიხისა.

ქვეყანისათვის

*) დედანში: „ათხაზეთი“.

ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩდილოდამ სამჯრით, კავ-
კასიადამ ღადომდე და არს ტყიან-ნადირიან-ფრინვლიანი, და
გაზდიან მდინარენი, ამიერ – ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა,
იმიერ – ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა *, და არს ქვეყანა ესე
ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-
ადგილს მცირენი, თვნიერ საჯვნელთაგან. არამედ ტყენი ად-
გილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილ-მშვენი. გარნა
ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინადგან ძნად იძვრის
ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თვნიერ ადგილთა რომელ-
თამე ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინა-
რეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტ-
ყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე
მჯარი და უმეტესიცა. თვალთა ქვეშე შვენიერება ეგოდენ არა
მჩენარობს ტყის გამო, თვნიერ ადგილ-ადგილთა, რამეთუ,
უკჭეთუ დახედო მაღლის მთიდად, იხილავ სრულიადს იმერეთს
ტყედ და არასადა შენობასა.

5

10

15

მარცვალთა-
თვს

ხოლო მარცვალნი, რომელნიცა დავსწერენით, ყოველნი
ნაყოფიერებენ ფრიად, გარნა ბრინჯ-ბანბას სთესენ ** იშვით
და ეგრეთვე ხორბალსა და ქრთილსა, და ღომსა ფრიად მრავ-
ლად და გამოიზრდებიანც მით. და სხვათა მარცვალთა სიმ-
რავლენი იმყოფიან, რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი
კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მო-
იყვანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა.

20

აბრეშუმს აკეთებენ და ქსოენ ლარს არა დიდ-ფასსა
უოქრო-მკედოსა, და ხმარობენ სხვებრცა. ეგრეთვე ბანბასა და

25

კანაფთაგან – ტილოსა, არამედ სხვათა ქვეყანათაგანი უმჯობესნი არიან.

ხის ნაყოფთა და პირუტყვთათს

წალკოტნი არა არიან აქა, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი ამისთჳს, რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი. აქა არს ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამი ქართლ-ზედ მეტი, და სხვანი, რომელნი აღვსწერეთ, მრავლად. ეგრეთვე მტილოვანნი ყოველნივე, რამეთუ მელსაპეკონი და პუნ-პულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ. სავარდე არა უწყიან, არამედ ველთა და ტყეთა შროშანნი ვარდითურთ აურაცხელნი და ფშონი. სოკონი მრავალნი სხვადასხვანი, გარნა ნიყვი არს, რომელი აღმოხდების სპეტაკის ბუდით, მერმე გასქდების, და არს სოკო ნარინჯი მას შინა, ფრიად გემოიანი. პირუტყვნი, თვნიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ, ვი-

35

*) უკანასკნელი წინადადება, სიტყვებიდან: „ხოლო მთა ლიხისა...“ სწერია დედანში მარჯვენა აშიაზე, ტექსტში შეტანის ნიშნით.

*) დედანში: „სთესეს“.

145

5

თარცა სხვათა საქართველოთა შინა. გარნა ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი, მარადის მშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არვედ. არამედ ძროწა, კამბეჩი მროწლედ, ცხენი ჯოგად, რამეთუ არა უხმთ თივა, ვინადგან ზამთარცა მძოვრად არიან, თვნიერ არგვეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა. ნადირნი ყოველნი, რომელნი აღვსწერეთ, ფრიად მრავალ არიან, თვნიერ ქურციკისა და აფთრისა. ფრინველნი – წერო, ბატი, სავათი, ლაკლაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკატა, სვა-ვი, ყაჯირი არა არს აქა, და სხვანი ყოველნი მრავალნი; არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ ერთგზის, და სხვითა მახეებითა – სირთა და ჩიტთა, და სძეს ბეგრათ გლეხთა ტ, უ და უფროსნიცა.

15

მდინარენი არა მრავალნი, არცა ეგოდენ დიდ, არცა თევზთა სიმრავლე მათ შინა, არამედ რიონსა შინა საკურდღლიამდე იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივნისსა და ივლისსა შინა და, თვნიერ ამ თვეთაგან კიდე, არა. სხვა თევზნი არიან: ლოქო, გოჭა, ბოლო-წითელი, კობრი, მწერი, და წვრილი თევზნი, და კალმახნი მრავალნი. ხოლო ზღვის კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია* და სხვანიცა. არამედ კირჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი.

20

25

მწერნი მრავალნი და გაუძლებნი არამედ ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლთა და ცვილთა სიმრავლითა; და თაფლი კეთილი, რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუქსა.

თევზთათს

მწერთა და მშრომთათს

მძრომნი და გველნი მრავალნი, არამედ გველი უწყინარი და უვნო.

30 ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეთცა იუწყე, გარნა უშვენიერესადცა და უუჭეროვნესადცა, ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიგვანან წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა, და იარაღთა, და სა-
35 პურეულთა; ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხ-
ნი, ბრძოლასა შემმართველნი და ძლიერნი, და არა სულ-
გრძელნი მას შინა და სხვათა "შინაცა, უხუნი და მომხვეჭნი,
40 დღეისის მძიებელნი, ხვალისას არა გამომკითხველნი, მომღე-
რალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმე-
ტესნი კეთილ-წმოვანნი და სხვათა და სხვათა შემძინებელნი.
სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსარე-
ბელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი. გარნა უზისთ კათა-
ლიკოზი თვისი, და არა საჩინოთ უწყებული ცხორებიდამ, თუ

*) ამის შემდეგ დედანში დატოვებულია ცარიელი ადგილი.

146

როდეს განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხორები-
საგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მა-
შინ მოუძღურებულ იყუნენ ბერძენნიცა, და ამ ლევანის მიერ,
ანუ შემდგომთა მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენ-
თაგანვე, ვინადგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რა-
მეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისი-
სა და იმერეთისასა. ხოლო სხვანი ზნენი იმერთა დავიდუმეთ,
ვინადგან შემთხვევით არიან და არა მტკიცითა ანაგებიითა.

5

ქვეყნი აღწე-
რისათვის ხოლო აწ ვიწყებთ წერად მთათა, ველთა, ტყეთა და მდი-
ნარეთა. არამედ ამ ჟამად, ვინადგან უწოდებენ ცხენის წყალს
10 ზეითს იმერეთს, აღმოსავლეთის კერძსა, ვიდრე ლიხის მთამდე,
პირველად დავსწერთ ამას და განიყოფის ესე იმერეთი ვაკედ,
ფერსათის კერძოდ, არგვეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად.

10

რიონის მდი-
ნარისათვის არამედ აქა ვინადგან უდიდესი ყოველთა მდინარეთა არს
15 რ ი ო ნ ი ¹, და ამას მიერთვიან ყოველნი მდინარენი იმერეთი-
სანი, პირველად ვიწყებთ ამას და მერმე მას შინა შემდინარე-
თა, ცხენის-წყლის შესართავიდამ, ვიდრე გლოლა-ღებამდე. ესე
რიონი გამოსდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა და რაჭის საშო-
რისს კავკასსა. და დის ესე რიონი: კავკასიდამ გლოლის-წყლი-
სამდე აღმოსავლეთს-სამჯრეთს შუა; გლოლის-წყლიდამ უწე-
20 რამდე დასავლეთს-სამჯრეთს შუა; უწერიდამ ხომლის-კლდე-
მდე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მცირედ ჩდილოს კერძ მი-
წეულად; ხომლის-კლდიდამ ყვირილის შესართავამდე ჩდილოე-
თიდამ სამჯრეთად; ყვირილის შესართავიდამ აღმოსავლეთიდამ

20

დასავლეთად, მიწეულად ჩდილოს კერძოდ, და მიერთვის ფოთს 25
ზღვასა; და გამოვლის რაჭას, ლეჩხუმს, ოკრიზას, ვაკესა და
სალომინაო-საჩინოს შუა, და განჰყოფს ოდიშსა და გურიას; და
სიგმე აქუს კავკასიიდან ზღვამდე, ესრეთ გრეხის დინებითა.

ხოლო სიგრძე იმერეთის არს ლიხის მთის თხემმდამ უნა- 30
გირამდე ძველად, და აწ ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვს-
წერეთ, ცხენის-წყლამდე, და განი ფერსათის მთის თხემიდან

რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთ შორის კავკასის თხემადმდე. ხოლო 35
სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის გამო, ანუ
ონისაგან – რაი ონი, – ანუ ჩქარად დინებისაგან – რიონ იგი
ჩქარა დინებამ[ან, არამედ ბერძენნი უწოდებენ ფასონს. და 35
მოდის სათავიდან ქუთაის-კახნიაორამდე ფრიად ჩქარად და
მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა
ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიაურს ქვეით დამდორდების,
და ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვადმდე, და უფროს 40
ცხენის-წყალს ქვეით განვრცელებული, რამეთუ ვლენან ნავებითა
ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად.

ხოლო ამას რიონს მოერთვის ჩდილოდამ აბაშა-ტეხურის 5
მდინარე, უნაგირას მთის ზეით, ისულეთს. ამას ზეით რიონს,
ტყვირს, მოერთვის ჩდილოეთიდანვე ც ხ ე ნ ი ს-წყ ა ლ ი. ეს
გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთის შორის კავკასსა და მოდის
აღმოსავლეთს ჩდილოს შუადამ სამკრეთს-დასავლეთს შუა. არა-
მედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მ დ ი ნ ა რ ე თ ა კ ვ ე-
რ ი ს ა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფიიდან უკმოქცეუ-
ლის ყრუს სპათა ძჩ, ამისთვს უწოდეს ცხენის-წყალი. არამედ
წყალი ესე, ვინადგან არა უტევებს ხიდსა ქვისასა და ხისასა,
10 ამისთვს შესწვნი ვაზისაგან და გააბმენ ამიერ კიდიით იმიე-
რამდე, და გაუბმენ ვაზისაგანვე საჯელურებსა აქეთ და იქით,და
ვლენან ქვეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად
ხიდი იგი, გარნა უწყიან ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე, და
უწოდებენ ბონდსა.

ხოლო ისულეთიდან ხაზი ცხენისწყლის კიდისა, ვიდრე 15
გორდამდე, არს დასავლის მკარე ოდიშისა, და აღმოსავლეთის
კერძო – იმერეთისა. ხოლო გორდიდან ვიდრე კავკასამდე არს
ჯ ე ო ბ ა ლ ე ჩ ხ უ მ ი ს ა, რომელსა უწოდებენ თაკვერად *.
არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კვერსავით
20 მდებარისა – იხილე ესე მთა კვერი, – ანუ ციხისაგან ფრიად
მაგრისა მუნვე თაკვერისა. ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის-
კლდის გამო – ესე არს ლეჩ ხომი. გარნა ლეჩხუმსა და რაჭას

ცხენის-
წყლისათვს

ლეჩხუმი-
სათვს

განწყოფს: გველის-თავის მცირე მთა აღმოსავლიდამ; ჩდილოთ
 მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სვანეთს შორისი; დასავლით მთა
 25 კავკასივე და კავკასიდამ ჩამოსული სამჯრეთად მთა გორდამდე;
 სამჯრით რიონი და მთა ხომლის-კლდიდამ წარსრული დასავ-
 ლეთად გორდამდე, ამასა და ოკრიბას შორისი. ხოლო ამ ცხე-
 ნის-წყალს მოერთვის, გორდს ზეით, ჩდილოდამ, კავკასის გა-
 მომდინარე ჳევი, და ამ ჳევზედ არს ც ი ხ ე თ ა კ ვ ე რ ი, მა-
 30 ლალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი. ამ ჳევს ზეით
 მოერთვის ცხენის-წყალს სხვა ჳევი აღმოსავლიდამ; გამოსდის
 ამასა და ლეჩხუმს შორის მთას. ამ ჳევზედ არს ც ი ხ ე ო რ ბ ე-
 ჳთ ი ს ა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ ჳევს ზეით,
 ლეჩხუმის სამუალს, ცხენის-წყლის კიდეზედ არს ციხე კლდესა
 35 ზედა შენი, დ ე ხ ვ ი რ ი, თავი თავვერისა, რამეთუ რომელსა

*) ამის გასწვრივ, მარცხენა აშიაზე, დედანში სწერია: „პირველად
 თავვერს უწოდებდენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება,
 რამეთუ „გარდმოვლესო ოსთა გზა თავვერისაო“, ვინადგან არს გზა ოსე-
 თისა რაჭა და არა ლეჩხუმი. კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქ-
 სიმე აღმსარებელისა, სახელდობ ციხეთა მას შინათა. ხოლო შემდგომად
 ამას უწოდეს რაჭა და მას თავვერი ციხისათვს მუნ მყოფისა“.
 (ვახუშტი)

უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა შინა არიან სრულიად. ამის
 სამჯრით და ცხენის-წყლის აღმოსავლით არს ც ა გ ე რ ს ² ეკლესია
 დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ლეჩხუმისა და
 სვანეთისა. ამას ზეით არს მონასტერი, წოდებული მ ა ქ ს ი მ ე
 ა ღ მ ს ა ა რ ე ბ ე ლ ი ს ა, და მუნ არს მაქსიმე აღმსარებელი დაფ- 5
 ლული. არს შვენიერ-შენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის ამა-
 რად. მას ზეით, ცხენის-წყალზედ, არს კავკასის ძირს მ უ რ ი ს
 ც ი ხ ე, არვისგან შემუხვრილ-ადებული. მუნიდამ გარდავალს
 სვანეთს გზა.
 ხოლო ამის აღმოსავლით, მთას იქით, არს ჳეთბა სხვა 10
 255 ლეჩხუმისა, რომლისა წყალი გამო | სდის მასვე კავკასის მთასა
 და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენის-წყალი და მიერთვის ხომ-
 ლის-კლდესთან რიონს ჩდილოდამ. ამ ჳევს მოერთვიან ამიერ-
 იმიერიდამ ჳევი, და არს შენობიან-დაბნეზიანი. ამ ჳევის აღმო-
 სავლით არს, მთას იქით, ჳ ყ ვ ი ს ი, მიხდორსა კლდე-ამოსულსა 15
 ზედა, ციხე დიდშენი, მაგარი. ამ ჳყვისის სამჯრით, რიონზედ,
 არპანს, ძევს ხიდი, და ამ ხიდს ზეით და ჳყვისის აღმოსავლით
 კავკასის მთიდამ, ტოლის დასავლეთად, ჩამოვალს მთა მცირე
 სამჯრეთისაკენ რიონამდე, და ესე არს გველის-თავად წოდებუ-
 ლი. ამ მთის აღმოსავლეთის კერძო არს რაჭა და დასავ- 20
 ლის კერძო ლეჩხუმი. არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგი-

საჯავახო-
სათეს

ლად თქმული, გარნა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყო-
ველნი მარცვალნი, თვნიერ ბრინჯ-ბამბისა, გარნა სივიწროვისა
და კლდიანობისათეს არა ეგოდენი სიმრავლეთ. მოსახლენი არიან
აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა 25
ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირი-
სანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი
მუნებურნი მბრძოლნი და შემმართველნი, ჰაეროვანნი, ტანო-
ვანნი, მკნენი და მორჩილნი უფალთა თვსთა, არამედ ბრიყვნი,
უზნეონი და უწყალონი. პირუტყვნი, თვნიერ აქლემისა და ვი- 30
რისა, არს ყოველნი და არა ეგოდენ მრავალ. გარნა ესე ლეჩ-
ხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთა, იყო ტალანი იმერთა
მეფისა, და აწ უპყრავსთ ჩიქოვანს, რომელიცა არს დადიანი.

ხოლო კვალად ცხენის-წყლის შესართავს ქვეით რიონს
მოერთვის სამკრიდამ ს ა ჯ ა ვ ა ხ ო ს-წყ ა ლ ი. ეს გამოსდის 35
ფერსათს, და არს შენობიანი ჯეობა და მოსავლიანი ყოვლითა
მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყვითა, ნადირ[ი]თა და ფრინ-
ელითა. ხოლო მზღვრის საჯავახოს: აღმოსავლით მთა მცირე,
ფერსათიდან ჩამოსული ჩდილოთ კერძოთ, საჯავახოსა და საჩი-
ნოს შორისი; სამკრით ფერსათის მთა; დასავლით ფერსათი- 40
დამევე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი; ჩდილოთ
რიონის მდინარე. ხოლო კვალად ცხენის-წყლის შესართავს

ზეით სამკრიდამ მოერთვის რიონს წყ ა ლ დ ა ფ ა ნ ჩ უ ლ ა ს-
ქ ე ვ ი, სდის საჯავახოს მთას.

ამას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ გ უ ბ ი ს-წყ ა ლ ი
გამოსდის ოკრიბასა და ვაკეს შორის მცირეს მთას, და დის
5 ფრიად ფლატოიანსა და ბარდნალიანს ადგილსა ზედა. ამ
წყალზედ არს ფ ო კ ე. ამას ზედვე, ამასა და ხონს იქით, ქუ-
ტირ-ფარცხა-ნაყანევამდინ, არს გოჭორაური. და * ა რ ს ხ ო ნ ს ¹
ეკლესია დიდი, გუნბათიანი, შვენიერ-ნაგები. ზის ეპისკოპოზი,
მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარ-
10 ეფისკოპოზისა. შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოზი.
ამ გუბის-წყალს ეწოდა სახელი ესე გუბედ მომდინარობისათეს.

ამ გუბის-წყალს ზეით მოერთვის რიონს, სამკრიდამ, სა-
ჩ ი ნ ო ს-ქ ე ვ ი. გამოსდის ფერსათს. ამ ჰევს ეყრების, სებეკას
ქვეით, სხვა ჰევი. გამოსდის ფერსათსავე. ხოლო ს ე ბ ე კ ა ს
15 არს ციხე შენი კარგს ადგილს.

ამ საჩინოს შესართავს ზეით, საკურდღლიას პირისპირ
და როკითს ქვეით, მოერთვის რიონს, სამკრიდამ, სალოში
ნ ა ო ს-ქ ე ვ ი, გამომდინარე ფერსათისა. ამ ჰევსა და როკითს
ზეით მოერთვის რიონს, სამკრიდამ, ა მ ა ლ ე ბ ი ს-ქ ე ვ ი.
20 გამოსდის ფერსათს. ამასზედ არს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი ² ა მ ა ლ ე-

გუბის-წყალი-
სათეს

საჩინოსათეს

სალომინაო-
სათეს

25 ბ ა ს, დიდი, გუნბათიან არა, შვენირს ადგილს, და აწ ხუცის
ამარად. ამ ამაღლების- ჳევს ზეით მოერთვის რიონს ნ ო ღ ი ს-
ჯ ე ვ ი, მომდინარე ფერსათის მთიდამ სამჭრით. ნოლას ზეით
არს ვ ა რ ც ი ხ ე ³. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდშენობა,
და გამომდინარობს წყარო შიგ კეთილი.

30 ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხ ა ნ ი ს-წ ყ ა ლ ი, გამოს-
დის ფერსათს, მოდის ჩდილოთ და მიერთვის რიონს სამჭრი-
დამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე თხმელის ხისაგან
ქრისტესსა ჩღვ, ქარ. ტჟა. ამისთვს უწოდეს იმერთა თ ხ მ ე ლ ი ს
35 ც ი ხ ე, და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბ ა ღ დ ა დ ი ⁴. არამედ
შემდგომად აღაშენეს ქვიტკირისა, და დგანან აწ ოსმალნი იენ-
გიჩრით, და არს სავაჭრო ყოველნი, გარნა უფროს ტყვენი. ამ
წყალზედ, ციხის სამჭრით, ფერსათის კალთას, არს მონასტერი
35 გუნბათიანი, კეთილშენი, და აწ უქმი. ამ წყალზედვე, მთაში,
არს კ ა კ ა ს-ხ ი დ ი, ფრიად მაღალს კლდესა ზედა, და გზა
სამცხისა. არამედ მოიგო სახელი წყალმან ამან დაბისაგან მას
ზედავე მყოფისა, რომელსა უწოდებენ ხ ა ნ ს ა. ხანის-წყლის
აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამჭრით, ფერსათის
40 კალთას, არს დ ი მ ი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარ-
ნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა.

ხანის-წყლი-
სათვს

*) ტექსტი სიტყვებიდან: „ფოკე. ამას-ზედვე, ამასა და ხონს იქით“..
სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

ყვირილა-
სათვს კვალად ხანის-წყლის შესართავს ზეით რიონს მოერთვის
ყვირილა, აღმოსავლეთიდან. მდინარემან ამან მოიგო სახელი
ესე თვსის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინადგან ჳმო
ვანებს შორ სასმენლად. ხოლო გამოსდის ყვირილა ე რ წ ო ს
ტ ბ ა ს და მოდის ჩდილოდამ სამჭრეთად ჳალამდე, ჳალიდამ 5
ნავარმეთამდე – აღმოსავლეთიდან დასავლად, გრეხით; ნავარმე-
თიდან შორაპნამდე – ჩდილოდამ სამჭრით; შორაპნიდან რიონის
შესართავამდე – აღმოსავლიდამ დასავლეთად და მცირედ ჩდი-
ლოთ კერძოდ მიწევით. არამედ საჩხერიდამ შორაპნამდე – კლდო-
ვანსა და მაღალს ჳრამოვანსა შინა და შორაპანს ქვეით – ფლა- 10
ტოვანს-ჳალოვანსა შინა. ამ ყვირილასა შინა იპყრობის თევზნი,
რომელნი დავსწერეთ, ყოველნი თვნიერ ზუთხისა, ხოლო საჩხე-
რეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხვა არარაი, და არს
სასმისად გემოიანი და შემრგო, და თვნიერ უხმარი.

წყალ-წითე-
ლასათვს და
ოვრიზის
წყალთა ხოლო ყვირილას, რიონის შესართავს ზეით, მოერთვის 15
წ ყ ა ლ-წ ი თ ე ლ ა ჩდილოდამ, რომელმან მოიგო სახელი წით-
ლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების. ეს გა-
მოსდის გაჭრილის მთა[ს] და მოდის ჩდილოდამ სამჭრით. სად

მოერთვის ყვირილას, მის ჩდილოთ ერთვის ამ წყალ-წითელას, კვაცხუთს ზეით მთაში, ც უ ც ხ ვ ა თ ი ს-ჯ ე ვ ი, აღმოსავლიდამ დასავლეთად მომდინარე. გამოსდის გოგნის მთასა. ამ ჳევზედ, გოდოგანს ზეით, არს ც უ ც ხ ვ ა თ ს ც ი ხ ე, რომელი შეთხრით აღიღეს ოსმალთა ქრისტესსა ჩღკა, ქართულსა უთ, და უპყრავთ აწცა მათ. ამას ზეით, დასავლეთიდამ, ეყრების წყალ-წითელას მო წ ა მ ე თ ა ს-ჯ ე ვ ი, | გამოსდის კახნიაურს და მის შორის მთასა. აქა არს მონასტერი ⁵ უგუნბათო შვენიერი, კეთილს ადგილს. სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი დავით და კოსტანტინე ⁶, მდებარენი აწცა | კორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ. უზის წინამძღვარი.

256

გელათისათვის

ამ მთის ჩდილოს კერძოდ და წყალ-წითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია ყოვლად-წმიდის ღვთისმშობლისა, დიდ-შვენიერი, დიდნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუნბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გ ე ნ ა-ათ ი, და აწ უწოდებენ გ ე ლ ა თ ს ¹. აქა არს ყოვლად-წმიდის ხატი ხახულის ღვთისმშობელი, ლუკა მახარებლის დახატული, ყოვლად-წმიდის ძითვე, და შემკული ძვირფასითა ქვებითა აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი. აქავ არს ვარძიის ჯვარი, შემკული, დიდ ფრიად. და არიან ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლითა და ქვითა შემკულნი ძველითვე მრავალნი, და ეკლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსსა, რკინისა, აღმაშენებელის მოტანილი დარუბანდიდამ.

151

5

და ეკლესიის ბჭეს ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთლილი, უცხოსა ჳელოვნებით ქანდაკებული. ამას შინა დაფლულ არიან აღმაშენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხვანიცა, და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი. პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰქო ბაგრატ ² საეპისკოპოზოდ. ამას მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი.

კვალად არს გელათის პირისპირ, აღმოსავლეთად, მონასტერი გუნბათიანი, დიდშენი, ს ო ხ ა ს ტ ე რ ა დ ჳმობილი. უზის წინამძღვარი. გელათის სამჯრით, აქავ მთაში არს ქვაბნი, გამოკუჭთილნი კლდესა შინა, მრავალნი, განშორებულთათვის, და აწ ცარიელ არს. გელათს ზეით წყალ-წითელას მოერთვის, ყურსებს, ს ა წ ი რ ი ს-წ ყ ა ლ ი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩდილოთ-აღმოსავლეთს შუა. ამ წყალზედ არს ც ი ხ ე მ ი ტ ლ ო კ ი ნ ი ს ა, ვით სახელი, ეგრეთ მტკიცე. ამას ზეით, ამავე წყალზედ, ს ა წ ი რ ე ს არს ც ი ხ ე. ამის გარემოს ითხრე-

ბის რკინა, და არს ლითონი მრავლად. ყურსებს ზეით ეყრე-
ბის წყალ-წითელას ა ხ ა ლ დ ა ბ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის გაჭრილის
20 მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ახალდაბის-წყალს ეყრების ჯ ო-
ნ ი ი ს-ჯ ე ვ ი, ჩდილოდამ. კვალად ყურსებსვე მოერთვის წყალ-
წითელას ო ჯ ო ლ ა ს-ჯ ე ვ ი, ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ. ამის
სათავის ზეით არს ჯ ვ ა რ ი ს ა ც ი ხ ე, არა მტკიცე.

ხოლო კვალად ყვირილას მოერთვის წყალ-წითელას შე-
25 სართავს ზეით, აღმოსავლეთი[ს]კენ, ე კ ლ ა რ ი ს-წ ყ ა ლ ი. ეს
გამოსდის, ჭალის თავს ზეით, ცუცხვათსა და სვიმონეთს შუას
მთას და დის ჩდილოდამ სამჭრით. ამ ეკლარის-წყალს ზეით
მოერთვის ყვირილას ა ჯ ა მ ე თ ი ს-წ ყ ა ლ ი, ზდის ფერსათს,
30 მოერთვის სამჭრიდამ ყვირილას. აქ, ა ჯ ა მ ე თ ს, არს სანა-
დირო მეფეთა, აღვსილი დიდ-მცირითა ნადირითა, საქებელი
ფრიად. ზამთარ თბილი, ზაფხულის ცხელი, გაუძლები. ამ აჯა-
მეთის-წყალს ზეით ერთვის ძ ე ვ რ ი ს-წ ყ ა ლ ი, დაბის ძ ე ვ-
რ ი ს ა გ ა ნ სახელდებული. გამოსდის საღორისა და ველევის
მთას, დის სამჭრით და მოერთვის ყვირილას ჩდილოდამ. ძევრს
35 არს ხიდი ქვიტკირისა. სვეტთა ზედა წერილ არს: „არა მამა-
მან, ძე მანდა, არა სულმან წმიდამან, ძე მანდა“. იტყვიან,
განძსა მდებარესა დანიშნავს ამით. და ამ ძევრის-წყალზედ,
ხიდს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი გამოკვეთილნი, მრავ-
ვალნი, კლდესა შინა, დასავლით. და არს ქვაბი ერთი დიდ
40 ფრიად, რამეთუ კაცთა ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქვაბსა
შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადელი წყაროდ, და არს მას
შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას, ამ ქვაბს ზეით, ერთვის

ყვირილას
მომრთველი
საჩხვიმო-
არგვეთის
წყალი

152

ჯ ე ვ ი ქ ვ ე ვ რ უ ლ ა. სდის ოკრიბა-მუხურას შუას მთას და
მოდის სამჭრეთად. ამ ჳევზედ არს ბ ე რ-ც ი ხ ე, კლდესა ზედა
შენი, მაგარი.

ამ ჳევს ზეით, ძევრულასვე ეყრების ტ ყ ი რ გ უ ლ ი ს-ჯ ე ვ ი.
გამოსდის საღორის მთას და ნოდის დასავლეთად. ხოლო კვა- 5
ლად ყვირილას ერთვის, ძევრის-წყლის შესართავს ზეით, ჩდი-
ლოდამ, ჩ ო ლ ა ბ უ რ ი. ეს გამოსდის ნაჯიხურევის მთას და დის
ჭალა-ტყემდე ჩდილოდამ სამჭრეთით, და ჭალა-ტყიდამ აღმო-
სავლეთიდამ დასავლეთად. ამას, ჭალა-ტყეს ზეით, მოერთვის
ზ უ ს ა დასავლიდამ, და ყვირილიდამ აქამდე ეწოდების ჩოლა- 10
ბური, კიდეთა ჩალოვანობის გამო, და მას ზეით – ბ უ ჯ ა. ამ
ჩოლაბურს მოერთვის ჩდილოდამ ჩხარულა. სდის თხილთა-
წყაროს მთას, მოდის ჩდილოდამ სამხრითი. ამაზედ არს გო-
[ფანთო]*. კვალად ჩხარს მოერთვის მ ე ო რ ე ჩ ხ ა რ უ ლ ა.
გამოსდის ჩხარის ჩდილოთ კერძოს მთას და მოდის სამჭრით. 15

ამ ჰევზედ არს მთის ძირს ჩ ხ ა რ ი ³. ეს ყოფილა ქალაქი, არა-
მედ აოჯრდა ლევ[ან] დადიანისაგან ⁴. აწ არს დაბა. არს აქა
ეკლესია უგუნზათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად.
მდებარებს მას შინა ბეჭი მთავარ-მოწამის გიორგისა, მარადის
სასწაულთ-მოქმედი. ეს ჯვარი პირველ იყო ყორანთას, შემდგო- 20
მად სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა. ჩხარსვე არს წყარო, ორ-
ღარად წოდებული და ქებული. ჩხარს ზევით, ჩხარულაზედ, არს
ც ი ხ ე მ ა ჭ უ ტ ა უ რ ი, მთაში. კვალად ჩოლაბურს მოერთვის,
ჩხარულას შესართავს ზევით, ღ ვ ა ნ კ ი თ ი ს-ჯ ე ვ ი. ამ ღვანკი-
თის-ჰევს ზევით ერთვის ჩოლაბურსვე ზ ო რ ე თ ი [ს]-ჯ ე ვ ი. და 25
ჰევნი ესენი დიან მუნვე და მოდიან სამჯრეთად.

ამას ზევით არს ჭ ა ლ ა-ტ ყ ე. არიან მოსახლენი ვაჭარნი
სომეხნი ** და ურიანი, და ვაჭრობენ ამ ჭალა-ტყეს ზევით მოერ-
თვის ბუჯას ზ უ ს ა. გამოსდის გარჯილას მთა[ს], მოდის სამჯ- 30
რით ჩდილოდამ. ამ ბუჯაზედ არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურ-
ზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზა[ფ]ხულს მოუდგმენ
გოდორსა და აღივსების წვრილის თევზითა, წყაროდამ გამომავ-
ლითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღე[ბ]ას. სამ თვე ოდენ ეს-
რეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუდოს. ამას ზევით 35
არს ხ რ ე ი თ ი, და ხრეთი[დამ] გარდავალს გზა რაჭას ნაჯიხუ-
რეზედ. ამ ხრეთს ქვეით, ბ ი ლ ა ს, ითხრების კაჟი ჩახმახისა,
ფრიად კარ[გი]. ხოლო ზუსას ერთვის ს ა ზ ა ნ ო ს-წ ყ ა ლ ი.
გამოსდის ხრეთისა და მუხურას შუათს მთას, მოდის ჩდილო-

*) სიტყვები: „ამაზედ არს გო“ სწერია დედანში სტრიქონს ზემოდან.
დანარჩენი ნაწილი უკანასკნელი სიტყვისა არ მოჩანს, მასზე დაწებებულ
ქაღალდის გამო.

**) დედანში: „სომეხნი“.

დამ სამჯ[რე]თად. ამ საზანოს-წყალზედ არს ს ა ზ ა ნ ო ს ც ი ხ ე,
კლდესა ზედა შენი, კარგი. არამედ ზუსა გამოსდის გ ა რ ჯ ი-
[ლა]ს მთასა და დის ყამსას ციხემდე ჩდილოდამ სამჯრით, და
ყამსას ციხიდან აღმოსავლეთ-სამჯრე[თს] შუა, და მიერთვის
5 ბუჯას. ამ ციხეს ზევით, ზუსას მდინარის დასავლეთით, არს ჩ ი-
ხ ო რ ი ⁵, ქალაქი [მც]ირე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი,
ურიანი ვაჭარნი. ამის სამჯრით არს, მთის კალთას, ს კ ა [ნ დ ა] ს,
სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდმენი. ამათ ზევით, ზუსა-
ზედ არს დაბა მ უ ხ უ რ ა, და მას ზევით, [მ] თაში, არს ც ი ხ ე 357
10 მ ო დ ა მ ნ ა ხ ე, მაგარი კლდითა და შეუალი, შენი გარჯილის
მთიდან ჩამოსულს კლდესა ზედა. მუხურიდან გარდავალს გზა,
გარჯილის მთაზედ, რაჭას. ხოლო კვალად ყვირილასავე მოერ-
თვის ს ვ ი რ ი ს-ჯ ე ვ ი და ლ ო მ ს ი ა თ ხ ე ვ ი ს-ჯ ე ვ ი*, ჩოლა-
ბურის შესართავს ზევით. გამოსდის ფერსათს, დის სამჯრითად

15 ჩდილოთ. ამ სვირის-ჯევეს ზეით მოერთვის სამჭრიდამვე, ყვი-
რილას ტ ა ბ აკ ი ნ ი[ს]-ჯ ე ვ ი. გამოსდის ფერსათსავე, მოდის
სამჭრიდამ ჩდილოთ. ტაბაკინს ამ ჯევეს ერთვის გ ე ნ ე ბ ე რ უ-
ლ ი ს-ჯ ე ვ ი. სდის ფერსათს. და ტაბაკინს არს მონასტერი, კე-
თილს შვენიერს ადგილს და აწ უქმად.

20 ამ ტაბაკინის-ჯევეს ზეით ყვირილას მოერთვის, შორაპანს,
აღმოსავლეთიდან ძირულა, რომელმან მოიგო სახელი მათათა
ძირთა შინა დინებითა. ყვირილასა და ძირულას შორის შე-
სართავს შინა არს შ ო რ ა პ ა ნ ი ¹, რომელი აღაშენა ა მეფემან
ფარნაოზ, ქალაქი და ციხე, და ყო საერისთოდ, და არს დიდ-
25 შენობა ფრიადი ამას ჩდილოთ-დასავლით უდის ყვირილა,
აღმოსავლით-სამჭრით ძირულა. აღმოსავალ-ჩდილოთ შუა აქუს
კლდე-გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე. ეს
შემუსვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ ². არამედ შეამუსვრინეს
მასვე ოსმალთა. მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ³ ოსმალთა, და
30 აწ უპყრავთ მათ. დგანან იენგიჩარნი.

ხოლო ძ ი რ უ ლ ა ს მ დ ი ნ ა რ ე გამოსდის პერანგის მთასა,
და ხეფინის-ჯევის ვერტყვილამდე აღვსწერეთ ქართლზედ და
ხეფინის ჯევის ვერტყვილიდან ხარაგეულამდე დის სამჭრეთს-
დასავლეთ შუა და ხარაგეულიდან შორაპანამდე დის აღმოსავ-
35 ლიდან დასავლეთად. არა არს ძირულაში თევზი, თვნიერ კალ-
მახისა, და კალმახი მრავლად. სასმისად არს შემრგო, გემოიანი.
ამ ძირულას, შორაპანს ზეით, მოერთვის ფუთს ვ ა რ ძ ი ს-
წ ყ ა ლ ი სამჭრიდამ. გამოსდის ფერსათს. ამ ჯევეზედ ვ ა რ ძ ი ა ს
არს მ ო ნ ა ს ტ ე რ ი გუნბათიანი, კეთილ-შენი. ზის წინამ-

შორაპანი-
სათეს

ძირულასათეს

*) უკანასკნელი სამი სიტყვა ჩამატებულია დედანში სტრიქონს-
ზემოდან.

ძღვარი. ამ ჯევეს ზეით ერთვის ძირულასავე მ ე ე დ ნ ი ს-ჯ ე ვ ი
სამჭრიდამ. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩდილოთ. ამასზედ არს
მ წ ყ ე რ ი ს-ც ი ხ ე, მრავალგზის შემუსვრილი. ამის პირისპირს
ძირულას ჩდილოთ და შორაპანის აღმოსავლით, არს წ ე ვ ა ს
ეკლესია წმიდის გიორგისა, სასწაულთ-მოქმედი. ვარძიის-ჯევეს 5
ზეით, ძირულაზედ, არს ხ ა რ ა გ ე უ ე ლ ს ც ი ხ ე შენი. ამ ციხეს-
თან ეყრების ძირულას ჩხერიმელა აღმოსავლეთიდან. და ამ ხა-
რაგეულს ზეით ძირულას მოერთვის შ ო რ შ ი ს-ჯ ე ვ ი ჩდილო-
დამ. ეს გამოსდის ჯარეურთისა და ძირულას შუათს გორაებსა,
მოდის ჩდილოდამ სამჭრით ამას ზეით მოერთვის ძირულასვე 10
კ ო ლ ბ ო უ რ ი ს-ჯ ე ვ ი. ეს გამოსდის ჭალის აღმოსავლეთის
მთასა, მოდის მანდაეთამდე აღმოსავალ-ჩდილოს შუადამ სამჭ-
რეთ-დასავლეთს შუა. მერმე მოუხვევს და მიდის ძირულამდე

ჩდილოდამ სამჭრით. ამ კოლბეურის-ჯევის შესართავს ზეით
ერთვისვე ძირულას ვ ა შ ლ ე ბ ი ს-ჯ ე ვ ი და ა მ ა შ უ კ ე თ ი ს ა. 15
და ამას ზეით არს ვერტყვილა-ხეფინის ჯევი.

ჩხერიმელა-
სათოს ხოლო ხარაგ * ეულს ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მ ლ ა შ ე,
ჩდილოთ. მლაშეს ზეით, ჩხერიმელაზედვე, არს სამჭრით ჩ ხ ე-
რ ი ს ც ი ხ ე, მაგარი და მტრისაგან აულეგელი. ამ ციხისაგან
ისახელა მდინარე ესე ჩ ხ ე ი მ ე ლ ა დ, ანუ წყლის ჩხერისაგან 20

კლდესა დინებთა. ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი,
მოსაკიდელი სივიწროვისათვის წოდებული, ვახანამდის. მოსაკი-
დელს ზეით ერთვის ჩხერიმელას ვ ა ხ ა ნ ი ს-ჯ ე ვ ი, ფერსათი-
დამ მომდინარე ჩდილოთ. ვ ა ხ ა ნ ს არს ც ი ხ ე კარგი. ამ ცი-
ხის პირისპირ დაბა ქ ვ ა ბ ი. ამას ზეით მ ე ბ ო ძ ი რ ი: რომლის 25
ზემოთი დავსწერეთ მარილზედ, მთას იქითად. არამედ ეს ჩხე-
რიმელა მეზობირიდამ ხარაგეულამდე მიდის აღმოსავლიდან და-
სავლეთად.

შორაპნის
ზეით ყვირი-
ლას მიმრთ-
ველთა წყალ-
თათვს ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მ ა რ ტ ო თ-უ ბ ა ნ ი.
მას ზეით ბ ო ს ლ ე ბ ი. მას ზეით მოერთვის ყვირილას კ ა ც ხ ი ს- 30
წ ყ ა ლ ი. ეს გამოსდის საწალიკეს, მოდის ჩდილოდამ სამჭრით.

ყვირილის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კ ა ც ხ ს ეკლესია
მაცხოვრისა ⁵, გუნბათიანი, დიდ ფრიად, კეთილშენი. ზის არქი-
მანდრიტი. ამის დასავლით არს ც ი ხ ე კ ა ც ხ ი ს ა, მთის ძირად, 35
კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. ჯრამსა
შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი.
მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა
აღვალს კაცი, არცა უწყიან ჯელოვნება აღსლვისა. კვალად ამ
კაცხის-წყალს ზეით ყვირილას მოერთვის აღმოსავლიდამ ს ვ ე-

*) ამის შემდეგ დედანში წაშლილია: „ეულს ზეით ჩხერიმელას ერთ-
ვის ორნი ჯევი ჩხერის ციხემდე და მოსდიან ფერსათსა“.

რ ი ს-ჯ ე ვ ი. გამოსდის კოლბეურის სამჯრით წარსრულს გო-
რაებს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ ჳევზედ არს
ც ი ხ ე ხ ვ ე რ ი, არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა
ზედა და გარემოს მისსა ფრიად დიდ-ჯრამოვანსა. თქმულ არს,
5 ჟამსა ყრუსასა დადგა ციხე არგვეთისა სვერი. ამ სვერის-ჯევის
შესართავს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კიდურსა ზესა, არს
ნ ა ვ ა რ მ ე თ ს ც ი ხ ე. ამ ნავარძეთს ზეით ყვირილასვ მოერთ-
ვის ბ ჟ ი ნ ე ვ ი ს-ჯ ე ვ ი სამჯრიდამ. გამოსდის ბჟინევსვე გო-
რაებს.

10 ამ ბეცნევის-ჯევს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კერძ კიდე-
ზედ, არს მ ღ ვ ი მ ე ⁶, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას
შინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი,
კახაბერ რაჭის ერისთვისაგან ⁷ აღშენებული. ქვაბსა შინა დის
წყარო დიდი და კეთილი. უზის არქიმანდრიტი. არამედ სვე-
15 რის-წყლის შესართავიდამ მღვიმე-საჩხერემდე, ამ ყვირილას
იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან
მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შე-
უალი მტრისაგან, და საკურველი, თუ ვითარ უქმნიათ. და
დადგა ესენიცა ჟამსა ყრუსასა. ამათ ზეით ერთვის ყვირილას
20 ჯ რ უ ჭ ი ჩდილოდამ. გამოსდის კეცების მთასა, მოდის აღმო-
სავლიდამ დასავლეთად, მერმე ჩდილოდამ სამჯრით ყვირი-
ლამდე. სადა მოდრკების, მუნ ერთვის ამ წყალს დასავლიდამ
სხვა ჳევი. გამოსდის საწალიკე-კეცებს შუა მთას. ამ ჳევსა და
კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას. ძველად ყოფილა ამას
25 ზედა შენობანი, და აწ ოჯერ არს. კვალად ჯრუ | ჭის შესარ-
თავს* ზეით, ყვირილას სამჯრით კიდეზედ, არს ს ა ჩ ხ ე რ ე ¹.
მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭ-
რობენ. ამ საჩხერის პირისპირს, ყვირილის ჩდილოთ არს, მა-
ღალს კლდესა ზედა, ც ი ხ ე მ ო დ ა მ ნ ა ხ ე ¹, მოზღუდვილი
30 კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან. კვალად ამ საჩ-
ხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედვე – ს ა ვ ა ნ ე თ ე კ ლ ე ს ი ა ²,
უგუნბათო, საკურველად შენებული, რამეთუ არს მთლად
ერთის ქვისა კანკლითურთ. ამ სავანეთს ზეით არს ჭ ა ლ ა.
არამედ ჭალიდამ წონამდე არღარა არს შენობა, გარნა პირ-
35 ველ ყოფილა შენობიანი სადაცა ჩანან ეკლესიანი, ნადაბარნი.

ხოლო აწ კვალად ვიწყებთ რიონსავე და მას შინა შემი
დინარეთა. სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩდილოთ **. და
რიონის დასავლეთით არს გეგუთი 3, სადგური ზამთარს მეფეთა.

მღვიმისათჳს

კვალად რიონის შემდინარისა მდინა-

*) ამ სიტყვის შემდეგ დედანში წაშლილია „შესართავს“.

***) დედანში აქ გამეორებულია: „ამის ჩდილოთ“.

156

დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა; უწოდებენ ციხე-დარბაზს.

იტყვიან აღშენებას თურქთაგან **ნზ** მეფის გიორგის ⁴ ჟამსა. ამას ზეით არს, რიონის კიდეზედ, კ ა ხ ნ ი ა უ რ ი აღმოსავლით.

ესეცა სადგური აწცა მეფეთა ზამთარს. ამას ზეით არს ქალაქი ქ უ თ ა თ ი ს ი ⁵, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშვე-

ნი, თვალთა ქვეშ შვენიერი ადგილი, რომელი აღაშენა ა აფხაზთა მეფემან ლევან და ჰყო ტახტი. არს ციხე, და ციხიდამ ხიდი რიონსა ზედა. აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდ-შენი უზენიერად, რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ქანდრით. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. 10

წელსა ქრისტესსა ჩქმვ, ქართულსა **ტნდ** მისც[ა] ქუთათისის ციხე ოსმალთა სეხნია ჩხეიძემან, და უპყრავთ აწცა მათ. არამედ შემცირდა ფრიად ქალაქი მათგან. აქ აღაშენა **ნვ** მეფემან ბაგრატ ⁶ ყო ვ ლ ა დ-წ მ ი დ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ა ⁷ შვენიერი, გუნბათიანი, სრულიად სოფიის კენჭით შინაგან ქმნული და მარმარილოთა 15

სპეტაკითა, წითლითა და ჭრელითა, და სვეტებითა მისითავე, და ყოვლითა შემკობილებითა სრული, და ფრიად დიდი. დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვნიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგდენითა სამწყსოთი. დაფლულ არიან **ნვ** * მეფენი ბაგრატ, **ნზ** მეფე გიორგი. არამედ 20

წელსა **ჩქქბ**, ქართულსა **ტპ** შემუსრეს ოსმალთა, და წარიღეს სვეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს. თუმცა უჩვენა სასწაულნი, გარნა არარად შეირაცხეს.

ამ ქუთათისის ჩდილოთ და რიონის დასავლით არს ქ ვ ი-შ ი ლ ე თ ს ც ი ხ ე ფრიად მაგარ. ქვიშილეთს ჩდილოთ არს 25

ჩ უ ნ ე შ ი. ჩუნეშს ჩდილოთ – გ უ მ ა თ ი, გუმათის ჩდილოთ – ს ა ყ ო რ ნ ე, საყორნეს ჩდილოთ არს გ ო ს ტ ი ბ ე, ცხენის-წყლის აღმოსავლით კიდეზედ; ამის გაღმა გ ო რ დ ი, და მეს აქ ხიდი გოსტიბიდამ გორდს ცხენის-წყალზედ. გოსტიბემდე არს ო კ-რ ი ბ ა. და კვალად ქუთათის ზეით, დაბას რიონს ზეით, მოერთ-ვის რიონის მდინარეს აღმოსავლიდამ მ მ უ ი ს ი ს-მ უ ყ ე ლ ე-თ ი ს-ჯ ე ვ ი. ეს გამოსდის წმიდის გიორგის მთას, მოდის და- 30

სავლეთს-სამკრეთს შუა. ამ ჰევზედ, ძ მ უ ი ს, მთაში, არს ციხე კლდესა ზედა შენი და მაგარი. ამას ზეით, რიონის დასავლეთით, მთის ძირს, არს ხ ო მ ლ ი ს-კ ლ დ ე, ფრიად მაღალი.

35

მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი, მტრისგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები. აქამომდე არს ოკრიბისა, მას ზეით ლეჩხუმისა. ძმუისის ჩდილოთ, მთას იქით, რიონი[ს] სამც-

*) ციფრი „ნვ“ სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

157

რით, არს დ ღ ნ ო რ ს ც ი ხ ე მაგარი, დიდ-შენი და შეუალი. აქამდეც არს ოკრიბისა.

რაჭისათვის

5 ხოლო ამ დღნორსა ზეით არს რიონზედ ა რ კ ა ნ ი; არ-
პანს ზეით გ ვ ე ლ ი ს - თ ა ვ ი. გველის-თავს ზეით რიონს მოერ-
თვის ტ ო ლ ი ს - ჯ ე ვ ი. გამოსდის რაჭა-სვანეთის შუას კავკასის
კალთას, მოდის ჩდილოდამ სამკრეთად და მოერთვის რიონს
ჩდილოდამ. ამ ჰევზედ, დასავლის კიდეზედ, არს, კავკასიდან
ჩამოსულს მთის კლდეზედ, ც ი ხ ე ტ ო ლ ა⁸ შენი, ფრიად მა-
გარი. და არს ჰეობა ესე ხილ-ვენახიანი. ამ ტოლის-ჰევს ზეით
10 მოერთვის ბ ა რ ე უ ლ ი ს - ჯ ე ვ ი რიონს სამჭრიდამ. სდის წმი-
დის გიორგის მთას. ბარეულს⁹, რიონის კიდეზედ, არს ციხე
კეთილ-შენი. ამ ბარეულს ზეით მოერთვის სამჭრიდამ ზ ნ ა კ-
ვ ი ს - ჯ ე ვ ი. გამოსდის ნაქერალას მთას. ზ ნ ა კ ვ ა ს¹⁰ არს ციხე
შენი და მაგარი. ამ ზნაკვის-ჰევს ზეით მოერთვის რიონს ჩდი-
15 ლოდამ ს ა დ მ ე ლ ი ს - ჯ ე ვ ი. გამოსდის კავკასს რაპა-სვან[ე]თ
შორის და მოდის ჩდილოდამ სამჭრეთად. ს ა დ მ ე ლ ს¹¹ არს
ციხე კლდესა ზედა შენი, შეუალი მტრისა. სადმელს ქვეით ამ
ჰევს ერთვის ღ ვ ი ა რ ა ს - ჯ ე ვ ი. გამოსდის მასვე კავკასს და
დის ეგრეთვე. ტოლისა და ამ ჰევებიდამ გარდავლენან სვანეთს
20 გზანი.

ამ სადმელის-ჰევის შესართავს ზეთი რიონს მოერთვის
ბ უ გ ა უ ლ ი ს - ჯ ე ვ ი სამჭრიდამ. გამოსდის ნაქერალასა და
ველევის მთიხ ქვეითს, ლემანაურის მთას. ბ ა რ ე უ ლ ს არს
ციხე კარგი და მაგარი. ბარეულს ზეით არს ს ა კ ე ც ე¹². ამას
25 ზეით მოერთვის რიონს სამჭრიდამ, კ რ ი ხ უ ლ ა ს მ დ ი ნ ა რ ე,
რომელი ისახელა დაბის კ რ ი ხ ი ს ა გ ა ნ¹³. გამოსდის სალო-

რისა, ნაჯიხურევისა და საწალიკის მთას, მოდის ჩდილოთ
 კერძოთ. რიონის სამჭრით და კრიხულის აღმოსავლით, ა მ ზ რ ო -
 ლ ა უ რ ს ¹⁴, ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის
 30 შემკობილებსათვს. ამის დასავლით კრიხულას მოერთვის რიო-
 ნის სამჭრით ხ ო ტ ე ვ ი ს - წ ყ ა ლ ი. გამოსდის სალორე გარჯი-
 ლის მთას ქვეით, შაორის მცირეს ტბას წყაროდ და ფრიად
 ცივს, და მოდის გრეხით ჩდილოთკენ. კრიხულასა და ხოტევის-
 წყლის შესართავს ზეით, ხოტევის-წყლის აღმოსავლეთით კი-
 35 დესა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ც ი ხ ე კ ვ ი ტ ა შ ვ ი -
 ლ ი ს ა, ფრიად მაგარი. ამ ციხეს ზეით, ხოტევის-წყლის და-
 სავლით, არს ხ ო ტ ე ვ ი ¹⁵ და ციხე მისი დიდი, დიდ-შენი და
 სახლობენ აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ.
 ხოტევის ზეით, ამის წყალსვე, ერთვის ა გ ა რ ი ს - ჯ ე ვ ი.
 40 ამ კვეზედ არს ნ ი კ ო ლ ა - წ მ ი დ ა ¹⁶, ეკლესია გუნბათიანი,
 კეთილ-ლიდ-შენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლოლას ქვეითის
 რაჭისა. ამ ჯევის შესართავს ზეით არს შ ა ო რ ი. აქა ყოფილა

158

საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგილის შვენიერო-
 ბისათვს, კ[ე]თილ-აგარაკოვანი. კვალად კრიხულას ერთვის,
 კრიხს ზეით, ს ხ ო ვ ი ს - ჯ ე ვ ი, დის სიმჭრიდამ ჩდილოთ. ამ
 ჯევედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა
 დის წყარო, და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის 5
 ჰყინავს სრულიად, რომელი ამოუღვეელი არს, რაოდენცა სჭრას
 259 მრავალმან კაცმან, გარნა თუ შთავიდეს კა | ცი უცხო, თვნიერ
 მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა. ს ხ ო ვ ი ს ¹ სამჭრით და
 კრისის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს კლდიანს
 გორასა ზედა არს ც ი ხ ე კ ვ ა რ ა ს ი ² და მტკიცე. ხოლო კვა- 10
 ლად კრიხულას შესართავსა და ამბროლაულ-ხიმშს ³ ზეით მო-
 ვიწროვდების რიონი სამჭრიდამ და ჩდილოდამ კლდითა. მუნ
 ძეს ხიდი რიონზედ. ხიდის თავს, კლდის ძირში, არს, რიონის
 ჩდილოთ კიდესა ზედა, ციხე, და უწოდებენ ხ ი დ ი ს-კ ა რ ს.
 ხიდის-კარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის კლდიდამ თბილი 15
 წყალი, არამედ უხმარი. მას ზეით არს წ ე ს ი ⁴, დაბა კარგი. აქა
 იტყვიან ვერცხლის ლითონს. აქავ, რიონის კიდეზედ, არს
 ნ ი ნ ი ა ს - ც ი ხ ე, კლდესა ზედა შენი. ამას ზეით მოერთვის
 რიონს სამჭრიდამ ჯევი ბარულა. გამოსდის კეცების მთას, დის
 ჩდილოთ კერძ. ამ ჯევის ერთვის ჩონისის-ჯევი დასავლეთიდამ. 20

ამავ ბარის-წყალს ზეით არის მთაში მ რ ა ვ ა ლ ძ ა ლ ს ⁵ ეკლე-
სია წმიდის გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთ-
მოქმედი. ამას შესწირა ა შააბაზ კრმალი ოქროთ მოოჭვილი,
აწცა მეს მუნ, არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ
კმალი მისი ჰკიდავს მუნ. ხოლო ხიდის-კარიდამ წავალს მცირე 25
მთა კლდიან-ქარაფიანი ჩდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ
არს ეკლესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი.

უწოდებენ მთითურთ ველიეთსა. ამ ეკლესიაზედ გარდავალს გზა
სადმელს, თვნიერ მისა არა სადა, წესიდამ.

ხოლო ბარულას-წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს 30
ჩდილოდამ მ დ ი ნ ა რ ე ლ უ ხ უ ნ ი, გამომდინარე კავკასისა,
რაჭა-სვანეთს შორისისა, და მოდის სამკრეთად. ყოფილა ამ
ლუხუნის ჯეობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან
სვანთა არლარა, და ოკერ არს. ამ ლუხუნის აღმოსავლით კი-
დის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩდილოდ არს ციხე 35
მ ი ნ დ [ა]. მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავ
ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა, ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას
ლუხუნის კიდესა ზედა მცველად წყლისათვს. ამ მინდას ზეით
მოერთვის რიონს ჩდილოეთიდამ ს ო რ ი ს - ჯ ე ვ ი. ამაზედ არს 40
მონასტერი უგუნბათო, დიდი, კეთილ შენი, აწ ხუცის ამარად.
ამ ს ო რ ს ⁶ ზეით მოერთვის რიონს სამკრიდამ ჯ ე ვ ი კ ე თ რ ი.
ამ ჯევმან მოიგო სახელი ღრმა ჯეცთა შინა დინებითა. ეს

გამოსდის კეცების მთის კალთას, მცირეს ტბასა. პირველ დის
აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე სამკრეთიდამ ჩდილოდ,
ღრმას ჯრამსა და კლდოვანსა შინა. რიონის შესართავს ზეით
ჯეორს ერთვის ბ ო ყ ვ ი ს - ჯ ე ვ ი აღმოსავლიდამ. ჯეორის სა-
5 თავის მცირეს ტბის ქვეით, ჩდილოთკენ, კლდეს გამოსდის
წყაროდ დიდი მდინარე, და ამ ორის წყლის შესართავს ქვეით
არს შქმერი ⁷, დაბა დიდი, უვენახო, უხილო, მგზავსი სხვათა
მთის ადგილთა და შვენიერ ზაფხულის ფრიად. კვალად ამ
ჯეორის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჯ ე ჯ ო რ ი ს მ დ ი-
10 ნ ა რ ე. ეს გამოსდის კედელა კავკასსა და დის კუდაროს ჩასავ-
ლის კარგა ქვეითამდე აღმოსავალ-ჩდილოს შუადამ სამკრეთს-
დასავლეთს შორის, მერმე მოიქცევის და დის სამარიდამ ჩდი-
ლოდ რიონამდე და მოერთვის მას სამკრიდამ. რიონის შესარ-

15 თავს ზეით და ჯეჯორის აღმოსავლით კიდურზედ არს ციხე,
და ამ ციხეს ზეით და ჯეჯორისვე აღმოსავლით არს დაბა
წ ე დ ი ს ი, და ციხე მცირე. აქ არს ლითონი რკინისა, და
იღებენ მრავალსა.

20 არამედ ჯეჯორის მდინარეზედ, სამჯრიდამ ჩდილოეთად
დინებულზედ, არს დაბნები ვენახოვან-ხილიანნი და მოსავ-
ლიანი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი, და უვენახო, უხილო,
ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. უწოდებენ ამას კ უ დ ა რ ო ს.
გულოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდან სხვა ჰევი, წო-
ნასა და ამის შორის მთის გამომდინარე. ამ წყალში ზის კალ-
მახი: რა მოხარშო, მგზავსი არს ზაფრანიანისა. ხოლო ამ გუ-
25 ლოვანთას აღმოსავალ-სამჯრით, მცირეს მთას იქით, არს წ ო ნ ა,
ადგილი გარმოხვეული მთებითა და შინაგან ვაკე. აქ არს მცირე
ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მოდის, ვითარცა აღვსწე-
რეთ. არს წონა, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი, და მოსახ-
ლენი ოსნი. გარდავალს აქიდამ და კუდაროდამ გზა ქცხილვა-
30 ნის ჯეობასა ზედა, დვანის ჯეობასა ზედა, ქართლში.

ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამჯრით
არს ო ნ ი ო. სახლობენ ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ონი
ჰავით არს მშვენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა
კლდოვანთა ყოფითა. არამედ აგრილებს მდინარე რიონი. ამ
35 ონს ზეით მოერთვის რიონს დ ა რ უ ლ ა ს - ჯ ე ვ ი სამჯრიდამ.
გამოსდის კედელის კავკასს. ამაზედ არს შენობა მოსავლიანი,
ვითარცა სხვა მთათა ადგილნი. ამან მოიგო სახელი დაბისაგან
დ ა რ ი ს ა, მუნ რიონის კიდესა დაშენებულისაგან. ხოლო ონის
პირისპირ, რიონის ჩდილოთ, მთის კალთასა შინა, მაღლა, არს
40 დაბა მ ე გ ლ ე ვ ი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და
მდულარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას.
ამას ზეით ერთვის ს ა ქ ო რ ი ა ს - ჯ ე ვ ი რიონს ჩდილოდამ. ამ

160

ჰევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად.
ამას ზეით არს დაბა უ წ ე რ ა ო, რიონის ორსავ კიდესა ზედა.
აქ, რიონის ჩდილოთ, არს ეკლესია სიონი, დიდი. ამ ეკლესიის
კამარასა შინა მკვიდარებს თმა ერთი ნაწნავი, და იტყვიან თამარ
მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად,
რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი,
რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუ-

ნისაგან. არს ესე ონსაცა, გარნა ესევე უმჯობესი.

ამას ზებით, ჭ ი დ რ ო თ ა ს არს ციხე მცირე, რათა ვერ
ვიდოდნენ მთის კაცნი თჳნიერ მის ციხისა რაჴას. ჭიდროთას 10
ზებით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ გ ლ ო ლ ი ს - ჯ ე ვ ი. აქ
ძეს რიონზედ ხიდი. ხოლო გლოლის-ჯ ე ვ ი გამოსდის გლოლასა
და ჟღელეს შორის კავკასსა, და მოდის დასავლეთად. ამ ჴევს
ერთვის სხვა ჴევი ორი. ერთი გამოსდის ამასა დ[ა] დიგორს
შორისს კავკასსა. არს გ ლ ო ლ ა ¹⁰ დაბა მგზავსი ციხისა, კოშ- 15
კოვან-გოდლოვან ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-
ვერცხლის ხატითა და ჯვართა და წიგნებითა, ძველადვე ხიზ-
ნულნი. კვალად გლოლის-ჴევის შესართავს ზებით რიონის სამჯ-

რით არს ჭ ი ო რ ა ¹¹, დაბა მოზღუდვილი და | კოშკოვანი, გოდ-
ლოვანი. ამას ზებით, ჩდილოთ კერძოდ, დაბა არს ღ ე ბ ი ¹, ეგ- 20
რეთვე ნაშენი. ხოლო ჭიდროთას ზებით ეს ადგილნი, რომელნი
დავსწერეთ. არიან ვითარცა სხვა მთის ადგილნი, მოსავლით,
ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვიწრო და შეუალი მტერთაგან.
სარწმუნოებით ქრისტიანენი, ქართველთა თანა, არამედ უმე-
ცარნი ამისიცა. 25

ლაჴის საზღ-
ვართავს ხოლო რომელნი ადვსწერე, სახელითგან ყოფანი ვთქვით,
და აწ ვიწყებთ საზღვართა მათთა. რამეთუ მზღვრის რაჴას:
აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი
მთა, და კავკასი კედელა, და მუნიდამ ჩდილოთ წარსრული კავ-
კასივე, ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჴა-გლოლასა და ჟღე- 30
ლეს შორისი; სამჯრით წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად
აღმოსავლეთიდამ, ვიდრე არჴანისა და დღნორამდე, გაჭრილი
რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ * რაჴის
მთას, ხოლო განყოფით დღნორს ზებით წმიდის გიორგისას,
მერმე გაყრილს, ნაქერალას, ველვის საღორეს, გარჯილას, ნა- 35
ჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი
არს რაჴისა და სამჯრეთის კერძი – გარჯილა-ნაჯიხურევ-საწა-
ლიკე-კეცებისა – არს არგვეთისა, და მდინარენიცა ეგრეთვე;
დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი
მთანი ადვსწერეთ, და მთა გველის-თავისა. ხოლო მათ მთათა 40

*) დედანში ეს სიტყვა სწერია სტრიქონს ზემოთ.

დასავლის კერძო არს ოკრიბისა. და არიან მთანი ესენი მა-
ლალნი და განიერნი, თხემთა უტყონი და კალთათა ტყიანნი,
და ზამთარს დიდ-თოვლიანნი, სადაცა ვერ ივლის ცხენი, და
ზაფხულის უთოვლო, წყაროიანი, ბალახიან-ყვავილოვანნი, ნა-
5 დირიან-ფრინვლიანნი. და დაბნეები რაჭისანი, ამ მთათა კალ-
თათა მყოფნი, არიან, ვითარცა შქმერი აღვსწერეთ, აგარაკად
და მთის ადგილად; და ჩდილოთ მზღერის რაჭას კავკასი, რო-
მელი განწყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა,
ლუხუნსა და სვანეთსა, სადმელს, ტოლას და სვანეთსა.

10 და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი
მთითა, კლდითა, ჭრამითა, ჳევითა და ტყითა, შეუალი გარე
მტრისაგან. ჳავით არს კეთილშეგენი, ჳაფხულის გრილი, ჳამ-
თარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, ვენიერ, ბრინჯ-ბამბისა
ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილო-
15 ვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სრულიად
რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი, ვითარცა
სხვანი მთის ადგილნი. პირუტყენი, აქლემს გარდა, ყოველნი,
და არა მრავლად. ცხოვარი უდუმო, ღორი – სიცოცხლე მ[ა]თი.
მდინარეთა კალმახნი მრავალნი, სხვა თევზნი არარაი, არცა
20 რიონსა შინა. კაცნი ტანოვანნი, მჭნენი, ბრძოლასა შემმარ-
თებელნი, ძლიერნი, უსაქციელო-ბრიყუნი, უშვერ-მქცევნი,
სხვათა მაოჯარნი, მომხვეჭნი და ძვირნი. სახლობენ მთავარნი
და აზნაურნი. ქალნი შვენიერნი, მქცევნი ეგრეთნივე, რბილნი.
პირველად იყო რაჭა შორაპნის საერისთო, მერმე იქმნა თვთ
25 საერისთოთ, და შემდგომად კახაბერისა * მოწყვეტისა ² ეპყრა
მეფეთა. მერმე ბაგრატ იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერის-
თობა ³, და აწცა არიან იგინი ერისთვად რაჭას, და არს მესამე
სადროშო. ხოლო სახელი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა
მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობისა მიერ – „იხილე, რა
30 ჳაა არს ადგილი ესე!“

ხოლო რაჭინ სამართ არს, მთას იქით, ა რ გ ვ ე თ ი ანუ
მ ა რ გ ვ ე თ ი, რომელი იწოდა ქვეყნის ნაყოფიერებისაგან და
მრგველობისა მუშაკობისათვს – მრგველნი მუნებურნი და არა
ადმომგხვრელნი. ხოლო საზღვარი არგვეთისა არს: აღმოსავ-
35 ლით ქართლის საზღვარი, ლიხის მთის დასავლის კერძო; სამჯ-
რით ფერსათი, მერმე, ხარაგეულს ქვეით, მდინარე ძირულა და,
შორაპანს ქვეით წყალ-წითელამდე, ყვირილა; დასავლით წყალ-
წითელა კვახჭირის მთამდე და ჩდილოთ წინთქმულნი მთანი –
კეცები, საწალიკე, ნაჯიხურევი და გარჯილა. კვალად ჩდილოთ

არგვეთის სა-
ზღვრი

*) დედანში: „კასასაბერისა“.

162

სული სამჭრითკენ მთა ჩხარამდე და მერმე დასავლით წარ-
სული კვახჭირამდე, არგვეთსა და ოკრიბას შორისი. და ამ საზ-
ღვარს შინაგან არს არგვეთი, ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარც-
ელითა, არამედ ბრინჯს არა სთესენ. ხილნი ტყეთა შინაცა
მრავალნი. პირუტყვნი მრავალნი, და არა ქართლისებრ, ვენახი 5
დაბლარი და ღვინო კეთილი, გარნა ქართლის კერძო ადგილთა
– თხელი. ნადირნი და ფრინველნი მრავალნი, თევზნი მდინა-
რეთა არა ეგდენ, არამედ კალმახნი მთათ კერძოთა მრავალნი,
კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი შვენიერნი, მზრძოლნი
და იმერეთს უმეტეს სხვათაგან შემმართველად დიდებულნი, 10
მომჭირნე მუშაკნი, სტუმართ-მოყვარენი. სახლობენ მთავარნი,
აზნაურნი მრავალნი. ძველად იყო საერისთო შორაპნისა, და აწ
მთავართა ოვს-თვსა პერობითა. არს მეორე სადროშო. ამას
შინა დიან მდინარენი ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ჩოლა-
ბური თა ამათი შემრთველნი მდინარენი.

საჩხეიძოს ხოლო არგვეთის სამჭრით არს ს ა ჩ ხ ე ი ძ ო, პირველად 15
სახღვრისათვის არგვეთადვე წოდებული, მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად
და სოლოში-პერობითა თავადთა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა. არამედ
ნაოს განჰყოფს საჩხეიძოსა და არგვეთს ჩდილოთ ჩხერიმელა, ძირულა
და ყვირილა, მერმე საჩხეიძოსა და ვაკეს მდინარე რიონი საჩი-
ნომდე. ხოლო აღმოსავლით მზღვრის საჩხეიძოს ფერსათიდამ 20
ჩამოსული მცირე მთა, ჩდილოთ ძირულამდე, ხარაგეულს ქვეით;
სამჭრით მთა ფერსათი, ანუ ღადოთ, ანუ ლომსიათ წოდებული,
ხოლო დაბისაგან აწ ფერსათად თხემთა უტყეო, კალთათა
ტყიანი, მაღალი და განიერი, ზოგან თოვლიანი და ნადირიანი, 25
ფრინველიანი. ჩდილოთ კერძო იმერეთისა, სამჭრით კერძო
სამცხისა; დასავლით მზღვრის საჩინო-სალომინაოს საზღვრის
ხაზი რიონიდამ ფერსათამდე. არამედ სვირს ზვიოს, აღმოსავ-
ლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ-ხევს *.

და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნი კმოდოვანი, 30
ფლატოვანი, ჭალიანი; მთის კერძო ვაკე და აყრილ-ტყიანი,
ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწო-

დებენ მალლარსა ანუ ბაბილოსა. ღვინო მრავლად და კარგი. აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგვეთში უფროს. ბრინჯს არა სთესენ და ბანგას, სხვანი მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. 35 პირუტყვთა აქა უმეტეს სიმრავლე არგვეთ-რაჭისაგან, რამეთუ ზამთარცა მძოვარნი არიან აჯამეთიდამ გურიამდე. ნადირნი მრავალნი, და აღვსილნი ტყენი მცირე-დიდითურთ. ფრინველნი ურიცხვნი. თევზნი, ფერსათის მომდინარეთა წყალთა შინა, კალ- 261 მახნი მრავალ და სხვა არარა, და გაკე | თა კირჩხიბნი. კაცნი 40

*) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

163

მგვანენი არგვეთისანი მსახლობელნი არიან მთავარნი, აზნა- ურნი. პირველად იყო არგვეთის საერისთო, და აწ პირველი სადროშო.

5 ხოლო საჩხეიძოს დასავლით არს ს ა ჩ ი ნ ო და მის დასავ- ლით საჯავახო. მზღვრის ამას იგივე მთა ფერსათი, ჩდილოთ რიონი, რომელი განწყოფს ვაკესა და საჩიჯავადოს, დასავლით მზღვრის ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა ჩდილოთ კერძ, საჯავახო-გურიის გამყოფელი, ვიდრე რიონამდე, და აღმო- 10 სავლით, რომელი დავსწერეთ სალომინაოს და საჩიჯავადოს შორისი ხაზი. არამედ არს ადგილი ესე, ვითარცა აღვსწერეთ საჩხეიძო და უმეტესადცა ნაყოფიერი და ბარი. კაცნი მათგან ურბილესნი, და სადროშო მათივე. და ორთა ამათ ადგილებთა დიან მდინარენი, რომელნიცა გამოსდიან ფერსათის მთასა.

საჩიჯავადო
სათეს

15 ხოლო საჩიჯავადოს-სალომინაოს, რიონს გაღმით, სამწრეთით არს ვ ა კ ე, და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათეს, და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალ-წითელა ყვირილიდამ კვახჭირის მთამდე; სამხრით მზღვრის ყვირილა და რიონი; დასავლით ცხენის-წყალი და ცხენის-წყლიდამ წასული ხაზი ისნლეთამდე. და რიონამდე; ჩდილოთ კვახჭირის მთიდამ წარსრული ხაზი და- 20 სავლით, კახნაურს ქვეით, ირიბად, ქუთათისის დასავლით, და მალლარის და ოფიშკვითის აღმოსავლით, და გუბის-წყლის სათავის გორაებზედ, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენის-წყლამ- დე. და არს სამ-კუთხედ ადგილი ესე. ამას შინა, ცხენის-წყლისა და რიონისაკენ, არს ს ა ჭ ი ლ ა ო, ს ა მ ი ქ ე ლ ა ო. და არს ად- 25 გილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, რომელნი დავსწე- რეთ, თვნიერ ბრინჯისა. პირუტყვნი მძოვარ არიან ზამთარ-

ვაკის საზღ-
ვრისათეს

ზაფხულს. ფრინველნი ურიცხვნი. თევზნი არასადა, თვნიერ
რიონისა, კირჩხიბი მრავალ. არასადა არს მდინარე, თვნიერ
გუბის-წყლისა, და იგიცა მცირე. იზრდებიან ჭით. არამედ
30 ადგილ-ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით
გამობერავს ყელსა, და დაეკიდების კაცსა და ქალსა: ვითარცა
პარკი დიდი. უწოდებენ ყიყვს. ვენახნი დაბლარნი არიან მრავ-
ლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყრილნი, და
უწოდებენ ეწერს; და ეწერნი არიან არგვეთს, საჩხეიძოს და
35 საჩიჯავამოსა შინაცა. კაცნი და ქალნი ჰგონე ეგრეთნივე, არა-
მედ უმეტეს. მსწრაფლ მოუბარნი, ფრიად მუშაკნი, რბილად
მქცევლნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი. პირველად იყო
საერისთო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა,
ოკრიბისა თანა. აწ ესეცა პირველი სადროშო.

40 ხოლო ამ ვაკის აღმოსავალ-ჩდილოდ არს ო კ რ ი ბ ა და
არგვეთის ჩდილო-დასავლეთად, რომელი ისახელა თვსის ადგი-
ლობისაგნვე, რამეთუ გარემოთა ადგილებთა თვსთაგანვე სრუ-

ოკრიბის სა-
ზღვრისათვის

164

ლიად მჩენარობს ოკრიბა, და ამისთვის ითქმოდა: „ოო, კრება
ესე კეთილ-შვენიერ ადგილ არს!“ ხოლო ოკრება ესე იმზღვრე-
ბის: აღმოსავლით მთით რაჭასა და ამას შორისით, ველევ-სა
ღორის მთით, და საღორის მთიდან წასრულის სამჯრით, ვიდრე
ჩხარამდე, მთითა ოკრიბა-არგვეთს შორისით; სამჯრით ჩხარი- 5
დამ დასავლეთად წასრულის მთით კვახჭირამდე, მერმე კახნია-
ურის ხაზით რიონამდე; ჩდილოთ ველევი, ნაქერალა, გაჭრილი,
წმიდა გიორგის მთანი, ვიდრე დღნორამდე, მერმე ხომლის-
კლდიდამ წარსრული მთა დასავლეთად, ვიდრე გვასტიბემდე;
დასავლით კახნიაურიდამ წარსრული ხაზი, ვიდრე გვასტიბემდე, 10
ოკრიბა-ვაკის საზღვარი.

და არს ამათ შინა ქვეყანა, თვნიერ ბრინჯ-ბანზისა, ყოვ-
ლითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა.
არამედ ვენახი მაღლარი, ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი. პი-
რუტყენი არგვეთისაებრ, ფრინველნი და ნადირნი მრავალნი. 15
არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან-ბალახიან-ყვავილიან-წყაროიანი.
დის მდინარე წყალ-წითელა და მისნი შემრთველნი, და ქუთაის
ზეით რიონი და მასში შემრთველი ხომლის-კლდემდე. თევზნი,
თვნიერ კალმახისა, არარა. კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი
ჰგონე ვითარცა ვაკისანი, გარნა უღონო მუშაკნი, ვერ ღონიერნი. 20

არამედ მთავარნი და აზნაურნი მცნენი, ზნეობიანნი, შემმართებელნი. ეს ოკრიბა-რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგვეთისა, და დასავლეთისა ნაქალაქევის საერისთოსი, შემდგომად იქმნა ქუთათისის საერისთოსი და აწ – მეოთხე სადროშო ლეჩხუმითურთ, მეფისა თანა მყოფნი. და სახელნი ესენი ადგილებთა 25
ამათ, რომელნი აღვსწერეთ, ანუ ეწოდათ ესრეთ ანუ ეგროსის ძეთაგან და ძის ძეთაგან, ვითარცა სხვათა ადგილებთა. და ვინადგან შევასრულეთ იმერეთი, აწ ვიწყებთ ოდიშს.

ოდიშისთვის

ხოლო ესე ო დ ი შ ი ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეეგრელნი, რამეთუ ეგროს¹ აღაშენა ქალაქი და უწოდა ე გ რ ი. ამას სწერენ ეგროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარილო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ჭალაკი იგი აქა არასადა მოიპოვების, არცა მატიანე ჩვენი მოიკსენებს მას, გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრის-წყალს იქითი – დასავლეთისა – ეპყრათ ბერძენთა *, აქა არს ადგილი იგი. ამისთვის უწოდეს მეეგრელნი. ხოლო ოდიში – განდგნენ რა ეგრისის მდინარის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდინან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ. ხოლო საზ- 30
35

*) ტექსტი სიტყვებიდან: „ამას სწერენ ეგროპელნი...“ სწერია დედანში მარჯვენა აშიაზე.

ღვარი ოდიშისა არს ცხენის-წყალი * და ხაზი ისულეთამდე მერმე თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამჭრით და კვალად თაკვერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ, ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სვანეთ შორისი; სამჭ- 5
რით მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კვალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი შავი ზღვ[ა]; დასავლით ზღვა შავივე და კვალად ანაკოფიის მცირე მთა, კავკასიიდან ჩამოსული სამჭრით ზღვამდე; ჩდილოთ კავკასის მთა. ხოლო ცხენის-წყლის დასავლეთის კერძო რომელი დავსწერეთ, ოდი- 10
შისა არს. და ცხენის-წყლის დასავლით არს მუნვე ბ ა ნ ძ ა ² და ციხე კეთილნაშენი.

ბანძას ზეით და ცხენის-წყლის დასავლით, და მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ, არს ჭ ყ ო ნ დ ი დ ი ³, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, მარტვირისა. ეს აღაშენა ჭ მეფემან აფხაზ- 15
თამან გიორგიმ ⁴ და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ ⁵. ამანვე დასვა მუნ

ეპისკოპოზი, და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენის-წყლამდე. ამათა დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად, მოიქცა რა ** ანაკოფიიდა მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან **პჩ** აბაში, და მიერთგან იწოდა აბაშა. ამაზედ არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა ***. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამოსდის კავკასს, ოდიშსა და სვანეთს შორისს, და დის ჩდილოდამ სამჯრით. არა არს მას შინა თევზი, თჯნიერ კალმახისა.

ამის დასავლით დის მდინარე ტ ე ხ უ რ ი. იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყო | ფს ხიდსა თუ სხვასა რაის. გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულებს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შ ხ ე თ ს ციხე დიდნაშენი და სასახლე დადიანისა. ამას ზეით, კიდევ ტეხურისავე კიდეზედ, არს ს ე ნ ა კ ს ¹ ეკლესია გუნბათიანი, კეთილშენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა. აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნ ა ქ ა ლ ა ქ ე ვ ი ², ი ხ ე - გ ო ჯ ა დ წოდებული. ეს აღაშენა ა მეფის ფარნაოზის ამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სრულიად რიონის დასავლეთი სვანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ

*) ტექსტი, დაწყებული სიტყვებით: „სხვათა ადგილებთა. და ვინაღან შევასრულეთ იმერეთი“... აქნობამდე, დაწერილია დაწებებულ ქალღღზე.

**) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

***) უკანასკნელი წინადადება სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

იყო კვალად ქალაქი, და შემდგომად მოოხრდა ქალაქი. აწ არს ციხე კვალად და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ ტეხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიანი და ნადირიანი. ამას უწოდებენ უ ნ ა გ ი რ ა ს. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი * სალიპარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მთავარნი და აზნაურნი. და არს ქვეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი.

ხოლო ისულებს, ტეხურის შესადინარს ქვეით, სადაცა ერთ-
 ვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი ³. და ამ ფოთის ჩდილოთ კერძ 10
 შესდის ზღვას ხ ო რ გ ი ს - წ ყ ა ლ ი. მოიგო სახელი დაბის ხ ო რ-
 გ ი ს ა გ ა ნ, ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე
 აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე წინსენებულს კავ-
 კასს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამავე წყალზედ,
 მთის ძირში, უნაგირას ჩდილოთ, არს ციხე ქ ა ქ ვ ი თ ი და სა- 15
 სახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა
 ზედა არს ხეთას-ციხე და სასახლე დადიანისა. ამის ჩდი-
 ლოთ დის ქ ა ნ ი ს - წ ყ ა ლ ი, წოდებული ჭელენჯიხის გამო.
 გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად,
 და მიერთვის ზღვას ხოფს. ამ მდინარის ჩდილოთ კერძოთ, 20
 ზღვის კიდეზედ არს ხ ო ფ ი ⁴. აქა არს ეკლესია გუნბათიანი,
 კეთილშენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსვენარებს პერანგი
 ყოვლადწმიდის ღვთისმშობლისა, სასწაულთმოქმედი. ამ
 წყალზედ, ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზეით, არს ეკლესია
 ჩ ა ი ს ს ⁵, დიდი, გუნბათიანი, კეთილშენი და შემკული. ზის ეპის- 25
 კოპოზი, მწყემსი ამ წყლის სამკრეთის კერძოსი უნაგირამდე
 და რიონა-ზღვამდე. ამავე მდინარის ჩდილოთ კერძოთ დიდს
 ველსა ზედა არს ზ უ გ დ ი დ ი ⁶, სასახლე დადიანთა, დიდშენი
 და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი.
 ამ ზუგდიდის აღმოსავლით, მთის ძირზედ, არს ჭ ე ლ ე ნ- 30
 ჯ ი ხ ი ⁷, ეკლესია გუნბათიანი, დიდშენობა, შვენიერი, კეთილს
 ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის
 მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღვამდე. ამის ხდი
 ლოთ დის მდინარე ე გ უ რ ი, წოდებული დაბის გამო. გამოსდის
 მასვე სვანეთსა და ოდი[შ]ს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავ-
 ლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას ** ანაკრიას. ა ნ ა კ-
 რ ი ა ს ალაშენეს ოსმალთა ციხე, ქრისტესსა **ჩღვ**, ქართულსა
ტუა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინა-
 რეზედ არს რ უ ხ ს ციხე დიდშენი, შიგ წყარო გამომდინარე.

**) აქ დედანში წაშლილია „არს“.

**) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

აღაშენა ლევან დადიანმან ქრისტესსა **ჩქმზ**, ქართულსა **ტლე**,
 შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა **ჩღვე**, ქართულსა **უიგ**,

და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების
კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი. რუხს ზეით, ამ
5 წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ.
კვალად ამ ეგურის ჩდილოთ დის და დის - წყალი, წოდებული და დის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის
კავკასსა, და მოდის დასავლეთად, და მიერთვის ზღვას. ამ
დადის-წყლის ჩდილოთ დის ეგრისის - წყალი, წოდებული
10 ეგროსის, თარგამოსის ძის, გამო. გამოსდის მასვე კავკასს, დის
დასავლეთად და მიერთვის ზღვას ილორს. ხოლო ზღვის კიდე-
ზედ, ამ წყლის დასავლეთს კიდეზედ, არს ილორს⁸ ეკლესია
წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით ეგროსი, დასავლით
მდინარე მოქვისა, და უძეს სამჯრით ზღვა და ჩდილოთ ველი.
არს ეკლესია უგუნბათო^{*}, მცირე, მდიდარი და შემკული. არა-
მედ სილოვანობის გამო, რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუ-
ლიათ ქვა დიდ-ფრიადი, ფიქალი და მას ზედა შენი არს სრუ-
ლიად ეკლესია. აქ მოიყვანს ჯარს ყოველწლივ ინოემბერს,
რომელსა დაჰკულენ და განიყოფენ მეფე დიდებულეებითურთ.
20 გარნა არს ფრიად სასწაულთმოქმედი ჭემმარიტსა ზედაცა.
არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქრისტესსა ჩლღ,
ქართულსა უკა.
ხოლო ამ ეგროსის მდინარესა ზედა, მთასა შინა, არს
ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და
25 აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თვისი. არამედ ამას
შემდგომად უწოდეს ბედი⁹, რომელი დასვა ამეფემან ფარ-
ნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინათგან ჰპოვა
ბედი^{**}. მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო, და ცხო-
მის ერისთავი სხვა, ბედიისა სხვა, აფხაზთა სხვა. თამარ მე-
30 ფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა – ოდიშისა დადიანი,
და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა. აქავ, ბედიას,
აღაშენა ნდ მეფემან ბაგრატ¹⁰ ეკლესია დიდშენიერ-გუნბა-
თიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთგს წე-
რილ არს: „ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნდ
35 მეფისა, გინიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ“^{***}. დასვა
ეპისკოპოზი ოდიშისა, და აწცა ზის, და მწყემსი არს აწ და-
დის-წყლისა და მოქვის-წყლის შუათისა ადგილთა. აქავ მოილო
იგივე მეფე ბაგრატ ზვიადა ერისთავმან და დაფლა.

*) დედანში: „უგუნბანო“.

**) უკანასკნელი სამი სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემოთ.

***) ტექსტი სიტყვებიდან: „ამისთვის წერილ არსი“... სწერია დედანში აშიაზე.

168

ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე ჩდილოდამ სამჭრით გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღვას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოქუს¹¹ ეკლესია გუნბათიანი, დიდნაგები. აღაშენა თ მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა. არამედ ეს მდინარე მოქვის დის მოქვამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ხოლო მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას¹², მთაში, გუნბათიანი, შვენური, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორსა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა. არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. გარნა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიიდან, და დრანდიდამ ზღვამდე დის ჩლოლოდამ სამჭრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ წყალზედ, მთაში.

ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასისა, და მოერთვის ზღვას ჩდილოდამ. ამ წყალზედ, მთაში, არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქ¹³ და საერისთო, და აწ დაბა. ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია¹. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქავ ერეკლეს კეისარმან დასვა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღვადმდე. იყო ქალაქი კეთილი, შვენური, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოკერ არს. და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათვის. გარნა აწ უქმად არს.

ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასის თხემიდან ზღვამდე და ცხენის-წყლიდან ზღვადმდევე, და მეორე – ეგრისის-წყლიდან ანაკოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდან ეგრისის მდინარემდე, და მეორე – ზღვიდან კავკასის თხემამდე. და არს ჰავითა ესე ოდიში მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი, მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი, არამედ ზაფხულცა* სველი, და ნამიანი, და ნოტიო, გარნა უწყინარ-უენო, უქარო და უყვივნო,

*) დედანში: „ზაცხულცა“.

დიდთოვლიანი. მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მალღარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარდაგი, ფერისათჳს ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყენი – ცხოვარნი მცირედ და სხვანი მრავლად, რამეთუ უვისთ ჯოგად, მროწლედ, და თხა, ცხოვარი და ღორი ერთ არმედ. რამეთუ არა უხმსთ მწყემსი, და მძოვარ არიან ზამთარ-ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრავალნი; ფუტკართაგან თაფლი და ცვილნი მრავალნი, ვინათგან ტყეთა შინა მრავლად არიან. ნადირნი წვრილნი და დიდნი ურიცხვნი, თჳნიერ ქურციკისა, და სანადირო მრავალნი და კეთილნი. თევზნი მთის კერძოდ კალმახნი მრავლად, ხოლო გაკეთა სხვანი თევზნი და კირნხიბნი ურიცხვხენი. ზღვასა შინა იპყრობის ანდაკია და სხვანი ზღვის თევზნი. მდინარეთ შემდინარეთა ზღვათა შინა უწოდებენ მას ადგილს თვალსა, და არიან ნავსადგურნი. მოდგებიან ნავნი და ვაჭრობენ.

ხოლო არიან კვალად ამაჳ ადგილებთა შინა ჳეენი და..

მცირე მდინარენი წყარონი კეთმლ-გემოიანნი, რომელნი სიგრძისათჳს დავიდუმეთ. არიან კაცნი და ქალნი შვენიერი, არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი, ჳორციანნი და მწითურნი, გულმწყრალნი მყისად და მსწრაფლნი, გრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი ბრძოლიდან გაბრუნებით ქებულნი. სარ-

წმუნობითა, რჯულითა, და წესითა, და ქცევითა იმერთათა.
სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი. ენით არიან – დიდნი
და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თჯსიგა
ენა, გარნა წამხდარი ქართულივე, ვითარცა: ღმერთი – ღორი,
30 ჩემი ჩქიმი. და აქუსთ წიგნი ქართლნივე და არა სხვა. ხოლო
აწ ეგრისის მდინარემდე უპყტავსთ აფხაზთა, და მას ზეითი
სამარის კერძო დადიანსა კვალად ქვეყანა ესე არს ფრიად,
ტყიანი, მთით ბარამდე, და მცირე-ველოვანი. მდინარეთა კიდენი
ქალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბანედოვან-ტალახ-
35 ქანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნო-
ტიობა, გარნა უვნებელი.

ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს ა ფ ხ ა ზ ე თ ი. პირვე-
ლად წოდებული ეგრეთვე ეგრისი, რამეთუ ვინათგან წილი
ეგროსისა არს ზღვამდე, მის გამო ეწოდა ეგრივე. არამედ
40 შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს
აზასა, ხოლო ქართველთა აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონე-
ბელი არს, ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა.

აფხაზეთი-
სათჳს

170

სახელი ესე. ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით,
ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა, კავკასიდამ ჩამოსული
ზღვამდე; დასავლით ზღვა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხვანი
მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღვამდე; ჩდილოთ მზღვრის 5
მთა კავკასი, სამართ ზღვა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფი-
იდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღვამდე; განი ზღვიდამ კავკა-
სის თხემამდე.

ხოლო ანაკოფიის დასავლით დის ა ღ ა ც ო ს - წ ყ ა ლ ი.
გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღვას ჩდილოდამ. ამ აღაცოს-
წყლის დასავლით დის ზ უ ფ უ ს მ დ ი ნ ა რ ე, გამოსდის კავკასს,
დის სამჯრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღვას. არს ზ უ ფ უ ²
მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რო-
მელი მპყრობლობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი.
ამ ზუფუს დასავლით დის მ უ წ ი ს - წ ყ ა ლ ი. გამოსდის კავკას-
სავე, მოერთვის ჩდილოდამ ზღვას. ამ მუწის წყლის დასავლით 15
არს ბ ი ჭ ვ ი ნ ტ ა ს ³ ეკლესია დიდი, დიდშენი, კეთილ ფრიად,
გუნბათიანი, ზღვის კიდესა ზედა. ეს ალაშენა იუსტინიანე კეი-
სარმან ⁴ შემკობითა დიდითა *. პირველ იყო საეპისკოპოზო.

ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს
საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის ამარად, 20
ვინადგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა.
| ამას ვგონებ ნ ი კ ო ფ ს ი ა დ, და ეკლესიასაცა მასზედ აღშენე-
ბულსა მისთვის, ვინადგან ნიკოფსიას** დაფლულ არს მოცი-
ქული სვიმონ კანანელი]. ამის ბიჭვინტის დასავლით დის კ ა პ-
პ ე ტ ი ს მ დ ი ნ ა რ ე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე 25
რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვე-
ითთა ორს კავკას შორისთა და მოერთვის აქა ჩდილოდამ
ზღვასა.

ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერე-
ბითა და ჰავითა, რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. 30
ხილნი, ვენახნი, პირუტყვი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი
მრავალნი. არამედ თხა აქაური ფრიად შვენიერნი, ბალნითა
წმინდა და ჭრელ, კანჭ-მაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი,
ვითარ ადლ-ნახევარნი, წვერნი გრძელნი, ვიდრე მუხლთ დაბ-
ლამდე. გარნა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ეწროვანი 35

*) ამის გასწვრივ დედანში აშიაზე სწერია: „ბარონია სწერს: „კვი-
სარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესია აფხაზეთს წელსა ქრისტესსა 529“.
ეს არს ბიჭვინტა ღვთისშობელისა, რომელი იქმნა განყოფასა ხოსროშან-
თასა, რაჟამს ფარსმან ერჩდა სპარსთა და ძენი მირდატისნი – ბერძენთა.
ამით ჩანს, ვინადგან მირდატის ძეთა აღარ ეპყრათ, ფარსმანს მიუღეს კვა-
ლად ეგრისის მდინარის იქითი ბერძენთა“. (ვახუშტი)

***) დედანში „ნიკოფსიან“.

და მცირე-ველოვანი; მთის კერძონი აგარაკოვანნი. ხოლო
კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი,
წერწეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი ღლეჭ-
კანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან რ, ს და ტ, დაუხ-
5 დებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჭანთა და უფროსად ოდიშ-
გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდ | ედრნი, მალ-მიმ-
დრეკნი, ზღვასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოებით
არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი და ირიც-
10 სვიან, ვითარცა კერპნი, ვინათგან არა დაჰფლვენ მკუდართა
თვსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა
შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკჭთუ
შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად

მერმესა მას. გარნა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხვა, აქუთ სასოება მღვდელთა ფრიადი არა იქმნებიან მათ შორის
15 სიძვა, მრუშება, რამეთუ დასწვენ შემცოდეთა. უყვართ სტუ-
მარი და პატივსა უყოფენ, და შეიწყნარებენ ფრიადი ენა სა-
კუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული.
სხდებიან სკამთა ზედა და სჭამენ ტაბლასა ზედა. და არიან
ერდგულნი ფრიად თვისთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი.

20 ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპკეტის-წყლის დასავლეთს,
ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯ ი ქ ე თ ს, არა-
მედ გორგასლის ცხორება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩდი-
ლოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღვამდე. და ამ
აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპკეტის-წყალი;
დასავლით შავი ზღვა; სამხრით იგივე ზღვა; ჩდილოთ კავ-
კასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა: მოსავლით
და ცხოვლით, წესით და ქცევითაცა. არამედ კაცნი უმეტეს
მკვცთ მგზავსნი. ყოფილან პორველად ქრისტიანენი, არამედ აწ
უცნობელნი მისნი. გარნა იუწყე აფხაზეთა და ჯიქთა სამოსელნი,
და იარაღნი, და საჭურველნი, ვითარცა ჩერქესთანი, რომელთა
ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ.

ჯიქეთისათჳს

ხოლო ს ვ ა ნ ე თ ი იმზღვრეგის ყოვლითგან კავკასიის
მთით, და არს რაჭა-ლეჩხუმის ნდილოთ და ოდიშის აღმოსავ-
ლეთით. და მზღვრის სვანეთს: აღმოსავლით სვანეთსა და ბა-
სიანს შორისი კავკასია; ჩდილოთ დიდ-ყაზართ-ჩერქესა და ამას
სვანეთს შორისი კავკასია; სამხრით ნვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს
შორისი კავკასი; დასავლით სვანეთსა და ოდიშს შორისი კავ-
კასი და ალანის საზღვარი. [ს]იგრძით არს რაჭის კავკასის თხე-
მიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით
რაჭა-ლეჩხუმის კავკასის თხემიდამ ჩერქეზის კავკასის თხემამდე,
და რაჭისაკენ ვნწრო, ხოლო ლეჯხუმისაკენ განიერი, და მას
ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალსა

სვანეთისათჳს

172

მდინარე თვისი, რომელი იქმნების ბოლოს კაპკეტისა, გამოსდის
რაჭის მთას კავკასს და მიდის დასავლეთს-ჩდილოს შორის. ამ
მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ ჳევნი მდინარენი.

ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამხრით არს ლ ა შ ხ ე თ ი, და ლეჩ-
ხუმის სამართ და ოდიშის აღმოსავლით არს ეცე რი. აქა არს
ეკლესია სვეტიად წოდებული, სახიზარი სვეტის-ცხოვლის სამ-

5

კაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის-ცხოვლის კანკ-
ლის ყოფასა დღესცა, რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ,
წითლის იაგუნდისა ქმნილი. არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი
და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი და მოვოჭვილნი ქვითა, მრა- 10
ვალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა
აქუსთ სასოება და პატივსცემენ. არამედ უმჯობესი ხატი უბიათ
ძეწკვითა ოქროსათი და იტყვიან: „უკჭთუ აუშვათ, დალევწავს
ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯვართა“, და ესოდენ უგუნურ
არიან თვსითა უცნობელობითა! არამედ თუ შევიდეს მუნ სასი- 15
კუდინო ანუ ტყვე, ვერა რაიხადა უყოფენ, გარნა განუტევებენ
თავისუფლად. კვალად აღმთქმელსა ანუ მფიცარს მას ზედა
დაერწმუნებიან ფრიად.

ხოლო სვანეთი არს მოსავლითა და პირუტყვითა, ვითარცა
აღვსწერეთ დვალი, ანუ აწინდელი ოსეთი, და უმეტესი მწი- 20
რიცა. სივიწროვით მთით და კლდით და მდინარეებით
ფრიად მაგარი. არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერღარა
იტევდა ძურძუკეთი კაცთა, ზ მეფემან საურმაგ¹ აჰყარა მუნი-
დამ და მისცა აქა საპანე და დასხნა სულნი დიდძალნი. ამის
გამო იწოდა სვანეთი. არამედ არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, 25
ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემ-
მართებელნი, მთათა სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სი-
კუდილის არა მომკსენენი, ავაზაკნი, მეკობრენი, უწყალონი,
ბრიყუნნი, უზნეონი. სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართუ- 30
ლითა და უმეტარნი აწ მისნიცა. ენა თვსი აქუთ საკუთარი,
გარნა უწყიან ქართულიცა. პირველად იყო ეგრისის საერისთო,
შემდგომად დასვეს მეფეთა მისი ერისთავი, და აწ უვისთ გელო-
ვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თვსად და არღარა-
ვის მორჩილებასა შინა.

აღანისათჳს
ხოლო ა ლ ა ნ ი არს* სვანეთის დასავლით და ბედიის ჩდი- 35
ლოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სვანთა; სამჭ-
რით კავკასი ბედია-ოდის და ამას შორის; დასავლით კავკასი;
ჩდილოთცა კავკასი. უდის შუაში სვანეთის მდინარე. მოსავლით
და პირუტყვით სცან, ვითარცა სვანეთი. არამედ კაცნი კერპნი,
უსჯულონი. გარნა პირველ იყუნენ ქრისტიანენი და აწ კერპნი, 40

*) ეს სიტყვა სწერია დედანში სტრიქონს ზემით.

და რომელნიმე მოჰმადიანნი და მისიცა უმეცარნი. ხოლო კავ-
კასნი, რომელნი აღვსწერეთ ამ ადგილებთა შინა, კედელის
კავკასის მთიდამ, ვიდრე ჯიქეთამდე, არიან ეგრეთივე მცინვა-
რენი მთანი, ვითარცა ქართლისანი და ოსეთისანი, სიმაღლით,
5 მცინვარებით და ყოვლითურთ. არამედ სვანეთი და ალანი იყო
კავკასისავე წილნი, და მეფეთა ქართველთა თვთ განიმკვიდრეს,
ვითარცა აღვსწერეთ.

ხოლო გ უ რ ი ა არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართ-
ლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ
10 არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთვსა, რომელნი
იყუნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი
აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახე-
ლი აცხადებს: „გურიობით განდგომილნი“. და ენა მათი, რო-
მელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ *. არამედ მზღვრის
15 ამას გურისა: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შო-
რისი და საჯავახოს შორისი **, სამართ ჭოროხის მდინარე და
მთა მცირე, ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას
შორისი; ჩდილოთ რიონი გურია-ოდიშს შორისი და დასავ-
ლით შავი ზღვა. ხოლო რიონის თვალზედ, სამჭრეთის კიდესა
